



# ჩვენს მხურომბა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

4 აპრილი 2014

№ 7 (215)

ივან ჰუდეცის ნოველა  
ფინალი მუდამ სიმბოლურია  
გორი — თეატრალური ქალაქი  
გიორგი არაბულის პოემა-გვრინი  
ქართული დუელი, როგორც სპექტაკლი  
დავით წერედიანის ტფილისური მოტივები  
დალი ფანჯიკიძის მთარგმნელობითი ღვაწლი  
თითა ბალანჩივაძე-ძნელაძის ნოველა  
მამუკა მალულარიას რადიოპიესა  
არაბული ციხის ლიტერატურა  
თორნიკე ჭელიძის ლექსები



# შინაარსი

პრი და პაღისწერა	2	თემურ ქორიძე <b>შინალი მუდამ სიმბოლურია</b> (ზვიად გამსახურდია)
ჩემი პატარა ძალაჲ	4	იოსებ ჭუმბურიძე <b>ახალ ვინასს კვილს უსინჯავენ</b> <b>ანუ გორი თეატრალური ძალაჲ</b> („ჩემი გზა ჩემი აკლდამა“)
მასკას-ინტერვიუ	5	მაკა ლდოკონენი <b>„შედეგი აზვირგვინებს საქმეს“</b> (მოამზადა ინა არჩუაშვილმა)
სილუატი	6	ლელა ჯიყაშვილი <b>ბაზეთის ფურცელზე მოთამაშე მხატვარი</b> (ოთარ იოსელიანი 80 წლისაა)
კულტურის სიხლენი	8	თამარ ადამია <b>საქართველო როგორც კავას ოპიკტივიზმი</b>
დრამატურგია	9	მამუკა მალულარია <b>ისევ მარწყვის მდელოები</b> (რადიოპიესა)
პროზა	13	თითა ბალანჩივაძე-ძნელაძე <b>ატეტიონი</b>
პოეზია	16	დავით წერეთლიანი <b>უძილოვა, ტფილისური მოტივები</b>
	17	გიორგი არაბული <b>ალდის ლექსი. ალდის სიზმრები</b> (პოემა-გვერინი)
	20	თორნიკე ჭელიძე <b>სიზმრისპირული და სხვა ლექსები</b>
უსწოთის სწოვაგინი	22	რადვა აშური <b>არაბული ცინის ლიტერატურა</b>
გამონგაგრა	26	ეკატერინე ტუკვაძე <b>სამშობლო — გვანცა ჯოგავას თვალით</b>
შტრინები პორტრეტისთვის	27	ალექსანდრე თვარაძე <b>ქართული მთარგმნელობითი საქმის მოამაგე</b> (ქალბატონი დალი ფანჯიკიძის დაბადების დღის აღსანიშნავად)
	30	როსტომ ჩხეიძე <b>ჩვენ და ანდრიკები</b> (გრიგოლ ჩხარტიშვილი და მისი ორი მე)
კრიტიკა	35	გურამ ბენაშვილი <b>ლიტერატურული ვიტრაჟები</b>
წუთები და წლები	43	თამარ ყალიჩავა <b>ქართული დუელი, როგორც სპექტაკლი</b>
საქართველოს გზაზე	46	დარინა ყურუა <b>კოლიმა — ნარსული თუ დღევანდელია?!..</b>
ნარსული მოგვლისთვის	49	ეკა ბუჯიაშვილი <b>კოჭორში ნაბრძოლი დროშა</b> (ნანა ქადაგიშვილი)
ლიტერატურული სწოვაგინი	52	<b>მარადიულის მსახური</b> (ესმა ონიანის სახელოვნებო კაბინეტის გახსნა)
ლაგორატორია	53	თამაზ ნატროშვილი <b>წყართა ხეები — უკომენტაროდ</b> (თავგადასავალი ზურაბ არაგვის ერისთავისა)
	57	გურამ ბათიაშვილი <b>სახეები და სიტუაციები</b>
ფიქრი და განსჯა	63	მურმან ჯგუბურია <b>ცოტა რამ ფარული მადლის შესახებ</b> <b>და კიდევ პირიმზისა და იაზე</b> (გენო კალანდია)
უბის წიგნაჲ	64	მარიამ სილაგაძე <b>იმ გზინ კუნძულს ჩავეჭიდები</b>
ახალგაზრდაგო, ან კი თქვენ	65	ათილა ილჰანი <b>ვინც შევიყვარე, ყველაში შენ ხარ</b>
პოეზიის მერიდიანები	66	ივან ჭუდეცი <b>მემკვიდრეობით გარემოებათა წყალობით</b>
უსწორი ნოვა	67	ალან მალეი <b>ქალიან მოკლე მოთხრობები</b>
ამ მთისა და იმ გარისა	71	<b>ვერმანტის ქართველი გენერალი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი</b>



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გაგრძელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 18 აპრილს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თავი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გაგრძელების სამსახური	ლევან კვიციანი

**გარეკანზე:** თბილისური სერიიდან  
რობერტ კაპას ფოტოგრაფიები

ეს ესეი, არსებითად ფსიქოლოგიური პორტრეტი — „ფინალი მუდამ სიმბოლურია“ — ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა შექმნილიყო. არაერთხელ წაგვიკითხავს ფსიქოლოგიური ყაიდის დაკვირვებანი, თავისთავად არცთუ ურიგო, რომლის მიგნებაც და დანერაც სხვასაც შეეძლო, მაგრამ არსებობს იმგვარად გააზრებული სულიერი პორტრეტებიც, რომელთაც სხვა ვერავინ შექმნიდა, გარდა მათი ავტორებისა.

ვისაც მოეხსენება ლიტერატურის მკვლევარისა და პუბლიცისტის თემურ ქორიძის პიროვნული სიახლოვე ზვიად გამსახურდიასთან — ჯერ კიდევ მისი დისიდენტობის უამს და შემდეგ მძაფრ პოლიტიკურ მღელვარებებსა და წინააღმდეგობებში მის გვერდით დგომა, საბოლოოდ ზვიად გამსახურდიას მთავრობაში ბატონ თემურსაც რომ დაუმკვიდრებდა ადგილს — მოელოდა ამ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას, მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის სულის ხვეულებში რომ ჩაგვახედებდა და ისეთ რეალებს გაგვიცხადებდა, სხვაგვარად ამოუცნობი ანდა ბუნდოვანი რომ დარჩებოდა.

თემურ ქორიძის ღრმა განსწავლულობა და აზროვნების დახვეწილობა მარჯვედ მიგნებულ ფსიქოლოგიურ დაკვირვებებს ჩინებულ ლიტერატურულ ფორმასაც მიანიჭებდა და რამდენიმე ფურცლად დაინურებოდა ხანგრძლივი ნაფიქრი, ტევად და ექსპრესიულ მსჯელობად, საქართველოს პირველი პრეზიდენტის იდუმალი და ტრაგიკული პიროვნების შესაფერისად, ისტორიულ უამს ორსაუკუნოვანი ოცნების ახდენაში უმნიშვნელოვანესი როლი რომ უნდა შეესრულებინა და ამოეგო საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ამოეგო განგების ნებითა და საკუთარი ნებისყოფისა და თავგანწირვის უნარის წყალობით, იმ თავგანწირვის უნარისა, რაც ქართული ხასიათის გამორჩეულ თვისებად და თავისებურად მიაჩნდა თვითონ ზვიად გამსახურდიას და ამ აზრს არამარტო თეორიულად — და სავსებით დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ასაბუთებდა ესეისტურ თხზულებებთან ერთ რკალში, არამედ საკუთარი სიცოცხლითა და სისხლითაც დაჰკირავდა.

თემურ ქორიძე

# ფინალი მუდამ სიმბოლურია

თექვსმეტი წლისა იყო, პირველად რომ დააპატიმრეს. მას შემდეგ სიკვდილამდე მოუსვენრად იცხოვრა. მამამისი — კონსტანტინე გამსახურდია ერთგან შენიშნავდა: „ყოველ ადამიანს უნერია ამქვეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მწერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო... ყოველი გმირი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დამარცხდეს!“

შვილი კი, თითქოს მამას ეკამათებო, დაბეჯითებით იმეორებდა: „როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეენიერება მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას“.

1991 წლის 9 აპრილს სწორედ „დიდმა საქმემ“ გაიმარჯვა! ზვიად გამსახურდიას ღვაწლმა ნაოცნებარი თავისუფლება ხელშესახები გახადა, მაგრამ ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მასაც თავისი „შავი ვატერლოო“ უნდა გამოეცადა.

**და როს აღვივსეს ძმართ ფილა,**  
**არ აიცდინე სასმელი ესე, —**  
*(მერაბ კოსტავა)*

ასეთი იყო მისი ბედისწერა. ამას თავადაც კარგად აცნობიერებდა. „**ადამიანში არის რალაც, რასაც ვერაფრით შეცვლი. ალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზეო**“, — დაუნანებლად აღიარებდა და მორჩილად ეზიდებოდა თავის შეუმსუბუქებელ ტვირთს. გამოუსწორებელი მემამოხე იყო, მაგრამ ამ ტვირთისგან გათავისუფლება არასოდეს უცდია. სიზიფეს გამძლეობა ჰქონდა; და მაინც, ბევრისთვის, ალბათ, დღემდე გამოცანად რჩება, — სულიერების საყოველთაო დაშრეტის პირობებში როგორ შესძლო ბოლომდე დარჩენილიყო თავისივე ყმანვილური ოცნების გმირად და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მხოლოდ ამ ოცნების ხორცშესახებელად ეღვანა...

„**ლუანლი არს გაჭირვებაში ყოფნა და უფროისად ომში**“... სულხან-საბას განმარტებით მოღვაწე და მოჭირნახულე სინონიმური ცნებებია.

ზვიად გამსახურდია მუდამ გაჭირვებაში მყოფი და „უფროისად ომში“ ჩაბმული მახსენდება. მხიარული და გალადებული თითქმის არასოდეს მინახავს. მის გამოხედვაში მკაფიოდ გამოსჭვიროდა მარტოსულობა და მიუნვდომელი განდგომილობა. მზერა თითქოს საკუთარი სულის სიღრმეში ჰქონდა ჩაბრუნებული და როცა გიცქეროდათ, გრძობდით, რომ

მარტოოდენ ფიზიკური თვალი კი არა, — მთელი სული და გული თქვენკენ ჰქონდა მოპყრობილი. არასოდეს შემხვედრია მსგავსი ინტენსიური განცდის ადამიანი. სახეზე ბოლომდე შეუცნობელი, მაგრამ არცთუ ძნელად შესამჩნევი ტრაგიზმის ანარეკლი დასთამამებდა. მახსოვს, როცა მერაბ კოსტავას დაღუპვის ამბავი შეიტყო, — ენით აუნერელი დარდით შეპყრობილმა შემოგვიჩვილა: ყოველი ხერხით ცდილობდნენ ჩვენს დაცილებას და აი, მაინც მიაღწიეს საწაღელს, — სამუდამოდ ჩამომაცილეს მერაბი.

მათი უკანასკნელი გამოთხოვებაც ლეგენდის ფინალს წააგავდა: — „ძმაო, შენი ცხოვრება ვეფხის და მოყმის ბრძოლას ჰგავდა და არც შენ შახვდი, ძმაო, ვეფხის ჭკვიანი!..“ ასე დაიტორა ზვიადმა თავისი განუყრელი მეგობარი და მაშინ ალბათ, ყველაზე ცხადად შეიგრძნობდა ობლობის სიმძიმეს.

\*\*\*

თავდაპირველად უარს ამბობდა, არ სურდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. თქვენ შედით პარლამენტში, მე კი გარედან დაგიჭერთ მხარსო, — გვეუბნებოდა. იცოდა, როგორი სამიზნე ხდებოდა მონინააღმდეგეთათვის. არადა, ისტორიული ჟამი მოახლოებული იყო. სამშობლო მისგან გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ითხოვდა და, ბოლოს და ბოლოს, მან ეს ნაბიჯიც გადადგა.

წინასაარჩევნო შეხვედრებზე პირადი მხარდაჭერის მოპოვებას არ ეშურებოდა. ხალხს უფრო დიდი, ჭეშმარიტად ისტორიული არჩევანისთვის რაზმავდა. 1990 წლის 26 მაისს განსაკვივრებელი სიტყვა წარმოსთქვა. ეს იყო ორატორული ხელოვნების ნამდვილი შედეგო, ნათელი და მკაფიო იდეალის გაბრწყინება, რომელმაც მაშინ ერთბაშად შეძრა და ფეხზე დააყენა მთელი საქართველო.

„**აი, მოდის ახალი არჩევანი. წამოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წამოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნული მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სინმინდის, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო! აირჩიეთ, ქართველებო! აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს**“.

არავითარი მონოდება, — მხარი დამიჭირეთო; არავითარი თხოვნა, — ხმა მომეცით და მე გამომარჩიეთო. არა! ჭეშმარიტი გზა, ილიას გზა აირჩიეთო, — მიმართავდა ქართველობას, უხსნიდა, მოძღვრავდა და შთააგონებდა მთელ საქართველოს და საქართველომაც აირჩია! ზვიადი აირჩია! არა ძვირფასი თვლებით მოჭედვლი გვირგვინისთვის, არამედ ეკლის გვირგვინისთვის აირჩია!..

\*\*\*

ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის ხილულ თუ უხილავ ნაოჭებში ჩამალული წყლულები ჟრუანტელისმომგვრელია. ილიამ ფართო სარკეში ჩაახედა ქართველი კაცი და მთელი თავისი სივალახით დაანახა მასხრული „ბედნიერების“ უბადრუკობა. ის მთელი არსებით შეეცადა, მიძინებული ერისთვის რაც შეიძლება მძაფრად ეგრძობინებია „ნესტარის ჩხვლეტი“ გამოწვეული ტკივილი, მაგრამ ამაოდ.

ამიტომ მეოცე ასწლეულის გარიჟრაჟზე ერის გამოფხიზლებისა და ამოძრავებისთვის გამართულ თითქმის ნახევარსაუკუნოვან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა თვით იდეა „მომრავობისა“, ხოლო ილია შუბლგანგმირული დაეცა სწორედ იმ „ბედნიერი“ ქართველის ხელით, რომელმაც საერთოდ არ იცოდა, რა არის სამშობლო. **„კიდევ უფრო დაცემულ ვართ“**, — შენიშნავდა იმ ავბედითი დროის შემყურე მიხაკო წერეთელი.

ზვიად გამსახურდიამ „ცრუი და ყრუი“, „ფურთხის ღირსი“ და „ორგულ ბუნება“ საქართველოს ნაცვლად შექმნა თავისუფლებით გაბრწყინებული სამშობლოს მითოსი. **„საქართველო ტაძარია, ზეცა მისი გუმბათით“**, — თავდავე ირწმუნა ძლიერი რწმენით და ამ რწმენას განსაცვიფრებელი რაციონალიზმით მოუძებნა ისტორიული ფესვები.

ასეთია ყველა მითი. იგი ღრმად და დაკავშირებული ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიულ შრეებთან. ზვიად გამსახურდიამ, არსებითად, გაამრთელა დანყვეტილი, ნაკუნ-ნაკუნად ქცეული ქართული ჰეროიკული ცნობიერების ნაფლეთები და უმოკლეს დროში თავისუფლების სული მოჰფინა მთელ საქართველოს.

თავისუფლება, როგორც ამქვეყნად არსებული უმაღლესი ღირებულება, — კვლავ დამკვიდრდა ჩვენს ეროვნულ შეგნებაში. **ეს ფაქტი კი სამარადისოდ დაუკავშირდა ზვიად გამსახურდიას სახელს.**

ასეთია „ცოცხალი ისტორიის“ სიმბოლური სურათი, რომელიც მომავალში ისეთივე შთაბეჭდავი იქნება, როგორც მითური ამირანის ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად.

\*\*\*

ერთ თავის მშვენიერ ესეიში ხაზგასმით შენიშნავდა: „ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვინყებ. **პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებაში. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს.**“

ასევე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას აღსასრულიც, ცხოვრების ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მისივე შემოქმედების გასაგებად.

მისი პოეტური ქმნილებები ღრმა ქრისტიანული სულიერებით არის აღსავსე. შესაბამისად, ლირიკული პერსონაჟებიც გამოკვეთილი რელიგიური განწყობით გამოირჩევიან და გარდასულ დროთა არქაულ სურნელს აფრქვევენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **დავით გურამიშვილის შემდეგ ქართული ლირიკის საგანძურში თითქმის არ მოიპოვება ქრისტიანულ-ბიბლიური თემატიკის ისეთი შთაბეჭდავი ვარიაციები, როგორც ეს ზვიად გამსახურდიას ლექსებში გვხვდება.**

აქ ლირიკული პერსონაჟი ახალ შინაგან სიცოცხლეს ანიჭებს ცალკეულ ბიბლიურ ეპიზოდებს და დამოუკიდებელ არსებობას აგრძელებს. მაგალითად, ავტორი ერთგან გეტსემანიის ბაღში იესოს ლოცვის პოეტურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამ მშვენიერი ლექსის სათაურია „მამა“ და იგი ისეთი ღრმა და შინაგანი სევდით არის აღსავსე, როგორც მისალოდნელი განსაცდელის ხილვა აღძრავს ხოლმე ადამიანში:



ზვიად გამსახურდია

**თვალნი ყოველთანი შენდამი ესევენ,  
უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.  
მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,  
უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.  
ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,  
შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი.  
ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,  
გვედრი, შემინყალე, ძეო დავითისო!**

მკითხველისთვის უმაღლვე ცხადი ხდება, თუ რომელ „სასუმელზეა“ აქ საუბარი და რისი გამოძახილია ავტორის ვედრება. მაგრამ ჩვენს განცვიფრებას უფრო ის წინასწარმეტყველური მინიშნება იწვევს, რომელიც ლექსის ქვეტექსტშია დაფარული. გეტსემანიის ბაღში მამისკენ ხელაპყრობილი მლოცველის მსგავსად ვერც ზვიად გამსახურდიამ აიცილა მწარე „სასუმელი“ და ბოლომდე შესვა იგი.

მსგავს ალეგორიას ვხვდებით ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ მეტად ორიგინალური სტრუქტურის მქონე კიდევ ერთ ლექსში. ავტორს აქ მთლიანად საკუთარ გრძობებსა და განცდებზე გადააქვს მკითხველის ყურადღება.

ზვიადს თავად უთქვამს ჩემთვის — ტერენტი გრანელი აქ მე ვარო... ამ ლექსის ერთ ქვეთავს „უბიჭაფია“ ეწოდება და იგი ღრმად ტრაგიკული ხილვებით არის აღსავსე. აი, ისიც:

**ვჭვრეტ საღამოს — ნიშბიანს, დანისლულს,  
ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს...  
შენკენ მომაქანებს ფიქრის ჩქარი წვა მე,  
რარიგ მეუცხოვა საკუთარი გვამი...  
ვდუმვარ და არა აქვს ძალა ჩემს სტრიქონებს:  
ბინდიან ფიქრებში ქარი თუ მიგონებს...  
რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,  
ნექტარიც წავიღე და შხამიც იმდენი...  
რარიგ ვეუცხოვე მინის გაშლილ მკლავებს,  
დასცქერის გოლგოთა გაძარცვულ საფლავებს.**

ეს არის სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ზვიად გამსახურდიასთვის უცხო არ ყოფილა მსგავსი ხილვები და შეგრძნებები.

„ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ სვლა ჯერ კიდევ ადრე სიჭაბუკეში გადაეცა ვნებად“, — წერდა ერთი პოეტისადმი მიძღვნილ ნარკვევში.

აქაც თითქოს თავის ცხოვრებასა და თავის შეუცვლელ ბედისწერაზე ლაპარაკობდა.

იოსებ ჭუმბურიძე

# ახალ პიესას კვილს უსინჯავენ

ანუ  
ბორი თეატრალური ქალაქია



სოსო ნემსაძე, მარიკა არლუთაშვილი, კოტე კახიშვილი, ლევან შენგელია, გიორგი გოგუაძე, ლიკა კველიშვილი, ლევან ოზგებაშვილი

გორის სახელმწიფო თეატრი, რასაკვირველია, **გიორგი ერისთავის** სახელობისაა.

აბა, ვისი სახელობისა უნდა იყოს?!

ამ თეატრში ახლახან **ოთარ ჩხეიძის** სახელობის ექსპერიმენტული სტუდია გაიხსნა.

ესეც სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ ამ ორ დიდ სახელს შორის დგას გორთან და ქართულ თეატრთან დაკავშირებული კიდევ ერთი გამორჩენილი მოღვაწე — **ზურაბ ანტონოვი**.

ქართველობა მას უმთავრესად ერთი პიესით იცნობს: „მზის დაბნელება საქართველოში.“

ამ პიესამ დროს გაუძლო და ქართული თეატრის რეპერტუარს სამუდამოდ შემორჩა.

პიესა ცნობილია, მაგრამ მრავალთავის უცნობია მისი ავტორის ტრაგიკული ბედი, ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ ნამდვილი ამბავი, რომელიც მოკლედ, ასე შეიძლება გადმოიცეს: კაცს ძალი უკბენს. ერთი თვის თავზე, თითქოსდა იმის შიშით, არ გაცოფდესო, საკუთარ სახლში გამოკეტავენ. ექიმს კი არ მიუყვანენ, პოლიციელთა ალყაში მოაქცევენ და სულს ამოხდიან.

ეს უცნაური ამბავი უცნაურადვე მიიჩქმალება.

ოთარ ჩხეიძეს თურმე მთელი ცხოვრება ანვალეზა ეს თემა, ანუ იმ მოღვაწის ბედი, ილია ჭავჭავაძე დიდად რომ აფასებდა. აპირებდა დაწერას, შესაფერის ჟანრსაც ეძებდა, მაგრამ იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ვინ იცის, იქნებ სულაც პიესად ჰქონდა ჩაფიქრებული.

პიესა **როსტომ ჩხეიძემ** დანერა. ჟანრს თურმე ისიც კარგა ხანს არჩევდა. ბოლოს ამბავმა თვითონ მოითხოვა დრამატურგიული სამოსი და დაიბადა პიესა: „ჩემი გზა — ჩემი აკლდამა“.

როსტომს ეჭვი არ ეპარება, რომ ეს ტრაგიკული შემთხვევა კი არა, მკვლელობა იყო, თანაც შურისძიებით გამოწვეული.

მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება, დამტკიცებას კი — გამოძიება.

ვინ უნდა გამოიძიოს?

რა თქმა უნდა... **ილია ჭავჭავაძემ**, პროფესიით იურისტმა.

ეს როსტომ ჩხეიძის დრამატურგიული პირობაა. პიესას ისტორიული პერსონაჟები ჰყავს (ოღლა გურამიშვილი, ელიზბარ ერისთავი, პლატონ იოსელიანი და სხვები) და გამოძიების პროცესში ბევრი რამ ისეთი ითქმება, ჩვენს ეროვნულ ტკივილებს მძაფრად რომ ეხმიანება.

მაგრამ გორის თეატრი და მისი ექსპერიმენტული სტუდია რატომ ვახსენეთ?

საქმე ისაა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **სოსო ნემსაძემ** ერთ კარგ ტრადიციას დაუდო სათავე: ვიდრე პიესის დადგმას გადანყვებენ, ჯერ მისი საჯარო კითხვა უნდა მოაწყონ.

პირველ პიესად „ჩემი გზა — ჩემი აკლდამა“ შეირჩა.

პიესას ექვსი მსახიობი კითხულობდა. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო სცენის გამოცდილი ოსტატი — **ლევან ოზგებაშვილი**, დანარჩენი კი — ახალგაზრდები: **გიორგი გოგუაძე**, **ლიკა კველიშვილი**, **ლევან შენგელია**, **კოტე კაციშვილი** და **მარიამ არლუთაშვილი**. რემარკებს რეჟისორი წარმოთქვამდა.

ნაკითხვა ნაკითხვაა, მაგრამ შიგადაშიგ მსახიობები თამაშს იწყებდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სპექტაკლს ვუცქერდი.

ეს განსაკუთრებით ილიასა და ოლლას დიალოგებზე ითქმოდა.

ილია და ოლლა უკვე გყავთო — ამას ჩემს გარდა შემდეგ ბევრი ეტყვის რეჟისორს.

გიორგი გოგუაძე გარეგნულადაც ჰგავს ილიას — მაღალი და ნათელი შუბლით, აზრიანი და მეტყველი თვალებით... ილიას შინაგანი თვისებებითაც მოგვაგონებს — სიდინჯით, შეფარული ირონიით... განსაკუთრებული დატვირთვით ეს ფრაზა წარმოთქვა რუსეთზე: „რა სიკეთეც მოგვიტანეს, ღმერთმა ასეც და შეუბრუნოთ“.

მსახიობებმა კითხვა დაამთავრეს თუ არა, რეჟისორს უმაღვე ვკითხე: „დადგმა გადანყვებილი გაქვთ?“

გადაჭრით არ მიპასუხა.

მიზეზს ადვილად მივხვდი — პიესა ძალიან საინტერესოა, დიდებული ქართული დანერჩილი, მაგრამ ის აფიქრებს, რამდენად გადავა ეს ყველაფერი სასცენო ქმედებაში, რამდენად იქცევა სანახაობად.

ორი დღის ნანახი მქონდა მდარე და უხამსი სანახაობა მარჯანიშვილის თეატრის ახალ სცენაზე, შოკიდან არ ვიყავი გამოსული — ესეც ვთქვი და დავძინე, არ ჯობია, ასეთი პიესა დაიდგას, ვინმე ხომ უნდა დაუპირისპირდეს ამ ტენდენციას-მეთქი.

დარბაზი სრული ერთსულოვნებით დამეთანხმა: მწერალი **ვანო ჩხიკვაძეც**, გორის უნივერსიტეტის პროფესორები **თამილა გოგოლაძე** და **მარინე გიგაშვილი**, სხვებიც, ფილოლოგი **მანანა მგალობლიშვილი** იქნებოდა, ისტორიკოსი **ქეთევან მექმარიაშვილი** თუ მსახიობი **ანზორ გვაძაბია**...

ბოლოს გაირკვა, რომ რეჟისორსაც ეს უნდოდა — მარჯვე ხერხს მიმართა: ყოყმანი თუ სიფრთხილე გაითამაშა — გამოგვიწვია და შეგვათმონა, ავეყვოდით თუ, პირიქით, სანინაალმდეგომი დარწმუნებას შევეცდებოდით...

ვერ გაამტყუნებ. ესეც ხერხია.

საერთო აზრი კი ასეთი იყო: პიესის დადგმა ნამდვილად სასურველია: თუ ნაკითხვამ ასეთი ინტერესი აღძრა, თამაში ხომ ასმაგად საინტერესო იქნება, მით უფრო, რომ პიესა იმის შესაძლებლობასაც იძლევა, სპექტაკლში თვითონ ზურაბ ანტონოვის დრამატურგიულ ქმნილებათა ფრაგმენტებიც გაცოცხლდეს.

კბილი გასინჯულია: დრამატურგმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

პიესა არის!  
მსახიობები არიან!  
რეჟისორიც ადგილზეა!  
ისლა დაგვრჩენია, პრემიერას დაველოდოთ.

\*\*\*

უნდა გამოვტყდე: გორის თეატრში პირველად ვიყავი. ვიცოდი, ახლად გარემონტებული რომ იყო, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ გამოაცა იქაურების ხილვამ — სილამაზემ, წესრიგმა, სიტბომ (პირდაპირი მნიშვნელობით).

გამახსენდა სულ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით ნანახი ზუგდიდის თეატრის შემზარავი მდგომარეობა და ხმამაღლა ვთქვი: ღმერთო, რა ბედნიერებაა, როცა სათეატრო ნაგებობა ასე მოვლილი და გამთბარია.

სასიამოვნო განწყობილება სამხატვრო ხელმძღვანელმა კიდევ უფრო გამძლიერა: მითხრა, რომ თეატრს მაყურებელი არ აკლია და, რაც განსაკუთრებით გასახარია, თეატრში ძალიან ბევრი ახალგაზრდა დადის...

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გორი თეატრალური ქალაქია.

შემთხვევით არ უთქვამს როსტომს (ხაზგასმით თავიდანვე), ქართული თეატრი აქედან იწყება...

მაკა ლდოკონენი

# „შედეგი აბვირბვინებს საქმეს!“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— სასონარკვეთილება, როდესაც ღვთის იმედიც აღარ აქვს ადამიანს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ — საქართველოში, თბილისში. ოდესმე სოლოლაკში, მშობლების სახლშიც მინდა დავბრუნდე, ძალებს რომ მოვიკრებ, მოგონებები ტკივილს აღარ მომაყენებს.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— შვილები, შთამომავლობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჰამლეტი უკონკურენტოდ. გოგლა ლეონიდის გმირები — ლამაზსახელიანები, შეუდარებელი ზედსართვი სახელებით.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ლუკა მახარებელი, პეტრე და პავლე მოციქულები — მინის მარილს რომ ეძახიან, ის ადამიანები. ქართველებიდან სულხან საბა ორბელიანი, უცხოელებიდან პეტრე პირველი, ნელსონ მანდელა.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— გრაფიკოსებიდან ობრი ბერტსლი, ფერმწერებიდან პრერაფაელიტები.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მოცარტი, გერშვინი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ოჯახის სიყვარულს, ერთგულებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალშიც იგივეს, რასაც მამაკაცში.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— მონყალება აფიშირების გარეშე, ისეთი მარჯვენამ მარცხენასი რომ არ უწყის.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხატვა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მინდა დედას ცოტათი მაინც ვგავდე ღმობიერებაში, მშვიდობისმყოფელობაში.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიფიცხე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— დროსა და სივრცეში სტაბილურობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— მუდამ გვიყვარს, სიყვარულს გარდაცვალების შემდეგაც ვაგრძელებთ — სხვა მატერიშიც უპირველესი განცდაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ფიქრიც არ მინდა, ვერ წარმოვთქვამ, ვერც დავწერ!

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო მეტად ადამიანური, სხვის თვალში ბენეს არ დავიკებდე, „ლელუსულელზე“ (ახალქართულად თუთა ჭქვია) გავდიოდე სტუმრის მოსაწვევად, ნემსის ყუნწში გაძრომა არ მაფრთხობდეს, ოქროს შუალედს ვიცავდე, კეისარს კეისრისა და...

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ნარინჯისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მზესუმზირას ყვავილი. კალენდულა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— კოდალა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— შექსპირი, ოთარ ჭილაძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, პუშკინი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— პენელოპე „ოდისეიდან“, მერი პოპინსი, ფუფალა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— არ მომწონს ეს კითხვა. რეალურ ცხოვრებაში არსებულ „გმირებს“ ჯერ დრო სჭირდებათ ინიციაციის გასავლელად.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— არც ეს განსაზღვრება მომწონს — „გმირი ქალი.“ ზოია კოსმოდემიანსკაია მახსენდება და ათასი სისულელე, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ პიონერულ-კომკავშირული შემართებით. ჩემი აზრით, დედამინაზე ყველაზე დიდებული ქალი იესოს დედა იყო.

— საყვარელი სახელები?

— ლუკა, კახაბერი, მარიამი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ვერ ვიტან არასოციალურ, არაეკოლოგიურ აზროვნებას და საქციელს.

— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?



— ნებისმიერი რეჟიმის მესვეური, რომელიც გენოციდს, ბავშვების მიმართ ძალადობასა და ადამიანების გადასახლებაზე ახორციელებდა. თუმცა, სიტყვა „ზიზღზე“ მეტად „პროტესტი“ გამოხატავს ჩემს მათდამი დამოკიდებულებას.

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?**

— ბატალური შერკინებებისა რა გითხრათ, მაგრამ მუდამ აღმავრთოვანებდა ოდისევსის ითაკაში დაბრუნების მომენტი: „დიდი მშვილდ-ისრის“ გამართვა, თორმეტივე ჩუგლუგში უცდომელად რომ გააძვრენს სპილენძისპირიან ბოძალს, მერე კი ცოლის გარშემო შემოკრებულ „სასიძობებს“ შემუსრავს. ნუთუ ალტაცების ღირსი საომარი მოქმედება არ არის? მესმის, რომ კითხვა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს გულისხმობს, მაგრამ როგორ აღფრთოვანდებ იმით რაც საკუთარი თვალით არ მინახავს, შელამაზებული კი ოდისევსის გმირობებზე ნაკლებ როდი იქნება, რასაც გადმოცემით მოუღწევია.

— **რეფორმა რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— განხორციელების რეფორმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ განხორციელდა და საშუალება მისცა ნიჭიერ ბავშვებს მათთვის

სასურველ სასწავლებელში „ჩანაწობისა“ და კორუფციის გარეშე მოხვედრილიყვნენ, დაფინანსება მოეპოვებინათ. იმედი მაქვს ეს რეფორმა მონოდების სიმალლეზე მომავალშიც დარჩება.

— **ნიჭი რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ნებისყოფის ნიჭი.

— **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— ხანგრძლივი ტკივილების გარეშე. საღი გონებით.

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— სანამ გვერდით საყვარელი ადამიანი მყავს და ჩემზე ზიარჭურჭელის ფიზიკური კანონები მოქმედებს, შემოდია სულიერი სტაბილურობა სწრაფად დავიბრუნო და შევიწარმოო.

— **ქმედებანი რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?**

— ადამიანური სისუსტეები უცხო არ არის ჩემთვის.

— **თქვენი დევიზი?**

— შედეგი აგვირგვინებს საქმეს!

— **თუკი ოდესმე შეხვედრით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— სანამ აქ მყოფ, შენს საყვარელ ადამიანებს ნახავ, რამდენიმე კითხვას უნდა გასცე პასუხი... სტატისტიკისთვის.

ლელა ჯიყაშვილი

# გაზეთის ფურცელზე მოთაბაშე მხატვარი

მაგიდაზე გაზეთია გაშლილი. ზედ გამომშრალი თონის პურის მოზრდილი ნატეხი დევს, ალბათ წინა დღიდან შერჩენილი. პურის ნამცეცები მთელ გაზეთზეა დაფენილი. იქვე არყიანი ბოთლი დგას და მარილიანი თევზი — ტარანი. ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი სურათია დაწკრილებულ თბილისურ ბინაში, იმასაც იფიქრებ, ალბათ, სადაცაა მხატვარი გამოვრომელიმე ოთახიდან, მოლბერტს გამოიტანს და ნატურმორტის ხატვას დაიწყებს. მხატვარი მართლაც გამოდის, ოღონდ მას არც მოლბერტი მოაქვს, არც ფუნჯი უჭირავს ხელში. არც სჭირდება. იმიტომ, რომ როცა „ხატავდა“, კინოკამერა სრულიად საკმარისი იყო.

პირველი განცდა: რეჟისორი ხმაურიანი სიცილით შემოდის ოთახში... ძველ თანამშრომელს ხვდება და ეს შეხვედრა შეხვედრა წარსულთანაც არის. ყველა ის დრო, რაც კინოსტუდიაში აქვს გატარებული, უცებ ცოცხლდება კადრებივით. მაგრამ ვიდრე რამეს იტყვის, არაყს დალევთ? — გვეკითხება. მოულოდნელად ცხადი ხდება, რომ სრულიად უმნიშვნელოა, დალევენ თუ არა არაყს სტუმრები.

— მაშინ თევზი მიირთვით და თონის პური...

არც ამას აქვს მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ როგორც რომელიღაც ახალი ფილმის გადასაღებად დადგმული კადრები, ეს კადრებიც მნიშვნელოვანია. თავისი დატვირთვა აქვს. მერე საფრანგეთში დაბრუნებულ რეჟისორს აქედან წაღებული ემოცია საგზლად ექცევა. უამისოდ არ უნდა. თორემ ყავა და შოკოლადი, ცხადია, მასაც შეუძლია მიართვას სტუმარს, ოღონდ რაღაც დაიკარგება... ის „რაღაც“ ყველა ფილმის გადაღებისას ქვაკუთხედად აქვს ქცეული, ძალიან უბრალო და უშუალოა, ყოველგვარი მაქმანებისა და ფერუმარის გარეშე. ამიტომაც არ შეუძლია, თეთრი გახამებული სუფრა გადააფაროს, ბროლის ფუფურები დადგას. მაშინ იმას რა უყოს — იმ მოგონებებს, კინოსტუდიის სასაფლაოს, სადაც სულ უბრალო მაგიდებთან სხდებოდნენ და ლუდს სვამდნენ. იქნებ არაყსაც... ზოგჯერ ღვინოს იყიდნენ. მალენკოვის ჭიქებში ჩამოსახამდნენ და დალევდნენ.

საფრანგეთში ვინ იცის, რა არის მალენკოვის ჭიქა. ან ვინ გაიგებს, რატომ უნდა ერქვას მალენკოვის სახელი ჩვეულებრივ, აპოლიტიკურ, უვნებელ მინის ჭურჭელს...

ხელფასი ვისოსებიან სალაროსთან უნდა აეღოთ. ძალიან ხშირად გაცხადება დახვდებოდათ: დღეს არ იქნება! არ დადგეთ!

მაშინ ბევრს გულზე ლახვრად ესობოდა ეს სიტყვები, რამდენიმე დღის გატარება უხელფასოდ გაჭირდებოდა. სხვა რა გზა იყო.

უმრავლესობას ერთნაირად უჭირდა ცხოვრება, მაგრამ თუ ვინმეს, მაგალითად გაზეთში დაბეჭდილი სტატიის, ჰონორარი წამოეწოდა, ან წიგნის გამოცემის შემდეგ აიღებდა რამეს, ბიჭებთან მიჰქონდა. სახელდახელოდ იშლებოდა სუფრა, ხშირად სწორედ გაზეთზე, რომელშიც აუცილებლად მოგხვდებოდათ თვალში მყვარალა სათაური: „მახარაძელი მეჩაიები გეგმას წარმატებით ასრულებენ“, ან „სკკპ ყრილობის მასალები“, ან „ნამდვილი კომუნისტი ტყუილს არ ამბობს“... მალენკოვის ჭიქებს ზედ ამ ჭკუის მასწავლებელ სტატიებზე დააწყობდნენ, ტარანსაც დადებდნენ და არაყსაც ჩამოსახამდნენ.

გაზეთში ფოტო იყო: მაგალითად ტრიბუნაზე მდგარი კომუნისტი, რომელიც დაულალავად მიმართავს აუდიტორიას, ან მომღიმარი ფოლადის მდნობელი ლუმელთან. მალენკოვის ჭიქაში ჩასხმული სასმელი მზეზე ლივლივებს და ამ ფოტოებსაც სასაცილო ჩრდილებს ფენს — თითქოს სადღაც შორს, სხვა სამყაროში ხდება ყველაფერი...

— ესე იგი, არაყს არ დალევთ, — ისევ იცინის მასპინძელი და სულ ცოტას ასხამს ჭიქაში, — გახსოვს, სტუდიაში...

ნონა ლამბაშიძეს, ცხადია, ახსოვდა. დეტალურად ყვებოდნენ, ვინ სად იდგა, ვინ საიდან იყურებოდა. ვილაცას სტუდიაში შესვლისა ეშინოდა და შორიდან აკვირდებოდა ეზოს, აბა, ჩემზე მოჩენილი „კაგებეშნიკი“ თუ ჩანსო. ვილაც ჩურჩულით ლაპარაკობდა, ვილაც კი თავს იგვიანებდა და ხმამაღლა გაჰყვიროდა სათქმელს.

სადღაც შორს კი მზის გულზე, ან თავსხმა წვიმაში ნელა, აუძღვრეველად მიდიოდა ცხოვრება, ხან ჩხუბობდნენ, ხანაც შველდებოდნენ, სატვირთო მანქანით კოლმეურნების ყანებში მიდიოდნენ, მერე ბრუნდებოდნენ იმავე მანქანის ძარაზე ჩატვირთულები. ყველას თავისი „სიმართლე“ ჰქონდა, რომელიც სულაც არ იყო სიმართლე, რადგან ერთი ფაქტის ირგვლივ ბევრი სხვადასხვა სიმართლე არ არსებობს.

„პასტორალი“ მახსენდება. ლამის ჩამესმის წვიმის ხმა და საკუთარ მარტოობაში ჩარჩენილი რამდენიმე მუსიკოსის რეპეტიციის ნოტები...

— და ის გახსოვს, — ახლა ნონა ამბობს, — ძია აბრეკი... — რა დამავინებს...

ოთახში დეკორაციასავით გაივლის ძალიან ცეცხლისფერ-  
თმიანი ფრანგი მსახიობი, ოდნავ შენუხებული სახით. ფრან-  
გულად გვესალმება, მერე რაღაცას კითხულობს. დიდი მათე-  
რო პასუხობს ფრანგულადვე.

მერე ისევ მაგიდაზე დაფენილ გაზეთზე გადააქვს მზერა,  
ისევ ილიმება.

თბილისი მაგალობელი შაშვების ქალაქია. ვინ იცის, რამდენ-  
ნი ეგეთი შაშვი იცის, ზოგს ვიცნობთ, ზოგსაც — ვერა... ზოგი  
ხმაურიანი იყო და არის, ზოგი უჩუმარი, მოშორებით მჯდარი,  
არასდროს შეუერთდებოდა „ფრინველთა გუნდს“. და რამდენი  
ლიტრა რძეც უნდა მოენველათ მწველავ კოლმეურნეებს, რამ-  
დენი ფოლადიც უნდა გამოედნოთ მეფოლადეებს, არაფერს  
ექნებოდა გემო, რომ არა ეს „შაშვები“ — იყო შაშვი მაგალობე-  
ლი და ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

ვილაცას ჰგონია, რომ ღვთის წყალობა ბევრ სხვადასხვა  
პლასტიკურ ბარათზე დარიცხული ბევრი ფულია, ევროპაში  
წასვლა და იქ მუშაობა სოლიდური ანაზღაურების ფასად. არა-  
და, ეგრე არ არის, არც იყო და არც იქნება...


ის თავისუფლება, რომელიც ჰქონდა, როცა ფილმებს უწუ-  
ნებდნენ, სცენარის გადაკეთებას სთხოვდნენ, როცა კინოთე-  
ატრებში ჩვენების საშუალებას არ აძლევდნენ, სულ სხვა იყო.  
ზუსტად იცოდნენ, არ უნდა გატეხილიყვნენ...

ახლა იციან თუ არა, ღმერთმა უწყის...

დაბოლოს, რომ ჰქონდა, მაინც რა იყო წყალობა უფლისაო,  
შეიძლება მარტივად გითხრას, იმ ძველ გაზეთზე რომ მალენ-  
კოვის ჭიქას დადგამდნენ, მაგალითად... ბრეჟნევის თავზე  
რომ ქართული ლავაშის ყუას დადებდნენ და მერე ფრანგულ,  
იტალიურ კინოზე რომ ლაპარაკობდნენ, ან იმპრესიონიზმზე  
კამათობდნენ. თბილისის ქუჩებში რომ დადიოდნენ ახალგაზ-  
რდები, ლამაზები, შეუბღალავები, ერთმანეთს ხელის ჩამორ-  
თმევით ესალმებოდნენ. და თუ ვინმე უღირსი იყო და მლიქვ-  
ნელი, უსიტყვოდ რომ არიდებდა თავს მათთან შეხვედრას.

ნიჭიერები იყვნენ და ალალები. როგორი ასფალტიც უნდა  
გადაეფარებინათ ზედ, მაინც გამოყოფდნენ თავს მცირე ბა-  
ლახებად, ყვავილებად.

ამიტომაც არ სჭირდებოდათ ოქრო-ვერცხლით და ჩინ-  
მედლებით უკვდავყოფა. ცოტა საზრდო და ცოტაც სასმელი  
— ჩაკეტილ საზღვრებში მოქცეული უსაზღვროება. თორემ,  
აჰა, ახლა ჩაკეტილი საზღვრები არ არსებობს და რომელმა



ოთარ იოსელიანი

სძლია თავის ტყვეობას... თუ არა იმან, ვინც იყო და არის კი-  
დეც თავისუფალი, მიუხედავად ყველაფრისა.

— არაყს დაღევე? არა? მაშინ პური მოტეხე!

ძლივს ვერევი გამხმარ თონის პურს. ნამცეცებად იშლება.  
მერე ნამცეცებს პეშვში ვაგროვებ და ვიდრე პირთან მივიტან,  
ვხვდები, რალაცნაირად ცოცხალი პურისა.

გაზეთი კი კომუნისტური აღარ არის, იქიდან ახლა იდეო-  
ლოგიურად მოტივირებული არა, მაგრამ მარკეტინგულად  
გათვლილი სათაურები შემოგყვირის: „მოვუნოდებ ჩვენს  
სპეცსამსახურებს, ნუ მოგვერიდება ჩვენი ქვეყნის მტრების  
გამოვლენა!“ „რუსეთი პანკის ტერორისტების ისეთივე ბუ-  
დედ მიიჩნევა, როგორც აშშ ერაყსა თუ ირანს“...

XXI საუკუნეა...

თუმცა დროს მნიშვნელობა არ ჰქონია. რეჟისორი 70 წელს  
გადაცილებულია, მაგრამ ბიჭი მგონია...

დარწმუნებული ვარ ახლაც, როცა ოთარ იოსელიანი 80  
წლისა გახდა, რალაცნაირად გადარჩა, როგორც ბიჭი — ახალ-  
გაზრდა, ლალი, ადამიანების მოყვარული და სახელდახლოდ  
გაშლილ გაზეთის ფურცელზე ჩრდილ-შუქით მოთამაშე... გო-  
გი ჩარკვიანის ერთი ლექსისა არ იყოს, ხელში — ჭიქაში ჩავარ-  
დნილი ნამგალა მთვარით.

### კოქტურ საზომად: 12-14 და 14-16

ძვირფასო რედაქციავ,

ძალზე გამახარა თქვენი ჟურნალის წლევანდელი 21 თე-  
ბერვლის ნომერში გამოქვეყნებული, ბატონ **რისმაგ გორდე-  
ზიანის** წერილის, „**XXII სიმღერა — ჰომეროსისეული გააზ-  
რების ბრწყინვალე მაგალითი (ქეთი ნიჟარაძის წარმატე-  
ბული მთარგმნელობითი მცდელობა)**“, ნაკითხვამ.

ამ მოკლე წერილში ბატონი რისმაგი შენიშნავს: „ჰომერო-  
სის პოემებში ჰექსამეტრულ სტრიქონებს ის თავისებურება  
ახასიათებს, რომ მეტრულ ლექსთანყოფაში პოეტს სისტემა-  
ტურად შეუძლია მარცვალთა რაოდენობის მონაცვლეობა და,  
შესაბამისად, ერთ სალექსო სტრიქონში შეიძლება იყოს 12-  
დან 17 მარცვლამდე შემცველი სტრუქტურები. ქეთი ნიჟარა-  
ძე ცდილობს, ჰომეროსის ტექსტის ქართულ თარგმანში მო-  
ნოტონურობა დაარღვიოს 14 და 16 მარცვლოვან სტრიქონთა  
მონაცვლეობით.“

მშვენიერია თვით თარგმანიც **ქეთი ნიჟარაძისა!**

მაგრამ ამ წერილმა და თარგმანმა სხვა რამ მაცნობა.

თურმე მარტო მე არ ვფიქრობ ასე!

თურმე მარტო მე არა მგონია, რომ ეპოსი და დრამატურგია  
მხოლოდ თოთხმეტმარცვლიანი ლექსით არ უნდა ვთარგმნოთ!  
რა თქმა უნდა, გახსოვთ, „ჩვენ მწერლობაში“ (მაშინ გაზე-  
თი იყო) გამოქვეყნებული ჩემი წერილი „**ახალი შექსპირია-**

**ნასათვის**“, სადაც ვწერდი: „შექსპირის სტრიქონი ხან ათ-  
მარცვლიანია, ხან თერთმეტმარცვლიანი, და ხან, იშვიათად,  
ზედმეტი მახვილი რჩება და ცამეტმარცვლიანიც კი... შექსპი-  
რული ლექსი ვთარგმნოთ თორმეტ და თოთხმეტმარცვლიანი  
სტრიქონების თავისუფალი მონაცვლეობით, ხშირად სტრი-  
ქონის მთლიანობა დავარღვიოთ და რიტმი გავამრავალფე-  
როვნოთ.“

და თვალსაჩინოებისათვის იქვე დაიბეჭდა **ლელა სამნიაშ-  
ვილის** მიერ თარგმნილი მონოლოგები ჰამლეტისა.

რა თქმა უნდა, იგივე მეთოდი ანუ ლექსთწყობა, იმავე პე-  
რიოდის, მასზე ადრინდელი თუ გვიანდელი, ევროპულ დრამა-  
ტურგთა მიერ შეთხზული ტრაგედიების, რენესანსის ეპოქასა  
და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში შექმნილი პოემების  
სათარგმნელადაც გამოდგება.

უკვე ათი წელია ამას ვამტკიცებ და, აი, ჰომეროსის მთარგმ-  
ნელი ჩემგან დამოუკიდებლად მივიდა ანალოგიურ დასკვნამდე.  
ვეთანხმები და მივესალმები!

თოთხმეტმარცვლიანმა ლექსმა, **ივანე მაჩაბლის** შემდგომ,  
უდიდესი როლი შეასრულა და კვლავაც იღვანებს ქართული  
თარგმანისა და ქართული ლიტერატურის განვითარებისათ-  
ვის, მაგრამ დროა სხვა მეტრიც შეეშველოს.

გულწრფელად თქვენი

**ჰაბტა ჩხეიძე**

თამარ ადამია

# საქართველო რობერტ კაპას ოზიექტივში

ამერიკელ ნობელიანტს, **ჯონ სტაინბექს** თურმე ადრევე გასჩენია სურვილი საბჭოთა კავშირში მოგზაურობისა, მაგრამ ეს შესაძლებელი გამხდარა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც **იოსებ სტალინის** პიროვნებამ დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე ლეგენდარული სახელი დაიმკვიდრა და ალიქმებოდა, როგორც უდიდესი გამარჯვების შემოქმედი და ფაშიზმის დამარცხების სიმბოლო. **ჯონ სტაინბექს** აინტერესებდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობა, განსაკუთრებით კი — საქართველოში. მოგვიანებით თავის „**რუსული დღიური**“ წერდა: „სადაც არ ვყოფილვართ — რუსეთში, მოსკოვში, უკრაინაში, სტალინგრადში — მუდმივად საქართველოს ჯადოსნური სახელი გვესმოდა. ადამიანები, რომლებიც არასოდეს ყოფილან საქართველოში და ალბათ არც არასოდეს მოხვდებიან, საქართველოზე საუბრისას ლტოლვასა და ძლიერ აღტაცებას ამჟღავნებდნენ... ეს კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მდებარე ქვეყანა მათთვის მეორე სამოთხე იყო. რუსების უმრავლესობას იმის იმედი აქვს, რომ თუ პატიოსანი და უბინო ცხოვრებით იცხოვრებენ, სიკვდილის შემდეგ საქართველოში მოხვდებიან და არა სამოთხეში“.

ამ მოგზაურობას კი წინ ერთი შეხვედრა უძლოდა. სტაინბეკი ერთ მშვენიერ დღეს ბარში შემთხვევით შეხვდა თავის მეგობარს, ფოტორეპორტიორ **რობერტ კაპას** და შესთავაზა, მასთან ერთად წასულიყო სამოგზაუროდ. იმხანად ფოტოხელოვანს ერთგვარი ჩავარდნა ჰქონდა და ისვენებდა მორიგი სამუშაოს შემდეგ. მისი, როგორც სამხედრო ფოტოჟურნალისტის, ყველაზე ცნობილი ფოტო ესპანელი ჯარისკაცის სიკვდილია. ამ ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა და მისი ავტორის სახელი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. კაპა არ უშინდებოდა კონფლიქტის ზონებს და გადაღებული ჰქონდა ომის ტრაგედიის ამსახველი უამრავი ფოტო, მაგრამ საბჭოთა კავშირის სივრცე მისთვის უცხო იყო.

სტაინბეკი და კაპა შეთანხმდნენ, რომ ერთად წავიდოდნენ რუსეთში, მაგრამ როდესაც ამერიკელმა მწერალმა განაცხადა საელჩოში, რომ იგი რუსეთში კაპასთან ერთად ჩავიდოდა, მას სრულიდობიანად უთხრეს უარი, მაგრამ მწერალმა უკან არ დაიხია, არ დატყდა და ოთხჯერ მიმართა საელჩოს. საბოლოოდ თავისი გაიტანა. მტკიცედ განაცხადა, რომ კაპას გარეშე ის არ წავიდოდა საბჭოთა კავშირში. არადა, იმ დროისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა იმპერიაში ჩასვლა ამერიკელი მწერლისა, რომელიც სოციალურ უთანასწორობაზე წერდა. საელჩოში მას განუცხადეს, რომ რუსეთშიც ჰყავდათ შესანიშნავი ფოტოგრაფები, რომლებსაც გააყოლებდნენ და აღბეჭდავდნენ მის მოგზაურობას, რაზეც სტაინბეკმა უპასუხა, მათ არ ჰყავთ კაპასნაირი ფოტოგრაფი. ამის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ დათანხმდებოდნენ.

მოგზაურობა დაიწყო რუსეთიდან. შემდეგ უკრაინა მოიარეს, ბოლოს საქართველოშიც ჩამოვიდნენ. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სტაინბეკმა „**რუსული დღიურის**“ სახელწოდებით გადმოსცა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ ითარგმნებოდა რუსულად იმის მიუხედავად, რომ მწერალი საბჭოეთისთვის პოპულარული და მისაღები პიროვნება იყო. „**რუსული დღიური**“ ითარგმნა 80-იან წლებში, როდესაც „**რკინის ფარდა**“ თითქოს აიხადა. ქალბატონ **ქეთევან ტომარაძეს** შემთხვევით ჩაუვარდა ეს წიგნი ხელში და გაიგო, რომ სტაინბეკი ჩამოსული იყო ფოტოგრაფ კაპასთან ერთად. მან მოიძია რობერტ კაპას შესახებ ინ-



ფორმაცია და გაცემული დარჩა. იგი ნამდვილი ხელოვანი აღმოჩნდა, რომელიც შეუდარებელ ფოტოებს იღებდა. მისი გადაღების მეთოდი გახლდათ „**close up**“ („ძალიან ახლოს“). იგი უშიშრად დადიოდა ყველგან, ომის ქარცეცხლში ტრიალებდა და იღებდა ომის მონაწილეებს, დაზარალებულებს. მისთვის ფოტოგრაფია მთელი ცხოვრება გახლდათ. რობერტ კაპა დაიღუპა 1954 წელს, ვიეტნამში; იგი ნალმზე აფეთქდა.

ყველასათვის საინტერესოა უცხო თვალთ დანახული ჩვენი სამშობლო და ახლა უკვე მეორედ მოგვეცა იმის შესაძლებლობა, რომ გვემოგზაურა ჩვენსავე წარსულში, რომელსაც უხილავი ძაფებით ვუკავშირდებით. კაპას ხელოვნება ამ განცდას თითქოს ფოტოფირივით ამჟღავნებს და აცოცხლებს. 2001 წელს ამერიკის საელჩოს დახმარებით პირველი გამოფენა გაიმართა **შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში**, რომელიც დააფინანსა **თიბისი ჯგუფის** დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა **მამუკა ხაზარაძემ**. გამოფენაზე წარმოდგენილი გახლდათ კაპას ფოტოსურათები. ამასთან, გამოიცა ალბომი, რომელშიც კაპას ფოტოებთან ერთად წერილებიც დაიბეჭდა. პირველი გამოფენა წარმატებული გახლდათ. გამოხდა ხანი და რობერტ კაპას 100 წლისთავთან დაკავშირებით კვლავ გაჩნდა აზრი მისი ნამუშევრების გამოფენის მოწყობისა, რისი მონაწილეც ცოტა ხნის წინათ გავხდით. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კალენდარიც, რომელშიც კაპას 12 არაჩვეულებრივი ფოტოა დაბეჭდილი.

გამოფენა გაიმართა **ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელმწიფო მუზეუმში** მისი დირექტორის, **ნანა ელიზბარაშვილისა** და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელშეწყობით. რობერტ კაპას ფოტონამუშევრები ძალზე მნიშვნელოვანი რომ არის საქართველოს კულტურისა და ისტორიისათვის, ეს უდავოა და, ამასთან, ფოტოობიექტივით დაჭერილი თითოეული წამი, მხატვრულ ნიმუშად რომ ქცეულა, ნოსტალგიურ განწყობილებასაც ქმნის. სამშობლოში მყოფთ ჩვენსავე წარსულში გვაბრუნებს.

გამოფენის გახსნაზე **თბილისის შოთა შანიძის სახელობის მე-20 სახელოვნებო სკოლის** (დირექტორი **ალა ლავგრაშვილი**) ახალგაზრდა შემსრულებლები: **მევი მინდილაია, ეკა ჯულაყიძე, ანა კუნჭულია, ია თარხნიშვილი, მარიამ ქსოვრელი, იზაბელა ლუტიძე** (პედაგოგი **მარინა ნიკოლეიშვილი**, კონცერტმეისტერი **ირინა ჭირაქაძე**) ვიოლინოს ჰანგებით თითქოს აცოცხლებდნენ ფოტოებზე ასახულ გარემოს, XX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს.

ამ მოგზაურობის შესახებ დანვრილებით პუბლიცისტმა და მკვლევარმა **ქეთევან ტომარაძემ** მოგვითხრო. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩვენ ამ საინტერესო ფოტოხელოვანის შემოქმედების ერთ ნაწილს გავეცანით და ახლა ხელმეორედ ვიხილეთ.

მამუკა მალულარია

# ისევ მარნევის მდელოები

რადიოჰიესა

ექვსეუბა „როლინგ სტოუნზის“, ერიკ კლაპტონის, „იარდბერდზის“ პირველი მენეჯერის ჯორჯო გომელსკის 80 წლის იუბილეს



მომხმედი პირნი:  
ჯორჯო გომელსკი  
ბორტგამცილებელი  
ავრეთვე ავაკიანის, პეიჯის, ჯონსის ხმები

აეროპორტი.

**ბორტგამცილებელი:** კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ნიუ-იორკ — ლონდონის რეისზე, სერ.

**გომელსკი:** ასე მომხიბვლელად მხოლოდ ბორტგამცილებლები გიღიმიან. ნეტავ ვის შეუძლია გაზომოს მათი გულწრფელობა...

ანკი რა საჭიროა...

ალბათ ესეც ხელოვნებაა.

თვითმფრინავის სალონში შევდივარ და ილუმინატორთან ვკალათდები.

სარკმელიდან ჩამავალ მზეს ვავცქერი.

ჯერ არ ავფრენილვართ და ფიქრები უკვე მიხმობენ.

არ ვიცი როგორ ხდება, რომ ბოლო დროს ცხადს თითქოს მასზე უფრო რეალური მოგონებები ცვლიან.

ღირდა კი ამ შორეული მოგზაურობის წამოწყება?

მაგრამ ცდუნება მაინც დიდია,

დრო კი არც ისე ბევრი...

და რისკი.

**თვითმფრინავის ხმა.**

თუმცა კი ფრენა ყოველთვის მიყვარდა.

რბილი სავარძელი.

თვლელა და ფიქრი.

მოგონებები.

მოგონებები და წარსულში დაბრუნება.

მთელი ჩემი ცხოვრება კვლევასა და ძიებაში გაეატარე.

და ამით ბედნიერი ვარ კიდევც.

რაც სარჩო-საბადებელის მოპოვებისათვის ბრძოლით დაიწყო,

საბოლოო ჯამში ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარულში გადაიზარდა.

რამაც ცხოვრების ბოლოს ნებაყოფილობით განდევილობამდე მიმიყვანა.

ვის შეუძლია განსაზღვროს ცხოვრების ბოლო?

ან დასაწყისი...

მალე ხომ 80-ის ვხდები...

თუ 60-ის,

ან იქნებ 120-ის?

რა აზრი აქვთ ამ ციფრებს...

იმედია, ჰელგა კატებს კარგად მიხედავს.

ნეტავ როგორი ამინდი იქნება ლონდონში?

**მუსიკა — „ბითლზის“ „მარწყვის მდელოები სამუდამოდ“.**

იუბილეების მოყვარული არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ...

„მარწყვის მდელომ“ ხომ საკმარისი აღიარება მომიტანა.

და უზრუნველყოფილი სიბერე.

წლებიც ისე სწრაფად გავიდა...

მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა კლუბი...

ვინ იფიქრებდა, რომ აქ გამოიჩეკებოდნენ „როლინგ სტოუნზი“, ერიკ კლაპტონი თუ ჯიმი ჰეიჯი...

და „ჩიტებიც“ რა მაალა აფრინდნენ — ჰინდენბურგის ცეპელინივით...

**მუსიკა — ენერჯიული როკ-ნ-როლი.**

**ბორტგამცილებელი:** ყურსასმენები ინებეთ, სერ.

**გომელსკი:** შემდეგ?

რა იქნება ლონდონის შემდეგ?

ალბათ მაინც რისკი.

იქნებ საკუთარი თვალთ ვიხილო ის ადგილები, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი.

ნუთუ მხოლოდ შემთხვევითობა განსაზღვრავს ადამიანის ბედს?

კომუნისტური რეპრესიებიც დიდხანია ისტორიას ჩაბარდა და მათი შემოქმედნიც.

როგორ შეიძლება ყველაფრის მიუხედავად მაინც მაღლიერი ვიყო?

მაღლიერი ვისი... ბელადის!?

**მუსიკა — საბჭოური მარში.**

ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვილაცამ გვირახში შუქი ანთებულ დატოვა...

აქამდე ხომ ლამის მთელი ცხოვრება გამოვიარე.

ალბათ ასეთები მართლაც იყვნენ და არიან კიდევ ათასობით...

ტიფლისი...

რა შემორჩა ამ სიტყვის გარდა მეხსიერებას.

არაფერი,

ან თითქმის არაფერი.

მხოლოდ მარწყვის მდელოები.

და კიდევ...

კიდევ ალბათ ხმა,

დუდუკის ხმა.

**ავაკიანის ხმა (დუდუკის ფონზე):**

„ისინი შესაძლებლობის ზღვარზე უკრავენ.

იდუმალი რიტუალი.

ღმერთთან მოსაუბრე ჯადოქრები“.

**გომელსკი (ქალაქური მელოდიის ფონზე):**

აივნისი ხის სახლი ქალაქის განაპირას, შემალღებულ ადგილზე გვედგა,

საიდანაც ძველი ქალაქის ხედი ხელისგულივით იშლებოდა.

ეზოში ყვავილები და შავი ყურძენი ხარობდა.

სახლის უკან, ტყის პირას კი მდელოები იყო.

ველური მარწყვის მდელოები.  
 ნითლად მოფენილი ტყის მარწყვით  
 და ნითელი დროშა ქალაქის თავზე.  
**თვითმფრინავის ხმა.**  
 უკვე რახანია სიზმრებში ისევ აქ ვბრუნდები. თითქოს  
 მეხსიერება ცდილობს რაღაც მთავარზე  
 მიმითითოს — ჩემთვის ძვირფას იმ ადგილებზე, სადაც  
 უკვე საუკუნეა აღარ ვყოფილვარ.  
 სიზმარი კი ისეთი ნათელია, თითქოს ცხადში ხდებოდეს.  
 ამას შევეჩვიე კიდევ და უკვე ვიცი, რომ ეს მხოლოდ სიზ-  
 მარია და ვალვიძების მოლოდინში მწუხარება მიპყრობს...  
**ბორტგამცილებელი:** რამეს ხომ არ ინებებთ, სერ?  
**გომელსკი:** დიახ, ლუდი იყოს თუ შეიძლება...  
**გომელსკი:** 60-იანების ლინდონი.  
 კათხა ლუდი მხოლოდ 3 შილინგი ღირდა.  
 ქალაქის ქუჩები მიკროავტომობილებითა და მინიკაბიანი  
 ლამაზმანებით ავისო.  
 მანამდე რუხი ქალაქი ცისარტყელას ფერებით მოირთო.  
 მთელი ჩემი მემკვიდრეობა და იმედები ერთ პატარა  
 კლუბში ჩავდე.  
 თავიდან თითქოს ყველაფერი ხელს მიშლიდა  
 და მაინც რიჩმონდი ავირჩიე, ქალაქის ცენტრიდან შორს.  
 მაშინ იქ მეტროც კი არ არსებობდა...  
 მთავარი ის იყო, რომ აქ ნატიფი ხელოვნების სკოლა მდე-  
 ბარეობდა.  
 ზუსტად ვიცი, რომ სტუდენტები ამერიკული მუსიკით  
 იყვნენ გატაცებული და ბევრი უკრავდა კიდევ.  
 სკოლიდან 20 წუთის სავალზე დავიდეთ ბინა.  
 შესასვლელი კარი ნითლად შევღებე.  
 თუმცა ზოგიერთს უფრო შავი ფერი მოსწონდა...  
 წარწერაც საკუთარი ხელით გავაკეთე და...  
 მგონი შეცდომაც მომივიდა.  
 ჰმ! პირველ საღამოს მთელი ორი კაცი მაინც მოვიდა...  
 შემდეგ კიდევ ორი ამდენი,  
 მერე კიდევ მეტი  
 და კიდევ...  
**მუსიკა — „როლინგ სტოუნზის“ „შეღებე შავად“.**  
 რა იოლი ჩანს აქედან ეს ყველაფერი!  
 მანამდე ხომ სპარსეთი, აფრიკა და ევროპა იყო.  
 პარიზი — ჩემი სიყვარულის აკვანი,  
 სადაც ჩემთვის ორი მთავარი რამ აღმოვაჩინე:  
 კინო და მუსიკა,  
 მუსიკა და კინო.  
 და ისევ მარწყვის მდელოები...  
 აქ ნანახი ბერგმანის „მარწყვის მდელო“,  
 შემდეგ კინოს კიდევ ერთი საოცრება — ჰიჩკოკის „ჩიტები“  
 და ბოლოს სულ სხვა ჩიტი —  
 ჩარლი პარკერი...  
 კორტასარი ბრუნო,  
 დაკარგული საქსოფონი,  
 სხვა დროის „მდევარი“,  
 „კამარილოს“ ტყვე,  
 „უხილავი ურნების“ მაძიებელი,  
 ოკეანის გაღმადან გადმოფრენილი ყველაზე გენიალური  
 „ჩიტი“...  
**უღერს ჩარლი პარკერის საქსოფონი.**  
**თვითმფრინავი ხმა.**  
**ბორტგამცილებელი:** უკაცრავად, სერ. გთხოვთ ჩემი  
 ცნობისმოყვარეობა მომიტევოთ. მგზავრთა სიაში ნახსენები  
 მისტერ გომელსკი ბრძანდებით?  
**გომელსკი:** დიახ, თქვენი მონა-მორჩილი.  
**ბორტგამცილებელი:** ო! ჩემთვის დიდი პატივია თქვენი  
 გაცნობა.  
**გომელსკი:** გამაძლიერებთ ჩემო კარგო!  
**ბორტგამცილებელი:** ჩემი საყვარელი ჩანანერების უმ-  
 რავლესობაზე თქვენი სახელია მითითებული...

**გომელსკი:** ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა!  
**ბორტგამცილებელი:** საოცარია: ჩემს წინაშეა კაცი, რო-  
 მელმაც „როლინგ სტოუნზი“, ერიკ კლაპტონი და მთელი ეს  
 ბრიტანული როკ-ნ-როლი აღმოაჩინა!  
**გომელსკი:** გამაძლიერებთ, მაგრამ გთხოვთ — სუუ...  
**ბორტგამცილებელი:** რათქმაუნდა სერ! მაპატიეთ, მალე  
 ისევ გნახავთ...  
**გომელსკი:** კარგა ხანია უკვე ღრუბლებს ზემოთ მოვექეცი...  
 ასეთ დროს მსუბუქი მღელვარება მიპყრობს,  
 უნებურად ვთვლი და რაიმე უცნაურ სიზმარს ვხედავ  
 ხოლმე.  
 ღმერთო ხელი მოგვიმართე...  
 რომელიღაც უცნობი ქალაქის ქუჩებში ვსეირნობ.  
 ირგვლივ კაცის ჭაჭანება არაა.  
 ყველა შენობაც მიტოვებული ჩანს.  
 ვერცერთი წარწერის გარჩევას ვერ ვახერხებ.  
 ნეტავ ამ საათს ისრები რატომ არა აქვს?  
 ეს... მგონი ვილაცას მოასვენებენ?  
 მაგრამ კუბო რატომაა თეთრი?  
 ან ეს ჭრელი პლენი თავსახურის მაგივრად რას უნდა ნიშ-  
 ნავდეს?!  
 ღმერთო, რა უსიამოვნოდ აცივდა...  
**ბორტგამცილებელი:** პლენი ხომ არ მოგართვათ, სერ?  
**გომელსკი:** უკაცრავად?... აჰ, დიახ, დიახ, გამაძლიერებთ. ჩე-  
 მო კარგო.  
**გომელსკი:** მასაც ასეთი ჭრელი კოსტუმი ეცვა.  
 მაშინ სრულიად ახალგაზრდა და ყველასათვის უცნობ ჯი-  
 მი პეიჯს — მომავალ „ლედ ზეპელინს“.  
 დაუფინყარი შეხვედრები „მარწყვის მდელოზე“.  
 საკუთარი ხელით მოხატული გიტარა.  
 ვიოლინოს ხემით შესრულებული ჯადოსნური ქაოსი.  
 როგორც მაროკოში.  
 შესაძლებლობის ზღვარზე.  
 იდუმალი რიტუალი.  
 ღმერთთან მოსაუბრე ჯადოქარი.  
 ყოველი ნამდვილი ხელოვნების წყარო მაგიურია  
 და ხილვას, ოცნებას და მოგონებებს ინვესს...  
**უღერს ჯიმი პეიჯის გიტარა.**  
**გომელსკის ხმა:** ბრწყინვალე გამოსვლა იყო! ძალიან  
 კარგად დაუკარი!  
 თითქოს მაროკოც კი გამახსენდა.  
 იქ თუ ყოფილხარ?  
**პეიჯის ხმა:** სამწუხაროდ, არა, მხოლოდ ინდოეთში...  
**გომელსკის ხმა:** მაროკოში მუსიკას მაგაიდ აღიქვამენ.  
 დუდუკით ანუ ჯუჯუკათი ისინი ღმერთს ესაუბრებიან...  
**პეიჯის ხმა:** საინტერესოა...  
**გომელსკის ხმა:** ინფრაბერაზე თუ გსმენია რამე?  
**პეიჯის ხმა:** ნუთუ კარუზოს მართლა შეეძლო ხმით მინის  
 ჩამსხვრევა?  
**გომელსკის ხმა:** დიახ და ხმის ასეთი გამაძლიერებლის  
 დამზადებაც შესაძლებელია.  
**თვითმფრინავი.**  
**გომელსკი:** ბუნებაში არაფერი იკარგება უკვალოდ.  
 მართლაცდა გემოვნებაზე არ დავობენ...  
 არ დავობენ???  
 გამიგონია — ვინც ერთხელ დალევს წყაროს წყალს,  
 დოქიდან მას აღარ დაენაფებაო.  
 იქნებ ეს გარდაუვალიც იყო:  
 წყაროს სათავისკენ სწრაფვა:  
 სადაც მთელი ეს როკ-ნ-როლი დაიწყო...  
 ელვისი, ბადი ჰოლი, „ბიჩ ბოისი“...  
 ამბობენ, რომელიღაც თევზი მუდამ დინების სანინაღმ-  
 დეგოდ მიცურავსო,  
 იქნებ ის თევზი მე ვარ?!..  
 როგორიც ფრენკ ზაპა... თუ „კაპიტანი“ იყო:

ჰოლანდიური კალმახით შენიღბული, თავდაყირა დაყენებული ჰარმონია...

და მაინც, არის ამ ყველაფერში რაღაც მომხიბვლელი — იყო მთელი ამ როკ-ნ-როლის ცენტრში და თან ჩრდილში დარჩე.

არის ამაში რაღაც თავისუფლებისთვის აუცილებელი: შეუმჩნეველად ისეირნო ქუჩაში და მთელი დრო საქმეს დაუთმო.

რისთვისაც გაკრიტიკებენ, ზუსტად ის უნდა აკეთო, რადგან სწორედ ეს ხარ შენ.

თუმცა ახალგაზრდობაში მაინც იყო ცდუნებაცა და შეცდომებიც.

არც ესაა ალბათ დიდი ცოდვა.

შეცდომა, რომელიც მუდმივად მოგდის, შეცდომა კი არაა, უკვე ხელნერაა.

ისე, „ოსკარ რასპუტინი“ კი მაინც სულელური ფსევდონიმი იყო.

და მაინც, ფსევდონიმსაც რაღაც ხსნა მოაქვს თითქოს...

ღმერთო ჩემო — ახალგაზრდობა სასწაულს სჩადის,

სანამ ერთ მშვენიერ დღეს სარკეში საკუთარ თმაში ჭაღარას არ აღმოაჩენ.

მერე კი ქარონიც გამოგცხადება და შენს გარდაცვლილ სულს გაღმა წაიღებს.

მანამდე კი სულ მიდიხარ, მიდიხარ და შენობებზე გამოკრული რიცხვები თითქოს განვლილ წლებს გითვლიან...

**ბორტგამცილებელი:** კიდევ რამეს ხომ არ იხებებთ, სერ?

**გომელსკი:** არა, გამადლობთ.

**ბორტგამცილებელი:** თუ რამე დაგჭირდათ, ამ ლილაკს დააჭირეთ.

**გომელსკი:** კეთილი, ჩემო კარგო.

**ბორტგამცილებელი:** ავტოგრაფი რომ გთხოვოთ თუ შეიძლება, სერ?

**გომელსკი:** რათქმაუნდა, მითხარით, რა გქვიათ.

**ბორტგამცილებელი:** ჯულია.

**გომელსკი:** ჯულია...  
ჯულია დრისკოლი...

ქალბატონი ტიპეტი...  
პრინცესად ქცეული კონკია.

„მარწყვის მდელის“ სალაროდან — პროფესიულ სცენაზე.

68 წლის აგვისტო,  
„ჩეხოსლოვაკია“

და ვინ წარმოიდგენდა იმავე კომპარს 20 წლის შემდეგ ტიფლისში...

**მუსიკა — ჯულია დრისკოლის შესრულებული „ჩეხოსლოვაკია“, რომელსაც ენაცვლება ტანკების გუგუნი და თბილისში, 9 აპრილის დარბევის ეპიზოდები.**

იმ დროს იქ გამგზავრებას მხოლოდ დრისკოლი თუ გაბედავდა...

და ისევე მარწყვის მდლოები. იქ ვთამაშობდი დედის ფეხებთან.

უზარმაზარ გადაჭრილ კუნძუ ჩამომჯდარი დედა, საქსოვი ჩხირებითა და ფერადი ძაფებით.

ალერსიანი სიტყვები — ფრანგული მელოდიურობით და მისი ფაფუკი ხელის შეხება ლოყაზე.

ჰოსპიტლიდან დაბრუნებული დაღლილი მამა, იოდისა და თამბაქოს სუნი მუდამ რომ თან სდევდა.

წითლად დანინკული მდლოები. დუდუკის ხმა და...

ჩვენი მოულოდნელი გამგზავრება, რომელიც უფრო გაქცევას ჰგავდა,

გაქცევას სამოთხიდან... მერე თურქეთი, შვეიცარია და ლონდონი...

ომის შემდგომი ევროპა ჭრილობებს იმუშებდა. მთელი თაობა დაკარგული ბავშვობის ანაზღაურებას ლა-მობდა.

მუსიკით, ცეკვით, გართობით... ყველაფერში ამერიკული გავლენა იგრძნობოდა:

კინოშიც, ლიტერატურაშიც, მუსიკაშიც. და სადაღაც შორს — ნარსულზე დაშვებული „რკინის ფარდა“, რომლის მიღმაც რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დარჩა.

ადგილი, საიდანაც ყველა გიორგი მოვდივართ:

მეც, ავაკიანიც, ბალანჩინიც **ავაკიანის ხმა:** „ტიფლისი ის ადგილია, სადაც გინდა ყველას მოეფერო და ყველა კედელს ეამბორო“.

**გომელსკი:** ავაკიანის და ბენი გუდმანის მიერ „რკინის ფარდის“ გარღვევა და „კატიუშათი“ გამონვეული კრახი ტიფლისში, წარმომიდგენია, რა სასახავი იქნებოდა...

ბოლო დროს ირგვლივ თითქოს რაღაც იცვლება,

თუმცა არის კი რამე უცვლელი? მგონი სენტიმენტალური ვხდები.

სიცარიელისა და მწუხარების აქამდე უცნობი გრძნობა მიპყრობს.

თითქოს რაღაც არ მაძლევს მოსვენებას.

იქნებ უბრალოდ გადავიღალე, ან მეღანელოვია მიტევეს.

თუ სიბერე?!...

ბოლოს და ბოლოს — არც ესაა გასაკვირი!

მთავარი ალბათ მაინც მადლიერების გრძნობაა.

ცხოვრებაში ის უნდა აკეთო, რაც გულით გინდა, და შედეგს არ დაელოდო.

იქნებ ლოდინიც ხელოვნებაა?

ისეთი, როგორც მხოლოდ ერიკ კლაპტონს სჩვეოდა:

სცენაზე სიმების წყვეტის დიდოსტატს.

განა „ნელი ხელი“ ზედგამოჭრილი მეტსახელი არ იყო მისთვის?

თუმცა არა — „ოსკარ რასპუტინი“ მას უფრო მოუხებდებოდა, თორემ რომელი რასპუტინი მე ვარ.

ეჰ, ლეილა, „ლეილა“... სიყვარულს რას გაუგებ...

იყო მასში რაღაც ჟონგლიორისგან, გიტარაზე სიმების რომ ცვლიდა...

დარბაზი კი არხეინად ამხნეებდა „მშვიდი ტაშით“ და დრო არავის ადარდებდა.

არც „სხვა დრო“ და აღარც „უხილავი ურნები“.

ეს უკვე სულ სხვა რამ იყო: რაღაც ველური, მანამდე არნახული,

სახელად — როკ-ნ-როლი. მერე ისევე კორტასარი:

როკ-ნ-როლის, კინოსა და ლიტერატურის „სამება“ იტალიელი მაცეტროს — ანტონიონის ლონდონურ „ფოტო გადაღებებში“.

ფრენისას დრო მაინც ძნელად გადის... ალბათ არც ასეთ ძილსა აქვს ფასი ჩემს ასაკში...

და კიდევ ერთი გადაფრენა ოკეანეზე? იქნებ არც ღირდეს



მხატვარი მალხაზ იაშვილი

**ბორტგამცილებელი:** ქალბატონებო და ბატონებო, ხომალდის ეკიპაჟი ბოდიშს გიხდით რეისის შესაძლო უმინიმუმად დაგვიანების გამო. გმადლობთ თანადგომისთვის.

**გომელსკი:** რისკი...  
თუ შიში?  
ოკეანის ფსკერზე აღმოჩენის შიში,  
როგორც ბრაიან ჯონსი საკუთარ აუზში.  
მთავარი „როლინგ სტოუნი“,  
გენიალური „ბავშვი“,  
„მწუხარე პრინცი“,  
„ვერცხლის შანდალზე არეკლილი მოჩვენება“,  
„ჩასუქებული სატირი“ განუყრელი ჯუჯუკათი...  
რომელსაც ეს ფილტვები აუღერებდნენ —  
ახლა უკვე ქლორით სავსე ფილტვები  
და თბილი სრიალა აუზი...

**მუსიკა — ბრაიან ჯონსის აღმოსავლური თემა.**  
**გომელსკის ხმა:** დაკვრა სად ისწავლე!  
**ჯონსის ხმა:** მე თვითონ, ჩემით.  
**გომელსკის ხმა:** საოცარია... გიტარა, ფორტეპიანო, საქსო, დოლები...

დუდუკზე ანუ ჯუჯუკაზე თუ გიცდია ბედი?  
**ჯონსის ხმა:** ა, აღმოსავლური საყვირი? არა...  
**გომელსკის ხმა:** ისთ-ენდში ბევრი აღმოსავლური კაფეა...  
მინდა იქ დაგაპატიჟო, მგონი ეს შენთვის საინტერესო იქნება.  
**ჯონსის ხმა:** სიამოვნებით!...

**თვითმფრინავი.**  
**გომელსკი:** ახალგაზრდობა მართლაც სასწაულს სჩადის...  
ისევე როგორც სკოლაში,  
„მარწყვის მდელი“  
პირველი 45 წუთი ჯგუფი უკრავდა,  
შემდეგი 45 — ლუდას ვნრუპავდით  
და ასე მთელი საღამო.  
ეს რეპერტუარის მრავალფეროვნებას მოითხოვდა.  
საბედნიეროდ მათ ამოცანას თავი გაართვეს —

ჯგუფს „როლინგ სტოუნი“ ერქვა...  
და აგერ უკვე 50 წელიც გავიდა.  
ერთ რამედ ღირდა ამათ მოსასმენად მოსული თვით „ბიტლსის“ ნახვა.

გენიალობას გაცდენილი პროვინციული უშუალობა.  
მერე „ხოჭოებისა“ და ჯახის ალქიმიური ქორწინება „კატის გასეირნებაში“  
დაბოლოს ისევ „მარწყვის მდელი“ სამუდამოდ —  
მათი გენიალობის მარადიული ჰიმნი...

**მუსიკა — „ბიტლზის“ „მარწყვის მდელი“ სამუდამოდ.**  
შეუძლებელია ეს მუსიკა მხოლოდ ნახევარი საუკუნის იყოს. ის ალბათ უკვე სოლომონის ტაძარში გაჩნდა. მაგრამ იმდროინდელ პრიმიტიულ ინსტრუმენტებს იქნებ არც შეეძლოთ ამ იდეების რეალიზება. მხოლოდ XX საუკუნის მუსიკოსებმა იგრძნეს ინტუიციურად ეს ყველაფერი და ალბათ ტექნიკურმა პროგრესმაც დროზე მოგვისწრო. ამბობენ, მანამდე მხოლოდ ადამიანის ხმა ასრულებდა მუსიკალური ინსტრუმენტის მოვალეობას. მაშასადამე, ინსტრუმენტული მუსიკაც მაშინ გაჩნდა. უეჭველია, რომ მუსიკოსი ღმერთის ენას ადამიანის ენაზე თარგმნის. რას არ მივცემდი, რომ იმ შორეული, პირველი ქმნილებებისთვის ყური მაინც მომეკრა... თუმცა ზუსტად ვიცი — ეს ყოველივე ვაგნერის ნამდვილად არ ჰგავდა...

**ბორტგამცილებელი:** ყურადღება! გთხოვთ შეიკრათ უსაფრთხოების ღვედები. ჩვენი ხომალდი დაშვებას იწყებს. ადგილობრივი დროით დილის 7 საათი და 30 წუთია. ჰაერის ტემპერატურა 11 გრადუსი...

**გომელსკი:** მადლობა ღმერთს!  
დასასრული ყველაფერს აქვს...  
არაფერი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ...  
მეც ხომ ის მივიღე, რაც ყოველთვის მსურდა...  
და არც არასოდეს მინანია არაფერი...  
საბრალო ჯონსი,  
ლეილა  
და...

**გზამკვლევად ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე**

13 მარტს კავკასიის უნივერსიტეტში საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ დაგეგმილი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი ითვალისწინებს „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი“-ს შექმნას და ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტში ჩართულნი არიან მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევარები: თეიმურაზ ხუციშვილი, დავით კალსურაძე, დავით გაჩეჩილაძე, ლევან ნიქარიშვილი, შალვა კოლუაშვილი, ანა იმედაშვილი, ნინო არაბული და ანა გელაშვილი.

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ქართული არქიტექტურის ჩვენთვის ცნობილი 300-მდე ძეგლი, რომლებიც განლაგებულია ისტორიული საქართველოს მხარეების — ტაოს, კლარჯეთის, კოლა-არტანის, სპერის, ლაზეთის, აგრეთვე, ჯავახეთისა და სამცხის ნაწილის — ტერიტორიაზე.

ამ ძეგლების მოძიება და შესწავლა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან სხვადასხვა ინტენსიურობით ხდებოდა ევროპელი, რუს, ამერიკელი და ქართველ მკვლევართა მიერ. მათ მიერ მოკვლეული, აღწერილი და შესწავლილი იყო ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული და სომხური კულტურის ძეგლთა დიდი ნაწილი.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი მკვლევართა მიერ ამ ტერიტორიაზე მდებარე ქართული კულტურის ძეგლების მოძიება და კვლევა ინტენსიური გახდა, თუმცა აქცენტი ძირითადად კეთდებოდა გამორჩეული არქიტექტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ძეგლებზე. ჩვენ მიერ განხორციელებული ყოველი ექსპედიციის დროს ფიქსირდებოდა რამდენიმე უცნობი ძეგლი. პროექტის სრულად განხორციელება აღრიცხულ ძეგლთა ნუსხას სავარაუდოდ რამდენიმე ათეულით შეავსებს.

აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად:

- \* სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა ქართული კულტურის რამდენიმე ათეული ახალმიკვლეული ძეგლი; დაზუსტდება მათი მდებარეობა და თანამედროვე მდგომარეობა, ტოპონიმიკა;
- \* მიღებული შედეგები წარმოჩინდება მაქსიმალურად სრული ელექტრონული და ნაბეჭდი კატალოგის სახით, მათზე არსებული სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის დართვით, რაც მასალის სისრულით უპრეცედენტო იქნება ტაო-კლარჯეთის კვლევის ისტორიაში.
- \* სამუშაოში ჩაერთვება და მასალებს გაეცნობიან ამ დარგის მომავალი მკვლევარები და სტუდენტები;

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მატერიალური კულტურის 400-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა, აღწერა, დაფიქსირება და კატალოგის სახით დაბეჭდვა მნიშვნელოვანი საქმე იქნება არამარტო ქართული, არამედ ზოგადკულტურული თვალსაზრისითაც.

ლონისძიებას ესწრებოდნენ, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები შავი ზღვის უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან, აგრეთვე ამ თემატიკით დაინტერესებული ადამიანები.

სიტყვით გამოვიდნენ კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი — **კახა შენგელია**, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი — **თეიმურაზ ხუციშვილი** და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი **სულხან სისაური**, მათ აღნიშნეს, თუ რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია ეს პროექტი ქართული კულტურის კვლევისათვის.

**ანა გელაშვილი**

დაიბადა 1967 წლის 24 ივნისს. სწავლობდა თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში. დაამთავრა თბილისის „ნიჭიერთა მუსიკალური ათწლედის“ შემდეგ სახელმწიფო კონსერვატორია, საფორტეპიანო ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიური ფაკულტეტი, ესპანეთში, ქალაქ მალაგაში პიკასოს ხელოვნების სკოლა. ამჟამად არის „M-D სტუდიო“-ს დამფუძნებელი და დირიჟორი. მოთხრობების წერა დაიწყო 2010 წელს. პირველი პუბლიკაცია „ვიტრინა“ — გაზეთ „რეზონანსის“ ლიტერატურულ დამატებაში „გალაკტიონი“ 2012 წელს.

თითა ბალანჩივაძე-ძნელაძე

## აცეტონი

ჰაერში რაღაც უცნაური სუნი იდგა. მას შემდეგ, რაც ბენეპარტმა თავისი კაბინეტი დატოვა, მაგიდის კუთხეში მდგარ სანათიდან მოწყვეტილმა ლაზერის წითელმა წერტილმა ოთახში სირბილი გააგრძელა. სამეული, რომლითაც კაბინეტი იყო განყოფილი, არეული დარჩა. რაც ამ დივანზე მოხდა, მრავალფეროვან ფანტაზიას აღუძრავდა ადამიანებს. დივანზე მიყრილი ტანსაცმელი იმ ქალს ეკუთვნოდა, სამყაროს ათი შვილი რომ არაა და ათივე საკმაოდ ძვირად გაყიდა. ათი მშობიარობაგადატანილი ქალბატონი საუკეთესო ფორმაში იყო. ჯერ სულ 28 წლისას უკვე დიდძალი ქონება ჰქონდა დაგროვილი. ათივე შვილი დაბინავებული ჰყავდა შეძლებულ ოჯახებში. ამიტომ ჯერ მისი სინდისი წყნარ ზღვასავითი მშვიდი იყო, ასაკიც და გამოცდილებაც ამის საშუალებას აძლევდა. საგანგებოდ უვლიდა თავს, ისედაც უნაკლო გარგარისფერი კანი სულ უბზინავდა, ნელსაცხებლებით და ეთერზეთებით გაჟღერებული მზეზე ლაპლაპებდა. თმა სწორი, გრძელი და შავი ჰქონდა, თვალები მწვანე პანტერის გამოხედვით, ნებისმიერ არსებას ტვინს უხლენდა და მხესიერებაში დაუფიქრებლად შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორც ტყვიით ნაიარევი, მთელი ცხოვრება რომ თავს გახსენებს. სანამ 28 წლამდე მიაღწევდა, გოგონა ყოველ წელს, ორსულობის პერიოდში ნაყოფის სიმძიმის გამო, მთელი ცხრა თვე ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვული ატარებდა, რომელსაც ოკლაჰომაში მოხუც ლეისს უკვეთავდა. სავარძელს მექანიკური სახელური ჰქონდა და სიარულის დროს ისე ჭრიალებდა, მეზობლებს მოსვენება არ ჰქონდათ.

— რატომ იტანჯავს ასე თავს, ნეტა? — ეკითხებოდა ერთი კედლით მომიჯნავე მეზობელი თავის მეუღლეს, — ისედაც რაღაც უცნაური სენით არის შეპყრობილი.

— ჰო, რა ვიცი, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია, ქალი ყოველ წელს ბავშვს აჩენდეს, რა ორგანიზმი უძლებს, ან რა ფსიქიკა? — პასუხობდა ქმარს თავად გაოგნებული.

— ძალიან მინდა, გავიცნო, — თქვა კაცმა.

ქალს გულზე შემოეყარა, ჩემი ქმრისგანაც არ გააჩინოს ბავშვი, და ისეთი ამბავი აუტეხა, ბინის გადაცვლამ მოუწიათ. ძალიან კი ინანა, რომ გულისნადები გაახმაურა, მაგრამ პირიდან ამომხტარმა ბგერებმა, ველარ შეძლეს უკან შეფრენა.

მარადორსულს საერთოდ არ ანაღვლებდა მეზობლების ბედი, არც ის ადარდებდა, სად და როდის მოეკითხებოდა პასუხი თავის ცხოვრებაზე. მისი ტვინის მრიცხველი ქსელური მარკეტინგის დამფუძნებელი იყო ჩართული.

მე, როგორც მოთხრობელი და, ამ შემთხვევაში მკვლევარი, დაინტერესებული ვარ ამ ტიპის ადამიანების ფსიქოლოგიით, რომლის ანალოგი მთელ მსოფლიოში არსებობს და იარსებებს მუდამ. მართალი გითხრათ, ამ ეტაპზე არც ვიცი, რატომ დაინტერესდები, მაგრამ მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ქალბატონს განსაკუთრებული ხედვა ჰქონდა. მოკლედ, რეზონანსობაში რომ არ ჩამეთვალოს, ერთი ქალბატონის ამბავი მინდა მოგიხროთ, რომლის სამსახური არის ადამიანების მოვლინება ამქვეყნად და შემდეგ მათი რეალიზაცია.

ბენეპარტე ნავთობკორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი და, ამჟამად დროს, მფლობელიც იყო. ცოლი არასდროს მოუყვანია, თუმცა უკვე საკმაოდ გადაცილებულიყო იმ ასაკს, როცა მამაკაცები ოჯახდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაინც ჰიპერტონიული დაავადების მუდმივი კანდიდატი გახლდათ. ოჯახის ექიმმა რაღაც საოცარი, ჯადოსნური აბები გამოუწერა და მისმა გულმაც რიტმული სვლა სტაბილური ნაბიჯით განაგრძო. თუმცა ფარულმა ჯირკვალმა ზედმეტი იოდი ჩაიგუბა და ლამე ოფლიანობა გამოიწვია. ბენეპარტე ჰიგიენის, შეიძლება ითქვას, პათოლოგიური მიმდევარი იყო და მედიცინის დიდი თავყანისმცემელიც, რასაც ბევრ მის მეგობრებზე ვერ ვიტყვი. მეგობრები ეუბნებოდნენ, ფარმაცევტულმა კომპანიებმა და კოსმეტიკური საშუალებების ცნობილმა ბრენდებმა რაღაც განსაკუთრებული პრიზი ან პრემია უნდა მოგანიჭონ, რადგან შენნაირი მომხმარებელი ჩვენს შორის არ გვეგულებათ. ბენეპარტს კი ცოცხალი გულისტყვილით ელიმებოდა მათ კომენტარებზე, რადგან ვერ ხვდებოდა, რატომ აქილიკებდნენ.

— მე რომ 28 წლის ვიყავი, შხაპის დროს ერთი-ორჯერ ვიხეხავდი ტანს, — ზუსტი რაოდენობა არ უთხრა მაინც, — ახლა კი უფრო მეტჯერ მჭირდება, იცი? ასე 7-8-ჯერ. ალბათ, გარემოს საშინელი დაბინძურების ბრალია. კანი სულ გამომშრალი მაქვს და „რაშიათში“ დამზადებული საპნით დაბანის შემდეგ ფუფხები სულ მირბილდება, — უყვებოდა სამეულის დივანზე გართმული მის ფეხებთან ნოხზე წამოწოლილ 28 წლის ქალბატონს, თან შავ თმაზე ეფერებოდა. — ძალიან მაინტერესებს შენ როგორი იყავი ბავშვობაში? იქნებ მომიტანო ფოტო, — პირველივე პაემანზე ბენეპა (ასე ეძახდა შემოკლებით 28 წლის) ცდილობდა, მეტი ინფორმაცია გაეგო სტუმარზე, რომელსაც ტაიმ სკვერის ბოლოში მდებარე ბაღში, ქვიშას მიშტერებულს ნაანყდა სრულიად შემთხვევით. მისმა სილამაზემ კი არა, გადაგლეჯილმა მუხლებმა მიიპყრო ყურადღება. ბევრი ხეენა არ დასჭირვებია, ქალს გამოელაპარაკა თუ არა, თავის ოფისში მიიპატიჟა, ის ერთი წამითაც არ დაფიქრებულა. ბენეპა წამოწოლილიყო თავის დივანზე და ფერხითი ათი შვილის დედა ნებივრობდა.

— დაიხ, ძალიან კარგად მესმის თქვენი, რასაკვირველია, აუცილებელია რამდენჯერმე ტანის გულდასმით გახეხვა შხაპის დროს, ჰაერი ისეა დაბინძურებული, რომ ფორებს სრული დაღობა და დამუშავება ესაჭიროება, თანაც თავის ქალაზე და თმის ლერებში ცხიმოვანი ნალექი აუცილებლად კარგად არის ჩამოსარეცხი. ვფიქრობ, ყველა საშუალება არ იქნება შედეგიანი, მეც ბევრი საპონი და შამპუნი ვცადე, რეკლამას და ანოტაციას არ ამართლებს, — პასუხობდა ქალბატონი, რომლისთვისაც ჰიგიენაზე წამოჭრილმა პო-



ლემიკამ საკმაო ინტერესი გამოიწვია. ბენეპამ საუბრით მინიჭებული სიამოვნება იგრძნო. პირველად შეხვდა ქალი, ვისთანაც ამ თემაზე საუბრის შემდეგ, არ დაუჭერია სახის გამომეტყველებაზე ის, რასაც სხვასთან აწყდებოდა, — „ეს კაცი რაებს რომაეს“. მათთან ურთიერთობა მხოლოდ ორი დღით იფარგლებოდა, რადგან ინტერესთა სფერო ორივე მხრისთვის არახელსაყრელი იყო. ბენეპამ ამიტომაც ვერ შეირთო ცოლი, ვერ შექმნა ოჯახი, არ ეყოლა შვილები, რასაც საოცრად განიცდიდა: „ნუთუ არ შემხვდება ქალი, რომელიც სიბერის და დაუძღურების ჟამს მომიტანს საპონს, გამეგზავნება ორ კვირაში ერთხელ გაცვეთილი ღრუბლის საყიდლად?“ ამ ფიქრებში გართულ, ქალაქლებში მოხეტიალე ბენეპას ღრმად ეძინებოდა ოფისის სამუშაო მაგიდაზე, სადაც ნითელი ლაზერული სანათი ედგა, რომლის სიმბურვალე თმის ძირებს უთბობდა. და აი, რა ბედნიერება უნდა ეგრძნო ასეთ კაცს, რომელმაც იპოვა ქალი, ერთი თვის სამყოფ 70 გრამიან საპონს ორ დღეში რომ უყვანდა წირვას.

— ყოველი შხაპის მიღების შემდეგ, — ამბობდა 28 წ. — ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს კიდევ რაღაცას ვრეცხავ, არ ვიცი, სამყაროდან შემოტანილი სიბინძურე იმდენად მესისხლხორცება კანში, რომ ერთი ბურთულა საპონი ნამდვილად არ მცოდნის, იცით, თითქოს სულსაც გარეცხვა სჭირდება.

— ააა, თქვენ რაღაც სულ სხვა ზრახვები გგქონიათ, — ღიმილით უთხრა ბენეპამ, — მომწონს, ძალიან მომწონს, საინტერესოა, თქვენი დამოკიდებულება წყალთან, იცით? ამ ხნის კაცი ვარ და მაგაზე არასდროს მიფიქრია.

— დიახ, დილით რომ ვდგები, ხალათს შემოვიცვამ თუ არა, საწოლს ვასწორებ და სააბაზანო ოთახში გავრბივარ, მეგობრების ჩვეულ რიტუალს ვლალატობ, ჯერ შხაპს ვიღებ და შემდეგ ფინჯან ყავას მივირთმევ. „kent“-ის ერთი ღერი ყოველთვის გადანახული მაქვს დილისთვის. შხაპმიღებული თითქოს და გასუფთავებული სინდისით მაგიდასთან ვჯდები, სადაც ლაქი და ხსნარი — სახელად აცეტონი — მხვდება. ვიღებ ბამბის ქულას, ვასვლებ ჩემი საყვარელი ხსნარით, ვიშორებ ფჩხილებიდან წითელ ლაქებს და ვაბოლებ. ისე, რა კარგი იქნებოდა არა, აცეტონს ტვინში ცუდი მოგონებების წაშლაც რომ შეეძლოს.

— ხოოო, გასაგებიაა, მაგრამ ვაი, რომ მარტო შხაპი არ გეყოფათ? — უთხრა ბენეპამ მეორე პაემანზე და ნეკა თითზე თეთრი ოქროს ბეჭედი ჩამოაცვა, რომელსაც მარგალიტის ჟღარუნები ეკიდა. 28 წლის ქალმა დახედა თუ არა, გულმა რეჩხი უყო, ოღონდ ეს შეგრძნება ინტუიციის კარგი შვილი იყო თუ ცუდი ნაყოფი, არ ესმოდა, ის კი იცოდა და გადგონილი ჰქონდა, რომ მარგალიტებმა ცრემლი იცისო. ბეჭდის სილამაზემ ქალს ისე მოჭრა თვალი, რომ ქვეყნის ზურგზე რა ხდებოდა და რას მოასწავებდა ეს თვლები, აღარ აინტერესებდა.

ბენეპა, რომლის სახელი იტალიური წარმოშობის იყო, რამდენიმე თაობით ნამდვილი ინდო-ამერიკელი გახლდათ, სახელი კი დედამ ჯერ კიდევ მაშინ ჩაიფიქრა, როდესაც ორსულობის ნიშანწყალი არც კი არსებობდა. ის ძალიან დიდი ხანი ელოდა შვილს, მას და მის მეუღლეს დიდხანს რაღაც შეუთავსებლობა ჰქონდათ. კვერცხი არ იღებდა სპერმას, მაგრამ ეს უკანასკნელი ისეთი ჯიუტი აღმოჩნდა, რომ მაინც შეანგრია კარი და ჩახტა. ულჩენტო ვუეს ფილმი ნახა, იქ მთავარი გმირი — ჰერკულესი, ქალთა გულების მპყრობელი, ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, შვილისთვის მისდამი პატივისცემის ნიშნად ბენეპარტე დაერქმია, რითაც ყველას გაკვირვება გამოიწვია, რადგან დიდი მთავარსარდლის (ბონაპარტეს) შეცვლილი ფორმა იყო. ქალბატონი ჯიუტი აღმოჩნდა და ნანატრ შვილს, თხუთმეტი წელი რომ ელოდებოდა, მაინც ის დაარქვა, რაც თვითონ სურდა. ბენეპა კი ამ სა-

ხელით ძალიან ამაცობდა, — არის ჩემში რაღაც ნაპოლეონური, არა? ნამდვილი ლიდერი ვარ, როგორც ბონაპარტე, — მთავარსარდალი ჩემი ბიზნესის. ეს ნიჭი ჩემთვის რომ არ ეანდერძა ბონას, არ ვიცი, სად ვიქნებოდი ახლა, — ღიმილით ეუბნებოდა 28 წლის ქალბატონს, თან გემრიელად ილუკმებოდა შაშხის სენდვიჩს, რომელსაც მე-5 ავენიუზე მდებარე არტკაფეში ამზადებდნენ. უყვარდა იქ ყოფნა, რადგან მხატვრები იკრიბებოდნენ და მათ გარემოცვაში სულ სხვანაირად გრძნობდა თავს. ძალიან მობზერებული ჰქონდა აკადემიურ და ძვირადღირებულ რესტორნებში სიარული, სადაც თავისი სოციალური მდგომარეობის გამო უნდა ესადილა. ამას ეტიკეტი მოითხოვდა. დროგამოშვებით შეივლიდა ხოლმე და კუთხეში მდგარ თავის მაგიდას მიუჯდებოდა. ყველამ იცოდა, რომ შაბათს თერთმეტ საათზე ბენეპა და მისი მეგობარი ქალი მივიდოდნენ და შაშხის სენდვიჩს მიირთმევდნენ. გალექების მოყვარული 28 წ.-ს ქალბატონი ერთ-ერთი მხატვრის გამოხედვას იპარავდა, რომელიც უკვე დიდი ხანია შენიშნა. ისიც არ გამოჰპარვია, რომ ამ მხატვრის ბოლო ნამუშევრებში, სადაც ფიგურები დომინირებდა, თავის თავს პოულობდა, უფრო სწორად, მხატვარი ვერ ბედავდა, ბენეპას რიდი ჰქონდა, რომ ქალბატონის ასლი ჩაეხატა, მაგრამ წაანყდებოდა თუ არა ამ მრავალრიცხოვან ფიგურებს შორის, იმწუთასვე მსგავსებას დაინახავდით. ეს, რასაკვირველია, არც ბენეპას გამოჰპარვია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რადგან თავის თავში ისე იყო დარწმუნებული, რომ ამ მხატვარში კონკურენტს ვერ ხედავდა.

— მინდა გითხრაო, რომ არასდროს არ უნდა მოდუნდეთ! — ფილოსოფოსობას შეუდგა ბენეპას მეგობარი ჰარდი, რომელიც მეთექვსმეტე ქუჩიდან მორბოდა თავგანწირული, რადგან სულ აგვიანებდა ყოველკვირეულ შეკრებებზე. ჰარდი წერილი მენარმე იყო და ბენეპას ბავშვობის მეგობარი, — მოკლედ, მგონია, რომ ქალის ხელი მუდმივად ყოფნისთვის ჯერ არ ვარ მზად, — ცოტათი ნალვლიანი ტონით ამბობდა ის, თან ბენეპას უყურებდა თვალებში და მის გამოხედვაში კითხულობდა აი ამ სიტყვებს: „რას ახურებ, ჰარდი, მე კი ვიცი, რატომ ამბობ ამას, ეს თავდაცვაა, რამდენი წელია მარტო ხარ და ერთი ქალი ვერ შეგიბია. კაი რა, ვითომ ასე გიყვარს თავისუფლება?“ მაგრამ ბენეპა არც ერთ სიტყვას არ ამბობდა, კომენტარსაც კი არ აკეთებდა მის ფილოსოფოსობაზე და სიჩუმით ვითომდა თანამაზარეობას გამოხატავდა. ბენეპა თვლიდა, რომ მასთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან არაერთხელ შესჯახებია მათი შეხედულებები. ლამეები უთენებიათ ქალებზე საუბარში, მაგრამ ჰარდი მარტოხელად იყო დაბადებული.

— შო, რას გეუბნებოდი? — ერთი ყლოში ყავა მოსვა და ისევ გაიმეორა, — დიახ, დიახ, ვფიქრობ, არ უნდა მოდუნდე. როგორც კი ყურადღებას ადუნებ, იმწამსვე შენი ადგილი დაკავებულია. ასეთი ყოფილა ცხოვრების მკაცრი კანონი, რომელიც მგლურ წესებში შედის. ამ კანონებს მგლურს კი არა, ლაჩრულს ვუნდებდი. აბა, რა არის, ადგომის უნდა გეშინოდეს კაცს? საპირფარეოში მინდა გავიდე და მეშინია, არავინ დაჯდეს ჩემს ადგილას. ეს სად მოგყავარ ხოლმე? უკეთესი ადგილი ვერ ნახე ნიუ-იორკში? — ებზღუნებოდა ბენეპას ჰარი. ის კი ღიმილით და სიყვარულით უყურებდა ბავშვობის მეგობარს და ხმას არ სცემდა, რადგან მისი ბუზღუნის ძალიან უყვარდა.

— ბენეპა, ნახე რა ვიშოვე 72-ე ავენიუზე? — გახარებული შემოქროლდა ოფისში 28 წელი. თათბირი უკვე დაწყებულიყო. ბენეპარტეს 9 კორპორაციის პრეზიდენტი ჰყავდა მინვეული და რაღაც ახალ პროექტზე მუშაობდნენ. ბენეპა სავარძლიდან არ განძრეულა ქალის შემოვარდნაზე. სიამაყის და სიხარულის გარდა სახეზე სხვა გამომეტყველება არ

გასჩენია. თუმცა ხომ შეიძლება განრისხებულიყო, თათბირზე როგორ ბედავ შემოსვლასო, მაგრამ არა, პირიქით, ძალიან კმაყოფილი იყო და სიხარულისგან თვალების ორბიტები გაუფართოვდა.

— ნახე, ნახე, რა ვიყიდე! — ხელში ჭრელ ქალაღდში გახვეული ყუთი ეჭირა და იქ მყოფთა სახესთან ისე ახლოს მიჰქონდა, რომ სტუმრები უხერხულობისგან თავს ზოგი გვერდზე, ზოგიც ზევით სწევდა.

— კარგი, კარგი, მოდი ჩემთან, ნუ შეანუხებ სტუმრებს, მაჩვენე რა შეიძინე?

— ეს ის საპონია, რომელიც მომამორებს ფიქრებს, — თქვა და შრაშუნა ქალაღდის გახსნა დაიწყო.

სტუმრებმა ვერაფერი გაიგეს და გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— კარგი, დანყნარდი, ჩემო საყვარელო, მოდი, იცი, რა ვქნათ? ეს სახლში რომ მივალთ, მერე ვნახოთ, — უთხრა ბენეპამ და ნელ-ნელა კარებისკენ გააცვილა 28 წელი, რომელიც ვერ ჩერდებოდა და გზადაგზა გაუთავებლად ლაპარაკობდა.

— რა მაგარია, არა? ნახე რა ფერია და რა ფაქტურაა, ეს ნამდვილად ფიქრების მრეცხავია, გესმის? შენ ამ კომპანიის დამფუძნებელი უნდა იბოვო, შენი საქველმოქმედო ფონდიდან უნდა გადაურიცხო თანხა, არა?

— ხო, ჩემო ლამაზო, აბა რას ვიზამ, ოღონდ ეს მერე განვიხილოთ, — ეუბნებოდა ბენეპა და გასასველთან ნელზე ხელშემოხვეულს აცილებდა.

მათმა შეხვედრებმა უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო.

გარდა იმისა, რომ ორივეს მიდგომა განბანვის რიტუალის მიმართ ასე დაემთხვა, ბენეპამ საოცარი სულიერი სიახლოვე იგრძნო 28 წელთან თავისი წარსულით, რომლის დაიწყება შეუძლებელი იყო. დიდი ხნის განმავლობაში ის ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა. შემდეგ ეს ბიზნესი ისე დამძიმდა, რომ ბენეპას სხეულიც დაუძღვრდა დარდისგან. დიდძალი უძრავ-მოდრავი ქონება დააგროვა. როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე ტკივილნარევი ხუმრობით, ერთი ვილა ერთი გული დამიჯდაო, ერთი სახლი ვერნერების თირკმელები, ეს მაიკლ ჯორჯჰაუნის ღვიძლიაო და ასე შემდეგ. მოკლედ, ბოლოს და ბოლოს, გადანყვიტა, რომ უკვე დიდი რაოდენობით ჰქონდა სინდისი სხვისი სისხლით გავსებული და გულის ჩვლეტის პერმანენტული შეგრძნების გამო, ამ არალეგალურ ბიზნესს თავი დაანება. ნავთობკორპორაციის აქციები შეიძინა, თან ნაკლებგანვითარებული ქვეყნების დახმარებით სინდისის ჩამორეცხვა დაიწყო. საწყალი კაცი იყო, მიუხედავად მისი დიდი გამოცდილებისა და ფინანსური შესაძლებლობებისა.

საღამოს შინ გვიან დაბრუნდა. ქალი აივანზე იდგა, ჰორიზონტს გაჰყურებდა და წარმოსახვაში ზედ საპნის ბუშტუკებს აწყობდა, მერე შვილების პორტრეტებს შიგნით სვამდა. კარების გაღების ხმაზე შეკრთა. ოთახში ბენეპა რომ დაინახა, უმაღვე კისერზე შემოეხვია.

— ახლა მე სააბაზანოში შევალ, შხაპს მივიღებ, შენთვის ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, არ დაიძინო, დამელოდე.

ბენეპას სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა ტანში, რადგან ამას დიდი ხანია ელოდა. ის ძალზედ გულწაბრობილი ქალი იყო და გულახდილი საუბრის იმედი აღარც ჰქონდა.

— აბა, რას ვიზამ, ჩემო საყვარელო, დაგელოდები. მე მთელი ცხოვრებაა შენ გელოდები.

ქალმა აბრეშუმის ხალათი, რომელიც საოცრად უხდებოდა, შეიხსნა, მაგიდაზე დადებული ბრჭყვიალა ქალაღდში გახვეული საპონი აიღო და აბაზანაში შევიდა. ბენეპა კი კმაყოფილი სახით ტერასაზე მდგარ საქანელაში ჩაჯდა. მანაც ჰორიზონტის ცქერასა და ქალის მონათხრობის გამოცნობაში საკმაო დრო დაჰყო. როდესაც საათს დახედა, მიუხედავად იმისა, რომ არ დაუნიშნავს, 28 წელი რამდენი ხნის წინ შევიდა საშხაპეში, მაინც იგრძნო, რომ დიდი დრო გასულიყო და საძინებელში შებრუნდა. ლოგინზე წამოწოლილმა ტვინში ანგარიში დაიწყო. მერე ფიქრი მობეზრდა და უეცრად, წარმოსახვით, ოკლაჰომაში გადახტა. იქ ერთი საინტერესო ამბავი შეემთხვა, რაც ახლა ამ ოთახში თითქოსდა უმეორდებოდა. ერთი ქალბატონი გაიცნო წვრილი და გრძელი თვალები ჰქონდა. რესტორანში ისადილეს ერთად, შემდეგ ბენეპამ სასტუმროში მიიპატიჟა. საძინებელში რომ უნდა შესულიყვნენ, ამ ქალს გული წაუვიდა. სასტუმროს ექიმის გამოძახებაც კი მოუწია. მოკლედ, ის ქალი მოიყვანეს გონზე, მაგრამ ბენეპას დიდი დრო დასჭირდა იმისთვის, რომ დაძაბულობისაგან გათავისუფლებულიყო. საოცრად ინერვიულა. მას შემდეგ დიდი ხანი აღარავისთან ამყარებდა ურთიერთობას. ამ ფიქრებში გართულმა უხერხული მოძრაობისგან ხელი შემთხვევით სანოლის



მხატვარი ბერდია არაბული

გვერდით ტუმბოზე მდგარ მალვიძარას წაჰკრა. საათი იატაკზე გადმოვარდა და დაიმსხვრა. ბენეპა გაუნძრევლად უყურებდა ნაწილებად დაშლილ საათს, რომელიც მთელ ოთახში მოეფინა. მერე წამოდგა, დინჯი და აუჩქარებელი ნაბიჯით აბაზანისკენ გაემართა, საიდანაც წყლის ჭავლის ხმა ისმოდა. წყალს სხვანაირი ხმა ჰქონდა, არა ისეთი, ადამიანი რომ ზანაობს. წყალი შეუწყვეტლივ მოთქვებოდა. ბენეპას ამ განსხვავებისთვის არ მიუქცევია ყურადღება. კარს მიუახლოვდა და შეჩერდა. სახელურს მოჰკიდა ხელი და ფრთხილად ჩამოწია. კარი შეაღო თუ არა, ნაცრისფერი გამჭვირვალე ორთქლი ეცა სახეში, მთელი ოთახი რომ მოეცვა. ბენეპა შევიდა და ვარაუდით მიმართულეა იქით აიღო, საითაც კენის ქვითა და ოქროს ძაფებით მოპირკეთებული საოცარი სიღამაზის მარმარილოს აბაზანა იყო. იქ თუ ჩანებოდი, ნამდვილად აღარასდროს მოგინდებოდა ამოსვლა. იცოდა ბენეპამ, რომ ქალბატონსაც უყვარდა აბაზანაში ნებივრობა, თუმცა ახლა დიდი დრო იყო გასული. მამაკაცმა ნისლში გზა ადვილად გაიკვლია. მის თვალებს საოცარი სურათი დახვდა: წყლით გადავსებული აბაზანიდან დიდი სქელი ჭავლი რატომღაც იატაკზე არ გადმოდიოდა, მაგრამ ქალი...

საპონის ფიქრებთან ერთად ცოდვის ლაქად ქცეული სულიც ჩაერეცხა. სიკვდილის სქელ ჭავლში გაეხვია და მთელი არსებით შთაენთქა უსასრულობას. დედამინის სხეულიდან ქალი აცეტონით აორთქლებულიყო...



**დავით წერეთლიანი**  
**უპილობა,**  
**ტფილისური**  
**მოტივები**

1.  
*რაც არ მიმგზავრია, ქროდნენ ქარები,  
რაც არ მიმღერია, თრთოდნენ ლარები,  
რაც არ დამიგია ზარბაზ-ზარები,  
ერთი გამიგია, არ გეყვარები...*

რისგან და რატომ, შვიდი ღამეა სრული,  
ან, იქნებ, მეტიც, არ მეკარება რული,  
სხვა რა მაძალებს მუსტაზადების წერას.  
ადექ, ყარიბო, მაშრიყს გავზიდოთ ბარგი,  
გულისტანს წავალ, ვარდს შევეყვები, ნარგის.  
მთვარე ანათებს ალი-რაჰმანის სერაღს.

ალვა რხეული, ედემს ნაზარდი სარო,  
სამეფო ბაღი, შიგ უკვდავების წყარო,  
შროშნების მდელი, ირმის მარჩბივი ნუკრი...  
ქალა მეხდება, ნამ-ნამ ორდება მზერა,  
სხვა რა მაძალებს მუსტაზადების წერას.  
წალკოტსა ჩემსა, ქარო ხორმაკო, ნუ ქრი.

*ამბრისა კილიტნი, მოლთა ფერანი,  
სიბრძნის იათული, სულთქმით მღერანი,  
რტოზე იადონი, ველზე ჯერანი,  
შენთვის დამიღვრია ცრემლთა ღვარები...*

2.  
„არავისთვის მე დღეს არა მცალიან,  
დამეხსენით, მეჩქარება ძალიან.  
წვიმაც მითხრან, დარი დარობს მზეული,  
სალომესთან სადილად ვარ წვეული.  
ამას ვამბობ მე, ბეჟანა მკერვალი,  
ქალებისთვის სიხარულის მწვერვალი.  
თქვენი ელდით, თქვენი ელვა-ტანებით,  
ღამაზებო, ყველას გეთაყვანებით,  
ოლონდ ახლა სხვა მყავს გულის რჩეული,  
სალომესთან სადილად ვარ წვეული.  
შახტი, ბეჟან, ბედი გამოგვჩენია,  
ციხეს არ ზი, სიყვარული ჩვენია“.

3.  
რისგან და რატომ, შვიდი ღამეა სრული,  
ან, იქნებ, მეტიც, არ მეკარება რული.  
გურჯის ქვეყანა მძევლად უპყრია იბლისს.  
გზები გავკეცოთ, შირაზს წავმართოთ კვალი,  
ბროლ-ფიქალი და ყარამფილი და ლალი...  
გულს ეამება აღმოსავლური ხიბლი.

გულის მურაზი თულთან ლალობდის გუშინ,  
თულსაც გაპყროდის, — მემთვრალეა და ქუში,  
შემოფრთაჭრელდა, კდემა ულანძავს ლანგებს.  
ბრალში მე ვყავარ, მძიმე სდებია ხუნდი,  
მაინც ჩემია, სხვა აღარავეინ უნდის...  
განთუ ესწავლოს, თავის ლოგინში დანვეს.

4.  
*...შენ რომ ჩემი ყოფილიყავ,  
ვერც შევჭედდი რვალის კარებს,  
ვერც დაგსვამდი ოქროს დარბაზს,  
ვერც მოგგვრიდი თორმეტ ფარემს,  
ლექსს გეტყოდი სადედოფლოს,  
ჩამორითმულს ბარჩხალ-ბარჩხალ,  
საზის ცრემლზე ჩამოგსვამდი  
გრუზა თმების დასავარცხნად...*

5.  
ვისგან, არ ვიცი, დარდის ავიღე წილი,  
შვიდი ღამეა, არ მეკარება ძილი,  
სხვა რა მაძალებს მუსტაზადების წერას.  
გურჯის ქვეყანა მძევლად უპყრია იბლისს,  
დროც დამდგომია, კვართი მოვიცვა მჩხიბლის,  
შელოცვას ვიტყვი, თარზე მასწავლეს ერანს.

*ძილო, მოჰყევ გზასა ჩემსა ნარიანს,  
ძილო, მოჰყევ ცასა ჩემსა ქარიანს,  
ძილო, მოჰყევ ხმასა ჩემსა ზარიანს,  
მოდო, გამიხსნია გულის კარები...*

**კიდევე ერთი უპილობა,**  
**დაფნისი**

სული ხარ ვისი, ძველი მოთქმა დამემგზავრა ღვთაებრივ ყრმაზე,  
ძილს დავეძებდი, ღელე დამრჩა, ღელი დამრჩა, ფოთლის შრიალი.  
ნიმფა მიყვარდა, სამი დღეა, მიმატოვა, დაფნისზე მოთქვამს,  
ძენა მიყვარდა, ნაკადებში ჩამეფურცლა, დაფნისზე მოთქვამს,  
მდინარის პირას დარდიანი ჩამოვჯექი, დავტირი დაფნისს.

დაფნის! — ტირიან ტყისპირები, სვირინქსები, გლოვის ქნარები,  
დაფნის! — ტირიან მწყემსები და, სახელს იტყვი, არ ახსოვს ბაგეს,  
მე ვინ მეტირა, ძილ-ღვიძილში სახელს იტყვი, არ ახსოვს ბაგეს...  
მთელი სიმწარე გამოვწოვე, სიმწარე და მზის ელვარება,  
მდინარის პირას დარდიანი ჩამოვჯექი, დავტირი დაფნისს.

პატარა ბიჭი ბატონებმა წაიყოლეს, აბელ ბოხუა,  
პირველი სიყრმის მეგზური და თანამგზავრი, აბელ ბოხუა,  
ხედავს ვინმე, დედუღეთის სანახებო, ჩემ გარდა კიდევ?  
დავტირი დაფნისს, მიწა მიდის, მიწა მიდის, მიედინება,  
მდინარის პირას დარდიანი ჩამოვჯექი, დავტირი დაფნისს.

მაღლა, თავზემოთ, ნადირობის გნისაია, საყვირთა ცემა,  
ბინდის მწვერები ცაგადასწვრივ მანათობელს მისდევენ ირემს,  
მე ვინ ვარ, სიზმრით ამოვკემსო განშორების ყველა იარა,  
გარდასახვათა სრული გარსი გავარღვიო, ვარსკვლავად ვიქცე...  
მდინარის პირას დარდიანი ჩამოვჯექი, დავტირი დაფნისს.

ნიმფა მიყვარდა, კიკლადები მომივლია, არგოსის მიწა,  
სული ხარ ვისი, ღელე დამრჩა, ღელი დამრჩა, ფოთლის შრიალი.  
მთელი სიმწარე გამოვწოვე — რა მიმყვება ორქარის გარდა,  
სხვა რა მიმყვება საწუთროსგან, მოზარენო, ორქარის გარდა,  
მდინარის პირას დარდიანი ჩამოვჯექი, დავტირი დაფნისს...



დაიბადა 1991 წლის 7 მარტს. სკოლა: ბარისახო (1997-2007), შატილი (2007-2009) (ხევსურეთი). უმაღლესი: თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, დრამის რეჟისურა (2009-2013). პირველი სპექტაკლი — უილიამ საროიანის „ჰვი, გესმით ჩემი?!“ (თეატრი ათონელზე, 2012). სადებიუტო ლექსების კრებული „გზაზე გასვლა“ (2012). დუშეთის თეატრის მთავარი რეჟისორი (2013 წლიდან). სულით ხორცამდე ხელოვანია. აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს. ხელოვნება მისთვის სამყაროს შეცნობის საშუალებაც არის და სიცოცხლის დანიშნულებაც. რაც შეეხება პოეზიას, ეს მისთვის პურია, სულის პური, „არსობის“ საშუალება. ლექსით გამოხატავს იმას, რასაც მშობლიური მხარე ავალეებს, რასაც კარნახობს, რასაც სთხოვს. მას ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ გამოხატოს ადგილის კოლორიტი. პირდაპირ ეხება იმ სამყაროს, რომელიც ჩვენთვის მითოლოგიურ ბურანშია ჩაფლული. მისი მზერა, ცნობიერების ველი და მრწამსი ზუსტად ისეთია, როგორც ესაჭიროება იმ სამყაროს ესთეტიკური ხიზლის გახსნას, დროსა და სივრცეში გაბნეულის, დაკარგულ-დავიწყებულის მოკრებასა და დალაგებას. მან იცის, რა უნდა, იცის, რას აკეთებს, იცის, რა მოსთხოვოს საკუთარ თავს. სწორ გზას ადგას, ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელიც ყველაზე ნათლად გამოხატავს მის ფიქრსა და ნააზრევს, და რომლის მოსმენაც სურს საზოგადოებას, მკითხველს, ქვეყანას. პოემა-გვრინი უწოდა ავტორმა ამ ქმნილებას. ჩვენ ამას სიცოცხლის პოემას ვუწოდებდით. ბოლოს როდის იყო, რომ ხევსურეთიდან მოსულ ხმაში სიცოცხლე ასე ძალუძდა ფეთქდა. თანაც როგორი ტაქტით შეგვახსენებს გიორგი არაბული: კი, ბატონო, გახსოვდეთ memento mori, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ არსებობს memento vivere-გახსოვდეს სიცოცხლე!

გიორგი არაბული

აღდის ლექსი. ალდის სიზმრები

(პოემა-გვრინი)

რჯულ-სამართალი ყველას თავისა აქვს. ხევსურული ანდაზა

პროლოგი

ეს აღდის ლექსია, სიკვდილშეყრილი აღდის სიზმრები. არაგვივით მღვრიე და მითივით ბუნდოვანი.

1. თენდება რწმენაბერნი აღვსება,<sup>1</sup> აღდი მარტო ზის ფეხონში<sup>2</sup> და ყალიონს აბოლებს. თამბაქოს კვამლი ლოცვასავით აედინება ცისკენ და ნისლს ერევა.

აღარცვინ ხმისგამცემი, აღარცვინ ხატის-მსახურნი, აღარცვინ მთიბელი და გამომხდელი ქერის არყისა.

აღდიმ უნდა ილოცოს, აღდიმ უნდა თიბოს ჯინჭველაგორიანი<sup>3</sup> ყანები, აღდიმ უნდა გამოხადოს წინწარაქარი.<sup>4</sup> აღდიმ უნდა გადაამთხოს ნადირი და ქაჯ-ეშმაკნი, აღდიმ უნდა გაითხაროს საფლავი, აღდიმ უნდა ჩაიცვას ტალავარი, აღდი უნდა მოკვდეს.

ბოლოჯერ უსმენს გულწითელას სტვენას, რომელიც სიკვდილის საგალობელია აღდისთვის.

როგორც ახალგაზრდა ქალი ჯვრისწერისთვის, ისე ეშმაკდება აღდი სიკვდილისთვის.

1.3 როცა დაიბადა აღდი, მაშინ დაიბადა ეს სოფელი, ვრცელი ყანებითა და ქვითკირებით. როცა შევა აღდი იაღში,<sup>5</sup> იქ სხვა სოფელი დახვდება, და ისევ ბალად დაიბადება — ასე სწამს აღდის. „ჭიანი ვერ შამქამენ მიწაში ჩადებულს, ბალადმობილი ბალადვე მიებარება მიწას“.

1.9 რა ხდება იქით? რა ფერი ბილიკებია?

2.5 როდესაც ჭირით დაღლილი და ღმერთთან სასაუბროდ გამზადებული თვალეები დახუჭა აღდიმ, ზურგზე მერქანი შემოერტყა, როგორც ჯაჭვის პერანგი. ექავებოდა ტანზე შემოკრული ჩრაქვი<sup>6</sup> და ხელს კი ვერ ინვდენდა.

ის ღამე იყო და არა იყო რა აღდისთვის, რომელმაც საოცრისმყენეს<sup>7</sup> ძალით იხილა საოცარი:<sup>8</sup> თოვლს იბერტყავდა სოფელი, ხოლო მთებიდან წამოვიდა სისხლის მდინარეები რომელიც თოვლს შეერია და იძრა თოვლის ზვავები სოფლისაკე. სისხლის თოვლზე არეკლილი მზე თვალეებს სწვავდა აღდის. სისხლმა წალეკა საოცარში აღდის სოფელი, სისხლში დაიხრჩო აღდი.

3. სიკვდილი შინშივით ესტუმრება აღდის. ისიც შეიპატიჟებს მაგრამ, ვინ უნდა გაუთხაროს საფლავი აღდის?! ვინ დაირღვენება<sup>9</sup> აღდისთვის?! ვინ იქნებოდა აღდის გამბანელინი?! ვინ გაუთენებს ნარევიში?!<sup>10</sup>

ვინ გაჰპოხს ალდის ცხედარს ერბოთი?!  
ვინ უნდა არბინოს სულის ცხენი?!<sup>11</sup>

„თვითონ“ - თქვა ალდომ და პირველი ბელტი აჰყარა მიწას,  
„თვითონ“ - თქვა ალდომ და ბარის პირი ქვიანზე ახმაურდა,  
„თვითონ“ - თქვა ალდომ და ოფლიან შუბლზე მკლავი მოისვა.

სუდარი<sup>12</sup> უნდა ჩაიცვას ალდომ.  
სამკვედროდ გამზადებული პერანგი ამოიღო დაჭრელებული  
კიდობნიდან.  
სულის ტალავერს მზის სინათლე მოხვდა თუ არა - აჭრელდა.  
ბამბის სამი ფერის<sup>13</sup> პერანგი ჭირდება ალდის;

ბოლოს დაშიბაული ბაჭიჭები ამოიცვა  
და თქვა:

„იარალს არ წაიღებს ალდი,  
იარალი არ უნდა ჩაჰყვეს კაცს მიწაში,  
რკინა საშიშია.  
ბალლად დაბადებული  
ბალლაღვე უნდა მოკვდეს“

ახლა უნდა იმღეროს.  
აილო ფანდური ალდომ და მღერის:  
„ძმასა ისეთა ძმა უნდა,  
ბადრის უსუბ რომ ჰყოლია,  
ბადრი კლდით გადავარდნილა,  
უსუბ თან გადაჰყოლია.“

ახლა უნდა დაილოცოს ალდომ,  
აქამდე რომ არავის ულოცია, ისე.  
უნდა აანთოს სანთელი,  
აილოს ტარკოში<sup>14</sup> და თქვას:  
„დიდება გამჩენს, დიდება დღეს დღესინდელს,  
მზეს და მზის თან მყოლ ანგელოზთ,  
ისმინე ვედრება პირიმზის ყმის ალდისა,  
ხელ მოუმართე სიკვდილის მდინარეში,  
აპატიე შეცოდება,  
მოჰფინე შენი სამოსელი,  
ნუ მოაკლებ ძალას სიკვდილისას.“

გამოიყვანა ალდომ ცხენი,  
ჩამოუნდა ფაფარი,  
გამოუნასკვა დედუას დაქარგული საფაფრე,  
შემოაკრა საშუბლური,  
მერე ძუა ჩამოუნდა,  
მოსართავები რომ შემოუჭირა,  
სანთელი აანთო,  
ხურჯინში საგზალი,  
პურ-სატანი ჩაალაგა.  
ერთი ხელით ალვირი დაიჭირა,  
მეორეში არყიანი ყანწი და თქვა:  
„ჩემი სახმარი იყოს ეს შეკაზმული ცხენი,  
ჩემი საფერხე, სადაც დამჭირდეს,  
უცხენოდ ნუ ვიქნები,  
ეს უნავირი, ხურჯინ-საგზალი მეაც მეხმარების“.  
მერე არაყი გადაასხა ფაფარზე ცხენს,  
მათრახი სამჯერ მსუბუქად გადაჰკრა  
და ხელი გაუშვა ალვირს.  
ცხენმა მიწას დაჰკრა ტორები,  
დაიჭიხვინა და მონყდა ადგილიდან.

ცხენი რომ თვალს მიეფარა,  
ალდი ტაბლისკენ მოტრიალდა,

დაიდგა ჯამით ხორბალი,  
დაიდგა ჭურჭელი წყლითა და არყით სავსე.  
დაინთო სანთელი.

ახლა უნდა მოკვდეს ალდი და მოკვდეს სოფელი.  
გამოკეტა კარი ალდომ,  
უკანასკნელად ამოჩხრიკა თამბაქო ყალიონში,  
უკანასკნელად გაჰკრა კვესს,  
უკანასკნელად დაიფარა გამხმარი ქუდი და  
აუყვა საფლავთგორს.  
თან წაიბურტყუნა:  
„ღმერთი მაღალი,  
კაცი დაბალი.“

3.5

ჯავრივით ძნელი იყო ალდის აღმართი საფლავებამდე.  
ქალბანნი წაიყარა.  
სოფლის ფსალმუნები — ჭინჭრისდედები<sup>15</sup>  
ეჩურჩულებოდნენ ალდის.

4.

საიდან მოვიდა სიკვდილი,  
რომელ ქარს ჩამოჰყვა სოფლამდე,  
სთელისაა თუ ზამთრისა,  
რომელი ღელე გადმოიარა,  
რომელ წყაროსთან გაჩერდა სულისმოსაქცევად,  
რომელ წელთგზაზე არ დაუცდა ფეხი ან  
რომელ ნადირს გამოეპარა?

აათავა ბილიკი ალდომ და თქვა:  
„სირცხვილი რომ მოგადგება - სიკვდილი ეგ არი,  
ბეჩავად ყოფნა და კარში ვერ გამოსვლა - სიკვდილი ეგ არი,  
ღიაცთან რომ შერცხვები - სიკვდილი ეგ არი.  
შინ ყვირილი რო გაგიადვილდება და გარეთ ხმის გაღების  
შეგრცხვება - სიკვდილი ეგ არი.  
სტუმრად მოსულ მტერს რომ ხელცალია ან მწოლიარე  
ავადმყოფი დახვდება - სიკვდილი ეგ არი.  
შენ მკვდარ შვილს ზურგში რო ექნება ჭრილობა -  
სიკვდილი ეგ არი.“

(ეგ ორჯერ მკვდარია, გაქცეული რო ჰკვდება).  
მარტო კაცის ყოფა - სიკვდილი ეგ არი.  
ცოცხალი რო ხარ - სიკვდილი ეგ არი.  
ჩამოჯდა ალდი ქვაზე,  
გადაფურთხა თამბაქო და თქვა:  
— სიკვდილო, არც რა შენ ყოფილხარ სირცხვილზე მეტი.

...  
მაგრამ რატომ უნდა მოკვდეს ალდი?!  
მაგრამ უნდა მოკვდეს ალდი.  
რადგან:

არ უნდა დაბერდეს ალდი,  
არ უნდა დაბეჩავდეს,  
ალდომ ჯოხით არ უნდა იაროს:  
ევჰუ არგნიანო ალდი,  
ევჰუ,  
სიბერეო  
სიძნელეო,  
ჯოხო - ჯოჯოხეთისაო.

4.6

რა არის სიკვდილი?  
საით მიდის ადამიანი?

და იხილა ალდომ საოცარი -  
კიბე

ცისკენ ატყორცნილი,  
რომლის ძირიც ბანზე იდგა.  
აჰყვა ალდი კიბეს,  
თანდათან ტალავარი ამძიმებდა  
და იყრია ტანიდან.  
ალარაფერი ეცვა,  
მაინც ემძიმებოდა საკუთარი სხეული  
და უნდოდა ხორცის  
ნაყრა ტანიდან.

კიბის ბოლო ღვთის კარზე იყო მიბჯენილი.  
ეკიდა ალდი ღვთის კარზე ოქროს ჯაჭვით,  
ხოლო მისი სხეული ნეკერჩხლის ფოთოლივით  
დამსუბუქებული  
ირწეოდა ღთიშვილთა ოსანაზე.

**4.7.**  
კა მტერ ცუდ მოკეთეს სჯობავ -  
მაგრამ მოკეთე აღარ ჰყავს ალდის,  
აღარც მტერი და აზრს კარგავს  
მისი სამზეოზე ყოფა.

**5.**  
სიკვდილისთვის დაიბადა ალდი,  
სიკვდილისთვის დაბერდა ალდი.

ყველაფერს ხავსი და ბალახი ედება ბოლოს,  
სახლსაც,  
იარაღსაც,  
საფლავსაც,  
სახელსაც.  
ღვთის წილია ყველა საქმეში,  
ღმერთია უზენაესი ძალი და დიდება.

ნეტავ შეიძლებოდეს ხორცი წაიყარო ტანიდან,  
როგორც ტალავარი,  
და სული ზემოთ დატოვო,  
ნეტავ შეიძლებოდეს  
ჩამოქცეული სახლის ბანი მარტო კაცის ხელით  
მთელდებოდეს და იტკეპნებოდეს.  
ნეტავ შეიძლებოდეს ამ ბანზე ბაღლები დარბოდნენ და  
კვამლი ამოდიოდეს.  
ნეტავ შეიძლებოდეს ხირჩლა ბაბურაულის ფერი  
ყმანვილები იბადებოდნენ და იზრდებოდნენ,  
ნეტავ შეიძლებოდეს  
ისეთი გუბეების დაშრობა,  
შიგ ჩანოლა რომ არ გჭირდებოდეს.  
ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი ისე,  
როგორც მოკვდა ხახმატელი ყირა ბაჩიქვაური.  
ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი ისე,  
როგორც მოკვდა ამლიონი დავით ჭოლიკაური,  
სანადიროში, ქარაფს მოკიდებული,  
ხარჯიხვითა და თოფით ხელში.  
ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი მოდიოდეს  
და სახლში პატიჟებდე,  
ნეტავ შეიძლებოდეს,  
სიკვდილის სოფელში,  
იმათმკვდართსაფლავებზე ქრისტესისხლები ამოდიოდეს.  
ნეტავ შეიძლებოდეს  
სიკვდილი წინ გეჯდეს, არაყს ასმევდე და  
ბაღლის სიცილს ასმენინებდე,  
ნეტავ შეიძლებოდეს  
სიკვდილს შენ საბანს აფარებდე და  
თვითონ მიწას არ გაყრიდეს.

**5.4**  
რა ხნისაა სიკვდილი და  
რამდენი და-ძმა ჰყავს?  
ნეტავ რა ჰქვია დედას სიკვდილისას, თუ  
იცის ტალავრის ქსოვა და  
ლოცვა შეშინებულისა?  
ნეტავ თუ დაჰლამებია მამას შემაზე წასულს  
და თუ ჰლოდინებია სიკვდილი ცისპირისტეხამდე?!

**5.5.**  
რა ფერია სიკვდილი?  
თბილია თუ ცივი სახლში შემოპატიჟებული?  
სად მიდის სიკვდილი ?  
სად სძინავ სიკვდილს?

**5.6.**  
თავი რომ მოიკლას ალდომ,  
ვინ გამოაბძანებს სულის სამხსნელ დროშას  
კარატის ჯვრიდან?

ვინ დაუკლავს ციკანს?  
ვინ დაულოცავს ოჯახს?

**5.7.**  
— რა აბერებს ადამიანს?  
— მარტოდყოფნა.

**6.**  
მუნჯი რომ ყოფილიყო ალდი,  
მადლობას ვერ ეტყოდა გამჩენს,  
მაგრამ კი იფიქრებდა:  
სიკვდილისთვის გაგიზრდივარო.

„სიკვდილო კარგი მთიბელი ხარ,  
ზამთარ-ზაფხულ და დღე და ღამ  
სიცოცხლეს თიბავ რჩეულთასა“ -  
ასე იტირებდა სწორფერი ალდის.

„ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,  
იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარაო,  
დედას და დასამც ახედვინაო,  
იქნებ მაისვენებდ გულიო,  
იქნებ წეს გამაიცვლებოდაო“ -  
ასე იტირებდა დედა ალდის.

„ალდის ენაცვალეა დაო,  
წვერთა - ჯიხვის რქათვით დაგრეხილთაო,  
მუხლთა - შორის გ ზის მოარულთაო,  
მხართა - ნანყენთა, საგძლისათაო,  
თვალთა - დამწვართა წამლისათაო..“ -  
ასე იტირებდა და ალდის.

უნდა მოკვდეს ალდი,  
მიწას პირი აქვს გაღებული.  
უნდა დაიტანოს შავმა მიწამ.  
უნდა მოკვდეს ალდი.

„სიკვდილო, თუკი ადვილი ხარ,  
ერთხელ შენ თვითონ რად არ მოკვდი,  
თოვლივით მზეზე რად არ დასდნი?“

— თქვა და ახლა —

როგორც წესია,  
ხმალი უნდა დაიჭიროს ხელში ალდომ,  
ანთებული სანთლით წარიმძღვაროს გზა  
და მოკვდეს.

მაგრამ ერთხელაც აღარ დაიშლება  
სულეთში ალდის უწონადი გვამი,  
გადავა სული გვამში,  
მოკვდება ალდი და  
მოკვდება სოფელიც მასთან ერთად.

**აპილოზი**

ახლა ღამეა.  
ალდის ლექსიც და სიზმრებიც აქ მთავრდება.  
ბევრი ვიფიქრე ბოლოზე,  
ჩემს ხელში იყო მისი სიკვდილიც  
და ცოცხლად დარჩენაც.

მე გავიმარჯვე დღეს ამ ლექსით,  
მე გავიმარჯვე დღეს ალდით  
და ერთი ადამიანი გამოვგლიჯე სიკვდილს,  
რომელიც ახლა ჩემს კართან დგას  
და შიგნით შემოსვლას ცდილობს.  
ვერ მოვკალი ალდი,  
ვერ დავიდე კაცის და სოფლის ცოდო.

მე  
ლექსმწერელს  
მაინც მჯერა რომ ზის ახლა  
სადღაც სოფელში ალდი და ფიქრობს:  
საიდან მოდის სიკვდილი?  
ან სად მიდის ჩვენიდან ნასული?

მაგრამ შენ, ალდი -  
სად წახვალ ამ ლექსის მერე?  
რომელ ბილიკს აირჩევ?  
როგორ დაეხსნები ლექსს?  
როგორ დაეხსნები სიკვდილს?

*თბილისი-ხევსურეთი  
2013/დეკემბერი - 2014/იანვარი*

**ბანმარტაზანი:**

1. ალესება - ალდგომა /ალესების შაბათი, ალესება-დილა/
2. ფეხონი - ადგილი სოფელში სადაც მხოლოდ კაცები იკრიბებიან
3. ჯინჭველაგორა - ჭიანჭველების სახლი, ბორცვი
4. წინწარაქარი - ხევსურული მაგარი არაყი
5. იალი - ცოდვებისაგან განსანმენდელი
6. ჩრაქვი - არყის ხის ქერქი
7. საოცრისმყენე - ის რაც სიზმარს მოაღანდებს ადამიანს
8. საოცარი - სიზმარი, ხილვა, ზმანება
9. დაირღვნება - ტირილი
10. წარევი - ადამიანები, რომლებიც მიცვალებულს უთენებენ ღამეს
11. სულის ცხენი - მიცვალებულისთვის დალოცვილი ცხენი
12. სუდარი - სამგლოვიარო სამოსელი
13. თეთრი - სინმინდე, საიქიოს მცხოვრებთა შესამოსელი და საჭირო იქ დამკვიდრებისთვის; წითელი - სისხლის და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო; შავი (ლურჯი) - მინისქვეშა საიქიო.
14. ტარკოში - გრძელტარაიანი სასამისი
15. ჭინჭრისდღა - ჭინჭრის მსგავსი მცენარე, რომელიც არ იშუშდება



დავიბადე 1990 წლის 28 ოქტომბერს. ისეთივე არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, როგორც ჩემს თანატოლებს; ყველაზე მძიმე პერიოდი - 90-იანი წლები, რომელიც დღეს საუკეთესოდ მახსენდება რატომღაც. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე და მოვიპოვე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი. 2012 წელს დავინყე მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეებით დასახლებულ რაიონებში ვასწავლი ქართულს. ამჟამად ვსწავლობ ილიას უნივერსიტეტში, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

წერა დავინყე 17-18 წლის ასაკიდან. პერიოდულად ქვეყნდება ჩემი ლექსები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. 2013 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი კრებული: „კონცენტრიკული წრეები“.

**თორნიკე ჭელიძე**

\* \* \*

ამოაქვს კვამლი ყრუ ოდის ბუხარს,  
ღრუბლებს ვერ წვდება  
და ტყისკენ მიდის  
მხოლოდ.  
მე მინდა თითებით ვუთხრა  
შენს სულს და სხეულს, შენს სუნთქვას,  
თითებს,  
რომ როცა წასვლის დრო მოვა მერცხლის,  
წვიმით და ქარით გადგება ღამე  
ფანჯრებთან,  
რომ არ ვიქნები,  
ცეცხლი  
დაანთო ჩემი ძვლებით და  
გათბე.

**კრავის ბალადა**

რკონი,  
ნიავი...  
მზის სხივებმა მტვრის - დროის ხაზი  
ტაძრის ქვიან ტანში გამოჭრეს  
(ისმოდა ლოცვა - ყელგაღადრულ კრავთა ბალადა).  
მე მომეჩვენა,  
დიდი ხნის წინ ნანერ ფრესკაზე  
იდგა მარია...  
და ჩვილ ქრისტეს, როგორც ნაოჭებს,  
სახეზე  
კედლის წარსულ ბზარებს ვერ უმაღავდა.

**სიზმრისპირული**

არ დავკარგო ადამიანი,  
შეიძლება სადღაც დამჭირდეს.

ჩემო უკვე მდგარო დღეებო,  
მომავლისაკენ  
გაინიეთ და სხვებს უთხარით,  
ვერ მივალ მათთან;

დღეებთან, სადაც შემძლია ნამდვილი ვიყო,  
სადაც ნაკლებად დაიშვება შემხვედეს სიკვდილი,  
ან სიყვარული, - ამდენად მსუყე.  
დღეებში, სადაც თუნდაც ერთ კენჭს ადგილს ვერ ვუცვლი.

მე ვინცებ წერას. შენი ხმიდან ვინცებ. სიცხეა.  
ზაფხული. ზღვაა. ქალაქია ზღვისპირა. სახლი -  
ბანაკი. კარგი ნაცნობები (სასიხარულოდ)  
არცთუ ნაკლებად მსიამოვნებს, ვზივარ და ხელებს  
ჩავკიდებ ხელზე უცნობს (მხოლოდ) ჯერ კიდევ ასეთ  
საქმეებისთვის, და ვსაუბრობ, ვიგონებ, ვამბობ  
სიმართლეს, უფრო მეტად მისთვის მისაღებ ტყუილს -  
საქმეებს ჩემსას. ზაფხულია. ზღვისპირი. შაბის  
ფერი აქვს ღრუბლებს, მძიმე ღრუბლებს ქალაქის ზემოთ.  
და არ წვიმს, - ვხედავ. ველარ ვხედავ. ვერ ვსუნთქავ. ვწვები.  
ავდგები ისევ. სიგაჟია. სიცხეა. ამ დროს  
არ იბადება, როგორც წესი, ისეთი ლექსი,  
ღირდეს ჩანერად, არჩანერად ღირდეს, თუ გინდა.

ვდგები მე შენი სხეულიდან. შენს ნიჟარაში  
მებადურების სიტყვებია, ფიქრები, ლოცვა,  
გინებაც მათი. ისე ვდგები, წყალმა რომ ქვიშის  
ნაპირზე იცის; მოიქცევა, შემოდის, ცოცავს  
ნავები, ძველი სამფანები ნაპირებისკენ.

ვინცებ გალობას შენი ღმერთის ტაძრიდან, შენი  
ანგელოზების ფრთების ხმიდან ვშრიალებ ისე,  
როგორც მინისქვეშ, სიღრმეებში გაივლის ქანებს,  
დაინმინდება, გაცივდება და მერე შესვამ,  
ან ნაკვალევში პლანეტების მოწყვეტას, ქრობას  
ირეკლავს წყალი, წვეთზე მეტი წყალი და რჩება  
დიდი ხნით, ვიდრე ის პლანეტა. და მიკვირს. ქარი  
არ უნდა ქროდეს, ამ დროს თითქოს კარგი ჩანს სიცხე  
და ზღვისპირ ქალაქს შეფენილი ღრუბლების ტილო.  
სურვილი: ახლა, ცხოვრებიდან - ყოფიდან მხეცი  
გამივიყვანო და ღორების მშვიერი კოლტი  
გაუშვა ჩემი ბნელი სულის ქიმიდან დაბლა.

ვინცებ სიმღერას შენი სიზმრის მღვიმიდან, ასე  
მე გადავდივარ სინათლისკენ და ვიდრე ბოლო  
ნაბიჯით მზისკენ ავინევი, კედლებზე - ქვაზე  
ხელს ვუსვამ ხოლმე ჩემს ბიზონებს, ტახებს და თვალთ  
დგება თვალის წილ საკუთარის. ჩემი სიმღერა  
ამდენად უფრო მაღალია და შენთან ახლო.

მე ვინვდი წერვებს შენკენ, როგორც მიწა - ყვავილებს.

ვამბობ:  
არ დავკარგო ადამიანი,  
შეიძლება რომ მას დავჭირდე.

### ღია კარის დღე შემოდგომისთვის

შენ რომ შეაღებ,  
იმ კარს იქით მე სახლი მინდა,  
რომ გადავივლი,  
იმ ქუჩისკენ - ღია ფანჯრებით.  
შენ შეიძლება არ იყო და  
ისე მიყვარდე.  
თითქოს ზამთარი ჯერ არმოსულ თოვლს ეფერება,  
ისე შეგეხო,  
შემიძლია,  
ყოველთვის, თუმცა  
ამ ყრუ ყოფაში გაჩრილია სიცარიელე.

შენ შემოხვედი ჩემს ცივ სულში ისევე,  
როგორც  
იორდანეში —  
იოანე ნათლისმცემელი.  
გარეუბნების ჰორიზონტზე  
მზე რომ იხრება,  
ისე უბრალოდ ვუშვებ ახლა ხელებს  
დაღლილი  
და ჩემს მიწაში —  
ამ სხეულში — გამოუხრავად  
დამარხულ ძვლებზე ვიგეშები ქუჩის ძალივით.  
მინებზე კვდება შემოდგომის ძველი სისველე  
(გახვეტენ წვიმებს ქარები და გადაუვლიან),  
ჩემ წინ კი, როგორც უცხო კაცი,  
დგას სისულელე  
და არავისთვის შენირული ალილუია.

\* \* \*  
რა მწარე არის,  
როცა ხეები იფოთლებიან,  
იფარება ბალახით მიწა,  
აივნებზე გააქვთ ოთახის  
მცენარეები  
და თითქოს შენს მზიან შპალერზე  
დახატული ყვავილებიც კი  
ფორმას იცვლიან და იზრდებიან.

შენ კი მდუმარედ დგახარ ფანჯრებთან  
და მარადიულ ჭკნობას აგრძელებ.

\* \* \*  
სიკვდილი, რა თქმა უნდა,  
შინ დაბრუნებაა,

მაგრამ ყოველთვის  
მადლიერი ვარ იმისათვის, რომ  
გამომიშვი ქუჩაში, ღმერთო,  
და ამ ქუჩას ჰქვია სიცოცხლე.

მე დღემდე ვდგავარ ვრცელ პროსპექტზე  
და მეშინია,  
ვინმე ჩემთან მყოფმა არ მითხრას:  
— სახლში მივდივარ.

ვუყურებ ამ სახლს  
და ფანჯრებთან მდგარ ხალხში ვეძებ  
ნაცნობ სახეებს.

\* \* \*  
არის ხელები;  
ლურსმნებისთვის,  
მონყალებისთვის,  
დაშვებულნი, მითითებულნი  
მამხილებლად,  
ან დასასმენად.  
კიდევ არიან სისხლისათვის,  
საქმისთვის, ზოგჯერ  
სულ უბრალოდაც...  
და ასე რომ მრავალს ჩამოთვლი  
შემოდგომის ქუჩაში,  
იგრძნობ,  
არსებობენ შენი ხელებიც,  
მის ხელებს რომ ელოდებიან.

კაიროს 'ინ შამსის უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი, მწერალი რადვა აშური დაიბადა 1946 წელს. რვა რომანის, ნოველათა ორი კრებული, კრიტიკული სტატიების ხუთი კრებულისა და ავტობიოგრაფიული თხზულების ავტორი ძირითადად ინგლისურ ლიტერატურასა და კომპარატივისტიკაში მუშაობს. ლიტერატურის თანამედროვე მკვლევართათვის საგანგებო შესწავლის საგნად იქცა ციხის ლიტერატურა. ამ მხრივ არც არაბული ქვეყნებია გამონაკლისი. XX ს-ის სხვადასხვა პერიოდში ამათუმი არაბულ ქვეყანაში ბევრი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე თუ ინტელიგენციის წარმომადგენელი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. ძირითადად სწორედ მათ შექმნეს ის ლიტერატურული პროდუქცია, რომლის შესახებაც რადვა აშურმა საჯარო ლექციაზე ისაუბრა 2008 წელს. გთავაზობთ ლექციის თარგმანს.

რადვა აშური

# არაბული ციხის ლიტერატურა

I.

არაბულ ლიტერატურაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ციხის რომანი „ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი“ (1975), რომელიც XX ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არაბ მწერალს 'აბდ არ-რაჰმან მუნიფს (1933-2004) ეკუთვნის. ეს მისი მეორე ნაწარმოებია პოლიტიკური პატიმრების შეურაცხყოფასა და წამებაზე. პირველ ციხის რომანში „ხეები და მარბუკის მკვლელობა“ (1973) იგი მოგვითხრობს კაცზე, რომელმაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ დატოვა თავისი ქვეყანა. მუნიფი ამანში, იორდანიაში დაიბადა. მამამისი საუდის არაბეთიდან იყო, დედა — ერაყიდან. დაწყებით კლასებში ამანში სწავლობდა, საშუალო სკოლაში — ბაღდადში, კაიროს უნივერსიტეტში სწავლისას კი ყოველ ზაფხულს სტუმრობდა მამის ოჯახს საუდის არაბეთში. 1963 წელს მუნიფის სახელს ჯერ წარმომავლობა (საუდის არაბეთი) ჩამოაშორეს, მოგვიანებით კი მისი რომანები საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში საერთოდ აიკრძალა. ბოლოს დამასკოში დასახლდა, სადაც უკანასკნელი ოცდაათი წელი გაატარა. მის „ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი“ ასახული პოლიტპატიმრობის გამოცდილება ფაქტობრივად შეიძლება არაბული ქვეყნების დიდ უმეტესობაში გავრცელდეს.

ვისაუბრებ ყველა ტიპის ციხის პროზაზე — ავტობიოგრაფიულზე, რომანებზე, მემუარებზე, რომელთა ავტორები ყოფილი პოლიტპატიმრები არიან, ხოლო მათ წიგნებში ციხის გამოცდილება ასახული. ვფიქრობ, ცალკე ლექცია შეიძლება დაეთმოს პოეზიას. უძველესი არაბული პოეზია თავისი გამომხატველობითა და სიმდიდრით ყველაზე წარმატებით დამკვიდრებული სალიტერატურო ფორმა იყო არაბებში. ის ორი ტრადიციით საზრდოობდა: 1) კლასიკური არაბული პოეზია, რომელიც 1500 წლის განმავლობაში ფუსჰაზე იქმნებოდა, და 2) სხვადასხვა არაბულ ქვეყანაში სალაპარაკო ენაზე შექმნილი პოეზია. ორი არაჩვეულებრივი მაგალითი გვაქვს: ოცდაათიან წლებში ფუსჰაზე დაწერილი ტუკანის კასიდა<sup>2</sup> „წითელი ხუთშაბათი“, რომელიც ბრიტანეთის მთავრობის მიერ 1930 წელს დახვრეტილ სამ თავისუფლებისთვის მებრძოლს ეძღვნება, და ავადის ადგილობრივ სასაუბრო ენაზე დაწერილი ლექსი, რომელიც მისი ჩამოხრწობის შემდეგ საკანში კედელზე ამოტვიფრული აღმოაჩინეს.

ციხის ნარატივები წარმოადგენს თანამედროვე არაბული ლიტერატურის მნიშვნელოვან ქვეყანას, რომელიც შეიქმნა კაცების, ქალების, ლიბერალების, კომუნისტების, ისლამისტების, პროფესიონალი, არაპროფესიონალი მწერლების, ყოფილი პატიმრების მიერ. მათ თავიანთი ციხის გამოცდილება აღწერეს ინტერვიუებში, ზეპირ ჩვენებებში, ჩანაწერებში. ეს მასალა იმდენად დიდია, რომ მისი კატალოგიზაცია ალბათ ძალიან მოსაწყენი საქმე იქნება.

ამ ლექციისთვის შევარჩიე სამი ძირითადი თემა: 1. ეგვიპტის ციხის ლიტერატურა, რადგან აქ გვაქვს დიდძალი მასალა, ქალების, კაცების წიგნები თუ ჩანაწერები; 2. მაროკოს ციხის

ლიტერატურა, რომელიც პატიმრობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, და 3. პალესტინელ და ლიბანელ პოლიტპატიმართა ნაწერები, რომლებიც ისრაელის ციხეებში გამომწყვდეული ათასობით დაკავებულის შესახებ მოგვითხრობს. ვიმედოვნებ, ამ სამი თემის გამოყოფა არ დატოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს პოლიტპატიმრობა და ციხის ლიტერატურა არ არსებობს სირიაში, ერაყში, საუდის არაბეთში, ტუნისში და სხვ.



1966 წელს ახალგაზრდა სონალაჰ იბრაჰიმმა ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ თავისი პირველი რომანი „იმის სუნი“ გამოსცა. წიგნის შესავალში ცნობილი ეგვიპტელი რომანისტი და ნოველისტი იუსუფ იდრისი მწერლის ნიჭსა და მისი ნაწარმოების ნოვატორულ ბუნებას უსვამდა ხაზს. იდრისმა რომანი „სახეში გალანუნებას, კივილს, განგამის ზარს“ შეადარა, რომელიც „თითქმის აფხიზლებს ჩვენში ჩაბუდებულ შიშს.“ მისი აზრით, ამ წიგნის მთავარი გმირი იყო არა მასში აღწერილი მოვლენები ან რომელიმე პერსონაჟი, არამედ „რაღაც ყოვლისმომცველი შეგრძნება... რომელსაც ძნელია სახელი დაარქვა.“ ეს არ ყოფილა „გაუცხოების, ზიზლის, დანაკარგის, წინააღმდეგობის, სიყვარულისა თუ სიცოცხლის საჭიროების გრძნობა“, ეს იყო რაღაც, რასაც იდრისი სახელს ვერ უძებნიდა.

„იმის სუნი“ აშკარად სიახლე გახლდათ. მოგვიანებით ის პირველ არაბულ მოდერულ რომანად აღიარეს. აქ არ არის სიუჟეტური ხაზი. უსახელო პროტაგონისტი უაზროდ დაყიალობს კაიროს ქუჩებში ან სანოლზეა წამოწოლილი და აბოლებს. ყოველ საღამოს პოლიციელის გამუდმებული ვიზიტის გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის არაფერი ხდება. პოლიციელმა უნდა შეამჩნოს, შინ არის თუ არა მთავარი გმირი. აქა-იქ მოგონებები თუ გაიეღვებს, ან რაიმეს აღწერა ჰემინგუეისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით, მოკლე, დეპეისებური წინადადებებით, კამიუს „უცხოოსთვის“ ჩვეული უქეიფო გუნებით. მოდი წაგიკითხავთ რომანის დასაწყისსა და ბოლო აბზაცს:

- „ოფიცერმა თქვა:
  - თქვენი მისამართი, თუ შეიძლება.
  - არ მაქვს მისამართი.
- გაკვირვებული მომაშტერდა:
  - სად წახვალთ? სად იცხოვრებთ?
- ვუპასუხე:
  - არ ვიცი. არავინ მყავს, რომ მივაკითხო.
- ოფიცერმა თქვა:
  - ვერ გაგიშვებთ. უნდა ვიცოდეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილი, რომ ყოველ ღამე შეგამოწმოთ. ეს ჯარისკაცი გამოგყვებათ.“

რომანის ბოლოს მთავარი გმირი ეძებს ბებუის სახლს. როცა იპოვის, ინახულებს ბებუას, რომელმაც რაღაც მნიშვნელოვანი უნდა უამბოს დედის სიკვდილის შესახებ. ნაწარმოები ასე მთავრდება:

„საათს დაგხედე. ავდექი. ვთქვი, რომ უნდა ნავსულიყავი... კიბე ჩავიარე. შენობა დაგტოვე. მივაბიჯებდი ქუჩებში, ვიდრე რამზესის მოედანს მივადგებოდი. იქიდან მეტროს სადგურს მივაშურე.“

რამდენიმე ეპიზოდურ მოგონებას თუ არ ჩავთვლით, ნაწარმოებში არცაა ნახსენები ციხე და მასთან დაკავშირებული მოვლენები. რთული არაა ივარაუდო, რომ წლების ციხეში გატარების შემდეგ პროტაგონისტი დაუბრუნდა „ნორმალურ ცხოვრებას“. ხუთწლიანი პატიმრობისას იბრაჰიმი არაერთხელ სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს, თვალწინ გაუღახეს მეგობრები, დაამცირეს. თუმცა რომანში ციხის დეტალებზე მეტად ხაზგასმულია ის, თუ რა ფსიქოლოგიური შედეგები გამოიწვია ყოველივე ამან.

2004 წელს იბრაჰიმმა „ალ-ვაჰათის დღიურები“ გამოსცა. ფორმა კვლავ ახალია — 45-გვერდიანი შესავალი ავტორის და პატიმრების, ციხეში არსებული ვითარების შესახებ, 90 გვერდი დანართი (ისტორიული მონაცემები, სხვადასხვა ფაქტთან დაკავშირებული კომენტარები და ა.შ.). შესავალსა და დანართს შორის 140-გვერდიანი დღიური მოქცეულია ციხეში 1962-64 წლებში სიგარეტის ქალაქად წვრილად გაკეთებული ჩანანერებით, რომლის ციხიდან გამოტანაც მოახერხა. ჩანანერებში არ არის ნახსენები არც ნამება, არც დამცირება, არც ციხატეხი ან პოეზიები, არც კომენტარები მოთხრობებსა თუ რომანებზე, არც დაკვირვებები, შეხედულებანი, ლიტერატურული გეგმები... რომანის დედაზრის ნაწილია, ერთი მხრივ, პირდაპირი თუ ირიბი დამოკიდებულება შესავალსა და დანართს, მეორე მხრივ, შესავალსა და ციხის ჩანანერებს შორის.

იბრაჰიმის ორი რომანით დავინწყე არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ავტორი შედგა როგორც ერთ-ერთი გამორჩეული არაბი რომანისტი, არამედ იმ დროის გამოც, როცა დაინერა ეს ორი ნაწარმოები. „იმის სუნისა“ (1966) და „ალ-ვაჰათის დღიურის“ (2004) გამოცემას შორის პოლიტიკური პატიმრობის თემაზე ეგვიპტეში უამრავი წიგნი გამოიცა. უმეტესობა 1959-64 წლებში ჯერ სხვადასხვა ციხეში, შემდეგ ალ-ვაჰათში დაპატიმრებულმა მემარცხენეებმა დაწერეს. ზოგი 70-80-იან წლებზე მოგვითხრობს. შედარებით ცოტაა ისლამისტთა მიერ გამოცემული წიგნების (სადავლსა 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანის დასაწყისში დაკავებული პოლიტიკური პატიმრების ისტორია ასახული).

ეგვიპტეში გამოცემული ციხის ლიტერატურა ძალზე მოცულობითია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეგვიპტე მოსახლეობის სიმრავლით მესამე ადგილზეა არაბულ ქვეყნებს შორის, არამედ იმიტომაც, რომ 50-იანი წლების ბოლოს ამ ქვეყანაში უამრავი ინტელექტუალი დააკავეს.<sup>3</sup> დაპატიმრებულთა უმეტესობა ჟურნალისტი, პროზაიკოსი, პოეტი, არქიტექტორი, აკადემიური სფეროს წარმომადგენელი, მხატვარი თუ მსახიობი იყო. მათი წიგნები სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაიწერა, თუმცა მცირე გამოცემის ვადებში 70-იანი წლების შუახანებამდე არ გამოქვეყნებულა. სხვადასხვა ნაწარმოებში ერთი და იგივე ეპიზოდი განმეორდა, რაც საინტერესო სამუშაო კომპარატივისთვის (ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი ვასლას ამბავი იყო. დასავლეთ უდაბნოში, ალ-ფაიუმში, ალ-აზაბის ციხიდან ალ-ვაჰათის ციხეში გადაყვანისას, პატიმრებს სამხრეთ ეგვიპტის პატარა ქალაქ ალ-ვასლაში მატარებელი უნდა გამოეცვალათ. ოცდაათკაციანი ჯგუფები 15-მეტრიანი რამდენიმესაკეტიანი რკინის ბორკილით დააბეს. როდესაც პატიმრები მატარებლიდან ჩამოდიოდნენ, მატარებელი დაიძრა. ვინც ჩასვლა მოასწრო, დაეცა, ზოგმა მხარი ამოიგდო, ზოგმა ხელი მოიტეხა. კიდევ კარგი, მცველმა იარაღი გაისროლა და დროზე გააჩერა მატარებელი).

მემუარების უმეტესობაში ციხის ან იქ გატარებული ერთი ჩვეულებრივი დღის დეტალურ აღწერას ამოიკითხავთ. ნააწყობებით ნამების სცენებს, დასჯას გადარჩენილთა განცდებს. ნამების ერთ-ერთი მსხვერპლის, ჟურნალისტისა და მოძრაობის ლიდერის შუჰდი ატიას სიკვდილი დიდი სკანდალი გახლდათ, რომელიც გასცდა ეგვიპტის საზღვრებს. მას შემდეგ

შენწყვიტეს ნამება და პატიმრებს შედარებით თავისუფლად შეეძლოთ ემოძრაოთ ციხის ტერიტორიაზე. მათ ღია უნივერსიტეტი მოაწყვეს, სადაც რის ლექციები აღარ ტარდებოდა — ლიტერატურით დაწყებული (სტუდენტები ძირითადად ციხის მცველები იყვნენ), უმაღლესი მათემატიკითა და კიბერნეტიკით დამთავრებული. გამოცდებიც ჰქონდათ, დიპლომებიც და გამოსაშვები ცერემონიებიც, კედლის გაზეთებიც, ახალი ამბების სააგენტოც, ფერმაც, სამხატვრო, ქანდაკებისა თუ კერამიკის სახელოსნოებიც, მეჩეთიც და თეატრიც კი.

აქ ცოტა ხნით შეეჩერებოდა, რათა უფრო დაწვრილებთ გაცნოთ ჰაბაშის წიგნი „ყველა სეზონის პატიმარი“ (2004). ოთხმოცი წლისა იყო ავტორი, როდესაც ამ წიგნს წერდა, და სულ სხვა გამოცდილებით აფასებდა გარდასულ მოვლენებს. მას ჰქონდა არა მხოლოდ ცხოვრებისეული, არამედ მწერლური გამოცდილება — ოცდაათ წელიწადში ოცი წიგნი გამოეცა. ჰაბაშში შეეცადა ხელახლა არ დაენერა, რაც სხვებმა დაწერეს, და შემოგვთავაზა ერთგვარი სინთეზი უკვე მოთხრობილი ამბებისა და თავის სათქმელის, რაც პირადად ჰქონდა განცდილი. ის ყველა დღეების მონაწილეა. 1948-დან 1987 წლამდე ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი ეგვიპტის სხვადასხვა საპატიმროში გაატარა. მისი მონათხრობი მხოლოდ ალ-ვაჰათით ან 1959-64 წლების პატიმრობით როდი შემოიფარგლება. 1959 წელს, მის დაკავებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ოთხი წლით დაუპატიმრეს ცოლი, რომელიც პოლიტიკური აქტივისტი გახლდათ. ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთი წლის გოგონა და ორი ბიჭი, რომელთაგან უფროსი ექვსი წლის იყო. ყოველდღიური ცემისა და სასტიკი მოპყრობის გარდა, რასაც ყველა პატიმარი განიცდიდა, ჰაბაშში ერთხელ ისე განსაკუთრებულად სცემეს, კინაღამ მოკვდა. როდესაც პატიმრები ალ-ვაჰათში გადაიყვანეს, ციხის დირექტორმა უარი განაცხადა მის მიღებაზე. კაცი, რომელიც მეგობრებს ზენარზე დაწვენილი მიჰყავდათ, სიკვდილის პირას იმყოფებოდა. შესაბამისად, იგი გადაურჩა არა მხოლოდ შემდგომ ნამებას, არამედ 1975, 1979 და 1987 წლის დაკავებებს. ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს უჩივლა ნამებისთვის, რომლის კვლიც ორი ათწლეულის შემდეგაც ეტყობოდა. ალ-ვაჰათის ციხეში ყოფნისას, პროფესიით არქიტექტორმა ჰაბაშში თეატრი მოაწყო, უფრო მოკლევადიანი პატიმრობისას, 70-იან წლებში, წყლის შადრევანი ააშენა და მისი გამართვა ციხის შიდა ეზოში მოახერხა.

ორმოცწლიანი გამოცდილების თავმოყრისას ჰაბაშში წერდა: „რატომ უნდა ავაშენოთ თეატრი? მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარებას აქ ვაპირებთ?“ და იქვე აგრძელებდა: „ეს მორალური ბრძოლაა უდაბნოს, ქვიშის, გადასახლების წინააღმდეგ. ერთი საათითაც რომ გამოვიყენოთ ეს სცენა, ერთი პიესაც რომ დავდგათ, ყოველთვის ვიამაყებთ იმით, რომ ტირანის კულტურითა და ხელოვნებით ვდილით...“

ჰაბაშში ჰყვებოდა, რომ მან ქვებით რომაული სტილის რკალი-სეზური თეატრი ააშენა. საიდ იუსუფი წიგნში „პოლიტიკური პატიმრობის დღიური“ (1994) გვიხსნის, თუ როგორ მოხერხდა ეს უდაბნოში, სადაც არც ქვებია და არც მათ დასამუშავებლად საჭირო კარიერი. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მათ სპეციალური ბლენდერი — ასარევი მოწყობილობა გააკეთეს, რომლის საშუალებითაც ბლოკებს ასხამდნენ. ალ-ვაჰათის ციხის თეატრი 1962 წელს თეატრის საერთაშორისო დღეს გაიხსნა. რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო, მათ შორის ერთ-ერთი პატიმრის პიესა „ბაღდადეგი ბერბერი“ მოგვიანებით თანამედროვე ეგვიპტური დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშად იქცა; დაიდგა ცნობილი ჟურნალისტის სალაჰ ჰაფეზის „დოღრის ოჯახი“, რომელიც შემდეგ კაიროში, ეგვიპტის ეროვნულ თეატრშიც განხორციელდა, ასევე შექსპირის „მაკბეტი“, იბსენის „თოჯინის სახლი“, ბერნარდ შოუსა და ჟან-პოლ სარტრის პიესები. ციხის სცენაზე ასევე იმართებოდა თოჯინების წარმოდგენა და პოეზიის საღამოები.

ჰაბაშში მოგვითხრობს: „თეატრმა გარდაგვექმნა. ტიტვლები, ფეხმელები, მშვირები, გამოკეტილი ვიყავით, მავთულხლარ-

თებით, ღობითა და დაცვით გარშემორტყმულნი, მაგრამ მოვახერხებთ შეგვექმნა კულტურის, განათლების, არქიტექტურის პატარა სივრცე, სადაც, ჯოჯოხეთის შუაგულში, ადამიანურ ენერჯიას ყვავილივით ამოხეთქვის საშუალებას ვაძლევდით.“

ოცდაათი წლის შემდეგ სხვა ციხეში, აბუ ზა'ბალში გამომწყვდეულმა ჰაბაშიმ შადრევანი ააშენა. ჯერ გააკეთა პროექტი, შემდეგ ციხის უფროსობა დაარწმუნა, რომ ხელი არ შეეშალათ მშენებლობისთვის. ამიტომ მათ თვალი მოუხუჭეს ჰაბაშის ცოლს, რომელიც ციხეში ცემენტსა და სხვა საჭირო მასალას აგზავნიდა. ჰაბაშიმ შადრევანის ცენტრში ჯამბაზი მოათავსა საყვირით, ოთხ კუთხეში ჩადგმული ოთხი პატარა ქანდაკება კი მშვენიერებას, ბედნიერებას, რევოლუციასა და ცოდნას განასახიერებდა. პრობლემა რევოლუციის ქანდაკებაში კი არ გამოიწვია, არამედ ცოდნის ქანდაკებამ, რადგან აქ წარმორჩენილი იყო, თუ როგორ ითვლებოდა სამხედრო ჩექმით წიგნები. ციხის ადმინისტრაციამ წინააღმდეგობა გაუწია ჰაბაშის და ისიც იძულებული გახდა, დამორჩილებოდა. მაგრამ როდესაც მშენებლობა დასრულდა, ციხის უფროსობა შემოვიდა — ვის განასახიერებს ჯამბაზი? შადრევანის სანახავად შინაგან საქმეთა სამინისტროდან საგანგებო კომისია მოვიდა, რომელმაც, საბედნიეროდ, დაადგინა, რომ საყვირიანი მასხარა არ ჰგავდა პრეზიდენტს!

II.

მიუხედავად იმისა, რომ მაროკოს საჰაერო ძალების ახალგაზრდა სერჟანტს რაშიდ ბენაისას 3 წელი მიუსაჯეს, იგი პატიმრობის მე-11 წელს გარდაიცვალა. თაზმაშარტის ციხეში გააკეთა თავისი საკნის ჩანახატი, რომელიც ძალზე ეამაყებოდა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა ბენაისამ ჩაიჩურჩულა: „მე მინდა, რომ ეს ნახატი გასცდეს ციხის საზღვრებს და მთელი მსოფლიო მოიაროს.“

ბენაისას ფანქრით შესრულებული ნახატი ასახავს მოცუტქულ, ცარიელ სენაკს, კედლებსა და ჭერს. შუაში მუქი ჩაქეტილი კარია პატარა ღობით. მარცხნივ მცირე ზომის წყლით სავსე ჭურჭელი დგას მიწაზე, იქვეა ქვის მოგრძო სკამიც, რომელიც ალბათ დასაწოლიცაა, დასაჯდომიც და საჭიროების შემთხვევაში მაგიდასაც შეენაცვლება. ბენაისა 1983 წლის 29 ივნისს გარდაიცვალა. მისი მეგობრები კიდევ 8 წელი იყვნენ თაზმაშარტის ციხეში. გათავისუფლების შემდეგ მათ ბენაისას პირველი სურვილი შეუსრულეს — ჩანაწერები ციხის კედლებს გარეთ გამოიტანეს. 10 წლის შემდეგ აჰმად მარზუკმა შეასრულა მეორე დაპირებაც — ბენაისას ჩანახატი მარზუკის წიგნის „თაზმაშარტი; საკანი 10“ ყდაზე აღმოჩნდა და მან მთელი მსოფლიო მოიარა.

თაზმაშარტი არის ციხე მაროკოს უდაბნოში, სადაც მეფე ჰასან II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეებს ამწყვედებდნენ. აქ იყვნენ ორი ტიპის პატიმრები — 1971 წლის ივლისის ალ-სუხაირათის სასახლის მოვლენების მონაწილენი და 1972 წელს მეფის თვითმფრინავის ჩამოგდების მცდელობაში მონაწილენი. პატიმართა უმეტესობა უდანაშაულო გახლდათ. როგორც სამხედრო სასწავლებლის სტუდენტები, თავიანთი უფროსების დავალებას ასრულებდნენ მხოლოდ. მათი უფროსები შეთქმულებაში მონაწილეობისთვის მალევე დასაჯეს სიკვდილით. დანარჩენ ბრალდებულებს ორ წელიწადს უწყობდნენ დაკითხვებს, ანამებდნენ. ბევრს მიესაჯა 3, 5 ან 10 წელი. 1973 წელს 58 ბრალდებული გადაიყვანეს თაზმაშარტის ციხეში, სადაც 18 წლის განმავლობაში (1973-91) იზოლირებულად კარცერებში ისხდნენ. 58 კაციდან მხოლოდ 28 გადარჩა. გარდაცვლილთაგან ბევრი, როცა გონებას კარგავდა, პარალიზებული იყო, ან ისე ავადმყოფობდა, საკუთარ თავს ვეღარ უწვდიდა, წლებს ატარებდა სრულიად მარტო საზიზღარ პირობებში ელემენტარული სამედიცინო დახმარების გარეშე. და როცა მისი საკანი აუტანლად აქოთდებოდა, ერთ მეგობარს აძლევდნენ შესვლის უფლებას, რათა ავადმყოფს დაბანაში დახმარებოდა, მისი ოთახი დაესუფთავებინა.

თაზმაშარტის ციხის დატოვებიდან 9 წლის შემდეგ მარზუკის „თაზმაშარტი: სენაკი 10“ (2000) გამოვიდა, მას მოჰყვა მუჰამედ ალ-რაისის „სხეირათიდან თაზმაშარტამდე: ჯოჯოხეთში დასაბრუნებელი ბილეთი“ (2009), რომელიც მანამდე პერიოდიკაში იბეჭდებოდა. ორივე წიგნი ფრანგულად დაიწერა. ასევე ფრანგულ ენაზე გამოიცა პარიზში მოღვაწე მაროკოელი ფრანკოფონი მწერლის ტაჰირ ბენ ჟალუნის რომანი „სინათლის დამაბრმავებელი არარსებობა“ (2001), რომელიც თაზმაშარტის ციხის ერთ-ერთი გადაარჩენილი პატიმრის ნაამბობს ეფუძნებოდა. წიგნმა აზრთა სხვაობა გამოიწვია, კითხვები გააჩინა. ბენ ჟალუნს ეკითხებოდნენ, რატომ სდუმდა მთელი 20 წელიწადს ამ და მაროკოს სხვა საპატიმროთა შესახებ. თაზმაშარტის გახსენება „მორალურად გაუმართლებლად“ მიიჩნდათ ახლა, როცა მისით პრესაც კი აჭრელებულა.

ამავდროულად გამოვიდა მალიქს უფკირის „პატიმარი ქალი“ (1999), რომელიც უდაბნოს ციხეში დაკარგულ 20 წელზე მოგვითხრობს, და მალიქს დედის — ფატმა უფკირის „უფკირი, ჰასან II და მე“ (2000).

ბედის ირონიით, გენერალი უფკირი, რომელიც მეფის მარჯვენა ხელი გახლდათ წლების განმავლობაში — მაროკოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და შეიარაღებული ძალების თავმჯდომარე — ასევე ბრალდებული აღმოჩნდა მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში. უფკირი დახვრიტეს. მისი ცოლი, ექვსი შვილი, ნათესავი, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მათი მზარეული 10 წლით ციხეში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი 8 წლით შინაპატიმრობა მიუსაჯეს (1973-91). მათთან დაკავშირებით არც საჩივარი არსებობს, არც ბრალდება, არც სასამართლოს გადაწყვეტილება. უფკირის ოჯახს, რომელიც წარჩინებულ ფენას ეკუთვნოდა, მისი თავკაცის არალოიალური დამოკიდებულება სამეფო გვირგვინის მიმართ ძვირად დაუჯდა.

ცნობილი დესპოტი მეფე ჰასან II, რომელიც 38 წელი მართავდა მაროკოს, გარდაიცვალა 1999 წელს. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში ათეულობით წიგნი გამოვიდა მაროკოს პოლიტპატიმართა ციხის გამოცდილებაზე. ესაა თანამედროვე არაბული ლიტერატურის ცოცხალი, ცხადი, მრავალფეროვანი და მდიდარი პროდუქცია, რომელიც საგანგებო შესწავლის საგანი უნდა გახდეს. 2006 წლის აგვისტოში მაროკოს მწერალთა კავშირის ორგანიზებით გაიმართა სემინარი „ციხის ნარატივები“. ყურადღება მიექცა არა მხოლოდ ამ მასალის ლიტერატურულ ღირებულებას, არამედ თითოეულ ხმას, რომელიც ციხიდან ისმოდა. იყო მცდელობა, გამოერკვიათ, როგორც მწამებელთა, ისე დაზარალებულთა, მსხვერპლთა ფსიქოლოგია, რათა დავინყებას არ მისცემოდა მაროკოს ისტორიის ეს ბნელი ხანა. წარმოდგენა რომ შეგექმნათ სულ ექვს წელიწადში დანერვილი წიგნების რაოდენობაზე, გეტყვით, რომ ამ საგანგებო სემინარზე 15 მოხსენება წაიკითხეს, თითოეული ერთ, ორ ან მეტ ციხის ნარატივს ეხებოდა (გასაგებია, რომ განსახილველ წიგნთა სიაში არ მოხვდა უფკირთა წიგნები, რადგან მათი ორი ავტორი არაფერს აღნიშნავდა უფკირთა პასუხისმგებლობაზე უამრავი მოქალაქის წამების, დახვრეტის, გატაცების გამო მაშინ, როცა იგი ხელისუფლებაში იმყოფებოდა).

ციხის წერილობით ლიტერატურას უამრავი ადამიანის, თვითმხილველის, მოწმის, ოჯახის წევრთა მონაყოლი ემატება. ახალმა მეფემ მუჰამად VI-მ 2004 წელს შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც ჩადენილი სისასტიკის ფაქტები უნდა შეესწავლა. ოფიციალური მონაცემებით, კომისიამ 22 000 მოწმის ჩვენება მოისმინა.

მაროკოელი ჟურნალისტი მუჰამად ბუდჰანი თაზმაშარტზე დაწერილი ერთ-ერთი ბოლო წიგნის მიმოხილვაში პოპულარულ მაროკოულ გამონათქვამს იშველიებს: ეს რომ ეშმაკს მოესმინა, ყურებს დაიცობდაო. ამის მოსმენა, ამის ატანა შეუძლებელია, მაგრამ იქნებ შესარგებლად სწორედ ესაა აუცილებელი.

III.

1948-2008 წლებში — ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან დღემდე — პოლიტიკური პატიმრობა 800 000-მა პალესტინელმა გამოსცადა. ეს პალესტინის მოსახლეობის 25%-ს შეადგენს. მარტო 2000 წლის შემდეგ 42 000 პალესტინელი დააკავეს (აქ არ ვგულისხმობთ დასაკითხად დაჭერილ, სამხედრო პოსტებზე, საზღვრის გადალახვისას, ისრაელის დასახლებებსა და პოლიციაში დაკითხულებს). ამჟამად ისრაელის 30 ციხეში დაახლოებით 11 000 დაკავებული, პოლიტპატიმარი იმყოფება. იმ პატიმრების საერთო რაოდენობამ, რომლებიც უკვე თითქმის 10 წელია ციხეში არიან, 420-ს გადააჭარბა. ისრაელის საპატიმროებში მოხვედრილი 11 000 პატიმრიდან 356 ბავშვია (18 წლამდე), 118 ქალია, 4 — მინისტრი და 34 — პალესტინის პარლამენტის წევრი (მათ შორის, სპიკერი). 2002-8 წლებში საპატიმროში 72 ადამიანი გარდაიცვალა, აქედან 3 ნამებით, 17 — სასწრაფო სამედიცინო დახმარების უქონლობით.

მიუხედავად ამისა, პალესტინური ციხის ლიტერატურა არ არის ისეთი სოლიდური და მრავალფეროვანი, როგორც სხვა არაბული ქვეყნების. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ დაკავებულთა უმეტესობა ახალგაზრდაა, წესიერად წერა-კითხვაც არ იცის. ან იქნებ იმიტომ, რომ ოკუპაციის წნეხი ციხიდან გამოსვლის შემდეგაც მოქმედებს და ართულებს გულწრფელად წერის საქმეს. არ ვიცი... ამაზე არ გამაჩნია კონკრეტული პასუხი. არსებობს ციხის თემაზე ბევრი ლექსი, ჩანაწერი, ახალგაზრდა მოყვარულ ავტორთა მიერ დაწერილი მცირე ზომის პროზა, რომანი, რომელთა ნახვა ინტერნეტშიც შეიძლება. თუმცა პალესტინელთა გამოქვეყნებული წიგნები შედარებით ცოცხალია. მათ შორის გამოირჩევა აიშა აუდას „ოცნება თავისუფლებაზე“ (2004). აუდა დააკავეს 1969 წლის მარტში, როცა 25 წლისა იყო, და 10 წელი ციხეში გაატარა. მან აიტანა ყველა შესაძლო ფორმა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფისა: გინება, ვერბალური ტერორი, ცემა, მუქარა — გცემთ, ვიდრე დაბრმავდებოდეთ, მოკვდებით, ავაფეთქებთ დედაშენის სახლსო, ყველა შენმა მეგობარმა მოგვანოდა შენზე ინფორმაციაო... ყოველი დაკითხვის შემდეგ ნახევრად გონწასულს მიათრევდნენ საკანში, სახეჩაღურჯებული ხელ-ფეხს ძლივს მიათრევდა, ზენარსა და ბალიშზე შეხებითაც კი სტიკოდა ყველაფერი. ბოლო დაკითხვისას გააშიშვლეს და გააუპატიურეს კიდევ.

32 წელი დასჭირდა აუდას, რომ თავისი ციხის გამოცდილების შესახებ დაენერა. წიგნის მეორე გამოცემის ბოლოს პატარა მინაწერია, სადაც ხაზს უსვამს, თუ როგორ გაუჭირდა ტანჯვის გახსენება. პირველი გამოცემის შემდეგ სამი წელი იყო გასული, როცა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ჰკითხეს ციხეში წამების შესახებ: „მივხვდი, რომ ჯერ არ ვიყავი მზად. არ შემძლო პასუხის გაცემა. მომდევნო დღეს 8 საათზე ავდექი და მთელი საათი ვტიროდი, ვერ ვაგჩერდი. ისევ სისხლისგან ვიცლებოდი. 35 წლის შემდეგ ჩემი ჭრილობა ისევ ღია იყო.“

აუდას მონათხრობის ძირითად ნაწილს დაპატიმრებისა და დაკითხვების აღწერა წარმოადგენს. ციხის ყოველდღიურ ყოფაზე, მეგობრებთან, სხვა პატიმრებთან ურთიერთობაზე ბოლო, შედარებით მოკლე თავშია მხოლოდ ყურადღება გამახვილებული.

ლიბანელი ახალგაზრდა მწერალი ქალი სოჰა ბაშარა, რომელმაც ასევე 10 წელი გაატარა ალ-ხიამის საპატიმროში, განსხვავებულ სტრატეგიას ირჩევს წიგნში „რეზისტანსი“ (2000). დეტალურად აღწერს ციხეს, მის ისტორიას, ადგილმდებარეობას, განსხვავებულ შენობებს, საკნებს. ისიც აღწერს დაკითხვის პროცედურას, წამებას, სადამსჯელო ღონისძიებებს, ყოველდღიურ რუტინას, საჭმელს, ტანსაცმელს... და კიდევ — პატიმრების მიერ იმპროვიზებულ წინააღმდეგობის (რეზისტანსის) უამრავ ფორმას... შესანიშნავად წარმოგიდგენს ალ-ხიამის ციხის ყოფის დეტალებს, იმ ციხისა, სადაც „არ არის სამართალი, სასამართლო პროცესები, არ არიან მოსამართლეები და ადვოკატები. ალ-ხიამის საპატიმრო ცენტ-

რში გამომწყვდეულნი არიან უჩინარნი, არაღიარებულნი და უბრალოდ ცოცხალთა რიგებში არარსებულნი.“

ბაშარა 21 წლისა დააპატიმრეს. არ გაუუპატიურებიათ, თუმცა სცემდნენ და ელექტროსკამზე აწამებდნენ. ისეთ ვინრო საკანში იჯდა, კედლიდან კედლამდე ოთხ ნაბიჯს ძლივს ადგამდა. მისი „რეზისტანსი“ ერთ-ერთი ფორმა კარგი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის შენარჩუნება იყო. დღეში ოთხ კილომეტრს გადიოდა საკანში, თანაც ისე, რომ თუ ფრთხილად არ იქნებოდა, თავს აისატყამდა ან სხეულს დაიზიანებდა ამ ციცქნა სათავსოში ათასჯერ შემობრუნებისას.

ბაშარა 1996 წელს გაათავისუფლეს, როცა ისრაელის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ლიბანის გათავისუფლებიდან ოთხი წელი გასულიყო. ალ-ხიამის ციხე ღია მუზეუმად იქცა, სადაც შეგვძლოთ დაგეთვალიერებინათ, რა საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ ქალები და ბავშვები. 1X1,80მ. საკნებსა და 90სX90სმ. ყუთებში პატიმრები დღეობით ჰყავდათ გამომწყვდეული. 2006 წელს ნოამ ჩომსკიმ მოინახულა ალ-ხიამი და ის გუანტანამოს შეადარა, რის შემდეგაც სრულიად გასაგებია, რომ ისრაელმა ლიბანთან 2006 წლის ივლის-აგვისტოს ომის დროს სრულიად დაბოძა ალ-ხიამი. ეს ადგილი ახლა მინასთან გასწორებულია. მხოლოდ ნანგრევები, ქვები და მოგონებანი დარჩა.

ვიდრე დავასრულებდე, პატარა შენიშვნას დავურთავ: ფუკოს შესანიშნავი შენიშვნა წიგნში „დისციპლინა და სასჯელი“ იმის თაობაზე, რომ სხეული — როგორც სადამსჯელო რეპრესიის ძირითადი სამიზნე — დასჯის ახალმა ეკომონიამ ჩანაცვლა, რეალურად არ აისახება პლანეტის იმ ნაწილზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ (აშშ-ის ერაყში შესვლის შემდეგ, როგორც ჩანს, არც სხვა ნაწილებზე). ჩვენთან, თუ ჩემი ერთ-ერთი ბოლო რომანიდან ამონარიდს წავიკითხავთ, „ძალაუფლება ფარისეველ, ეშმაკ მუყაით მოხუც ქალს ჰგავს, რომელსაც არ ეხალისება რამის გადალაგება“. ის ძველ ინტერუმენტებსა და საშუალებებს იყენებს ახალთან ერთად, რიგობით ხმარობს მათ. წამების, სხეულის დაზიანების ძველი ტექნიკოლოგია დღესაც ძალაშია.

1961 წლის დეკემბერში პაბლო პიკასომ თავისუფლები-სათვის მებრძოლი ალჟირელი ქალის ჯამილა ბუფაშას პორტრეტი დახატა. ის ქალი საფრანგეთის საოკუპაციო ჯარმა დაატყვევა, აწამა და გააუპატიურა. მისმა ადვოკატმა გისელ ჰალიმიმ მასზე წიგნი დაწერა. ყდაზე პიკასოს პორტრეტი გამოსახული, წინასიტყვაობა სიმონა დე ბოვუარს ეკუთვნის.

პიკასოს არ დაუხატავს პალესტინელ ან ლიბანელ პოლიტპატიმართა პორტრეტები. არც „გერნიკა“ დაუხატავს ალ-ხიამის, თიზმამართის, ალ-ვაჰათის მოსაგონრად. მაგრამ ჩვენ გვაქვს პატიმართა ნაწერები. ფაქტობრივად, ესაა უზარმაზარი ტილო, რომლის ყოველი დეტალისთვის სისხლითა და ოფლით გადაიხადეს. ეს არის არა ერთი ინდივიდის, არამედ იმ კოლექტიური გენიის მიერ შექმნილი „გერნიკა“, რომელმაც ჯოჯოხეთი გამოიარა და იქიდან გამარჯვებული გამოვიდა. გამოვიდა არა რეპრესირებულის გრძნობით, არამედ როგორც ტრიუმფატორი. ჰაბაშის რომ დავესესხოთ — ეს არის ცხადი მაგალითი, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს შუაგულ ჯოჯოხეთშიც კი ყვავილები გაახარონ.

ინგლისურიდან თარგმნა ნინო დოლიძე

- 1. კლასიკური სალიტერატურო არაბული ენა, რომელზეც დაიწერა ყურანი.
- 2. კლასიკური არაბული საზომით დაწერილი ლექსი.
- 3. მარტო 1959 წლის ცნობილი კამპანიისას ასობით ადამიანი აღმოჩნდა ციხეში. 1958 წლის 31 დეკემბერს გამოცემული სამხედრო დირექტივის, ბრძანების თანახმად, 169 კაცი დააკავეს. მარტში გამოიცა მეორე ბრძანება 436 ადამიანის დაკავების შესახებ.

ეკატერინე ტუკვაძე

# სამშობლო — გვანცა ჯობავას თვლით

ერთხელ, როცა შინაურთა წრეში საზღვარგარეთ ქართველების მასობრივ გადინებაზე ვსაუბრობდით, გულწრფელი გაცხადებით ვიკითხე: ნეტავ სხვა ქვეყანაში თავი ბედნიერად როგორ უნდა ვიგრძნო და სამუდამოდ რა ძალამ უნდა გამაძლებინოს-მეთქი. უცხოეთში საცხოვრებლად წასულთა შორის, ცხადია, მაშინ ის ადამიანები არ გამიკიცხავს (ან, რა უფლება მქონდა, გამეკიცხა!), რომლებსაც სამშობლოს დროებით თუ სამუდამოდ მიტოვება პოლიტიკურმა რეპრესიებმა, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობამ, გაუსაძლისიმა ეკონომიკურმა სიდუხჭირამ თუ სხვა ობიექტურმა მიზეზებმა აიძულა. თუმცა, ჩემდა გასაოცრად, ჩემმა უახლოესმა და ლამის ბავშვობიდან თანშეზრდილმა ადამიანმა მაშინვე მკვახედ მომიჭრა, ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ ფული არ გაქვს და კარგად იცი, რომ საზღვარგარეთ ვერც დროებით და ვერც სამუდამოდ მაინც ვერ ნახვალ; აბა, საშუალება გქონდეს, თუ არ ნახვიდოდო.

სახტად დავრჩი. ამ სიტყვებს ის ადამიანი მიუზნებოდა, რომელსაც, წესით, ყველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა, თუ რა ღირებულებებით ვყავდი ჩემს მშობლებს ნასაზრდოები და რა ადგილი ეკავა პატრიოტიზმს ჩვენს ოჯახში. დღემდე არ მესმის, რამ გააღიზიანა ასე მაშინ ჩემი მეგობარი (მითუმეტეს, რომ ოჯახის არცერთი წევრი უცხოებაში არ ჰყოლია), ის კი ფაქტია, რომ მას შემდეგ სამშობლოდან გადახვეწაზე ჩემი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საჯაროდ არსად — არც მეგობრებისა და არც ახლობლების წრეში — გამოიხატავს. გამოგიტყდებით და, ერთგვარი კომპლექსიც კი ჩამომიყალიბდა — სადაც ჩემმა ახლობელმა ასე არასწორად გამიგო და დამტუქსა, უცნობები ალბათ ჩამქოლავნემეთქი. ესეც არ იყოს, რა ვიცი, ვის რა გასაჭირი ადგემეცინებს ნაბიჯს უცხო მიწისკენ, ვინ რა განსაცდელის წინაშე დააყენა ცხოვრებამ და ჩემმა თუნდაც გულწრფელმა, უბოროტო გაიკიცხვამ გული ზედმეტად რატომ უნდა ჩაუკლას-მეთქი.

თუმცა ვერც მაშინ, ვერც ახლა და ვერც მომავალში შევეგუები იმ საზარელ რეალობას, რასაც ქართველების განსამშობლოს დაცლა ჰქვია და გულის სიღრმეში სამდურავი მაინც დამცდება იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც მამულს ზურგი მხოლოდ უკეთესი ცხოვრების საძიებლად შეაქციეს.

სწორედ ეს ამბავი გამახსენა გვანცა ჯობავას დოკუმენტურმა ნოველამ „ქართველი ემიგრანტები და ჩვეულებრივი ანუ არაჩვეულებრივი ადამიანების მსოფლიო“, რომელიც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ წლებადღებულ 2-ში გამოქვეყნდა.

პირველი, რითიც ავტორმა მომხიბლა, ის არის, რომ მან ფაქტობრივად ჩემი გულისნადები გადმოსცა და, ჩემგან განსხვავებით, ფართო აუდიტორიისათვის მისი საჯაროდ გამომზეურებისათვის შესაძლებელი გამბედაობა და შემოქმედებითი სითამამე გამოიჩინა. ვინ იცის, გაჭირვების ჟამს სამშობლოში, მის მხარდამხარ დარჩენილი რამდენი ქართველის გულისტკივილს ეხმიანება გვანცა ჯობავა, როცა წერს: „...ან ნეტავ სხვა ქართველები როგორ ცხოვრობენ თურქეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, ამერიკაში და სად აღარ, მომვლელებად, მოსამსახურეებად რომ უდგე-

ბიან უცხოელებს, თუნდაც ჩემი უზნისა და სხვა უზნების უსაქმური კაცების ცოლები როგორ არიან, ქმრებმა რომ სიხარულით გაისტუმრეს საზღვარგარეთ და თვითონ კი ოცდაოთხი საათი ბირჟაზე დგანან და ცოლების გამოგზავნილი ფულით სვამენ, იჩხირავენ, მეძავეებში დადიან. ან ის პატარა ბიჭები, ქართველი ბიჭები — არაღვალურად საზღვრიდან საზღვარზე რომ გადადიან, მერე რომელიმე ქვეყნის სუპერ-მარკეტიდან პროდუქტები რომ მოიპარონ ხოლმე და ამით განსაკუთრებით თურქეთში გაითქვეს სახელი, ან ის უცხოეთში სხვადასხვა, თუნდაც საქმიანი მიზეზით მცხოვრები ქართველები როგორ არიან, ხელისუფლებისაგან, ჩინოვნიკებისაგან გაძარცვული, მრავალბუნდურება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებგამოვლილი საქართველო ხელებში რომ შეგვატოვეს, წლების წინათ უკანმოუხედავად წავიდნენ და ახლა იქიდან ჩვენი მოუწყობელი და „უკულტურო“ ქვეყნის გამო თითს გვიქნევენ და საყვედურებსაც არ იშურებენ ჩვენი მისამართით“.

ახალგაზრდა ავტორი საქართველოში მცხოვრებ იმ ქართველებსაც ახსენებს სინანულით, სამშობლოს მიტოვება „ბრმად, გაუაზრებლად, ყოველგვარი გეგმების გარეშე რომ აუკვიატებიათ და ჰგონიათ, უცხოეთში ვინმე ტყუილურალოდ აავესებს ევროებით“.

გვანცა ჯობავას ყურადღების მიღმა არც ის მოდური, უსულგულო, ე.წ. ლიბერალური დამოკიდებულება რჩება, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ რომ ჩამოუყალიბდა. იგი გულისტკივილით საუბრობს იმ მოდასაყოფილ მოქალაქეებზე, რომლებმაც „მართლმადიდებლური რელიგია სად მოისროლონ და რომელ კუთხეში მიჩურთონ, აღარ იციან“. ასეთთა გამო-საფხიზლებლად კი მეტყველი მაგალითი იმავე ევროპის ცხოვრებიდან მოჰყავს, რომლის მოშველიებითაც მოჰყვებიან ხოლმე თანამედროვე ქართველები თავის მართლებას. გვანცა ჯობავა შუაგული რომის სასტუმროში საკუთარ ნომერს იხსენებს, სადაც საკმაოდ დიდი ზომის ღვთისმშობლის ხატი დაუკიდიათ, ვერანდაზე კი ღვთისმშობლისავე კათოლიკური ქანდაკებები დაუდგამთ.

„ჰოდა, ახლა უცებ წარმოვიდგინე, ეს რომ საქართველოში რომელიმე სასტუმროში გაეკეთებინათ, რა ამბავი ატყდებოდა, მაგალითად, ასეთი ტექსტებით — იქნებ სასტუმროში ირანელი ისვენებს და როგორ უყუროს ამ ხატს და ა.შ. რომში კი ალბათ ამას აღიქვამენ როგორც მათი კულტურის ნაწილს, რომლითაც ამაცობენ და მორჩა“, — მოკლედ მოჭრის სათქმელს ახალგაზრდა პოეტი იმ „გამოსულ“ თანამემამულეთა მისამართით, რომლებსთვისაც ეროვნულ-რელიგიური ტრადიციებისა და ღირებულებათა დაცვა ლამის საჩოთირო, უხერხულ თემად ქცეულა.

ავტორი აქვე დემოკრატიის „დამცველთა“ დასამშვიდებელ სიტყვებსაც გამოიმეტებს: „არა მგონია, ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვიყოთ, სადაც ყველაფერი თავდაყირა დგას და რომ სხვაგან ეს „ყველაფერი“ ხუთიანზე იყოს მოგვარებული“.

ქართულ პერიოდულ გამოცემებში სამოგზაურო რეპორტაჟები მრავლად იბეჭდება, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ყოფასა და უცხო გარემოში მოხვედრილ ქართველ ავტორთა მდიდარ შთაბეჭდილებებსაც დეტალურად გაცნობობართ, მაგრამ გვანცა ჯობავას ჩანანური სხვათაგან ჩემთვის მაინც იმის თამამად საზგასმით გამოიჩინა, რომლის საჯაროდ გამხელასაც, ზემოთ ხსენებული მიზეზით, ავტორ უკვე რამდენი ხანია, ძალდატანებით ვერიდებოდი: სამშობლო ყველაზე ლამაზი, ძვირფასი და საყვარელია და უკეთესი ცხოვრების საძიებლად მისი მიტოვება, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია.

ალექსანდრე თვარაძე

# ქართული მთარგმნელობითი საქმის მოაზარებელი

(ქალბატონი დალი ფანჯიკიძის დაბადების დღის აღსანიშნავად)

23 მარტს 77 წელი შეუსრულდა გამორჩეულ ქართველ მთარგმნელს და ლიტერატურათმცოდნეს, ქალბატონ დალი ფანჯიკიძეს. როგორც ქალბატონი დალის უმცროსმა კოლეგამ, მინდა უურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან განსაკუთრებული სიყვარულით, მოკრძალებით და პატივისცემით მივულოცო მას დაბადების დღე.

თავიდან მკითხველს მოკლედ შევახსენებ რამდენიმე ფაქტს ქალბატონი დალის უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მთარგმნელობით-შემოქმედებითი მოღვაწეობიდან. როგორც კარგად არის ცნობილი, ქალბატონმა დალიმ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანულენოვანი ლიტერატურის ქართულად თარგმანში. აქ შეიძლება გავიხსენოთ გერმანული ორიგინალებიდან ქართულად შესრულებული ბრწყინვალე თარგმანები: თომას მანის „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ყალბაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“; მაქს ფრიშის „Homo Faber“, „ვიქნები თუნდაც განტენბანი“; ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვენებანი“; გოეთეს „პოეზია და სინამდვილე“; ჰერმან ჰესეს „ფიქრი და განსჯა“; სიბილე ბერგის რომანი „ნორას ში“; რაინერ მარია რილკეს, ინგებორგ ბახმანის, ჰაინრიხ ბიოლის მოთხრობები და მრავალი სხვა. გარდა ამისა, ქალბატონ დალის ეკუთვნის ქართული თარგმანის თეორიისათვის ფუძემდებლური ნაშრომები (მაგალითად: „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“; „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“; „ენა, თარგმანი, მკითხველი“; „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“), რომლებიც უკავშირდება თარგმანის ზოგად თეორიას, თარგმნის პროცესს და თარგმანის ინტერპრეტაციას თანამედროვე თეორიებში, მთარგმნელობით პრინციპებს, სტილისტურ საკითხებს, სტილის ეკვივალენტობის პრობლემას, თარგმანის ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ, თარგმანზე მუშაობის შემეცნებით თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, თარგმანის შეფასების კრიტერიუმებს და თარგმანის კრიტიკას, უცხო ენებიდან ქართულად შესრულებულ თარგმანებს, ქართული პოეტური და პროზაული თარგმანის, თანამედროვე ქართული თარგმანის განვითარების ტენდენციებს, გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებით სტილისტიკას, ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესს ქართული თარგმანის ისტორიაში, ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და მრავალ სხვას.

აქვე მინდა მოკლედ შევეხო კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც განხილულია ქალბატონი დალი ფანჯიკიძის ნივთებში. თავს მოვუყრი იმ კონკრეტული დებულებების ნაწილს, რომლებიც ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა ქალბატონი დალის ნაშრომებიდან, შემოქმედებითი და მთარგმნელობითი საქმიანობიდან. აღნიშნულ დებულებებს დავაჯგუფებ კონკრეტული საკითხების მიხედვით.

**თარგმანის თეორია (თარგმანის თეორია და პრაქტიკა, „განათლება“, 1988; თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, „განათლება“, 1995; ენა, თარგმანი, მკითხველი, „საგამომცემლო სახლი თბილისში“, 2002).** მთარგმნელისთვის ამოსავალი წერტილია, რას ფიქრობს დედნის ავტორი სინამდვილეზე, სინამდვილესთან დამოკიდებულებას როგორ მოდელს გვთავაზობს, რადგანაც მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან პირდაპირი დამოკიდებულება

არა აქვს. როდესაც მთარგმნელი სათარგმნ ნაწარმოებს ირჩევს, ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მას მოსწონს ან აინტერესებს რეალობასთან დამოკიდებულების ეს კონკრეტული მოდელი, რომელსაც ესა თუ ის ნაწარმოები გვთავაზობს. თუმცა არ არის აუცილებელი, აღნიშნული მოდელი ზუსტად ემთხვეოდეს ცოცხალ სინამდვილესთან მთარგმნელის, როგორც პიროვნების და შემოქმედის, დამოკიდებულებას. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არამარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა სამყარო, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ღირებულებები. ამიტომ თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა, თარგმანი არის ორი სტრუქტურის სინთეზი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული. გარდა ამისა, თარგმანში აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს უცხო კოლორიტი. რადგან მხატვრული ნაწარმოები აღბეჭდილია კონკრეტული ხალხის ეროვნული კოლორიტით. თარგმანი არის შემოქმედება, რომელიც შენწყვეტს ფილოლოგიურ შრომასთან. თარგმანის ენის დონეზე გამართვის უნარი გარკვეული ტექნიკაც არის, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ყოველმა სერიოზულმა მთარგმნელმა.

**თარგმანის ენა, მთარგმნელის სტილი (თარგმანის თეორია და პრაქტიკა).** ინდივიდუალური სტილი მწერლის საკუთრებაა. მთარგმნელს მხოლოდ იმის უფლება აქვს, გამოამყვანოს ამ სტილის ობიექტურად შესაძლებელი სიზუსტით რეპროდუქციის ინდივიდუალური უნარი. მთარგმნელს უხდება კულტურათა განსხვავებებს შორის წინააღმდეგობის მორიგება, რათა არ წარმოიქმნას კონფლიქტი მოქმედების ადგილსა და მთარგმნელის მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებებს შორის. ამისთვის თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აგრეთვე თარგმანის ენის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენასთან. მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა, როგორც თვისებრივად განუმეორებელი კატეგორია და ის არ შეიძლება იყოს სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკური ნარევი. თარგმანი არის ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი, ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამოამყვანების შედეგი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ მთლიანობად არის ქცეული. მთარგმნელი ასევე შემოქმედია და მასაც, ცხადია, აქვს თავისი ინდივიდუალობა. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სათარგმნი მასალის შერჩევაში. მთარგმნელს შეუძლია სწორად განსაზღვროს, რომელი ლიტერატურული ნაწარმოები აამაღლებს მკითხველის გემოვნებას, მიიწვიდეს მას რაღაც ახალს და წვლილს შეიტანს მის სულიერ განვითარებაში.

**თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები (თარგმანის თეორია და პრაქტიკა; თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა).** ყოველ თარგმანში არის ფილოლოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი შრომის წილი, ოღონდ ნაწარმოების უნარისა და სტილის მიხედვით მათ შორის შეფარდება იცვლება. ასევე იცვ-

ლება ეს შეფარდება თარგმანზე მუშაობის სხვადასხვა პერიოდშიც, სათარგმნი მასალის შერჩევა იქნება ეს, დედნის შესწავლა თუ თარგმნის პროცესი. მთარგმნელის პროფესიონალიზმი გულისხმობს სხვადასხვა კომპონენტს: უცხო და მშობლიური ენების საფუძვლიან ცოდნას, ზოგად განათლებას, ლიტერატურულ გემოვნებას, მკითხველის ინტერესის ამოცნობის ალღოს. სათარგმნი მასალის შერჩევისას მთარგმნელისთვის განმსაზღვრელი უნდა იყოს შემდეგი საკითხები: რამდენად მნიშვნელოვანია რომელიმე უცხო ნაწარმოები თავისი შინაარსობრივი და მხატვრული ღირებებით მისი ერის კულტურული განვითარებისათვის, შესწევს თუ არა მას ძალა დედნის ტოლფასი მხატვრული მთელი შექმნას მშობლიურ ენაზე. მთარგმნელის ინტელექტუალურ არსენალში ნაწარმოების სახით დევს იმ ქვეყნის ფილოსოფიის, ისტორიის და ლიტერატურის ცოდნა, რომლის ენასაც არის დაუფლებული და რომელი ენიდანაც თარგმნის. მაგრამ მთარგმნელმა სათარგმნი მასალის შერჩევის პროცესში მაინც უნდა შეისწავლოს დედნის ავტორის მთელი შემოქმედება, მისი მსოფლმხედველობა, მოიძიოს სათარგმნი მასალის ისტორია, დაადგინოს აღნიშნული ნაწარმოების მიმართება მწერლის მთელ შემოქმედებასთან თუ მისი მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის ან მწერლის მშობლიური ქვეყნის ლიტერატურის კონტექსტში. რაც შეეხება მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებას, ის ყალბდება მისი ფილოლოგიური განსწავლისას. სათარგმნი მასალის ანალიზისას გაიაზრება ნაწარმოებისგან მიღებული მთლიანი შთაბეჭდილება, ხოლო შემდეგ ხდება მისი დანაწევრება, ყოველ სტილისტურ ხერხს, ყოველ მხატვრულ კომპონენტს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა: მაგალითად, მაღალფარდოვნებას და სისადავეს, მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი ავტორის დამოკიდებულებას, მრავალსიტყვაობას და ლაკონიურობას, რიტმულ სურათს. მთარგმნელი ფსიქოლოგიურადაც უნდა განეწყოს ტექსტზე სამუშაოდ, მთლიანად გაითავისოს ნაწარმოების განწყობილება, მწერლის დამოკიდებულება მოვლენების და პერსონაჟების მიმართ. მთარგმნელი წინაშე ყოველთვის დგას კითხვა, ემთხვევა თუ არა მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებანი მხატვრული ფუნქციით და ღირებულებით მწერლის მიერ შერჩეულ ენობრივ საშუალებებს. მწერალი ხშირად ქვეშეცნულად ქმნის მხატვრულ საშუალებათა სისტემას, რომლის ამოსწავაც მთარგმნელის ვალდებულებაა. მთარგმნელი განუწყვეტელი ძიების პროცესშია ორი ენის შესაყარზე. აღნიშნულ სამუშაოს მთარგმნელი უნდა ატარებდეს კონკრეტული კონცეფციის საფუძველზე, რომლის შემუშავებაც წინასწარ არის სასურველი. თარგმანში, ორიგინალისგან განსხვავებით, მეტია შემეცნებითი და არა ინტიმური ნდომის ნილი. თარგმანში სიტყვების მართებულად შერჩევისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება მიკრო ან მაკროკონტექსტს. მაკროკონტექსტში შეიძლება არც მოთავსდეს კონკრეტული ნაწარმოების ფარგლებში და მის გააზრებას მწერლის მთელი შემოქმედების გათვალისწინება დასჭირდეს. მთარგმნელი ერთგვარი ინტერპრეტატორიც არის ამ დროს, რადგან უცხო კულტურული რეალიების გადმოტანა საკუთარ ენაზე ხშირად შესაბამის განმარტებებს მოითხოვს. თარგმანზე მუშაობის ფსიქოლოგიური მხარე გულისხმობს მთარგმნელის მიერ სათარგმნი ნაწარმოების ავტორის მსგავსი გზის გავლას, რაც გულისხმობს მოვლენების, პერსონაჟების ერთნაირი თვალთვალს და გააზრებას. აღნიშნული სამუშაოს გარეშე თარგმანი დედნის მსგავს ემოციებს მკითხველში ვერ აღძრავს. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი ექსტრალინგვისტური ასპექტებიც: ისტორიული, ნაციონალური, ტერიტორიული სპეციფიკა, ავტორსა თუ ნაწარმოების პერსონაჟებთან დაკავშირებული სოციალური კონსტელაციები, ნა-

წარმოების თემა, კომპოზიცია, მწერლის მსოფლმხედველობა, ტექსტის უანრული თავისებურებანი, ნაწარმოების რიტმი, ინტონაცია, განწყობილება და მრავალი სხვა.

**თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, მთარგმნელის როლი, მთარგმნელობითი პრინციპები (თარგმანის თეორია და პრაქტიკა).** თარგმანის შეფასებისას მნიშვნელოვანია შემდეგი კრიტერიუმები: თარგმანი მაქსიმალურად ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის არამარტო შინაარსს, არამედ მხატვრულ მხარესაც; თარგმანს უნდა ეტყობოდეს თავისი ეპოქის კვალი; თარგმანში უნდა მოხდეს უცხო და მშობლიური კულტურის სინთეზი; თარგმანი უნდა ითვალისწინებდეს თავის მკითხველს, მაგრამ იმავე დროს უნდა ამაღლებდეს მკითხველის დონეს, უფართოებდეს თვალსაზრისს, ანუ მთარგმნელს კულტურტრეგერის მისიაც აქვს დაკისრებული. თარგმანში მაქსიმალური სიზუსტით უნდა იყოს დაცული დედნის სტილი. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ტიპის ნაწარმოებებს, როგორც არის თომას მანის რომანები, სადაც ყოველი სიტყვა იმგვარად ზის მცირე და დიდ კონტექსტში, ისე თვალსაჩინოდ ემსახურება აზრის გახსნას, რომ შეუძლებელი ხდება ფრაზიდან მისი ამოგდება, რაც მსგავსი ტიპის მწერლების განსაკუთრებული სიზუსტით თარგმნას მოითხოვს. მთარგმნელი ერთსადაიმავე დროს არის ინფორმაციის მიმღები და გადამცემი. თუმცა ინფორმაციის გადაცემისას ზუსტად უნდა გაითვალისწინოს, რომ წყარო ენისა და თარგმანის ენის მატარებელთა ლინგვისტური შრის გარეთ არსებული ცოდნის მარაგი ერთმანეთისგან ხშირად შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (თუ არ ჩავთვლით გარკვეულ საერთო ცოდნის მარაგს ყველა განვითარებული ენის მატარებელთან, სხვადასხვა რელიგიურ, მითოლოგიურ, ისტორიულ, ლიტერატურულ ფაქტებს). მთარგმნელი ტექსტზე მუშაობისას აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს როგორც ლინგვისტურ, ასევე ლიტმცოდნეობითი ანალიზის მეთოდებს.

**გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკა (თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა).** უაღრესად სასურველი იქნება, რომ გერმანული ენიდან მთარგმნელებმა გაითვალისწინონ გერმანული და ქართული ენების ის კონკრეტული სტილისტური წინარე მონაცემები, რომლებსაც ქალბატონი დალი ფანჯიკიძე ორივე ენის დეტალური შედარებითი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს თავის ნაშრომში. მაგალითად, გერმანული ენის ზოგადსტილისტური სახის განმსაზღვრელია: ნაცვალსახელთა სიტყვები; ინფინიტიური კონსტრუქციების მრავალფეროვნება; პასიური ფორმების ხმარების მაღალი კვანტიტატიური მაჩვენებელი; მარტივი გავრცობილი წინადადების დიდი ტევადობა; წინადადების რიტმული-ინტონაციური მხარის მონესრიგება მეორეხარისხოვანი წევრების ხარჯზე. ქართული ენის ზოგადსტილისტურ სახეს კი აყალიბებს: ნაცვალსახელის სიმცირე და მისი ძირითადად სტილისტური მიზნით გამოყენება; აქტიური კონსტრუქციების სიტყვები; ზმნის პირიანი ფორმების დომინანტური როლი; კომპაქტურობის მიღწევის მიზნით მიმღობათა მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება; წინადადების რიტმულ-ინტონაციური მხარის მონესრიგება ზმნა-შემასმენლის ხარჯზე.

**ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი ქართული თარგმანის ისტორიაში (ენა, თარგმანი, მკითხველი).** ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღამიანმა საკუთარ ენაზე შეიძინოს ცოდნა. ამიტომ მთარგმნელის როლი განუზომლად მნიშვნელოვანია კონკრეტული ერის ცნობიერების ფორმირებაში. აღნიშნული კუთხით განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ქართული ნათარგმნი ლიტერატურის ისტორიისათვის XIX-XX საუკუნეები, როდესაც ჯერ იწყება და შემდეგ ინტენსიურად გრძელდება ევროპული ენებიდან თარგმნის პროცესი (ამ მხრივ ქართული თარგმანის ტრადიციამ გააგრძელა შუა საუკუნეთა ტრადიცია, როდესაც ბერძნულიდან ითარგმნებოდა სასულიერო თუ საერო ხასიათის ნაწარმოებები). XIX საუკუნიდანვე მკვიდრდება ევროპული ორიგინალებიდან თარგმნის ტრადიცია. დღის წესრიგში დგება დედნის არამარტო შინაარსის, არამედ სტილის გადმოტანის გზების ძიების საკითხი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დასაწყისიდან. ევროპეიზმისკენ სწრაფვა აგრეთვე გამოიხატება დასავლური, ევროპული მეტყველების სტილის, ინტონაციის დამკვიდრებით ქართულ ნათარგმნი ლიტერატურაში. ევროპეიზმი ერთგვარად დაუპირისპირდა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში გავრცელებულ აღმოსავლურ ინტონაციებს.

**ქართული ჟურნალ-გაზეთები, თანამედროვე ქართული სამწერლო სტილი და ენა (ენა, თარგმანი, მკითხველი).** 90-იანი წლების დასაწყისიდან ქართული სასაუბრო ენა ოთხი-ხუთი ენის აქტიური გავლენის ქვეშ არის, რაც, ბუნებრივია, სასაუბრო თუ ჟურნალ-გაზეთების ენაზეც აქტიურად აისახება. ყოველ ეპოქას გააჩნია თავისი სტილი. მრავალი ინდივიდუალური სტილის მიუხედავად, ეპოქის სამეტყველო სტილი იმ ზოგადი ნიშნებითაც ხასიათდება, რაც ერთ ეპოქას მეორისაგან გამოარჩევს. თუ ჩვენს ეპოქას ამ პოზიციიდან შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ დღევანდელი მეტყველება, თუნდაც სულ ახლო წარსულთან შედარებით, სისადავითა და ლაკონიურობით გამოირჩევა. თუმცა მასობრივი მედიების ენას ყოველთვის ახასიათებდა ტრაფარეტების, შტამპების, კალკების სიუხვე, რომლებიც უცხო მასალის ოპერატიულად თარგმნის პრობლემაში წარმოიქმნება, შემდეგ მათი უმრავლესობა მკვიდრდება ენაში და ე. წ. საგაზეთო ფუნქციურ სტილსაც ქმნის. ამ გლობალურ პროცესს ვერცერთი კულტურული ენა ვერ გაექცევა. მაგრამ ყოველი კულტურული ენა ცდილობს მეტად თუ ნაკლებად არ მოექცეს რომელიმე სხვა ენის ზეგავლენის ქვეშ. თუმცა ქართული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ქალბატონი დალი ფანჯიკიძე, გადამეტებული პურიზმი არ უნდა იყოს გამართლებული. უცხო წეს-ჩვეულებებს, უცხო ჩაცმულობას თავისივე სახელწოდებები მოჰყვება და უკლებლივ ყველაფერის საკუთარი სიტყვებით შეცვლა ვერც მოხერხდება.

**ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი, ქართული თარგმანის პანორამა (ენა, თარგმანი, მკითხველი, „საგამომცემლო სახლი“, 2002; ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005).** აგრეთვე სავსებით მართებულია ქალბატონი დალის შენიშვნა, რომ ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში ჩვენ ვართ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაინც მიმდებარე ვართ. რადგან გაცილებით მეტია გერმანულიდან ქართულად ნათარგმნი ლიტერატურულ ნაწარმოებთა რაოდენობა. ქართული ლიტერატურის გამორჩეული ძეგლები მართალია გერმანულად ითარგმნება, მაგრამ საქართველოში გერმანული ლიტერატურის მდგომარეობისაგან განსხვავებით, ისინი, მცირე გამოჩაყლისთა გარდა, სამწუხაროდ იშვიათად აღწევენ მასობრივ მკითხველამდე. რაც შეეხება გერმანულენოვანი ლიტერატურის თარგმნას საქართველოში, ის იწყება XIX საუკუნის შუა ხანებიდან. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოვანესი გერმანულენოვანი მწერლების მთავარ ნაწარმოებთა საკმაოდ დიდი ნაწილი ქართულად თარგმნილია. ქალბატონი დალი მონოგრაფიაში



დალი ფანჯიკიძე და ალექსანდრე თვარაძე

„ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“ მკითხველს სთავაზობს მსოფლიოს სხვადასხვა ენებიდან ქართულ ენაზე შესრულებული მხატვრულ თარგმანთა უაღრესად საინტერესო მიმოხილვას. იქვე მართებულიად აღნიშნავს, რომ ქართული თარგმანის ისტორიის დაწერას ნამდვილად მრავალი მკვლევარის შრომა დასჭირდება მომავალში.

\*\*\*

როგორც ითქვა, ქალბატონი დალის თეორიულ ნაშრომებში მოცემულია კონკრეტული პუნქტები, რომელთა შეუსრულებლადაც საუკეთესო ხარისხის თარგმანი ძნელი წარმოსადგენია. ქალბატონი დალის მიერ გერმანულიდან ქართულად გადმოთარგმნილი ნაწარმოებები არის ყველა აღნიშნული პუნქტის იდეალური რეალიზაციის მაგალითი. მთარგმნელის განსაკუთრებული პროფესიონალიზმი, განათლება, ლიტერატურული გემოვნება, გერმანული კულტურის ნამდვილად სიღრმისეული ცოდნა ჩანს ქალბატონი დალის მიერ შესრულებულ ყველა თარგმანში. ნაწარმოებები, შერჩეული სათარგმნი მასალა, ყოველთვის ითვალისწინებს მკითხველის გემოვნების ამაღლებას. თარგმანში მუდამ ჩანს მთარგმნელის გარკვეული გააზრებული კონცეფცია, როდესაც მაქსიმალურად შენარჩუნებულია დედნის ავტორისეული დამოკიდებულება მოვლენებსა თუ პერსონაჟებთან. ორიგინალის სტილი ქალბატონი დალის თარგმანებში ყოველთვის მაქსიმალური სიზუსტით არის რეპროდუცირებული, ყოველ კომპონენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. თარგმანებში ჭეშმარიტად ხდება ორი კულტურული სამყაროს, გერმანულისა და ქართულის სინთეზი და მთარგმნელი ნამდვილი კულტურტრეგერია, რომლის მეშვეობითაც ქართველი მკითხველი ეზიარება მისთვის სრულიად ახალ სამყაროს. ქალბატონი დალის თარგმანები არის შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობის საუკეთესო ნაზავი. ამ თარგმანებში გამორჩეულად გრძელდება ქართულ სამეტყველო ენაში, ლიტერატურაში ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესი.

\*\*\*

აქვე თავს უფლებას მივცემ, რამდენიმე პირადი ფაქტი გავიხსენო ქალბატონ დალი ფანჯიკიძესთან ჩემი სწავლისა თუ მუშაობის პერიოდიდან. ქალბატონი დალის მიერ კონგენიალურად ნათარგმნი თომას მანის „ბუდენბროკები“ და „ჯადოსნური მთა“ ჩემს უსაყვარლეს ნაწარმოებებს განეკუთვნებოდა ჯერ კიდევ სკოლის უფროსი კლასებიდან. ნიგნები მაშინვე წავიკითხე რამდენჯერმე. ქალბატონი დალი ფანჯიკიძის თარგმანები თავიდანვე უაღრესად დამეხმარა, რომ ვზიარებოდი და გამეცნო გერმანულენოვანი ლიტერატურა. უნივერსიტეტში სწავ-

როსტომ ჩხეიძე

# ჩვენ და აჩრდილები

(პრიზოლ ჩხარტიშვილი და მისი ორი მე)

ნეტა მართლა საით მიდის წარსული და რა მოსდით მასში მოსახლე ადამიანებს?

ამის თაობაზე ყველა დაფიქრებულა თავისი სულიერი სიღრმისა და გუჟინის შესაფერისად. და ფიქრიც შესაბამისად დატრიალებულა — ხან განუმსჭვალავს ადამიანის არსება, ხან მხოლოდ დროდადრო ამოუყვია თავი, თუმცა განსაკუთრებული სიმძაფრით, ხანაც თითქოს მიჩქმალულა მის სულში, მიბინარებულა, მაგრამ იდუმალად მაინც მოუხდენია ზეგავლენა მის ფსიქიკაზეც და ცხოვრების სტილზეც.

და თუ შემოქმედი ყოფილა ის ადამიანი, ხან თვალნათლივ ამომსკდარა ეს ფიქრი თუ შინაგანი განცდა ზედაპირზევე, ხანაც სტრიქონსა და სტრიქონს შორის გამომკრთალა და ასე მიუნიშნებია ის რაღაც — უსაზომოდ დამაფიქრელი.

გრიგოლ ჩხარტიშვილსაც, რა გასაკვირია, გაუწელებლად სდევდა თან ეს განცდა და ცდილობდა ჩაძირულიყო წარსულშიც და გაერკვია თავისი ურთიერთობა იქ მოსახლე ადამიანებთანაც.

ბორის აკუნინსაც გადმოჰყვებოდა ეს სწრაფვა და ისიც მიანყდებოდა წარსულს და ხელისცეცებით აედევნებოდა ლანდებად მობორილად გარდასულ მოსახლეობას.

გრიგოლ ჩხარტიშვილი და ბორის აკუნინი ერთი და იგივე პიროვნებაა?

თვითონ ყოველთვის განასხვავებდა თავის ორ მე-ს: განსჯის მოყვარულად და ხალხის გამართობად; და არა უხილავ, არამედ საკმაოდ მკაფიო ზღვარსაც სდებდა მათ შორის.

ის სხვაა, რამდენად იზიარებდა მკითხველი მისეულ დაშრეგებას საკუთარი არსებისა, მაგრამ თვითონ ასე ინამებდა იმთავითვე და ასეც გაჰყვებოდა თავის გზასავალს, გრიგოლ ჩხარტიშვილი ბორის აკუნინს რომ დასცინებდა, რაკილა იმას მასობრივი გემოვნება გაეხადა ეტალონად და ამ თარგზე მორგებდა ცდილობდა, ბორის აკუნინი კი გრიგოლ ჩხარტიშვილს შეჰყურებდა ირონიული მზერით, რაკილა ამას ალლო ვერ აელო დროის მდინარებისათვის და ლამობდა არა სახალხო მწერლად, არამედ ელიტარულ მოღვაწედ ჩამოყალიბებულიყო ისე, რომ არავითარი ხარკი არ გაელო მასობრივი გემოვნებისათვის. და მაშ... რილას იმედი უნდა ჰქონოდა?..

ზღვარის დადება მთლად ისე იოლი არ აღმოჩნდებოდა ერთბაშად გაორებული — დეტექტივების ავტორობის მოსურნე მკვლევარისათვის. რომ ეგონა, ამოვიგლიჯე და განვდევენე ჩემგან ბორის აკუნინიო, თურმე ვერც ამოვიგლიჯე და ვერც განვდევენა... და გრიგოლ ჩხარტიშვილს ლამის ხელი ჩაეჭინა საკუთარ თავზე და იქით შეთვისებოდა და შედუღებებოდა მეორე მეს, ვინც სულაც არ შეეგუებოდა დამოუკიდებლობის შელახვას და ყოველნაირად შეეწინააღმდეგებოდა ხელმყოფს.

ეგ კია, ბორის აკუნინის დეტექტიური რომანები XIX საუკუნის სივრცეში რომ იტრიალებდა, შემოსაზღვრით გრიგოლ ჩხარტიშვილს შემოესაზღვრა ეს ფონი, იმას ეკარნახა და ისე აეყოლიებინა, მის მეორე მე-ს აღარც მოუნდებოდა ამ დროითი მიჯნის გადმოლახვა.

მაინც რას გამოიწვია ამ ეპოქის მიჩენა მის პერსონაჟთა სამოქმედო არეალად?

გრიგოლ ჩხარტიშვილი ასე ახსნიდა: მსურს მათში უმთავრესი ჩავაქსოვო — საიდუმლოს განცდა და წარსულის მოხელთების შესაძლებლობაო.

და ბორის აკუნინი თავის მიერ გამოგონილ რუსეთს ამიტომაც დაასახლებდა იმ პერსონაჟებით, რომელთა სახელებსა და გვარებსაც დონის საფლავის ქვებს დაესესხებოდა. თუმცა თვითონაც ვერ გაეგო, ამით რას ეხსრაფოდა: საფლავებიდან გამოეხმო ისინი, ვინც

ლისას ვესწრებოდი ქალბატონი დალის სასწავლო კურსს თარგმანის თეორიაზე, რომელიც დღემდე გამორჩეულად გვახსოვს მის სტუდენტებს. ქალბატონი დალი თითოეულ ლექციაზე განსაკუთრებული ერუდციით გვანვდიდა უაღრესად საინტერესო მასალას, რომელიც შეეხებოდა თარგმანის თეორიას, გერმანულენოვანი მწერლების ქართულ ენაზე თარგმნის სხვადასხვა საკითხებს. ქალბატონი დალისთვის დამახასიათებელ თვისებებს, რომლებიც ასე კარგად არის ნაცნობი მისი კოლეგებისთვის, განსაკუთრებული პროფესიონალიზმი იქნება ეს, შრომისმოყვარეობა თუ პრინციპულობა, სტუდენტები ვხვდებოდით მის თითოეულ ლექციაზე და ვცდილობდით ამ მხრივაც რაც შეიძლება ბევრი გვესწავლა მისგან. გარდა პროფესიული ინტერესისა, ქალბატონი დალის სასწავლო კურსში მონაწილეობა ჩემთვის ერთგვარად პიროვნულადაც სასიხარულო იყო. რადგან ქალბატონი დალის მეუღლე, ცნობილი ქართველი მწერალი, ბატონი გურამ ფანჯიკიძე და მამაჩემი, ლიტერატურათმცოდნე, რევაზ თვარაძე იყვნენ ახლო მეგობრები. უნივერსიტეტში სწავლისას თავიდან ვესწრებოდი ქალბატონი დალის ქალიშვილის, ქალბატონი მარია ფანჯიკიძის (ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის) სასწავლო კურსსაც XIX-XX საუკუნეთა გერმანული ლიტერატურის შესახებ, რომელიც აგრეთვე გამორჩეულად დაგვაძახსოვრდა მის სტუდენტებს. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ ჩემს პირველ საკურსო შრომას ლიტერატურაში რეცენზირება გაუკეთა ქალბატონმა მარიამ და მისი არაჩვეულებრივად კეთილგანწყობილი და მნიშვნელოვანი შენიშვნები დღემდე მაქვს შენახული. სკოლის დამამთავრებელ კლასში ვიყავი, როდესაც ჩემი ბავშვობის მეგობრისგან, გიო ხომასურისძისგან, გავიცანი ქალბატონი დალის სიძე, ბატონი ირაკლი ალასანი (ბატონი ირაკლი, როგორც კარგად არის ცნობილი, დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრია), რომელიც უკვე მაშინვე იმსახურებდა მეგობრების, ნაცნობების თუ გარეშეთა განსაკუთრებულ პატივისცემას.

შემდეგ ჩემთვის აგრეთვე დიდი პატივი იყო, რომ ჩემს საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც შეეხებოდა გრაფის თემატიკას ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, რეცენზირება გაუკეთა ქალბატონმა დალიმ. მან მომცა გამორჩეულად სიღრმისეული, თბილი და ადამიანური რჩევები ზოგადად სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებითაც, რომლებიც მოგვიანებითაც ბევრჯერ გამომადგა სამეცნიერო საქმიანობისას. მოგვიანებით ქალბატონი დალის ხელმძღვანელობით ვმუშაობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გერმანული ლიტერატურის მიმართულებით. ალბათ ძნელად მოიძებნება სამეცნიერო კათედრის, სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, რომელიც ამგვარ აკადემიურ და შემოქმედებით თავისუფლებას აძლევდეს თავის თანამშრომლებს, როგორც ქალბატონი დალი. ქალბატონ დალის ამისთვისაც მინდა გულითადი მადლობა გადაუხადო, რაკი მთელი ის პერიოდი შევქელი უაღრესად ნაყოფიერად მემუშავა ლიტერატურის ისტორიისა თუ თეორიის სხვადასხვა საკითხებზე.

ბოლოს მინდა ქალბატონ დალის ვუსურვო მრავალი წლის განმავლობაში საუკეთესო შემოქმედებითი საქმიანობა, რითაც მან ამგვარად გაამდიდრა ქართული ლიტერატურა და ზოგადად ქართული კულტურა XX და XXI საუკუნეში.

დიდი ხანია გარდაცვლილიყვნენ, ან იქნებ თვითვე შეპარულიყო მათ ცხოვრებაში?!

ასე ცალ-ცალკე მაინც როდემდე შეიძლება ედინა გრიგოლ ჩხარტიშვილისა და ბორის აკუნინის ყოფას?..

შესაძლოა მთელი სიცოცხლეც — მათ ნებაზე არ იყო?..

მაგრამ, ეტყობა, მთლად მათ ნებაზეც არ გახლდათ, რადგანაც ადრე თუ გვიან ეს ორიგინალური აღნაგობის წიგნიც უნდა შექმნილიყო — „სასაფლაოს ამბები“, რომელსაც ორი ავტორი უნდა ჰყოლოდა: ესეისტი გრიგოლ ჩხარტიშვილი და მისი ალტერ ეგო, ბელეტრისტი ბორის აკუნინი.

ეს წიგნი ქართულ სივრცეშიც რომ გამოჩნდებოდა თამარ კოტრიკაძის წყალობით („ინტელექტი“, 2013), როგორც ამ მთარგმნელს სჩვევია, შესავლად დაურთავდა ესეისა თუ ფსიქოლოგიურ პორტრეტს, რომელშიც ხელშესახებად წარმოჩნდებოდა „სასაფლაოს ამბების“ მხატვრული თავისებურებაც და არსიც, ავტორი-იანუხის ეს წარმეტყველი მიგნება და ხორცშესხმა — ორივე გვარ-სახელით გადმოეცა თვისებრივად და ჟანრობრივად განსხვავებული ტექსტები და ერთ მთლიანობად ექცია.

ინტერვიუებში გრიგოლ ჩხარტიშვილს ხშირად რომ უწევდა თავისი ლიტერატურული „გაორების“ ახსნა?


და ყოველთვის საგანგებოდ რომ აღნიშნავდა, რომ ის და აკუნინი პიროვნულად და შემოქმედებითად სრულიად განსხვავებულ სუბიექტებს წარმოადგენენ?

მთარგმნელი თავის მხრივ გამოთქვამდა გაკვირვებას, რომ „მშრალი“ და სერიოზული ესეისტი როგორ გვეკარნახობს თამაშის წესებს, რომელსაც უსიტყვოდ ვეთანხმებით, რადგანაც ეს თამაში ავტორსაც და მკითხველსაც ერთნაირად ართობს და ახალისებს; და დასძენდა: დიახ, „თამაში“ და „გართობა“ საკვანძო სიტყვებია ამ ავტორზე მსჯელობისასო.

გრიგოლ ჩხარტიშვილი მონოლოგის მიჯნას რომ არასოდეს გადავიდოდა და არად ჩააგდებდა, რამდენი ადამიანი უგდებდა ყურს, ბორის აკუნინი კი მკითხველთან დიალოგს წამითაც არა წყვეტდა და მომაჯადოებელი ილუზიებით ლამობდა მის მოუწყინარ გართობას, აკერ „სასაფლაოს ამბებში“ ერთმანეთს მარჯვედ შეენაცვლებოდნენ და ერთიმეორეში გადაიღვრებოდნენ მსოფლიოს ექვსი უდიდესი სასაფლაოს აღწერისას — ესეისტიც რომ მთელ თავის შემოქმედებით უნარს გაამჟღავნებდა და დეტექტივისტიც, რომელთაგან ერთი თუ მთლიანად ამოზრდილიყო რუსული კულტურირიდან, მეორეს მაინც მოვებლაუჭებოდით ქართული გვარისა და წარმომავლობის გამო, თუმც იგი დაბეჯითებით განგვიცხადებდა: რუსი ვარ, რუსული კულტურის შვილი, საქართველოში ჩემი სიცოცხლის მხოლოდ პირველი თვე გავატარე და მოგვიანებითაც სულ ერთადერთხელ ვენვიყო, — მაგრამ ის კი მოგველამუნებოდა გულზე: სწორედ როგორც რუსს, აღმაშფოთებლად მიმჩნია ის ოდიოზური პოლიტიკა, რასაც მოსკოვი ატარებს საქართველოს მიმართ. ბოთლიდან განგებ გამოუშვეს ქსენოფობიის ჯინი და მისი კვლავ დამწყვედვა ძალზე რთული იქნება, ხოლო სახელმწიფო, რომელიც რასიზმის მიკრობის გავრცელებასა და ეროვნებათა შუღლს წინ უნდა აღუდგეს, დღესდღეობით ცეცხლზე ნავთს ასხამს და მდგომარეობას აუარესებსო.

რა იყო მაინც რუსეთი?

როგორ უნდა შეეღწია მისი სულისა და ხასიათის ყველაზე ღრმა შრეებში თვალსაჩინო მწერალსა და მკვლევარს და მიწვედომოდა ზოგიერთ საიდუმლოს?



ამ ძიებას მოსკოვის ძველისძველი სასაფლაოს გალავნიდან უნდა შედგომოდა და... ეგრძნო, რომ დონის ისტორიადქცეული სასაფლაო კიდევ უფრო შორეულისკენაც უბიძგებდა — მოენახლებინა და გულდასმით შეესწავლა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, ისრაელისა და იაპონიის ისტორიული სამარხები და ასე ეცადა საიდუმლოს აფრიალებული კალთისათვის ხელის ჩავლება და წარსულის მოხელთება.

განზრახვა გრანდიოზული აღმოჩნდებოდა და წინასწარვე განსაზღვრავდა, რომ ასეთ წამოწყებას აჩქარება არ არგებდა — დაე ხუთ წელიწადსაც მონდომებოდა არცთუ მოზრდილ წიგნს და ყოველ წელს ერთი-ორი მცირე მონაკვეთით შეეგსო, თორემ ეს წიგნი იმ გზას დაემსგავსებოდა, რომელსაც თავქუდმოგლეჯილი თუ გაირბენდა, შეიძლება თავის მოსახვევს გაცდენოდა და და-

კარგულიყო. ზოგჯერ კი ის განცდაც ეუფლებოდა, დროა შევჩერდე და მორიგ მოხმობას დაველოდო.

რამ, ზოგიერთის თვალში შესაძლოა ტაფოფილადაც გამოჩენილიყო?

დაე ასეც ეფიქრათ, თავის მხრივ მხოლოდ იმას დაუზუსტებდათ: ტაფოფილს მხოლოდ პირობითად თუ მიწოდებთ, რადგანაც არასოდეს შემიგროვებია სასაფლაოებისა და სამარეების კოლექცია, რადგანაც უფრო გარდასული დროის საიდუმლო მიტაცებდაო.

ჩვენ კი დაე ავეყვით გრიგოლ ჩხარტიშვილის განწყობილებას და ყველა ძველი ქალაქის მთელი მოსახლეობა, მისი დაარსებიდან მოყოლებული, ერთიან მასად წარმოვიდგინოთ. განა ჩვენც წამსვე არ შეგნიშნავთ, რომ: ამ ზღვა ხალხში გათეთრებული თავის ქალები და თვალის ცარიელი ფოსოები ცოცხალ სახეებს ბევრად ლჭარბობს? და რომ: ისტორიული ინოვაციის მქონე ქალაქების მკვიდრნი მიცვალებულთა გარემოცვაში ცხოვრობენ?

ეს არ ნიშნავდა, რომ ძველი მეგაპოლისებისათვის ქალაქი-აჩრდილები ეწოდებინა, რადგანაც მიიჩნევდა, რომ მათ ენერგია არ აკლდათ, მათში სიცოცხლე დულდა, ამაოების ბაზარი კი ფუსფუსებდა.

სრულებით განასხვავებდა ძველისძველ ქალაქებს ასიორასი წლის წინათ აშენებულთაგან, რადგანაც ვინ მოთვლიდა, თუ რამდენი ადამიანი დაბადებულიყო, რამდენს უყვარდა, სძულდა, რამდენი იტანჯებოდა და ხარობდა ამგვარ დიდ ქალაქში.

და მართლაც ყოველად შეუძლებელი გახლდათ, რომ ნერვული და სულიერი ენერგიის ეს ოკეანე ერთბაშად უკვალოდ გამქრალიყო.

ასე გაუჩნდებოდა განცდა, რომ ისინი, ვინც ჩვენამდე ცხოვრობდნენ, არსად გამქრალიყვნენ, ისევ ძველ ადგილას რჩებოდნენ, ეგაა, ჩვენგან განსხვავებულ დროით განზომილებებში არსებობდნენ:

— ჩვენ და ისინი ერთსა და იმავე ქუჩებში დავაბიჯებთ და ერთურთს ვერ ვხედავთ. ჩვენ მათ უხორცო სხეულებს ვაპობთ და მათში გავდივართ. ახალი ყაიდის შემინულ შენობათა მიღმა უნებლიეთ ვამჩნევ იმ სახლების ლანდებს, ოდესღაც მათ ადგილას რომ იდგა... ყველაფერი, რაც ოდესმე არსებობდა, და ყველა, ვისაც ოდესმე უცხოვრია, სამუდამოდ რჩება.

ეს არ არის გრიგოლ ჩხარტიშვილის ორიგინალური შეხედულება — ყველა რელიგია ამას ირწმუნება და დღევანდელი ფიზიკაც, თავისი ღრმად მეცნიერული ძიებებით, ამავე ჭეშმარიტებას მიუახლოვდა. ეგაა, „სასაფლაოს ამბების“ ავტორმა

ეს თვალსაზრისი გაითავისა, საკუთარ სულიერ ქურაში გამო-  
ანართო, საკუთარ გამოცდილებად აქცია და ამ გადასახედიდან  
ეცადა მხატვრულ-დოკუმენტურად დაედსტურებინა, რომ:

— დაბადებაც და სიკვდილიც შეუვალი კედლები კი არა,  
კარებია.

და არამარტო თვითონ შეიგრძნობდა თავს წარსულისა და  
მერმისის განუყოფელ ნაწილად, არამედ მკითხველისთვისაც  
ემეტებოდა ამგვარი განცდა და ურჩევდა, ხელიდან არ გაეშვა  
ის წუთები, როდესაც დღე, ამინდი და მისი შინაგანი განწყობა  
გარემოცვას ჰარმონიულად მიესადაგებოდა. და როდესაც რა-  
ღაც უჩვეულო შეგრძნება დაეუფლებოდა, სცოდნოდა, რომ ეს  
სწორედ ის იყო, წარსულსა და მერმისთან შენივთება.

და თუკი წინამორბედებთან შეხვედრას მოინადინებდ-  
ნენ, საამისოდ მათაც სასწაულებრივად შემორჩენილი ძვე-  
ლი სასაფლაოები უნდა დაეგულებინათ, ისეთები, სადაც უკ-  
ვე დიდი ხანია აღარავის კრძალავდნენ და შედუღებულ-შე-  
ჩერებული დროის კუნძულებად წარმოგვიდგებოდნენ.

— აუცილებელი პირობაა, რომ ძველი სასაფლაო მართ-  
ლაც ხმარებიდან იყოს გამოსული, რადგან ახალგაზრდობის  
მინასა და ჯერაც მოუშუშებელ ტკივილს მარადისობასთან  
არაფერი აქვთ საერთო. მათ სიკვდილის სუნი უდით — იმ-  
დენად მძაფრი, რომ მის გვერდით გარდასული დროის მოუ-  
ხელებელი სურნელი იფანტება.

ასე გადაინაცვლებდა თვითონ დონის ძველი სასაფლაო-  
დან პარიზის პერლაშეზე, პერლაშეზიდან ლონდონის ჰაი-  
გეიტის სასაფლაოზე, ლონდონიდან ნიუ იორკშიც მოინახუ-  
ლებდა შეჩერებული დროის ზონას — ბრუკლინში განლაგე-  
ბულ გრინ-ვუდს, ნიუ იორკიდან ისრაელში გადმოინაცვ-  
ლებდა, იერუსალიმის ზეთისხილის მთაზე, და რაკილა ეს  
მართლაც თავისებური კარნავალური სურათები ბიბლიურ-  
ქრისტიანული ნახნაგებით შემოიფარგლებოდნენ, აზიურ  
ეგზოტიკასაც მოინდომებდა თხრობაში ჩასაფენად, მისთ-  
ვის ასერივად მშობლიურს — და იაპონიასაც მიაშურებდა  
თავისი უჩვეულო ოდისეას დამაგვირგვინებლად: უცხოელ-  
თა სასაფლაოს იოკოჰამაში, როსიო-ფუძიო ანუ უეცარი  
სიკვდილი ვისაც დასტეხობდათ თავზე და იაპონიაში მცირე  
ხნით ჩასულთ იქ სამუდამო განსასვენებელი ეპოვნათ.

ოდესღაც, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, აქ შემთხვევით  
რომ შემოხეტებულყოს, იმნამსვე გაეფიქრა: აქაურობას  
კარგად თუ დააკვირდი, უსათუოდ უცნაურობას აღმოაჩე-  
ნო. ის გარემოსა და ბუნებას არანაირად არ ეთავსებოდა, სა-  
კუთარი ცხოვრება ჰქონდა და საკუთარ დროსა და განზომი-  
ლებში არსებობდა:

— მეგაპოლისის შუაგულში აღმოცენებული „არა-ქალა-  
ქი“, მეოცე საუკუნის მინურულს შემორჩენილი მეცხრამეტე  
საუკუნის კუნძული, იაპონიის ცენტრში მიკარგული ევრო-  
პის ნაგლეჯი.

საერთოდ კი ნუ გაგიკვირდებოდა, თუკი არამარტო პერ-  
ლაშეზის მონახულებისას, არამედ ყველა ძველისძველი სა-  
საფლაოს შემოვლისას თავს აუსტერლიცის ველზე გამო-  
სულ ნაპოლეონად შეიგრძნობდი:

— საითაც გაიხედავ, ყველგან სიკვდილის ნადიმია,  
ბრინჯაოს იარაღსა და გადაპრანჭულ პოზეტში გართხმულ  
სხეულებს მრავლად ნახავ. პერიოდულად გიჩნდება ცდუნე-  
ბა შესძახო: „რა მშვენიერი სიკვდილია!“

ხოლო როდესაც ბორცვებს შორის დაკლავილი ქუჩა-  
ბანდებში მუქი რუხი ფერის ყრუ კედელს მიადგებოდი, ვიდ-  
რე ჰაიგეიტის სამაროვანის ქიშკარში შეაბიჯებდე, თურმე  
სჯობს წამიერად შეჩერდე, სული მოითქვა და ის ინგლისი  
გაიხსენო, რომელიც ბავშვობიდანვე გაუცნიათ შენტვის დი-  
კენსს, ბულვერ-ლიტონს, კონან დოილსა და გოლზუორთის,  
და ჩაუფიქრდე, რომ აქ, ამ დაბურული თელებისა და მუხების

ქვეშ სწორედ ის ჭეშმარიტად ვიქტორიანული, კლასიკური  
ინგლისია დამარხული:

— რომელიც ოდესღაც მთელ მსოფლიოზე ბატონობდა  
და რომლის მსგავსიც არასოდეს აღარ იარსებებს.

დიდი ხანია სასაფლაოს ყველაზე ძველ და საპატიო ნა-  
წილში აღარავის კრძალავენ.

ორმოცდაათათასი ნაკვეთი ასსამოცდაექსიათასი სა-  
მართთაა გადავსებული.

და ბარისა და წერაქვის ხმაური აღარ აშფოთებს მარადი-  
ულ ძილს იმ იმპერიისა:

— რომლის სამფლობელოებშიც (ხმელეთის მესამედი და  
ოკეანის ცხრა მეათედი) არასოდეს ჩადიოდა მზე.

გრიგოლ ჩხარტიშვილი თავის ისტორიულ ქრონოლოგი-  
ას რომ შემოიღებდა, რა გასაკვირია, ეს ქრონოლოგია სა-  
საფლაოების ფონზე გაეშალა და კარგად ნაცნობი და შეთ-  
ვისებული ამ მოულოდნელი რაკურსიდან გაენათებინა.

XIX საუკუნემდე ადამიანი სიკვდილს მხოლოდ და მხო-  
ლოდ იმ შემზარავ ზღურბლად რომ აღიქვამდა, რომლის  
მიღმაც ხრწნა და ცოდვების გამოსყიდვა ელოდებოდა, ში-  
შის ოდნავ მაინც დასაოკებლად ეკლესიასთან რაც შეიძლე-  
ბა ახლოს ამიტომაც წევბოდა მინაში. და რაკილა დიდი სა-  
საფლაოები იმხანად ჯერ არ არსებობდა, მიცვალებულებს  
ტაძრის ეზოში კრძალავდნენ.

განმანათლებლობის ეპოქის დადგომასთან ერთად ჩაი-  
სახებოდა სანიტარიის ცნებაც — მედიკოსები იმაზე რომ  
ალაპარაკდებოდნენ, არ შეიძლება ქალაქი გვამებზე იდგეს,  
გარდაცვლილები საცხოვრებელ კვარტალთაგან მოშორე-  
ბით უნდა დაიმარხონ, რათა ლპობის მიაზმებმა წყლის მი-  
ნისქვეშა წყაროები არ დააბინძუროსო.

ოდნავ მოგვიანებით კი მოდაში რომანტიზმი რომ შემო-  
ვიდოდა, დახვეწილ საზოგადოებას შეახსენებდა, რომ სიკვ-  
დილი მხოლოდ სამინელი კი არა, ლამაზიც გახლდათ, და ასე  
შეიქმნებოდა ერთგვარი სამარის ქვების პოეზია, რომლის  
ენაც მოგვიანებით თარგმანის გარეშე უკვე აღარ ესმოდათ.  
ამიტომაცაა, რომ:

— XIX საუკუნის მაცხოვრებელს სამარის ძეგლები ბევრად  
მეტს ამცნობდნენ, ვიდრე ჩვენ... მთელი ეს მეტაფორები, რა  
თქმა უნდა, სევდიანია, მაგრამ სევდა მაინც სიკვდილის ცხო-  
ველური შიშისაგან სრულიად განსხვავებული გრძნობაა.

თამარ კოტრიკაძე მკითხველის ყურადღებას რომ მიაქ-  
ცევს იმ გარემოებას: ნოველათა უმრავლესობაში პერსო-  
ნაჟთა კონტრასტული წყვილები რომ გვხვდება, ერთ-ერთი  
მუდამ „გოთური“ პერსონაჟია — ვამპირი, უხრწნელი გვამი  
თუ არმდელი რომელიმე ცნობილი პიროვნებისა, ვინც ამა  
თუ იმ სასაფლაოზეა დაკრძალული და ვინც მანამდე ესეიმი  
გახლდათ მოხსენიებულიო, — დასძენს: კითხვის პროცესი  
განსაკუთრებულად აზარტული ხდება იმის გამო, რომ წი-  
ნასწარ არ იცი, ესეიმი ნახსენები რომელი ცნობილი თუ სენ-  
საციური პიროვნება შეგხვდება ნოველაშიო.

— აკუნინის ფანტაზიის პატრონს ხომ თავისუფლად შე-  
ეძლო, ნებისმიერ მათგანზე ცალკე ნოველა დაეწერა.

თითქმის ყველა სასაფლაოს შემთხვევაში მაინცდამაინც  
იქ დაკრძალულ უცხოელს რატომ ირჩევს?

— კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს კულტურათა მოზა-  
იკას.

თუნდა აგერ პარიზის სასაფლაოს მონახულება უამრავი გა-  
მოჩენილი და კოლორიტული პიროვნების აჩრდილს გამოიხ-  
მობს და ესეისთვის კალმის ორიოდ შტრიხიც დასამახსოვრებელ  
სილუეტებს გამოკვეთს, მაგრამ პერლაშეზიდან მაინცდამაინც  
ოსკარ უაილდი უნდა გახდეს ბორის აკუნინის ნოველის „მინდა  
გაკოცო ბაგეზე“ გმირი, სრულიად გაუხრწნელი რომ წევს კუ-  
ბოში, შავი სერთუკი დაშლილა, თეთრი საყელოს კუთხეები გა-

შევებია, მაგრამ ფართო შუბლი თეთრი და კრიალა შერჩენია, საესე, დონდლო ღანვებზე კი ვარდისფერი გადაჰყვრია.

კლასიკოსი საკულტო პერსონაჟად გადაქცეულიყო არა დიდებული მხატვრული მემკვიდრეობის წყალობით, არამედ... სოდომური ცოდვის გამო, აუარება მიმდევარი რომ შეეძინა ამ მორალის ადამიანთაგან და მისგან შემორჩენილი ნებისმიერი რელიკვია ცეცხლის ფასად იყიდებოდა.

მემუარები ირწმუნებოდა, რომ მწვანე მიხაკების მოტრფიალე მწერალი ორივე ნეკზე დიდრონი ზურმუხტებით შემკულ თითო უნიკალურ ბეჭედს ატარებდა, რადგანაც სწამდა, რომ ერთს იბღალე მოჰქონდა მისთვის, მეორეს კი უიღბლობა. და რაკილა დარდის გარეშე ბედნიერების არსებობას არად აგდებდა, ხელიდან არცერთს არ იშორებდა. მემუარისტები გაცოცხლებით შენიშნავენ, რომ დევნილს სანუკვარი ზურმუხტები უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი არ გაეყიდა და არ დაეგირავებინა.

ახლა კი მძარცველმა უნდა შეხსნას ნემსს ბეჭედი ისე, რომ სახსრის გადაჭრაც არ დასჭირდეს. მეორე მძარცველიც ჩამოიშოროს (ჰგონია, სამუდამოდ მოუფლე ბოლო!) და სიხარულისაგან გადარეული ამოძვრეს სამარიდან, მაგრამ... ყოფით-ნატურალისტურ სურათებს ფანტასმაგორიული გაგრძელება უნდა მოჰყვეს, ზმანებაში გამოცხადებულმა უაილდის აჩრდილმა ლექსად უნდა გადმოღვაროს თავისი მოთხოვნა: ბეჭედმა შეგვეუღლაო, — და როგორც უნდა ეცადოს მძარცველი თავის დამშვიდებას: ჩვეულებრივი დეკადენტიზმია და აბდაუბდა სიზმარიო, — საბოლოოდ ამ „შეუღლების“ მსხვერპლი უნდა აღმოჩნდეს — უაილდის გვამმა თავის გვერდით მიუჩინოს ადგილი „უნებლიე მიჯნურს“.

თავისთავად შთამბეჭდავი, მოულოდნელობებით აღსავსე სიუჟეტური ქარგაა ეფექტური, ნოველური დასასრულით, თუმცა... ბორის აკუნინი იმეორებს სიუჟეტს პროსპერ მერიმეს ნოველისა „ილელი ვენერა“.

ნემსისა თუ ძეგლის შურისძიების ბევრგვარი სიუჟეტი არსებობს და მათგან ზოგიერთი — მოარულიც (სხვათა შორის, ალექსანდრ პუშკინის „ქვის სტუმარი“ დონ ჟუანის ბიოგრაფიის სწორედ ამ ვერსიას ეყრდნობა, ძეგლმა რომ უნდა იმსხვერპლოს მექალთანეობის სიმბოლოდ შერაცხული ეს პერსონაჟი), მაგრამ პროსპერ მერიმეს ეს სიუჟეტი ორიგინალურია უშუალოდ ამ დეტალის წყალობით — თითზე შემთხვევით წამოცმულმა ბეჭედმა იდუმალი ქორწინებით რომ უნდა შეაკავშიროს ვენერას ქანდაკება და ბატონი ალფონსი, და ქვადქცეული ვენერა „უნებლიე მიჯნურს“ თავის წილ სიყვარულსა და სარეცელს რომ მოსთხოვს, კიდევ უნდა იმსხვერპლოს.

ბატონი ალფონსის ახალგვარდანიერილი ცოლი რომ შეესწრება ამ ტრაგიკულ აქტს, მისი ნაამბობი ყველამ აბდაუბდა ზმანებად უნდა მიიჩნიოს. აბა, როგორი დასაჯერებელია, ყოფით სურათებში უეცრად შემოჭრილი ფანტასმაგორია, რეალობა მისტიკურობის სუნთქვით რომ უნდა განმსჭვალოს, ბორის აკუნინის ნოველისა არ იყოს, რომელიც პროსპერ მერიმეს მიერ მიგნებული სიუჟეტის გადამღერებად წარმოგვიდგება.

ამის გამართლება ვერავითარი პოსტმოდერნული სტილისტიკით ვერ მოხერხდება. რუსულ კლასიკურ მწერლობას რომ დაწაფებია აკუნინი და უხვად მოაქვს ის სახეები და მოტივები, ამას არც მალავს და თან ასე თუ ისე ყველაფერს აქცევს საკუთარ ყალიბში — ბოლოსდაბოლოს, მისი დეტექტიური რომანების სერიას სხვა დანიშნულება არც გააჩნია, გარდა იმისა, რომ გართოს მკითხველი და, ამასთან, XIX საუკუნის რუსული ყოფისა და ლიტერატურის კოლორიტი ხელშესახებად განაცდევინოს.

ამჯერად კი — რაკილა პერლაშის სასაფლაოს შთაგონებით ქმნიდა ნოველას — ფრანგულ კლასიკურ მწერლობას ამიტომაც დაესხნა?

მიზეზი გასაგებია, მაგრამ ეს დასესება მთლად ველარ მოირგო, ველარ გაითავისა, თანაც პირველწყაროს აღნიშვნაც „დაავიწყდა“ — რალაც ფორმით ეს ყველგან და ყოველთვისაა შესაძლებელი, სხვა თუ არაფერი, ამდენი აჩრდილი და ლანდი დაბორილობს თუნდ წიგნის ამ მონაკვეთშიც და ბარემ პროსპერ მერიმეს ლანდსაც გამოენათებინა — ჯერ მარტო გვარ-სახელის მოხსენიება ჩაეკვრებოდა ფურცელს ძვირფასი თვალივით.

ისე მაინც რა არის ფრანგული პროზის ხელოვნება!.. და პროსპერ მერიმეს თხრობის მაღლი!..

ასე ცალკე ბორის აკუნინის ის ნოველა საკმაოდ შთამბეჭდავიც გვეჩვენა, მაგრამ „ილელი ვენერას“ გვერდით ამკარად ფერმკრთალდება.

ასლი დედნის მაგივრობას ვერც ვერასოდეს გასწევს — დროებით თუ შეენაცვლება და ეგებ კიდევ გარიყოს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ორიგინალი იძალებს, პროსპერ მერიმეს ამ ნოველისა არ იყოს.

\*\*\*

გრიგოლ ჩხარტიშვილს უკვირდა და გაჰკვირებოდა, რომ სასაფლაოზე წარმავლობის შეგრძნება კი არ ეუფლებოდა, არამედ მარადილობისა.

გაოცება იმისაა, რომ კლიშე-ფორმულა ჩაგაგონებს, სასაფლაო წარმავლობის ყველაზე სახიერი გამოხატულებააო.

მაგრამ ვინც გაბატონებულ შაბლონებს კი არ უწევს ანგარიშს, არამედ საკუთარ გულს აყურადებს და მის კარნახს მიჰყვება?..

მაკა ჯოხაძისა არ იყოს, ჩანანერების ციკლის — „ჩაძირული დღესასწაული“ — ერთ ფრაგმენტში, „სასაფლაოდ“ რომ დაუსათაურებია და ჩვეული სინარფელით აცხადებს არამარტო წამიერ განწყობილებას, არამედ სულში ღრმად ჩაკირულ შეგრძნებას.

გაკვირვებით, ცხადია, მასაც უკვირს:

— უცნაურია! ერთადერთი ადგილი, სადაც წარმავლობის განცდა არ მეუფლება, სასაფლაოა. ვდგავარ გადაბრდელიალებული ვარდების სამეფოში და ასე მგონია, ნებისმიერი საფლავეების ლოდი მიცვალებულისათვის კი არ მოუტანიათ ამ სიშორეზე, არამედ იმიტომ, რომ ადგილი მოინიშნონ, არ დაიბნენ, და როცა ყველაზე მეტად გაუჭირდებათ, თავიანთ გარდაცვლილებთან, როგორც ყველაზე დიდ გულშემატიკვრებთან, ისე ამოვიდნენ.

საერთოდ ეს თემა მისთვისაც რომ უსაზომოდ დამაფიქვრელია და შინაგანადაც ნიუანსობრივად განცდილი, ხელშესახებად გამოკვეთდა ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის მეტად ორიგინალური აღწერის ნიგნზე — „შენდობით მომისხენიეთ“ (ტექსტისა და ფოტოსურათთა ჰარმონიულ შერწყმაზე, უჩვეულო, გამაოგნებელ სამყაროს რომ აღმოგვიჩინდა ქართულ ეპიტაფიათა თავმოყრითა და მარჯვედ მიგნებულ კომპოზიციურ ქარგაში გამოხვევით!) — დაწერილი რეცენზიით, რომელიც შორს გასცდებოდა ამ ჟანრის ჩარჩოებს და სრულფასოვან ესეიდ, ის კი არა, თავისებურ დოკუმენტურ ნოველადაც ჩამოყალიბდებოდა და სიკვდილის პარადოქსის ირგვლივ დატრიალდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მართლაც პარადოქსული ზეიმი გაიმართებოდა ამ წიგნის წარდგინებისას, როდესაც იქაურობა მიმოფინებოდა ფეხით შემოვლილი საქართველოს მთა-ბარში რუდუნებით აღმოჩენილი, განმედილი და ფირზე აღბეჭდილი ქართული სამარხების ფოტოსურათებითა და ეპიტაფიების თავბრუდამხვევი ნაკადით.

სიკვდილის პარადოქსიო და: კიდევ ერთხელ ცოცხლდებოდა ქართული სულის უნიკალური ძალისხმევა, ზრუნვა და

ფიქრი იმაზე, რომ გარდაცვალების მერეც დარჩე ლამაზი, წასვლის შემდეგაც მხოლოდ კარგი თქვან შენზე.

— დიახ, ასეა, ნამდვილი ესთეტიები ბოლო წამებშიც ამაზე ფიქრობენ...

სიკვდილის პარადოქსიო და: რაც ზოგჯერ არ შეუძლია ცოცხალს, ჯერ კიდევ შეუძლია მკვდარს.

სიკვდილის პარადოქსიო და: ხალხურ პოეზიაში კიდევ მოგვეშინაურებინა იგი, ხან საქებარი გახლდათ ჩვენთვის, ხან სანატრელი, ხან ოხერი და ხანაც სანყევარი, საერთოდ კი პერსონიფიკირებულად გვექცია და როგორც კაცი კაცს, ისე მივმართავდით.

ეს წიგნი „შენდობით მომხსენიეთ“ პირწმინდად სამეცნიერო დაკვირვებებისა და მარადიულ ღირებულებათა ფონზე რომ წარმოისახებოდა და ყველაზე ზუსტ მეტაფორას მოითხოვდა შესაფასებლად, მაკა ჯოხაძე კიდევ მიაგნებდა ამ მეტაფორას და „ულამაზეს რუკად“ მოიხსენიებდა, ღვთის ნებითა და ავტორთა დიდი ძალისხმევით რომ გადაშლილიყო ჩვენს თვალწინ, მაგრამ თურმე უფრო მეტის თქმაც შეიძლებოდა, რაკილა ეს რუკა მხოლოდ ქაღალდზე კი არ დარჩენილიყო:

— არამედ ჩვენი სამშობლოს მინად იქცა.

და მაკა ჯოხაძის მეტაფორულ-ექსპრესიული სტილისათვის ნიშანდობლივი ფინალური აკორდი, ასეთი უმძაფრესი თემისათვის შესაფერისია:

— ამიტომ მასში ოქროსფერი ხოდაბუნებიც ღელავენ და იისფერი ნაკადულებიც მოედინებიან.

\*\*\*

ხომ ამდენი სასაფლაო მოენახულებინათ გრიგოლ ჩხარტიშვილსა და... ბორის აკუნინს და სულ ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ არსად წაწყდომოდნენ მწერალი და მისი ალტერ ეგო იმგვარ სანახაობას, რასაც ლადო ასათიანის 1941 წლის 7 აგვისტოს ბარათი გვატყობინებს, აკაკი განერელიას რომ ამცნობდა უჩვეულოდ ალტკინებული და გაოგნებული — საფლავებს შორის მომქროლავი მთის ნაკადული, ორად რომ ჰყოფდა სასაფლაოს, როგორც სიცოცხლეს.

— მე მგონი, შესანიშნავია, ასეთ რამეებს იგონებენ ხოლმე, მე კი ვნახე.

და ლექსის შთაგონებადაც იქცეოდა ეს პეიზაჟი, „სასაფლაო“ რომ დაერქმეოდა და ლალი განწყობილება განმსჭვალავდა და კომპოზიციურ ქარგას მაცხოვრის მოლანდება შეჰკრავდა და აპოთეოზად დაადგებოდა სიკვდილისა და სიცოცხლის ამ აღმტაც საგალობელს: ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული, ვის უნახავს, საფლავებში როგორ მოჰქრის ნაკადული, როგორ მოჰქრის, როგორ მოქუხს, ვით სიცოცხლე უშიშარი, და როგორ დუმს სასაფლაო, ვით იესოს ლურჯი ტანიო?!

\*\*\*

ამგვარი ხილვა განა თავისებურ შარავანდად არ დაადგებოდა „სასაფლაოს ამბებსაც“?

მაგრამ ესეისტი და დოკუმენტალისტი გრიგოლ ჩხარტიშვილი თავს ნებას ვერ მისცემდა, ფრთა ეკრა ფანტაზიისათვის და რაც საკუთარი თვალით არ ენახა, შეეთხზა და ისე ჩაერთო თხრობაში.

ხოლო დეტექტივისტი ბორის აკუნინისათვის ამგვარი ხილვები მიუწვდომელი იყო და არის.

თუმც აკურ რაოდენ მომხიბლავ და ღრმააზროვან წიგნს გვიბოძებდა თავის მეორე მე-სთან ერთად, რათა თვითო-

ნაც ჩაკვირვებოდა, თუ როგორ შეიძლება აღივსოს ადამიანის არსება სიცოცხლით ისე, როგორც მნიფე თავთავი — მარცვლით, და იგრძნოს: სიცოცხლით დავილალო. ასეთ დროს ხომ ასეთი სიკვდილი მართლაც არც არაბუნებრივი იქნება და არც ტრაგიკული და დადასტურდება მეფე სოლომონის სიტყვების ჭეშმარიტება: სიკვდილის დღე დაბადების დღეს სჯობსო.

ჩაკვირვებოდა იმ გარემოებასაც, რომ რაც უფრო ხნიერია ქალაქი, მით ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის ამჟამინდელ მაცხოვრებელთ და სწორედ იმის გამო, რომ ისინი უმცირესობას შეადგენენ.

— რით გავაკვირვებთ ჩვენ, ცოცხლები, ასეთ ქალაქს? რამდენი უნახავს ჩვენისთანა გაბედული, გულმოდგინე, ნიჭიერი და, ვინ იცის, იქნებ ის ძველები ყველაფერში გვჯობდნენ კიდევაც?

ახლანდელები სადღა წავლენ?

— უბრალოდ, მინისქვეშა უბნებში გადაინაცვლებენ, რამდენიმე ათწლეულს იქ განისვენებენ, მერე კი მინად იქცევიან და ამით უკვე საბოლოოდ შეერწყმიან თავიანთ ქალაქს.

ხუმრობისა თუ მწარე ირონიის გუნებაზეც დადგებოდა გრიგოლ ჩხარტიშვილი, როგორც სამარის ქვებზე ამოკვეთილი წარწერებისა და აცაბაცად გალექსილი სტრიქონების, ისე ფერგადასუთი ღერბებისა და წაშლილ გვარ-წოდებათა ცქერისას და... უნებლიეთ ამიტომაც წამოაგონდებოდა დანის მეფე ერიკ ღირსსახსოვარი, რომელსაც მუღერი სახელის გარდა სხვა არაფერი დაეტოვებინა შთამომავლებისათვის და ისტორია სამუდამოდ დუმის არჩევდა, თუ რატომ მიეჩნიათ თანამედროვეებს ეს მეფე „ღირსსახსოვრად“.

ამიტომაც თვითონ მწერალი უკვალოდ გამქრალ ადამიანთა ლანდებში ჩაძირვას ამჯობინებდა, ამ მომაჯადოებელ იდუმალებაში განზავებას, რის ჩინებულ და ლაკონიურ მხატვრულ ხორცმესხმადაც მიიჩნევდა იგორ ბურდონოვის ჰაიკუს (როგორც იაპონისტს, მაინც ჰაიკუ რომ ხიბლავს რუსულ პოეზიაშიც!), „ნაკლებად ცნობილი ფაქტი“ რომ ჰქვია და ერთ დატეხილ ფრაზას მყოფინობს უძირო სევდის გასამყლავნებლად: „ადამიანები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოში ცხოვრობდნენ 1964 წლის აგვისტოში — ყველა დაიხოცნენ“.

\*\*\*

დაბადებაც და სიკვდილიც შეუვალ კედლებს კი არა, კარებს და მხოლოდ კარებს ჰგავდა როგორც გონების, ისე გულის გადასახედიდანაც... და გრიგოლ ჩხარტიშვილსა მის მეორე მე-ს დაბეჯითებით ვერც გაეგოთ, რას ესწრაფოდნენ „სასაფლაოს ამბების“ შექმნით — საფლავებიდან გამოეხმომთ ისინი, ვინც დიდი ხანია გარდაცვლილიყვნენ თუ... იქნებ თვითონვე შეპარულიყვნენ მათ ცხოვრებაში?!

\*\*\*

ნეტა მართლა საით მიდის წარსული და რა მოსდით მასში მოსახლე ადამიანებს?

სასაფლაოს ურჩევნია დუმდეს და დუმილით გვეცემდეს პასუხს.

დუმდეს — იესოს ლურჯი ტანივით, იდუმალება ნაკადულის ქროლამ რომ უნდა მოგვანვდინოს უსაზღვროებიდან, მისი ტალღები და წვეთები კი უთვალავფერად მიმოიფანტოს და მზერაც ვეღარ მივადევნოთ, შუაზე გადახსნილი სასაფლაოდან თუ შემოგვკურებიან და მას ავუყოლიებივართ... ავუყოლიებივართ და კიდევ მიგვაქნებს აჩრდილთა შორის საბორილოდ.



გურამ ბენაშვილი

# ლიტერატურული ვიტრაჟები

ცხადია, რომ ლიტერატურა, ენისა და ზოგადად კულტურის ყოფიერების გადარჩენისა და განვითარების ყველაზე კრეატიული ასპარეზია...

ნონსენსია მალალი სულიერება იმ სოციალურ თუ საზოგადოებაში, რომლისთვისაც მშობლიური ენა პერიფერიული სტატუსითაა „სარგებლობს“...

იმ პირობებში, როცა შეურაცხყოფის საშიშროება ემუქრება ენას, მხოლოდ ძლიერი და პატივდებული ლიტერატურაა მისი აღორძინების გარანტი...

ლიტერატურა თავისი გულსხმობს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მისი მხოლოდ ესთეტიკურ-შემეცნებითი ღირებულება... იგი ერის მსოფლგანცდისა და კულტურის რეგულატორიცაა...

საგულისხმოა, რომ თავისი არსით ლიტერატურა-ანალიტიკა, ანუ ყოფიერებისადმი საყვედური და კრიტიკა... პროტაგონისტთა ეპოქის სულიერ-ინტელექტუალური კლიმატის ფორმირებისა...

სიმპტომურია მისი „ბიოცენტრული“ სტატუსიც, იყოს პოზიტიური ეკზისტენციური იმპულსების „გენერატორი“...

\*\*\*

პოსტმოდერნიზმის ლიტერატურული პრაქტიკა, არსებითად სათავე და შედეგია ეპისტემოლოგიური კრიზისისა, კლასიკური ჟანრების სრული გაუფასურებისა...

ახალი, ე.წ. „ფოლკლორული სიმულაკრებით“ მანიპულირება და კულტივირება იმპერატივისა — რომ რეალიზმი უსუსურია წარმოსახვის უახლესი საუკუნის გამოცდილებანი „მათი“ იდეა-ფიქსია...

ბელეტრიზებული „ერუდიციისა“ და ლინგვისტური ჟონგლირების, უხამსი კომიკებისა და „სატირიკონების“ თავანყვეტილი კარნავალია დღეს...

სოციალ-კულტურულ სივრცეში ადგილის დამკვიდრებისათვის იღვწიან „ელიტარულ ნარჩენებად“ შერაცხული „ნაშვირნი“ ერთ დროს პატივდებული მწერლობისა...

თუმც, უკვე ძნელია და იქნებ შეუძლებელიც, ახალი სოციალური იერარქიის კორექტირება და ამალღებულ პოსტამენტებზე საკუთარი პერსონის „ხილვა“...

ლოგოცენტრისტულმა „ზმანებებმა“ თავისი დრო „მოჭამა“... ყოველშემთხვევაში, სწორედ ასე ფიქრობს და ირჯება ჩვენს მიერ გაღმერთებული თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია...

„უსამართლოდაა მოწყობილი სამყარო... და კიდევ უფრო სამწინხარო ისაა, რომ არავინაა, ვინც მის რეფორმაციას შეძლებს...“

დღეს ჭეშმარიტი კრიტიკის ამოცანა იმ ერთადერთი წიგნის შექმნაა, რომლის სათაურიც „საზოგადოების უნიჭობა“ უნდა იყოს... ალფრედ დე-ვინის ეს რეფლექსია, სამწუხაროდ დღესაც, ჩვენი რეალობისთვისაც აქტუალური და მოტივირებულია...

ე.წ. სულიერ ფასეულობათა სრული კაკოფონიის პირობებში, ძნელია აღმოაჩინო ჩვენი მხატვრული აზროვნების მაგისტრალური დისკურსი...

იგი თითქოს გამოფიტულია ღრმა და მასშტაბური სულიერი იმპულსებისაგან... ამგვარი სიბერნით შეპყრობილი „ჟამიანობის“ დროს, წერის უნით აღბეჭდილი, უსაგნო და კვაზირომანტიკული შიდა თუ გარე ჭკრეტისთვისა თუ არიან „განწირულნი“...

უნივერსალური მუტაციის ქაოტურ პროცესს „გადის“ თითქოს დღეს საქართველო...

ამ გარდაამავალი ხანის რეციდივები, ყველაფერთან ერთად ლიტერატურასაც აშკარად დაეტყო... უმძიმეს პრობლემათა დინამიკამ დაამცრო, დაბნეული საკუთარ ნიჟარაში გამოკეტა და გაანეიტრალა...

პოეტური კულტურის „სტაგნაციამ“ ვფიქრობ, დაამწუხრა ლექსის „მოყვარულნი“... მგონი ისინი კარგად მიხვდნენ, რომ დღეს აღარც კი არსებობს მკვეთრი ზღვარი პოეტსა და „ლექსის მწერალს“ შორის...

იმ პოეტური „კანონის“ ფარგლებში, რომელშიც ქართული ლექსი არსებობს, მისი დამახასიათებელი ნიშნები საერთო მონაპოვარი გახდა... ფორმა გაუფერულდა და სრულიად ნიველირებულმა, დაკარგა სიმძაფრის განცდა...

თანამედროვე ქართულ პოეზიაში გახშირდა ძალზედ ზოგადი მნიშვნელობის, მოჩვენებითი „შინაარსის“ მქონე ლექსები... ყოფით, უსახურ დეტალებსა თუ აბსტრაგირებულ სიტყვიერ ორნამენტებში „ჩაკარგული“ მონოლოგები ქმნიან პოეზიის ილუზიას...

არადა არ იგრძნობა აზრისა და ემოციის ჰარმონია და გასხივოსნება... ვერ ხორციელდება პოეზიის ჩვეული სასწაული...

სწორედ ამის ლოგიკური შედეგია მოზღვავება იმგვარი ლექსებისა, რომლებშიც გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მაინც არ არის ლექსია...

არის თუ არა ეს ყოველივე დღეს ქართული პოეზიის გრძელვადიანი სამწუხარო სიმპტომი, ამას ალბათ კიდევ უფრო უკეთ დრო განსჯის... დრო, ანუ პოეზიის „ალქიმიამი“ განდობილთა ინტელექტუალური და ემოციური გემოვნება...



\*\*\*

მწერალს, მითუმეტეს პროზაიკოსს, მისი დრო და სივრცეც „სქერნავს“ და წარმოაჩენს... მე კი ვერ ვგრძნობ ჩვენს ილუზიებით გაჯერებულ სინამდვილეში სულიერების ვერც იმპულსებსა და ვერც მოლოდინის ჰორიზონტებს...

ვერაფრით წარმოვიდგენ უთავბოლო პოლიტიკური ისტერიითა და სოციალური კონფლქსიებით გაოგნებულ დისტროფიულ რეალობას სულიერების იმ შთამაგონებელ „მატრიცად“, რომლიდანაც პროვოცირდებოდა ძლიერი და მომავალზე ორიენტირებული პროზა...

თვით შემოქმედებითი პოტენციით აღბეჭდილთა ცნობიერების „ნაპრალები“ ამოივსო თუ ამოიყორა ყოფიერების ტოტალური უზნეობის „ქვა-ლორღითა“ და ათასგვარი სიბინძურით...

საგულისხმოა, რომ ამგვარ დეკადანსურ ეპოქებში არ იქმნება არა მხოლოდ მალალი მხატვრული ღირებულებები, არამედ ჩლუნგდება ძველი შედეგების თვით აღქმის კულტურაც კი...

მიუხედავად ამ აშკარა საერთო ქაოსისა, მაინც ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ლიტერატურული პროცესების ფარული დინამიკა... შევიმეცნოთ და განვსაჯოთ დროთა განყვეტილი კავშირის აღდგენის თუნდაც მკრთალი მინიშნებანი, დასავლური ცნობიერების ეროვნულთან ჰარმონიზაციის სასურველი პროცესები...

რამდენიმე მწერლის სახელს, სრულიად არაბუნებრივად ენაცვლება ლიტერატურას ადევნებული მრავალი ავანტიურისტი, გრაფომანი, ფსიქიკადარღვეული და სულაც აშკარა პათოლოგი...

სიტყვის თავისუფლების თავგასულმა ვნებამ „აქტუალურ“ პრობლემად აქცია წარსულის ღირებულებათა გადაფასების ბრმა და უაზრო ტენდენცია.

ამ სასტიკი „ინკვიზიციის“ სტრატეგია ტოტალიტარიზმის ჟამის ფასეულობათა იგნორირება და უშეღავათო რევიზიაა...

ყველაზე მრისხანენი ის ოდიოზური პერსონები არიან, ვისთვისაც ლიტერატურა ერთი ჩვეულებრივი ჰობი, უწინ თუ აზარტია... ვისთვისაც იგი ეპატაჟია, ლაზლანდარობითა და სკაბრებით საზოგადოების „დუელში“ გამონვევაა...

არადა, თუკი წინა საუკუნეების კოლონიურმა ყოფამ ტანჯულ საქართველოს რაიმე ასწავლა, ალბათ უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი პაერივით საჭიროებდა ეროვნული სულისკვეთებითა და კეთილგონიერებით აღბეჭდილ კულტურულ საზოგადოებას, ანუ დინამიურ საკრალურ სივრცეს, ერის სულისა და გონის საჭირისუფლოდ...

ამ საზოგადოების პროტაგონისტი მწერლობა იყო... და მისი კოლოსალური სულიერი იმპულსების გარეშე ეროვნული ენერგია პერმანენტული ძილ-ღვიძილისათვის იყო განწირული...

თვით XX საუკუნის მხატვრულ საზოგადოებას, ანუ დინამიურ სულიერებით აღბეჭდა ის ეპოქა, რომელსაც იდეოლოგიურ უდაბნოდ უნდა ექცია თითქოს საქართველო...

ასე რომ, ნამდვილი მწერლის ფიქრისა და აზროვნებისათვის, არცთუ იშვიათად, თვით ჯოჯოხეთური ყოფაც კი არ არის მომაკვდინებელი...

დამფრთხალი და უღირსებონი მაშინაც მხოლოდ იმიტომ არსებობდნენ, რომ კიდევ უფრო მკვეთრად წარმოჩენილიყო ჭეშმარიტი შემოქმედის საზოგადოებრივი როლი...

სრულიად უნიკალური ტალანტებით „სუნთქავს“ ის საუკუნე, რომლის დამცირება აგრევიგად სწყურიათ „წარსულის ბრმად მიმბაძველ თაღლით ფალსიფიკატორთ, თუ შეუვალ ტლუ გრაფომანებს...“ (ო. ჭილაძე)

\*\*\*

მოდურ თემად იქცა საუბარი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაზე, როგორც ულტრაანამედროვე სულის გამოხატულებაზე, რომლის მსოფლხედვასა თუ ესთეტიკურ პრინციპებს, ღრმად გაუღვამს თურმე ფესვები თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში...

ნონსენსია პოსტმოდერნი ჩვენი დღევანდელი სოციალისტების ცნობიერებას დაუფლებოდა, მრავალ და მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო...

არსებითად იგი დასაძარება ინდივიდუალური სტილისა და საერთოდ ინდივიდისა... სიტყვათა მნიშვნელობებით „თამაში“, გონებაჭვრეტითი ლაზღანდარობა, მკითხველის პროვოცირებისა და ინტელექტუალური „ფლორტის“ ესთეტიკა, რომელიც წყვეტს კავშირს ტრადიციულ ლიტერატურასთან — აი, თავი და ბოლო ამ იდეურ-ესთეტიკურ „მონსტრისა“...

ამ „სკოლის“ ადვოკატი უარყოფენ ლიტერატურის ონტოლოგიურსა თუ ეკზისტენციურ სტრატეგიებს და კონცენტრირდებიან მკითხველის რეცეფციასზე, მისი აღქმისა და რეაქციის პრიორიტეტებზე...

რა შეიძინა ქართულმა პროზამ სიტყვის თავისუფლების „კანონიზაციის“ შემდეგ, რიტორიკული კითხვაა...

უნდა შეიძინა მეტი უფლებამოსილება ყოფილიყო სასტიკიცა და დიდსულოვანიც, აქტუალურიცა და განუმეორებელიც, ოცნებისა და რეალობის შთამბეჭდავი ანალიტიკოსიცა და რეპრეზენტატორიც...

ანუ შეიძინა ყოველივე ის, რასაც ასე დიდოსტატურად ასახიერებდნენ ყველა დროის ჭეშმარიტი მწერლები, პროზაიკოსები იქნებოდნენ ისინი თუ პოეტები, დრამატურგები თუ კრიტიკოსები...

რა თქმა უნდა, ახლის ძიებას ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ახალში ქვეცნობიერად მაინც უნდა თრთოდეს შენი ერის სულიერი გამოცდილებათა ანარეკლები თუ აქცენტები, ანუ ის, რაც მხოლოდ შენია და ამ ქვეყნად სხვა არავისი...

რაც შეეხება ნეგატივს... სიტყვის თავისუფლება, როგორც ყოფიერების საკრალური განძი, რაიმე უარყოფითს არც კი უნდა გულიხსმობდეს...

არადა, თურმე შესაძლებელი ყოფილა ამ დიდი ცნების დისკრედიტაცია და მისი უხამსობის, უკულტურობისა თუ პათოლოგიური წარმოსახვების გამოლად ქცევა და საკუთარი მოზიემი უმცირესების საქვეყნოდ გარამდისა...

თავისუფლება კი თურმე საოცრად სათუთი და ადვილად მსხვრევადი ბედნიერებაა, შინაგანი „ტანჯვით“ მისაღწევი ჰარმონიაა, შენსა და სინამდვილეს შორის გასაღები ბენვის ხილია, რომელსაც თავსა და ბოლოში გონება და რწმენა უნდა ედგეს უმძლავრეს ბურჯებად...

თავისუფალი სიტყვის ტკობით „გალაღებულმა“ ნოვატორებმა უნდა შეიგნონ, რომ მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, რასაც ამბობენ, არამედ ის, როგორ და რატომ ამბობენ ამას... ანუ არსებითა არა მხოლოდ სემანტიკა, არამედ აზრად ქცეული სიტყვის პრაგმატიკა...

მხოლოდ ამგვარად, ამ ფუნქციითა და როლით ენიჭება ლიტერატურულ ტექსტს ქმნილებად სახელდების მაღალი უფლება... სხვა ყველაფერი ეკლექტიკა და იმპულსური რეფლექსიებიდან მომდინარე ფსევდოავანგარდული სუროგატია, არახანიერი და ზოგჯერ სკვდრადმოხილიც კი...

დღეს აქტუალურია კითხვა, მაინც რას წარმოადგენს ბოლოდროინდელი ქართული პროზა, აქვს თუ არა მას რეალური წარმატებები...

ძალზედ მომრავლებულ ავტორთა შორის, არიან ისეთნი, რომელნიც დაგაინტერესებენ... და მერე, უნუგემოდ დაგემშვიდობებიან სამუდამოდ, რადგან ისინი სამწუხაროდ მხოლოდ „სტიქიურ“ ტექსტებს წარმოადგენენ... ოდენ შინაგანი კაპრიზისა თუ

სითამამის გამოვლინებანი არიან, რომელთაც დიდსულოვნად უნდა გაუგო და მიუტევო...

ეფემერათა ამ დისკურსში ნამდვილი ლიტერატურული ქმნილებაც იჩენენ თავს...

მათი ავტორები მაინც „ახერხებენ“ უფამობას გამოსტაცონ ან თავისივე თავში იპოვონ შთამბეჭდავი თემები თუ მოტივაციები და გარდაქმნან იგი მაღალმხატვრულ ქმნილებებად...

ფრიად სიმპტომატურია ისიც, რომ მოულოდნელი სიახლე, არცთუ იშვიათად, ოდიოზურ მოცემულობად იაზრება... ამიტომაც ზოგჯერ სწორედ დროისა და სივრცისეული რაკურსი არეგულირებს ქმნილებისა და აღმქმელის ძალზედ დელიკატურ, რთულსა და არაერთმნიშვნელოვან ურთიერთობებს...

ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ აკა მორჩილაძეზე... „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, მისი „საფრმო“ ლიტერატურული ნაწარმოებია... მეტ-ნაკლებად ამ რომანში აირეკლა მისი მხატვრულ-ინტელექტუალური სუბსტანცია...

მასში თვალშისაცემია პაროდირების ზღვრამდე მისული სემანტიკური აქცენტები, გროტესკული კონტრასტების გალანტური „შლეიფი“, რის გამოც პორტრეტები კარიკატურად, ხოლო თვით ნარატივი სატირად გარდაისახა...

თუმც ამგვარი მოდიფიკაციით წარმოდგენილი, იგი სულაც არ ეწინააღმდეგება რომანის ტრადიციებს და მძაფრად ავლენს ამ კლასიკური ჟანრის თანდაყოლილ „ცდუნებებს“...

პერსონაჟები სწორედ ამ მეტამორფოზებით ახერხებენ განერიდონ ცხოვრებისეული ეფემერულობის „სამიმროვას“ და აღწევენ რომანისეული სიცოცხლის, ანუ ჰიპერარსებობის მყარ გარანტიას...

ყოველი მისი „გმირი“ ერთობ კოლორიტული ატრიბუტიკითაა მოსილი... იგი მსუყე ფერწერულ ტილოზე ალბეჭდო ფანტასმაგორიას ჰგავს, რომელშიც არსებითია არა სიცხადე და გამჭვირვალეობა, არამედ „ფერთა“ სიუხვე და გამაოგნებელი კოლორიტი...

ამ დეკორატიულ სივრცეში, ყოველი სახე, თითქოს საკუთარი სიცოცხლის მთელს ციკლს ახორციელებს — „სინორჩიდან“ მიმწუხრამდე...

აი, ამ ორიგინალური ქმნილების ის მოუხელთებელი კონტურები, ისტორიის დაძეძილი და მტკრიანი ფარდის მიღმა რომ ჩნდება და თავისი ცრემლიანი ირონიითაც რომ ხდება თანამედროვე ქართული პროზის თვალსაჩინო ფაქტი...

„ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან“ — კოტე ჯანდიერის წიგნია... ვფიქრობ აქ თითქმის ბოლომდე ვაცხადდა ავტორის სულიერი გამოცდილების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი...

იგი, ობიექტურისა და სუბიექტურის ჰარმონიზაციით, რეალობის ორგანიულ ჰიპოსტასებად იაზრებს ემპირიულსა თუ რომანტიკულს, უსახურსა თუ მშვენიერს, დაბაბლსა თუ ამაღლებულს...

იგი ერთი ყველაზე ღრმა და ელევანტური შემოქმედია, არა მხოლოდ თავისი თაობისა... უნივერსალური დიაპაზონი სულიერი აღქმის კონცეპტუალურ პარადიგმებზეა ორიენტირებული და ლირიზმითა თუ ფილოსოფიური აქცენტებით ავლენს დროისა და სივრცის დაფარულსა თუ ცხად სემანტიკას...

აქტუალისზეა გულისა და გონების ლოგიკისა, ნაწარმოების მხატვრული სტრუქტურის ის არსებითი კონცეპცია, რომელიც განაპირობებს პერსონაჟთა ცხოვრების ფილოსოფიას...

მწერლის ინტონაცია შესაბამისია იმ რიტმისა, რასაც ყოფიერება სთავაზობს მას... განრიდებულს ყოველგვარი პათეტიკისაგან და თეატრალიზაციისაგან...

არც ნოსტალგიური სენტიმენტალიზმია მისთვის ორგანული... დრო-ჟამის აღქმისა და მისი დინამიკის წვდომის წადილია კოტე ჯანდიერის, ამ ნაღდი მწერლისა და ინტელიგენტის შთაგონებისა და ესთეტიკურ მისწრაფებათა სათავე...

\*\*\*

„სრულიად უცნობ „ზღვებში“ შეცურებამ, „ხელოვნების რევოლუციონერებმა“ XX საუკუნის 10-იან წლებში რომ გაბედეს, არ გაამართლა... მათ ავანტიურისტულ იმედებს განსაკუთრებული წარმატებანი არ ხვდა წილად. პირიქით, ამ უკიდურესად უტრირებულმა პროცესებმა იმ კატეგორიების ნგრევაც კი გამოიწვია, რისთვისაც იგი დაიწყო... უფრო მეტიც, ახალ-ახალ ილუზიითა უფსრულებმა თავის მორევში სულ უფრო მეტი „მოცურავე“ ჩაითრია... სულ უფრო ნაკლებნი იყვნენ კაყოფილნი ახლადშეძენილი თავისუფლების გამეფებით, განიცდიდნენ რა მძაფრ სურვილს დაბრუნდნენ წარმოსახვებში შემონახულ, თუმც უკვე სიცოცხლისუუნარო წესრიგს...

ხომ სრულიად ცხადია, რომ აბსოლუტური, ზღვარდაუდებელი თავისუფლება ხელოვნებისა, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ერთი კერძო სახეობისა, შეუთავსებელია საზოგადოების პერმანენტულ არათავისუფალ მდგომარეობასთან... და, როგორც შედეგი, ხელოვნების ადგილი მასში სრულიად გაურკვეველი ხდება...

სრული ავტონომიისაკენ მიმსწრაფმა ხელოვნებამ, დაკარგა რა საკულტო ფუნქცია, ჰუმანიზმის იდეის „ხარჯზელა“ განაგრძო არსებობა... ეს, ერთ დროს საკრალური იდეა კი, საზოგადოების დეჰუმანიზაციის პარალელურად ჰკარგავდა თავის ძლევამოსილებას... საკუთარი განვითარების კანონის ძალით, ხელოვნებაში სულ უფრო უჩინარდებოდნენ პრინციპები, რომელთაც იგი ჰუმანიზმის იდეალებიდან ისრულავდა...

და მაინც, როგორც ჩანს ხელოვნების ავტონომია შეუქცევადია... ავტონომია თავისი ექსპანსიური, მძაფრი და შთამბეჭდავი ძალთახმევიით...

თუმც თავისი სრული ემანსიპაციისაკენ სწრაფვით, ხომ არ უარყო მან საკუთარი კლასიკური ყოფიერების აუცილებელი წინაპირობანი...

ეს, ერთობ საბედისწერო კითხვა ჩნდება თანამედროვე ხელოვნების შედარებისას იმასთან, რასაც იგი არცთუ შორეულ წარსულში წარმოადგენდა... (თეოდორ ადორნო)

დიდი გერმანელი ფილოსოფისის რეფლექსიებში ჩვენი დღევანდელი მთავარი მრავალი რამ არის საყურადღებო და დამაფიქრებელი...

თანამედროვე კულტურის ფილოსოფოსთა საგანგაშო პროგნოზირებანი ფრიად სიმპტომური და არგუმენტირებულია...

ანალიტიკური ჭკრეტისა თუ გონიერი ვარაუდების სივრცეიდან აღქმული სულიერი კულტურის ანმყო და მომავალი, კრიზისის თუ არა, ნეგატიური ტენზიების სიმპტომებს მაინც ავლენს...

დღევანდელი სოცო-კულტურული რეალობა, უფლებას მძლევს, დიდი სიფრთხილით განვსაზღვრო და წარმოვიდგინო ჩვენში დამკვიდრებული თავისუფლების ე.წ. „მართლზომიერება“ და მისგან იმპულსირებული, თუნდაც ლიტერატურაში გამოვლენილი ის ოდითხანე, „მეტასტაზები“, რომელთა გამიზნუბულ კონველსიებშიაც „თრთის და კანკალებს“ ჯერ კიდევ კრეატიული ეროვნული მხატვრული ცნობიერება...

ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის რღვევისაკენ, დეჰუმანიზაციისაკენ, უნიადგამო და უმწეო ჰერმეტიზაციისაკენ, უხამსობითა და სკაბრეზით შეკუთვრებისაკენ მიდრეკილი „მოცემულობანი“, შესაძლოა მხოლოდ ეფემერულ „სახადს“ წარმოადგენდეს და სერიოზულ კულტურულ ფაქტად თუ მოვლედ აღც კი ჩაითვალოს...

„თუნდაც მხოლოდ ერთი დღით იყავით არაულტრათანამედროვენი და იგრძნობთ, რაოდენ მარადისობას ატარებთ თქვენში“ — რილკეს ამ გენიალურ ვიზიონში ფოკუსირებულია მოაზროვნე ადამიანის სტატუსიცა და დიაპაზონიც... მისი სულიერი მყოფობის ფილოსოფია...

ანუ ის, რასაც ასეთი „გულმოდგინებით“ განერიდებიან კვაზიმოდერნიზმს ადევნებულნი...

ფრიად დამაფიქრებელია ჩვენი მაღალი სულიერების ინერციითა აღბეჭდილი ერის კულტურული ყოფიერება...

და ეს, პოლიტიკური აურზაურით დაჩლუნგებულმა თანამედროვეობამ უნდა შეიგნოს და გაითავისოს...

თუმც აღარავისთვისაა ეს კარგად გაცვეთილი და პატივახდილი ტკივილი ახალი, და მიუხედავად ამისა, მაინც კვლავ და კვლავ გვინევს ამ შემზარავი პრობლემის ჩრდილში „ცრემლისღვრა“ და „გულამომჯდარი ტირილი“.

\*\*\*

კრიტიკა, თავისი იდეალური არსით, ერთი ყველაზე საინტერესო ლიტერატურაა...

იგი კულტურული ცნობიერების კონცეპტუალური გამოვლინება და ამდენად, სრულიად დამოუკიდებელი თვითღირებულებრივი შემოქმედებითი აქტია...

თავის უმაღლეს „გამობრწყინებებში“, იგი ხელოვნების ჭეშმარიტ „იმიტაციამდეც“ კი მაღლდება და ამით ანიჭებს მკითხველს ინტელექტუალურსა და ესთეტიკურ სიამოვნებას...

რა არის დღეს მიზეზი კრიტიკის პარალიზებისა?..

პროფესიის არაპოპულარობა, სიმართლის აღიარების სრული უაზრობა და არაეფექტურობა, საკუთარი კვალის დამჩნევის

ამაო სურვილი, ნამდვილი ლიტერატურის დეფიციტი და ახალთა მოუხელთებელი კონფიგურაციები — აი, არგუმენტთა ის მცირე ჩამონათვალი, რომელმაც შეაბრკოლა, ხოლო შემდეგ მთლიანად დაადუმა ლიტერატურული კრიტიკა...

არადა მისი ანალიტიკური და კონსტრუქტივისტული რეფლექსირების გარეშე წარმოუდგენელია სრულფასოვანი ლიტერატურული ცხოვრება და ატმოსფერო...

ამიტომაცაა, რომ დღეს ლიტერატურაში „წარმატებულთა“ ტექსტებს, ევროპული ინტელექტუალიზმის „გამონაბოლქვის“ სურნელი ახლავს და არავინაა განმკითხავი და სიმართლის მოქმედი...

და მაინც ვფიქრობ, რომ მხატვრული ცნობიერების დესტრუქციული გამოვლინებანი არ იქცევიან გენეტიკურ „მაზოხიზმად“ და არცთუ შორეულ მომავალში დაასრულებენ ლაღად „ფრთებგამლის“ წარუმატებელ ცდებს...

### გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონის ფენომენი ქართული კულტურის ერთი მეგაპრობლემათაგანია... სასურველია სისტემურად იქნას აღქმული მისი ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობრივი პარადიგმები... მისი სახეობრივი აზროვნების სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტები... სრულყოფილად იქნას გაცნობიერებული იმ სულიერი პროცესების ონტოლოგია, რომელმაც წარმოშვა ეს კოლოსალური შემოქმედი...

ოდენ დილექტანტური წარმოდგენებიდან თუ ამოიზარდა თვალსაზრისი გალაკტიონის პირველი წიგნის ფსევდორომანტიზმსა და ეპიგონურ დისკურსზე... ანალოგიურივე ნონსენსია „თქმულება“ პოეტის „არტისტული ყვავილების“ ჰერმეტიზმსა და შეუცნობელ ბუნდოვანებაზე... რომელიც მარადიულ ალქიმიურ ქმნილებად უნდა „შეაბერდეს“ საუკუნეებს...

ბუნებრივია, პოეტის ლირიკულ შედეგთა ამგვარი „ინტერპრეტაციები“ ანელებდნენ, შორიდან ტკბობის ნეტარებითა ავსებდნენ მკითხველთა ცნობიერებას...

სასურველია „გარღვევა“ პოეტის ე.წ. „ეზოთერიული“ ჰორიზონტებისაკენ, სახეობრივი აზროვნების იმ ჯადოსნური შრეებისაკენ, რომელნიც შესაძლებელს გახდინდნენ მათი დამიანური ნარატივის შეცნობას... ნდომას სულის იმ „ფანტასმაგორიული ლაბირინთებისას“, რომლის გამოსხივებანი უძვირფასეს სამკაულებად აღებეჭდა მრავალი ბიწიერებით შებღალულსა და ღირსებაყრილ საუკუნეს...

\*\*\*

პოეტის ადრეული ლირიკის ანალიტიკური კვლევა 1914 წელს გამოცემულ ლექსების იმ პირველ წიგნზეა პროცედრებული, რომელიც საზოგადოებისაგან უმაღლესეულ მოვლენად იქნა აღქმული...

დავინწყებული რომანტიკული ხილვების რეანიმაცია და გალანტური სულიერი პეიზაჟებისაკენ შემობრუნების ტენდენცია, ამ წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს დღესაც... როგორც ახალი პოეზიის „პირმომ“, მან აშკარად გამოკვეთა რომანტიკულ ცნობიერებაზე ორიენტირებული „ახალი პოეტიკის“ უნიკალური შესაძლებლობები... „სადინარი“ მისცა იმ ეპოქალურ პოეტურ ევოლუციას, რომელმაც აპოგეას „არტისტული ყვავილებში“ მიაღწია...

აქ, ამ პირველ წიგნში, უკვე აშკარად გამოვლინდა ჭაბუკი პოეტის სულიერი ინსტინქტები... გრძნობათა და განცდათა ვიბრაციის „უცხო“ მელიოდირობა...

ჭეშმარიტი „რენესანსის“ პროცესი აქედან, ამ წიგნიდან დაიწყო, რომელმაც სტილისტური ეკლექტიკის მიუხედავად, კონცეპტუალური საფუძველი შეუქმნა იმ ახალ სააზროვნო სტრატეგიას, რომელმაც სრულად გააბრწყინა პოეტის შესაძლებლობები...

\*\*\*

გალაკტიონი და სიმბოლიზმი ის „მანიტრიგებელი“ თემაა, რომელმაც მრავალნი დააფიქრა და განსჯა-ანალიზისათვის განაწყო...

დღევანდელი გადასახედიდან გაცილებით „უსაფრთხო“ და მიმზიდველიც კია გალაკტიონის ონტოლოგიკობა და მისი სიმბოლიზმის „აღმსარებლად“ გამოცხადება...

იყო თუ არა ის, ერთ დროს ჩვენში ტაბუირებული ლიტერატურული „სკოლის“ ადეპტი, ანუ ორთოდოქსი სიმბოლისტი, თუ იგი მასთან მხოლოდ დროებითი „გამიჯნურების“ ტკობით კმაყოფილდებოდა და გალანტური რევერანსებით ირთობდა თავს... აი, ის კითხვა, რომელსაც ვფიქრობ ამაოდ უტრიალებენ სიმბოლიზმისადმი „აღერგიულად“ განწყობილი პერსონები...

გალაკტიონის „ექსტრავაგანტური“ სახისმეტყველების კლასიკურ გამოვლინებად მისი 1919 წელს გამოცემული, რიგით მეორე პოეტური კრებული — „არტისტული ყვავილები“ ითვლება...

სწორედ მასში გაცხადდა გალაკტიონის ინდივიდუალობა, მისი თამამი და სრულიად უნიკალური პოეტური სუბსტანცია... წარმოსახვითი და რეალისტური კატეგორიების განუყოფელი სემანტიკაცია...

სიმბოლიზმი თუ სიტყვის მაგიური განცდის აპოთეოზი და იდუმალებათა ესთეტიკის ხელოვნებაა, თუ იგი მეტაფიზიკური ხილვების, ნახევარტონების, ნიუანსირებისა და მინიშნებების, ანუ გამოუთქმელის გამოთქმაა, თუ მუსიკა და კეთილზმოვანებაა მისი სათავე, ხოლო სულიერი განგაში განწყობილებათა ლაიტმოტივი, მაშასადამე, გალაკტიონი კლასიკური განსახიერება ყოფილა სიმბოლიზმისა... და ეს, ქართული პოეზიის მაღალ ღირსებად უნდა იქნას აღქმული...

რაც შეეხება ორთოდოქსობას, მოგვიანებით, ობიექტურ მიზეზთა გამო, მას აეკრძალა მისთვის ესოდენ ორგანულ შერტონებათა და ემოციათა სიმბოლისტური კატეგორიებით გაცხადების უფლება... ამიტომაც „აჰყავ“ იგი საყოველთაოდ ნორმირებულ და უალტერნატივო „სოცრეალიზმის“ ტალღებს...

თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ „ნაივური თავისმოტყუებით“ ნაკარნახევ კონფორმისტულ „გატაცებას“, როგორც ჩაკლული სულის ამოძახილი, დრო და დრო, დასავიწყებლად განწირული პოეტური ვიზიონები ენაცვლებოდა...

სრული გამჭვირვალება და დროებასთან „შერწყმა“ ის აუცილებელი „საზღაური“ იყო, რომელმაც ვერა და ვერ გაანელა წარსულის ნოსტალგია... „უძველეს დროის, მაინც ვერას გზით, განცდებს ეს მუზა ვერ შეელია“-ო, მოთქვამდა უკვე მიმწუხრს მიტანებული პოეტი...

ძველ, დაუვიწყარ სიზმართა ნეტარ ზმანებებში „ლივლივებად“ სინამდვილესთან ნიადაგ შეუთავსებელი, ყველასთვის თითქოს ძვირფასი და მაინც „უცნობი“ გალაკტიონის რომანტიკული სული...

„არტისტული ყვავილების“ პოეტური თრთოლვა, როგორც მისი მენტალობის „მანიფესტაცია“, თვით უსასტიკესმა დრო-ჟამამაც ვერ ჩაკლა და დაადუმა...

რამდენადაც შესაძლო იყო, მან უერთგულა ძველ ზემთაგონებას... ორთოდოქსობა კი ალბათ სხვა არაფერია...

რუსმა სიმბოლისტებმა ესეც ვერ შეძლეს: ნაწილი მათი სამშობლოს სამუდამოდ გაეცალა, ნაწილი „ბოლშევიკთა“ რიგებში ჩადგა და დადუმდა, ხოლო ნაწილი, ადამიანთა წამებაზე დაფუძნებული იდეოლოგიის მხატვრულ მესიტყვედაც კი იქცა...

\*\*\*

გალაკტიონი, როგორც პოეტი და პიროვნება კლასიკური განსახიერებაა ჰეგელის ფილოსოფიური კონცეპტისა — რომ ადამიანი სრული ანარეკლია მისივე „საქმიანობისა“.

უნიკალური ტრანსცენდენტის „ნებითა“ და იმპულსებით იქერნება გალაკტიონის პიროვნულ-საზოგადოებრივი ხატი,

მისი „არტისტიზმი“ თუ უჩვეულო მღეიფი გრიმასებისა... აქედანვეა მისი ნიღბების გალანტური ფერისცვალებანი...

მისი სახით, კიდევ ერთი გენიალური „მარგინალი“ იქცა თავისივე ნებით შექმნილი ცხოვრების დრამატურგიის პროტაგონისტად... რათა მტრულად მაყურებელი თვალისათვის დაემალა და გადაერჩინა მისი ერთადერთი სანუკვარი სიმდიდრე — სულიერი თავისუფლება, ასე აუცილებელი ჭეშმარიტი პოეზიისათვის...

\*\*\*

გალაკტიონის არაერთი პოეტური მედიტაცია სიზმრისეული „ესთეტიკითა“ მოდელირებული... ლამეული ფანტაზმები უწარმტაცეს მუსიკალურ ჰანგებად სუბლიმირდება და ლირიკული „გმირის“ ინსტინქტებს წარმოსახავს...

ეს ის სურრეალისტური ტრანსია, რომელსაც ანდრე ბრეტონი აღიქვამს როგორც „არსებობის სულიერ წერტილს“, რომელშიაც სიცოცხლე და სიკვდილი, რეალური და ირეალური, წარსული და მომავალი, სიტყვა და დუმილი ანტინომიურ ცნებებად უკვე აღარ აღიქმებიან...

გალაკტიონის პოეტური „ინიციაციების“ ანალოგად იაზრება ჟორჟ ბატის რეფლექსიაც — სიკეთისა და ბოროტების, ტკივილისა და სიხარულის ანტინომიათა მოჩვენებითობაზე...

ამგვარი ამბივალენტური ხილვები პოეზიის „პროვოკაციული“ მოდულაციების შედეგია და მისი მხატვრულ ცნობიერებაში სტრუქტურირება, გალაკტიონის რანგის „ეზოთერიკოსს“ თუ „მიეტყვება“...

მხოლოდ სულიერი დიაპაზონია ის კორელატი, რომლის ირგვლივაც ლაგდებაან პოეტის რჩეულ სიტყვათა „ლეგიონები“... მისი მაგიური ინტუიცია პირველი შეიცნობს ყოფიერების ფორმათა ცვალებადობას, მის ახალ სტადიაში გადასვლას... კულტურის პარადიგმათა სუბლიმაციის აუცილებლობას...

სწორედ ამგვარი ესთეტიკური და იდეოლოგიური რეფლექსირების ილუსტრაციაა „არტისტული ყვავილების“ მოულოდნელი, სულის ენაში რეალიზებული პოეტიკა... ჰანგის ჟღერადობა აქ, იდეათა უნატიფეს მუსიკად გარდაისახა და „აიძულა“ აღმქმელი, ესთეტიკური ტკობა, რეფლექსირების თანამდევ აქტად ექცია...

პოეზიის ემოციური აკორდი მასში ინტელექტუალური აღქმის ინგრედიენტია და მასთან ბოლომდე განდობის აუცილებლობითაა აღბეჭდილი...

ამიტომაც არის აღიარებული ამ ნიგნის ავტორი შემოქმედებითი ცნობიერების ახალი ფაზის დამამკვიდრებლად...

\*\*\*

ლიტერატურული ტექსტის ორიენტირება სხვა კულტურათა წარატივზე, ანუ სხვა და სხვა სტილისა თუ პოეტიკის ელემენტებით ე.წ. „თამაში“, ერთობ პიკანტური „ცდომილებაა“ მოდერნისა...

ამგვარი ალუზიებით „ჟონგლირება“ არც გალაკტიონისთვის იყო უცხო და არაორგანული... იგი დროდადრო, საკუთარ პოეტურ ოპუსებში, განსხვავებული კულტურული პლასტების ინკორპორირებას ახდენდა, ანიჭებდა რა მათ გამომსახველობის სრულიად ახალ კონფიგურაციას...

ამ ტიპის პოეტური ქმნილებანი ერუდირებულ მკითხველზეა პროეცირებული და კულტურული მესხიერების მაღალ ხარისხს ითვალისწინებს...

ანტიკური, ბიბლიური თუ სხვა ისტორიულ-ლიტერატურული ალუზიებითა და რემინისცენციებით აღბეჭდილი მისი პოეზია უნივერსალურ ინტელექტუალურ წარმოსახვებს აძლევს დასაბამს...

რაც შეეხება გალაკტიონის ხელრთვით „შესრულებულ“ ორნამენტულ სტილისტიკას, იგი სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართულ პოეზიაში...

მუსიკის, ფერწერისა და ქანდაკების ესთეტიკით მოდელირებული მისი ლირიკული ვიზიონები, თვისებრივად ახალ ეტაპს ქმნიდნენ ეროვნულ მხატვრულ ცნობიერებაში...

სიტყვის ამგვარი უნივერსალიზაციიდან გამომდინარე, მისი ენობრივი დიაპაზონი პერმანენტულად ფართოვდებოდა ხელოვნების სხვა დარგთა სტილური ინგრედიენტებით...

გალაკტიონის ლინგვისტური არაბესებების ჯადოსნურ ხატოვანებას, მის ფერადოვან სემანტიკურ მოზაიკასა და სტილისტიკას მნიშვნელოვანწილად სააზროვნო არეალის ის მულტიკულტურული გარემო განაპირობებდა, რომლის მიმართ იგი არასოდეს ყოფილა ინდიფერენტული...

\*\*\*

კონცეპტუალური მნიშვნელობისაა შემოქმედის სრული „დამოუკიდებლობის“, მისი ეპოქის სულიერ „მონსტრთა“ გავლენებიდან განრიდებისა თუ თავდახსნის თემა...

ვირტუალური „ტირანიიდან“ დისტანცირება იშვიათი „ფუფუნება“ იყო შემოქმედისათვის...

გალაკტიონმა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა თუ ევროპული მოდერნიზმის, ანუ ნიცშე-ვაგნერიანობასთან ასოცირებული ესთეტიკისაგან „გათავისუფლება“ არაერთხელ სცადა, თუმც მათგან მაინც ბოლომდე ვერ „განიშნინდა“... როგორც ჩანს მისთვის, მისი სულიერი მენტალობისათვის, მათი მაგიური ექო უფრო ორგანული იყო, ვიდრე მაცდუნებელი...

„მერანის“ გენიალური ავტორის სულის ფილოსოფია და მასში განფენილი რომანტიკული „პეიზაჟები“, ანალიტიკური რეფლექსიები და მეტაფიზიკური მოტივაციები, გალაკტიონის თანმდევი ინგრედიენტებად იქცა...

რაც შეეხება ნიცშესა და ვაგნერის (ბოდლერისა და სიმბოლიზმის) მითოპოეტური ცნობიერების, როგორც კულტურული კატეგორიის აღქმას, იგი გალაკტიონის პოეტურ რეფლექსიათა ერთ მყარ პარადიგმად დამკვიდრდა... მათგან იმპულსირებული ლირიკული მედიტაციები „ირაციონალური“ ცნობიერების შედეგებად გარდაისახნენ და სრულიად ახალი სული შთაბერეს ეროვნულ პოეზიას...

საუკუნის „პროვოკაციულ ცდუნებებს“ ხელი არ შეუშლია მისთვის სრულყოფილად წარმოესახა საკუთარი იდენტობის ამრეკლავი სულის უნიკალური ქმნილებები და რაც მთავარია შეექმნა განუმეორებელი მელოდიები... სიტყვათა მუსიკალური სილუეტების მომავადობელი მოზაიკა...

ლირიკა იყო მისთვის და მასში, დროისა და სივრცის „მეუფე“, ნეტარი მარტოობის ზღაპრული „კოშკი“, საიდანაც ამაყად ჭვრეტდა ანწყოს ამაოებასა და მომავალს, მასავით გენიალურ „მარგინალთა“ ამ ერთადერთ რომანტიკულ „სამშობლოს“...

\*\*\*

უსასტიკესი კატაკლიზმებით აღბეჭდილი დროის სუსხი, ბუნებრივია გალაკტიონმაც იწვინა... ამ შემადრწუნებელი რეალობისაგანაცაა მისი, როგორც ადამიანის აშკარად დარღვეული ფსიქიკური ნონასწორობა, თვალშისაცემი „ლაფსუსები“ და არაკომუნიკაბელობა... აქედანვეა მის ირგვლივ შეთხზული ოდიოზური ლეგენდებიც...

მისთვის, სრულიად ლოგიკურია, ყველაზე მტკივნეული იყო ის, რომ ინგრეოდა და უჩინარდებოდა ეროვნული სულიერება და მისგან იმპულსირებული იდეალები...

ჭეშმარიტად ბესტიარულ გარემოცვაში ცდილობდა იგი გაეცნობიერებინა არსებობის ფილოსოფია... შეეცნო ირგვლივ გამეფებული ქაოსი, როგორც საყოველთაო ფსიქოზისა და სოციალური სიდუხჭირის მაპროვოცირებელი ძალა...

ლოგიკურია ისიც, რომ სრულიად პარალიზებული საზოგადოების წევრი, თუნდაც პოეტი, ვერ აღასრულებდა სისხლიან რეჟიმთან მეტროპოლის როლს...

საგულისხმოა, რომ მას, ამ დროს, არც რომანტიკული „სიმღერების“ ჟამი უდგას, რადგან მშვენივრად იცის რომ „რომანტიკა“ მხოლოდ უიმედო სულსთქმანა... ჯოჯოხეთური დროისათვის უქმცა და სახიფათოც...

მისთვის უალტერნატივო იყო „ალმოეჩინა“ ახალ სააზროვნო ნიშანთა სისტემა, სემიოტიკური „რეზუსი“, რომელიც ოფიციალისათვის ბუნდოვანი ენით აირეკლავდა სინამდვილის ტრაგიკულ დრამატურგიას...

რაც შეეხება მის წარსულსა თუ მომავალში ინტეგრირებას, ეს მისი პირობითად მეორე შემოქმედებითი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი...

ასეთი იყო გალაკტიონის შემოქმედებითი ყოფიერების სტრატეგია... მის სულიერ გრადიციათა „ტრაექტორია“...

სათანადო ლიტერატურული პრაქტიკაა საჭირო, რათა „გაუშინაურდე“ და გაუცხოების გარეშე განვლო გალაკტიონის სემანტიკური აბსტრაქციებითა და ლინგვისტური მოდულაციებით აღბეჭდილი პოეტური ტექსტები...

თვით ის, მთელი თავისი სუბსტანციით მხოლოდ მისივე პოეზია იყო... რაიმე სხვისათვის იგი უბრალოდ აღარც კი არსებობდა, აღარ „ვარგოდა“, აღარ „რჩებოდა“...

ყველაზე უკეთ თვითონვე ითვალსაჩინოებდა იმ კოლოსალურ გავლენას, რომელიც „თავს მოახვია“ თანამედროვეთა ფიქრსა და აზროვნებას...

\*\*\*

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ სრულიად განსაკუთრებულია გალაკტიონის სუბიექტივიზმი, მისი ფილოსოფიური თუ ესთეტიკური აქცენტები, ფერისა და მელოსის ინტენსივობა...

კულტურულ-ისტორიული ციტატებით, ალუზიებით, რემინისცენციებითა თუ სხვა ინტერტექსტუალური ვარიაციებით „მანიპულირება“, პოეტის სულიერების ფართო ჰორიზონტებს გადახსნის მკითხველის წინაშე...

„ღამეული ხილვების წარმოსახვისას — წერდა ჯოისი — ვგრძნობდი, რომ შეუძლებელი იყო მომეძია სიტყვები მათ ჩვეულებრივ კავშირებში... რადგან ისინი, ამ შემთხვევაში, სრულიადაც არ გამოხატავდნენ ლამის სანგზებს დინამიკაში, სხვადასხვა სტადიასა თუ გრადაციას — ცნობიერში, ნახევრად ცნობიერსა და ბოლოს არაცნობიერში... მივხვდი, რომ ბუნებრივი ურთიერთკავშირებით სიტყვებს ამის გადმოცემა არ შეეძლოთ“...

დიდი მწერლის ამგვარი რეფლექსიები, საოცრად ახლობელი იქნებოდა გალაკტიონისთვისაც...

ის, როგორც ქართული პოეტური აზროვნების ნოვატორი, სრულიად კანონზომიერად ინაწილებს XX საუკუნის კულტურის უდიდეს ავტორიტეტთა ღირსებას...



გალაკტიონ ტაბიძე

\*\*\*

ესეში — „პოეტი და დრო“ მარინა ცვეტაევა წერს: „ყოველ თანამედროვეობას ორი „კუდი“ აქვს — კუდი რესტავრატორული და კუდი ნოვატორული... და ერთი უარესია მეორეზე“.

ამოუწურავი და უსაზღვროა გალაკტიონის სულსა და გონებაში განფენილი თანამედროვეობის დიპაზონი... და იგი მარადისობისკენაა ორიენტირებული... მისთვის არსებითად მხოლოდ დროა ისტორიის რეალური შინაარსი... მისი ერთიანი სინქრონული აქტი...

გალაკტიონის პოეტური ხატი, როგორც „საგანთა სული“ და ცნობიერების კულტურის ნიშანი (სიტყვა-ფსიქეა), ადამიანის სუბსტანციის გამომხატველიცაა და მისი ხსოვნის ერთადერთი საიმედო თავშესაფარიც...

\*\*\*

ლიტერატორთა თაობების განსჯის საგანი იყო გალაკტიონის პოეზიის ირაციონალიზმი...

ერთნი მიიჩნევდნენ, რომ იგი ოდენ მხოლოდ მეტაფიზიკური ტკობისათვის იყო „განწირული“...

ლიტერატორთა სხვა პოპულაცია სხვაგვარად ფიქრობდა და ცნობიერად იგემოვნებდა პოეტის ლირიკას...

ირაციონალურის ტრიუმფისა და წმინდა ესთეტიზმის გალანტიური „შლიფი“ დღესაც არ „ჩამოსცილება“ საუკუნის შედეგს — „არტისტულ ყვავილებს“...

ჭეშმარიტად უნიკალურია პოეზია, რომელიც „იდუმალი ლაბირინთებისა“ და სემანტიკური „მირაჟების“ მიუხედავად, ესთეტიკური ნეტარების საბურველში გხვევს და უპირობოდ გაღიარებინებს თავს გენიალურ ქმნილებად...

\*\*\*

გალაკტიონის სააზროვნო სტრატეგიის მიხედვით ხელოვნება (პოეზია) იდეალისტურ, მეტაფიზიკურ თუ რელიგიურ დომინანციათა შეხვედრისა და შერწყმის პოდიუმია, რომელიც ზემთავონების ფაზაში სუბლიმირდება სრულიად განსაკუთრებულ სუვერენულ სამყაროდ...

მას არა მხოლოდ მახვილი ხედვა, არამედ ფანტასტიკური სმენა აქვს... ძნელია „აპყვე“ და გრძნობა-გონებით შეერწყა მისი სუბიექტივიზმის მოულოდნელ მოდიფიკაციებს... თუმც ეს ნეტარი „ტანჯვა“ კომპენსირდება სულიერი ტკობის სრულიად განსაკუთრებული გრადაციებით...

ადრეული გალაკტიონის პოეზიაში პრევალირებს არა მშვიდი ანალიტიკისა და ლოგიკის დისკურსი, არამედ „დესტრუქციულ“ იმპულსთა ფარული ჰარმონია... მხოლოდ მისთვის ცხადი თავისუფლებით „თრობა“...

იგი თითქოს შორეული სივრცეებიდან ეცხადება მკითხველს და ლექსის იდუმალბუნებში უჩინარდება... ტოვებს რა თავისუფალი ფიქრის იმპულსსა და უფლებას... გალანტიური სულის თრთოლვის ექოს, რომანტიკულის ნოსტალგიას... აღსარებისა თუ მონანიების, დაცემისა თუ აღორძინების სევდასა და პათეტიკას...

თავისი აზროვნებითა და ყოფიერებით, იგი სულიერი „მოციქულის“ ტრაგიკულ ხვედრს ეთაყვანებოდა.

აქედანვე იყო გამორჩეულობისა და ხალხის მესხიერებაში „მწუხარე სახის რაინდად“ დამკვიდრების „იდეა-ფიქსი“...

პოეზია გალაკტიონისაგან ითხოვდა უსაზღვრო თავისუფლებას და აქედან გამომდინარე დრამატულ ბედისწერას, თავდაიწყებასა და ნებაყოფლობით მარგინალიზაციასაც კი...

იგი იმ უიმეზიანესაგან იყო, ვინც თავისი განუმეორებელი ხმით შეავსო სივრცეთა შემზარავი სივრცეები, ვინც პროვიდენციული აზრი მიანიჭა დრო-ჟამს, ამორფულსა და ბრუტალურ ყოფიერებას...

ამიტომაც შეიმეცნება მისი ლირიკა საუკუნის საყოველთაო სისასტიკის მეტაფიზიკურ ალტერნატივად, აკრძალული სულიერების სემანტიკურ ეკვივალენტად და ბოლოს, მარტობის გენიალურ მეტაფორად...

\*\*\*

ფრიად საგულისხმოა გვიანი გალაკტიონის სისადავე... ღრმად შეცნობილი უბრალოებაა თითქოს ცხოვრებისაგან დაღლილის უკანასკნელი ნავსაყუდელი. მისი ლექსების ცხადი სტილური რელიეფი ხაზს უსვამს ყოფიერებისა და ხელოვნების ახლებური შემეცნების სტრატეგიას და მისგან იმპულსირებულ ესთეტიკას... მისი ლირიკა უკვე საგნობრივი და ზუსტია, ანუ მხატვრული სახეები რეალური შეგრძნებებიდან, ვიზუალური თუ აკუსტიკური ალქმის ცხადი იმპულსებიდან იშვება... მათში ხატი პირდაპირ იმეორებს რეალობას... მოვლენები თუ დეტალები „იძარცვებიან“ წარსულის ასოციაციებისაგან და კულტურული ალუზიებისაგან...

თუმც, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოდულაციები და მაღალი სულიერი ენერგეტიკა კვლავ უზადოა და გენიალური პოეტური სტატუსისათვის ორგანული...

\*\*\*

გალაკტიონისათვის ბუნება უნივერსალური ესთეტიკური კატეგორიაა, რომანტიკული კონოტაციებითა და საკრალური წარმოსახვებით აღბეჭდილი და ამაღლებული...

იგი ტრფალიისა თუ ფილოსოფიური მედიტაციის მაპროვოცირებელიცაა, ცხადისა თუ ზმანებათა სახით რომ ჩნდება და უჩინარდება...

რომანტიკოსების მსგავსად მის პოეზიაში ბუნება სინმინდისა და სათნოების ტაძარია... ფერწერული ბრწყინვალეობით აღბეჭდილი, იგი პოეტის ლირიკული მსოფლგანცდის სემანტიკური და ონტოლოგიური ვექტორია...

და ვითარცა მისი დიდი წინამორბედი, ისიც ტანჯული მარტობის „ნეტარ“ ყოფიერებაში ჰპოვებდა ცოცხალი ბუნების გამოძახილს...

\*\*\*

ინტელექტის რაოდენი მრავალწახნაგოვნებაა კონცენტრირებული გალაკტიონის ქმნილებებში... გავლილ-გატარებული მის უნატიფეს „სხეულში“... ყოველივე ამის შესწავლა სერიოზულ იმპულსს მისცემდა მისი სტრუქტურული ანალიზის ახალ მოტივაციებს...

მისი პოეზიის სუბსტანცია, ყოველ ეტაპზე იყო საოცრად მონესრიგებული სისტემა, ეპისტემოლოგიური ცოდნისა და სემანტიკური ჰორიზონტების მკაცრად სტრუქტურირებული მოცემულობა...

იგი უკვე გარდასულ, სულ სხვა ლიტერატურულ კულტურათა გამობრწყინებაა და მისი ოდესმე გამეორება ნოსტენსია...

სამყარო, როგორც ლიტერატურის ობიექტი სამწუხაროდ დღეს თითქმის აღარც კი არსებობს... უნივერსალური, ონტოლოგიური ცოდნა ქრება ლიტერატურიდან და ის ახლა წარმოადგენს არა მიმეზისს, არამედ სემიოზისს, ანუ ტექსტს, რომელიც ლიტერატურული პრეტენზიის მიუხედავად, სრულიად არ არის ლიტერატურა... სამწუხარო ის არის კიდევ, რომ ეს პროცესი პროგრესირებადია და არა ეფემერული...

ჭეშმარიტი ლიტერატურა ღრმად შეცნობილი ყოფიერების რეპრეზენტაციაა, წარმოსახვა იმისა, რაც უჩინარდება და მაღლდება ემპირიულ წარმოდგენებზე, რაც ივინყება და მარადისობას შეერთვის...

დღეს, ესოდენ პოპულარული ტექსტი, ფაქტობრივად ენობრივ რესურსთა უსასრულობის წარმოსახვაა, ყოველგვარი ცოდნისა და სულიერი გამოცდილების გარეშე...

ამ სამწუხარო პროგნოზირების თვალსაჩინო ილუსტრაციაა ლიტერატურის ის ბუნდოვანი „ლანდშაფტი“, რომელიც ჩვენს წინაშეა გადაშლილი...

\*\*\*

გალაკტიონის პიროვნული და შემოქმედებითი ინდივიდუალობა, თავისი მაგიური ძალმოსილებით მიანიშნებდა საკრალურ გზას, გზას მომავალს, სასტიკსა და უსასრულოს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა სინამდვილის ეფემერული სიკაშკაშე და მისტიკური ირეალობის დამატყვევებელი ბუნდოვანება...

მისი პოეზია განერიდა ყოველივეს, რაც თხრობადია და რასაც პროზის თუნდაც ოდნავი სურნელი ახლავს... არც მწყობრი ფილოსოფიური კონცეფციებისადმია იგი „გულმონყალე“... აღარაფერს ვამბობ პოლიტიკაზე, მისთვის ამ სრულიად უცხო „ქიმერაზე“...

რა არის არსებითი მის პოეზიაში?

სიტყვის განუმეორებელი ხიბლი, მუსიკა, მეტაფიზიკურ ხილვათა მელანქოლია, ირონიული „ნაივურობა“ და გალანტური ინფანტილიზმი...

არის მის ლირიკულ შედეგებში ჯადოსნური შერწყმა სულისა და სხეულისა, სიცოცხლის პათეტიკური ვნებისა და არამეცხეური სიმწუხარისა, განცდა წამისა და მარადისისა... ნეტარი ერთიანობა სამყაროს უმაღლეს ჰარმონიასთან...

მასში კონცენტრირებულია უღრმესი გამოცდილებანი, რაც ოდესმე შეუძენია ლირიკას — პოეზიის ამ უსათუთესსა და მეგარეფლექსირებად ჟანრს...

თანამედროვეთაგან საქართველოში ვერავინ შეძლო მასავით ყოფიერების იდუმალებათა ამეტყველება ენის იდუმალი „იეროგლიფებით“...

და კიდევ:

რომანტიზმის „გედის სიმღერა“, ანუ დაისი, სიტყვის მაგიით აღმატებული „სიმბოლიზმი“ იყო...

ამ ეპოქალური მუტაციის გამოხატულებათა გალაკტიონი...

მისი პოეზიით საქართველოშიც მთავრდება რომანტიკული სულიერების, მისი თეორიისა და პრაქტიკის ხანგრძლივი „დექტატურა“... კლასიკურ გამოვლინებათა ძლევამოსილი ინერცია და მისგან იმპულსირებული მეტანარატივები...

გალაკტიონი, როგორც სამყაროს დინამიულ პოეტურ კულტურათა ერთი გენიალური აქტორი, დიდი ინტელექტუალი და გენიალური ლირიკოსი — ასეთია XX საუკუნის ძლევამოსილი ქართული კულტურის ამ პროტაგონისტის ისტორიული ამბულა...

\*\*\*

იდუმალი და ფანტასმაგორიულია გალაკტიონის ცხოვრების დრამატურგიაც...

უჟმურ სიზმრებად განცდილი ყოფიერების არითმიულ მდინარებას, თვითმკვლელობის მისტერიამ დაუსვა საბედისწერო მრავალწერტილი...

ასე და ამგვარად გაცხადდა ტრაგიკული ეპოქისათვის ორგანიული სტიგმა...

ღრმა სიმბოლიკაა თითქოს პოეტის მიმწუხრის „სცენაში“ — დრო, სივრცე, ადგილი, დინამიკა, ის მაპროვოცირებელი იმპულსებია, რომელთაც კიდევ ერთხელ უბიძგეს პოეტის თანმდევი „სიკვდილის აჩრდილს“, ან უკვე რეალურად აღესრულებინა და მარადისობის წიაღს ეზიარებინა ის, ვინც განუმეორებელ გამოსხივებად აქცია სამყაროს ხილულ თუ უხილავ ეფემერათა ჯადოსნური სილუეტები... ვინც თავისი სულიერებით შეინივთა, ააღორძინა და განასრულა ერთი განუმეორებელი ეპოქა ეროვნული პოეზიისა...

### ვალერიან გაფრინდაშვილი

პერმანენტულია გასული საუკუნის გარიჟრაჟის ლიტერატურულ ნოვაციათა ანალიტიკური განსჯის სურვილი...

ახალგაზრდა შემოქმედთა თაობა, რომელიც „ცისფერყანწელთა“ სახელითაა ცნობილი, ამ საერთო ფერისცვალების ავანგარდს წარმოადგენდა...

ეს იყო ე.წ. ლიტერატურული „სკოლა“, რომელიც წარმოშვა არა იმდენად მიმბაძველობის სურვილმა, რამდენადაც კულტურულმა გამოწვევებმა და ობიექტურმა ისტორიულმა საჭიროებამ...

ქართული მხატვრული ცნობიერების აშკარა პრიმიტივიზმის სიმპტომები ის წინაპირობა იყო, რომელმაც ცხადი გახადა მისი მოდერნიზაციის აუცილებლობა...

ამ ოდიოზურ ატმოსფეროს ვერ სცვლიდა თვით ბრწყინვალე კლასიკოსთა ან მიმწუხრის მიახლოებული არსებობა...

გარდაუვალი გახდა „საყდრული მყუდროების“ დარღვევა და ქართული კულტურის ესთეტიკური დიაპაზონის ევროპული რადიუსით განვრცობა...

ეს იყო გზა იმ ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ ნოვაციებთან მიახლოებისა, რომლის მძლავრი ექო საქართველომდეც აღწევდა...

ევროპული სიმბოლიზმის პოეტიკისა და რიტორიკის პრიორიტეტი ამ დრო-ჟამის რეალობას წარმოადგენდა...

მათი იმპერატიული ლიტერატურული მანიფესტები დაჟინებით ამკვიდრებდნენ შემოქმედებითი ყოფიერების სრულიად ახალ სტრატეგიასა და კონტექსტებს, რომელთაც უნდა დაფუძნებოდა „ცისფერყანწელთა“ პოეზიისა თუ პროზის შემოქმედებითი პრაქტიკა...

ამ ლიტერატურული „ორდენის“ ერთი ლიდერთაგანი ვალერიან გაფრინდაშვილი იყო...

ახალი ესთეტიკური კულტურის ადგენტი, იგი ორთოდოქს სიმბოლისტად შემორჩა ლიტერატურის ისტორიას...

სხვა მის რჩეულ თანამედროვეთა მსგავსად, ისიც სამყაროს ახლებური აღქმისა და წარმოსახვის ჟინით იყო ატანილი... ფლობდა ღრმად შეთვისებულ, შეურყვნელ რწმენას, ყოფილიყო ერთგული საკუთარი იდეალების მიმართ...

მისი სულის კარნახით შექმნილ ლექსებში ყოფიერების კონკრეტული გამოვლინებანიც კი იდუმალებითაა მოსილი... ყოველთვის რთული და უჩვეულო იყო იგი, ამიტომაც იქცა მრავალათვის ბუნდოვან ლეგენდად...

მნიშვნელოვანი და არსებითია ის, რომ თავისი სულიერი ინსტინქტებით (პოეტი კი სხვა ალბათ არაფერია) მისი პოეტური ვიზიონები ახალი სიტყვა იყო ქართულ პოეზიაში... იგი იმ რანგის პოეტთა შორის წარმოიდგინება, რომელთაც შეძლეს განეგრძოთ მკითხველის ემოციური დიაპაზონი და მშვენიერების აღქმის კულტურა... ახალ, უნივერსალურ განზომილებად ექციათ პოეზიის ინტელექტუალური პრაქტიკა...

მისი პოეტური კრებული „დაისები“, გალაკტიონის „არტისტულ ყვავილებთან“ ერთად, ქართული მოდერნიზმის „მოციქულებად“ წარსდგნენ მკითხველისა და ისტორიის წინაშე... და სულაც არ არის ეს ფაქტი მხოლოდ ერთი დეტალი პოეტის შემოქმედებითი ცხოვრებისა...

მის სახელთანაა დაკავშირებული ევროპული თუ რუსული პოეზიის ქართულ „ნიადაგზე“ დამკვიდრებისა და ორგანული გაცდის დიდმნიშვნელოვანი პროცესი... მისი „კულტურტრე-



ვალერიან გაფრინდაშვილი

გერული“ ღწვა უცნობ და უცხო იდეურ-ესთეტიკური მოდიფიკაციებით აღბეჭდილი ლიტერატურული ქმნილებებისა, თუ მათი სახელგანთქმული ავტორების გაცნობა-დაახლოებას გულისხმობდა...

ბოდლერისა თუ გოტიეს, მალარმესი თუ ვერლენის, რემბოსა თუ კორბიერის, ხლენიკოვისა თუ სევერიანინის, ბლოკისა თუ ბალმონტის და მრავალთა სხვების შემოქმედებითი სილუეტები, სწორედ ვალერიან გაფრინდაშვილის თარგმანებითა და ანალიტიკური ეტიუდებით გაცხადდა თანამედროვეთა კულტურული ცნობიერებისათვის...

მისი რედაქტორობით გამომავალი „მეოცნებე ნიამორები“, გასული საუკუნის 20-30-იანი წლების იმ ინტელექტუალურ „ოაზისს“ წარმოადგენდა, რომლის ნიაღშიც ითქვამდა სულს სიახლეს დაწაფებული ლიტერატურის თაყვანისმცემელი... კულტურული ციტატებითა და რემინისცენციებით მდიდარი პუბლიკაციები კონსერვატიზმისა და დოგმატიზმის ალტერნატივად მოიაზრებოდა და დიდი მოლოდინით მსჭვალავდა საზოგადოებას...

გადიოდა დრო და აკრძალვის წინაშე დგებოდა მოდერნიზმის ყოველგვარი გამოვლინებანი...

აშკარა ხდებოდა „ცისფერყანწელთა“ მონოლითური გაერთიანების დაშლისა და რადიკალური ტრანსფორმაციის აუცილებლობა...

უაღრესად მტივიწეული იყო მათთვის იძულებითი „ფერისცვალება“... დათმობა და დავინწყება უწარმტაცესი სულიერი თავისუფლებისა...

და თუ ამ მტივიწეულ მეტამორფოზას ვერ შეეგუენ თვით ის „ცისფერყანწელები“, რომელთა პოეზიაში ადრევე თავს იჩენდა რეალისტური ნაკადი, მით უფრო ტრაგიკული უნდა ყოფილიყო იგი ისეთი ორთოდოქსი სიმბოლისტისათვის, როგორც ვალერიან გაფრინდაშვილი იყო...

„დაბრუნება მიწასთან“ — ამ ლოზუნგით გაცხადებულმა დეკლარაციამ, მოგვიანებით რეალური განხორციელება ჰპოვა... თუმც, ამ „აღთქმულ მიწაზე“ საბოლოო დაბრუნებას და დასახლებას მტივიწეული ტეხილები ახლდა თან...

კიდევ ერთხელ მივუბრუნდები პოეტის სიმბოლისტურ ქმნილებათა წიგნს — „დაისებს“...

იგი ერთგვარი სუბლიმაციაა რომანტიკული იდეალების სიმბოლიზაციისა... მასში გალანტური პოეტური სახეები ზეაღმატებული ექსპრესიით ავლენენ საკუთარ არტისტულ სუბსტანციას, მათთვის ორგანული მეტაფიზიკური ყოფიერების „ლანდშოუბას“... როცა პრიორიტეტულია არა ცოცხალი გამოცდილება, არამედ „ისტორიულ-კულტურული ტექსტი და მისი წიაღიდან ამოზიდული რემინისცენციები“...

წიგნის ოთხი თემატური ციკლი („დაისები“, „ორეულები“, „ოფლები“, „ამირსიფალი“) ნათელს ფენს ავტორის ესთეტიკურ ორიენტაციას...

მკითხველის წინაშეა რეალობიდან „დევნილის“ ოდისეა წარმოსახვათა სამყაროში, რომელიც მინიშნებებით ავლენს შეცნობილის მეტაფიზიკურ სემანტიკას...

დაისს, ანუ მიმწუხრის პოეტურ სიმბოლიზაციას „ეტროფოდენ“ ბოდლერიცა და ვერლენიც, ბლოკიცა და მერეჟკოვსკიც... და როგორც მათთან, ქართველი სიმბოლისტის მედიტაციებშიც თვალსაჩინოა დაისისაკენ მიდრეკილი დაქანცული და მწუხარე სულის მოდულაციები...

თავის ერთ ადრეულ ესეიში — „სტეფან მალარმე“, ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა: „მალარმემ შექმნა ოთახის ესთეტიკა, რასაკვირველია, ოთახის თვალსაჩინო კატეგორია არის სარკე. შეიძლება მალარმე არის პირველი პოეტი, რომელმაც მიაქცია ყურადღება სარკეს, როგორც შემოქმედების საგანს და მოგვცა სარკის პოეზია... სარკე ხომ უდიდესი სიმბოლოა ჩვენი ყოფნისა... არაფერი ისე მისტიკურად არ გამოხატავს ჩვენი ყოფნის ლანდშოუბას, ჩვენს ორობას, ჩვენს კავშირს წარსულთან და მომავალთან, როგორც სარკე“...

დიდი ფრანგი სიმბოლისტის ამ ეზოთერიულ გატაცებას იგი ლექსითაც შეეხმანა და საკუთარი ხილვებით გამოხატა სოლიდარობა:

**ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება,  
ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვალებს,  
ნუთუ მე მიცქერს საკუთარი ჩემი ჩვენება?  
ნუთუ ჩემს გულში მისტიური შიში იალეებს...**

ანალოგიური დისკურსებითაა აღბეჭდილი ამ წიგნში წარმოდგენილი ლირიკული მონოლოგები... მინიშნებანი, შიფრი და ალუზია შეიმეცნება მხოლოდ იმ კულტურულ-ისტორიული კონტექსტების სემანტიზაციით, რომელთა საფუძველზეც არიან ისინი „ამოზრდინი“...

„დაისები“ — ქართული სიმბოლიზმის ეს ერთი პირველი „მერცხალი“, მაცნე იყო ახალი მხატვრული ცნობიერების გაუბედავი ნაბიჯებისა, მომავალზე გათვლილი კულტურის ჯერ მხოლოდ ილუზიური კონტურების წარმოჩენისა... დიდი ტრადიციების კონცეპტუალური გადახალისებისა... თავისუფალი შემოქმედებითი სულის ამოუნწურავი პოეტისა...

სამწუხაროდ ამ მშვენიერი წიგნისა და საერთოდ „ცისფერყანწელთა“ ზეობის ხანა მალევე დასრულდა...

ამ დიდი „ფიასკოს“ გამოძახილია პოეტის სინანული:

**ღმერთო, მაპატიე უმიზნო ცხოვრება  
ღმერთო, მაპატიე პოეტობის სურვილი...**

\*\*\*

ვალერიან გაფრინდაშვილის სულიერი ყოფიერების ვექტორი სამყაროს ინტელექტუალურ ფასეულობათა აღქმისაკენ იყო მიდრეკილი... მისი კულტურული გამოცდილებანი და კოლოსალური ერუდიცია იყო გარანტი იმისა, რომ უმპირიკა ექცია აზროვნებისა და ამაღლებული ვნების სამყაროდ, აღმოჩინა ტრადიციათა „ტირანიისაგან“ თავისუფალი ხელოვნების ახალი „ნესრიგი“, შეეგრძნო ფაქტურული განხეთქილება სიტყვის შინაგანსა და გარეგან ფორმას შორის...

გაცენობიერებინა პოეტი, როგორც ვერბალური აპრიორულობის სიმბოლო...

იდეალიზმის ახალი ტიპის ადეპტი, იგი მძვინვარე დროყამმა აიძულა დამორჩილებოდა იმ რეალობას, რომელიც ჩანასახშივე უარყოფდა თავისუფალი ნების არსებობას...

ტოტალიტარული რეჟიმის მრისხანება ე.წ. ელიტარული ხელოვნებისა და ზოგადად ინდივიდუალიზმის მიმართ, საყოველთაო ნორმატიული შემოქმედებითი პრინციპების დაკანონებით „დასრულდა“... და ეს ყოველივე იმ ტრადიკულ მოცემულობად იქცა, რომელმაც სინორჩემივე აღკვეთა ქართული სიმბოლიზმის, კერძოდ კი ვალერიან გაფრინდაშვილის ორგანული გატაცებები...

შემდეგ იყო წლები „ეპოქის ძღვეამოსილ სუნთქვასთან“ შერიგებისა, ადაპტაციისა და რალა თქმა უნდა, დიდი ნოსტალგიისა...

**წინათ გსმენია ჩემი გალობა  
ახლა მოვდივარ შენთან სწეული.**

მწუხარებს პოეტი და მშვენიერების ძიების ვნებით აღბეჭდილი ყოფიერების გაყინულ კედლებს „ანყდება“...

ლექსი „1941 წლის 1 იანვარი“ მისი „გედის სიმღერა“, რეკვიემია ხელოვანისა, რომელიც უსაზღვრო სინანულით ეთხოვება შორეული წარსულის დაუფინყარ ვნებებსა და მისთვის უცნობ და უცხო რეალობას...

დასასრული შემდეგ ნომერში

# ე რ თ ი ფ ღ ე , ო რ ი შ ე ხ ვ ე ჟ რ ა

თამარ ყალიჩავა

## ქართული დუელი, როგორც სპექტაკლი

XV საუკუნის იტალია დუელის სამშობლოდაც ქცეულა, სადაც ორთაბრძოლები ქუჩებში იმართებოდა და აუცილებლად ერთ-ერთი მონაწილის სიკვდილით მთავრდებოდა. იტალია-საფრანგეთის ომის დასრულების შემდეგ, XVI საუკუნეში, დუელი საფრანგეთში გავრცელებულა და, ანრი III-ისა და ლუდი XIV-ის დროს, საკმაო პოპულარობაც მოუპოვებია, კიდევ უფრო დახვეწილა. დუელის საგანგებო კოდექსი 1836 წელს შეუქმნიათ. რუსეთში ეს მოვლენა XIX საუკუნეში გავრცელებულა. დუელების წინააღმდეგ პირველად რომის კათოლიკური ეკლესია გამოსულა, რის მიზეზადაც ძალიან დიდი მსხვერპლი დაუსახელებია და მისი უპირობო აკრძალვა მოუთხოვია. მაგრამ იმ მეფეებსაც კი, რომლებიც დუელის ასაკრძალად ვერდიქტებს სცემდნენ, ძალიან იზიდავდათ ის, განსაკუთრებით ანრი III ყოფილა გატაცებული დუელებით.

XIX საუკუნის შემდეგ დუელები მსხვერპლით იშვიათად მთავრდებოდა. მისი რამდენიმე სახეობა არსებობდა: პირველი ჭრილობის მიყენებამდე, დასრულებამდე და ა.შ. დუელი საქართველოში რუსეთიდან შემოსულა და ევროპული განათლების მქონე ქართველთა გატაცება ყოფილა. დუელს თავისი წესები აქვს: უნდა იყვნენ სეკუნდანტები, იარაღი უნდა იყოს შერჩეული, ადგილი განსაზღვრული. მკითხველი დარწმუნდება, რომ ქართული დუელი ამ პირობებს არ აკმაყოფილებს და ნებისმიერს რაღაც ელემენტი მაინც დააკლდება: ან იარაღი არ იქნება შერჩეული, ან ადგილი იქნება წინასწარ განუსაზღვრელი, ან ექიმი არ იქნება გამოყოფილი, ე.ი. კლასიკური დუელის მოთხოვნას ქართული დუელი ნაკლებად ითვალისწინებს.

ქართული დუელის შესწავლას ის გარემოება ართულებდა, რომ მთავრობა კრძალავდა: XIX საუკუნეში პრესა მაქსიმალურად ერიდებოდა დუელთა გამჟღავნებას, გამოქვეყნებებს. სავარაუდოდ, რეჟიმის სამსახურში ჩაბმული ადამიანები, ნაკლებად იქნებოდნენ დუელიანტები, რადგანაც მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ ასეთი ორთაბრძოლა არ გამართულიყო. ევროპულ ყაიდაზე აღზრდილ ადამიანებს შეიძლებოდა დუელი გაემართათ, რაც სამწუხაროდ არ შემოუნახავს მემუარულ ლიტერატურას, არც სადემო დაბეჭდილ და, ბუნებრივია, მასზე ძნელია საუბარი.

როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა“ ქართული დუელების ისტორიის შესწავლას პირველი ცდაა. ნიშანდობლივია, რომ ამ წიგნის განხილვას ქუთაისმა, სოლომონ მეფის სასახლემ უმასპინძლა, სადაც ჰეროიზმი და ქართული ხასიათის თავისებურება კიდევ უფრო ხელშეხსნები ხდება. შეკრებილმა საზოგადოებამ კლასიკური დუელის ისტორიიდან სხვა არაერთი მაგალითი და ფაქტი მოისმინა, განსახილველმა წიგნმა მრავალი პარალელი დაისაჭიროვა დასავლური სამყაროდან.

წიგნში განხილული დუელები მსოფლიო ისტორიაში არსებულისაგან განსხვავებულ ქართულ დუელთა ნაირსახეობას იკვლევს, როგორც ავტორი ანოტაციაში აღნიშნავს — ცალკე რკალს ქმნის. ქართულ დუელს გამოორჩეულობას ის გარემოება ანიჭებს, რომ თურმე არცერთი მსხვერპლი არ დასრულებულა. „ქართული დუელიანა“ — თავისებური ეპილოგია როსტომ ჩხეიძის იმ ტრილოგიისა, რომელიც ქართულ ხასიათს ეძღვნება: „ქალდეას მონატრება“, „ქება სიზარმა-

ცისა“ და „მზის შვილები“. წიგნს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს. ქართველთა ეროვნულ თვისებებს სწავლობს, ეძებს მათ წარმომავლობას, ცდილობს ქართული ეროვნული ხასიათის შეცნობას, მისი ბუნების, ადათ-წესების, სულიერი სტილისა და კონსტიტუციის უღრმეს შრეებში გვახედებს.

ლონისძიებს ელგუჯა თავბერიძე გაუძღვა და მას შემდეგ რაც დუელის ისტორია მიმოიხილა, ქართული დუელის თავისებურების განსაზღვრა სცადა:

— თვითონ დუელები არ მიკვლევია, მაგრამ მაინც როგორ შეიძლება განისაზღვროს ქართული დუელი: ქართულ სინამდვილეში, ღირსების შებღალვის გამო გამართულ ნებისმიერ ორთაბრძოლას დუელს ეძახდნენ. შეიძლება რაღაც პირობები არ ყოფილიყო დაცული, მაგრამ მაინც...

როსტომ ჩხეიძის მიერ აღწერილი ყველა დუელი განსხვავდება ერთმანეთისაგან და ავტორიც რთული ამოცანის წინაშე იდგა, ყველასთვის რომ თავთავისი პერიპეტია მოეძებნა. თანაც არცერთი არ იმართებოდა ერთ ადგილას: ზოგი თბილისში იყო, ზოგი ქუთაისში, ზოგი ქალაქგარეთ, მტკვრის მიდამოებში და, ამ მხრივაც, ფონის შექმნას გარკვეული სირთულე მოსდევდა, რაც იდეალურადაა წიგნში დაძლეული. ერთი მხრივ, ეს წიგნი სახალისოცაა, რადგანაც არცერთი დუელი მსხვერპლით არ დამთავრებულა, ყველა ჩაიშალა, მშვიდობიანად დამთავრდა.

იოსებ ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ ეს წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე თვითონ ავტორის შემოქმედებისათვის, რადგანაც პირველი მცდელობაა ქართული დუელის ისტორიის კვლევის, შეფასების, ანალიზის. წიგნის ანოტაციაზე დაყრდნობით, იგი მიიჩნევს, რომ ბიოგრაფიული რომანები ავტორისაგან მოითხოვს ასეთ „ამოსუნთქვას“. ამიტომაც მიაჩნია, რომ წიგნის ბოლოსიტყვაობა ეწინააღმდეგება ანოტაციას და იგი უფრო ანოტაციას ეთანხმება.

— წიგნს ივანე ამირხანაშვილის ბოლოსიტყვაობა ერთვის, ვინც მაღალი რანგის მკვლევარია, თავისთავად ბრწყინვალე სტატიანა, თუმცა აქ არის ერთი უზუსტობა, თითქოს როსტომი ამ წიგნს მიაკუთვნებს თხზულებათა იმ ციკლს, რომელთაც „ერი და ბედისწერა“ უწოდა. მე მგონია, რომ არ მოიაზრებს ასე და ეს წიგნი სწორედაც ერთგვარი ამოსუნთქვაა ბიოგრაფიულ რომანებს შორის.

წიგნში იგი ქართული დუელის ბიოგრაფიას წარმოადგენს, როგორც ეროვნული ხასიათის ნიშანდობლივი ასპექტის გამომხატველს. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ძნელად მოიძებნება ისეთი სახალისო ეპიზოდთა ნაკრები, როგორც ქართულ დუელთა ისტორიაა, მაგრამ მაინც ვერ ვუნოდებ სალაღობო წიგნს, რადგანაც არაერთი სევდიანი და ღრმად სერიოზული პასაჟი გვხვდება. ჩემთვისაც სწორედ ამ პასაჟთა წყალობითაა ძვირფასი ეს წიგნი. აი, მაგალითად:

„მამები აჯანყებისათვის სამზადისში გარეულებიყვნენ - თანაც მოგვარსახელენი. გიორგი ატამანი სულაც ამ ორგანიზაციის ჩანასახში მოჩანს, ჯერკიდევ 1828 წლის 13 მაისსა და პეტერბურგში რომ აწერს ხელს „კანდრახტს“ დიმიტრი და ელიზბარ ერისთავებთან ერთად.

მომავალი დრამატურგი კი საიდუმლო წესდებას ჩამოიტანდა თელავიდან, ფილადელფოს კიკნაძის მიერ გამოტანებულს და გააცნობდა შეთქმულების სხვა მონაწილეთ. და ჯერ მარტო ეს ეპიზოდი მოწმობს, რაოდენ ენერგიულად ჩაბმულიყო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

რუსების გასარეკად დასაღვრელ სისხლს კი მათი შვილები ერთმანეთის წინააღმდეგ იმეტებდნენ, შარვაშიძის ქალის

დასანარჩუნებლად... და, ანთებულნი, კიდევ ერთ საზრდოს მიაწვდიდნენ ჭორებს მოშიებულ ქალაქს.

არ შემიძლია დავეთანხმო ივანე ამირხანაშვილს, რომელიც კითხულობს, დუელი სისულელეა თუ ვაჟკაცობა? მგონი, ერთიცაა და მეორეც. თუ აკაკი წერეთელს დაუჯერებთ, და ვის უნდა დავუჯეროთ, თუ აკაკის არა, მაშინ ეს არის სისულელე და უაზრობა, იმიტომ, რომ აკაკის ისეთი არგუმენტები აქვს, მაგალითად: დუელს შეენიღნენ პუშკინი და ლერმონტოვი. რას ნიშნავდა რუსული კულტურისთვის ერთიც და მეორეც. და დავგიფარა ღმერთმა, ხომ შეიძლებოდა ილიაც მომკვდარიყო.

მასარებს, რომ ქართულ დუელებს თავიდანვე დაებედათ ჩაშლა, მორიგებით გათავდა. შემიძლია რამდენიმე ავტორი დავასახელო, ერთი ამ წიგნშიცაა ნახსენები, რომლებიც შეძლებდნენ დუელების ისტორიის აღწერას, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ როსტომს შეეძლო დაენერა ისეთი ეპილოგი, როგორც აქვს ამ წიგნს. ეს ჩემთვის არის პოეტური პროზაც, პოეზიაც, ძალიან მნიშვნელოვანი რამ...

ჩაიხვევდა და ამოიბუტბუტებდა.

ეს ჩანანერებიც იმ ბუტბუტს (მტკვრის) ამოჰყვდა და, უნებურად რომ ჩამივარდა ხელში, აღარ ვიცოდი, რა მეღონა, ეს ფურცლები სადღა წამელო, და ისევ შენ მოგანდობ, ძვირფასო მკითხველო, თუკი სადმე ხარ, გნებავს შეინახე, გნებავს ისევ მტკვარს დაუბრუნე, ოღონდ მაშინვე ნუ გამოპრუნდები, გარინდდი, სული გაკმინდე, მიაყურადე, მანდ სადღაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცილი ისევ ხშიანებს და ნუ გამოგეპარება, ასეთ სიცილს ვერსად და ვერასდროს ვეღარ მოისმენ.

**თემურ ამყოლაძის** აზრით, ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს ყოფაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში არის რაღაც, რასაც მიგნება სჭირდება, რაც გაფანტულა წყაროებში, თავმოყურა უნდა, ზუსტად ასეთი რამაა „ქართული დუელიანა“:

— ბატონმა როსტომმა იცის მიგნება ისეთი რაღაცის, რასაც ალბათ სხვა თვალს აარიდებდა და ყურს მოუყრებდა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს თავმოყრილი მასალა და მერე შეფასება — აქედან დანახული ქართული ხასიათი.

მეც ვიზიარებ აკაკის მოსაზრებას, რომელიც ამბობს, რომ დუელი უფრო სისულელეა, ვიდრე ღირსების აღდგენის მცდელობა. შეიძლება მართალიცა ვარ და ღირსეულიც. მაგრამ ის მეორე ჩემზე უკეთესად ისვრის. ამის მაგალითია თუნდაც პუშკინის ტრაგიკული აღსასრული. იყო ასეთი შემთხვევა — XIX საუკუნის შუა ხანებია, 1857 წელი, კონსტანტინე დადემქელიანი და რუსლანი ერთმანეთს შეჯახებია. რუსლანი გრძნობდა, რომ რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყო და, ბოროზდინს უწერია, ერთხელ შეგუსწარი, დამბაჩის სროლაში ვარჯიშობდაო, ვკითხე, რატომ აკეთებ ამას-მეთქი? იმიტომ, რომ რა იცი რა ხდება, ეს ველური რა დროს დამხვდება და რა დროს დამჭირდება ესო. ე.ი. ალბათ კონსტანტინე დადემქელიანს ამაზე არასოდეს უფიქრია, მაგრამ რუსლანი უფრო განათლებული კაცი იყო და, თუ მსგავსი რამ მოხდებოდა, უნდოდა აქეთ წაეყვანა საქმე დამბაჩებით დუელისაკენ, რადგანაც ხმალში კონსტანტინეს ვერაფერს დააკლებდა.

სალამოს ძალიან მოუხდა მსახიობის, **აბელ სოსელიას** მიერ წიგნიდან წაკითხული რამდენიმე ფრაგმენტი. ამ დღეს **გიზო თავაძე** მსახიობის ამპლუაში დამსწრეთაგან ბევრმა პირველად იხილა, თუმცა „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს ახსოვს მისი დებიუტი რეზო ჭეიშვილის საიუბილეო საღამოზე, ქუთაისის თეატრის სცენაზე, სადაც მწერლის მიერ გამოვლენილ მსახიობურ ნიჭს მსმენელი აღუფრთოვანებია. მან ამჯერადაც სიამოვნებით მოიგრო მსახიობის როლი, როდესაც დავით კლდიაშვილის დუელის ნაკითხვა სთხოვეს:

— რაზეც უნდა დანეროს ბატონმა როსტომმა, აღარაფერი გვაოცებს, სიზარმაცის ქებაც შეიძლება თურმე და ბევრი სხვა რამეც. ველოდებით და არ გაგვიკვირდება, რაღა გაგვაკვირვებს. საქართველოში ხმლით განვევა ოდითგანვე არ-

სებობდა, ქართველი რაინდი გახლდათ ბუნებით და, თუ არ იყო აღწერილი და ასეთი წესებით აღჭურვილი, შემდეგ ევროპიდან და რუსეთიდან უკვე დუელი შემოიტანეს და დააკანონეს, თუმცა ეს დუელიც სხვადასხვანაირი არსებობდა.

**გია ხოფერია** მიიჩნევს, რომ საქართველოში ყველა დუელს სპექტაკლის სახე აქვს და ის ინტელიგენციის მიერ ევროპიდან შემოტანილი ერთგვარი კაპრიზია:

— ეს არ არის გადასაკითხი წიგნი, ეს წასაკითხი წიგნია. ბევრი ფიქრი გამიჩნდა, დამაფიქრა ქართულ ხასიათზე. საკუთარ თავს ხუმრობით ვუთხარი, ბევრი რამ იმპორტული ჩვენთან არ ამართლებს-მეთქი. დუელი არ არის ქართულ ხასიათთან მისადაგებული. დუელს სჭირდებოდა წინასწარი შეთანხმება მონიშნულმდეგესთან, სჭირდებოდა სეკუნდანტები და დრო — ან ხვალ, ან ზეგ. ჩვენ აზიელები ვართ, სხვა ტემპერამენტის ხალხი, როცა ჩხუბი მოგვიწევს, შეიძლება უცებ შეეტაკო მონიშნულმდეგეს და იქვე გადაწყდეს ყველაფერი. ხმალში განვევა ერთი თვის მერე კი არა ხდებოდა, ერთი კვირის მერე კი არ ხდებოდა, იმ წუთში ინვედენს, იქვე ხდებოდა ანგარიშის გასწორება, ეს ვაჟკაცური იყო.

საქართველოში ყველას მართლაც სპექტაკლის სახე აქვს, იგი ინტელიგენციის კაპრიზია — ევროპიდან შემოტანილი რუსეთის გავლით. ბევრი რამ შემოდიოდა მაგ გზით. იმ ტემპერამენტულობას, რაც ნიშანდობლივია ქართული ხასიათისათვის, დუელი აკნინებდა. ამიტომაც ერთგვარ მოვალეობას დაამგვანეს.

**ლია კუხიანიძე** მართლმადიდებლურ მრწამსთან შეუთავსებელ დუელში ბევრ ღირსებასაც ხედავს. იგი ამ წიგნსაც „ერის და ბედისწერის“ ციკლის განუყრელ ნაწილად მიიჩნევს და იოსებ ჭუმბურიძეს არ ეთანხმება, რომ ეს წიგნი როსტომ ჩხეიძემ შემოქმედებითი ამოსუნთქვისას, მძიმე მოვალეობას გამორიდებულმა დაწერა:

— რაღა დაგიმალოთ, და ვერც ის, რომ ქრისტიანები ვართ, და ვერც ის, რომ ყველა ვცდილობთ, ცოტათი მაინც ვიყოთ ქრისტიანები, ვერა გვშველის. ჩემი ხასიათის ადამიანს მქონია რამდენიმე შემთხვევა, და პირველი, რაც გულში გამივლია, იყო ის, რატომ არ შეიძლება დუელი. რაღაც მომენტში ისე აღშფოთებულა ჩემი შინაგანი სამყარო, რომ ვერ დამაკავებდა კანონის წინაშე პასუხისგება.

ამ წიგნის გასაღებს ეპილოგი აძლევს მკითხველს. ბ-ნო სოსო, პირველად აღმოვაჩინე, რომ, ჩემს თანამოაზრეს, რაღაცამ არ გეთანხმებით. თქვენ ჩათვალეთ, რომ ეს არის ამოსუნთქვა იმ ავტორისა, რომელიც უფრო მძიმე მოვალეობას, უფრო მძიმე საქმეს გამოეხსნა და ამ წიგნით მსუბუქად გადაურა რაღაცას. მე ასე არ ვფიქრობ, უფრო ბ-ნ ივანეს ვეთანხმები, რომ ეს არის ერთი განუყრელი ნაწილი იმ დიდი შრომისა, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ვისურვებ, რომ ის კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, რომელსაც ჰქვია „ერი და ბედისწერა“. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თვითონ ავტორის სიტყვები, რომელიც შესავალში წერს, რომ ეს ყველაფერი, არტისტიზმი, სპექტაკლი აღმოჩნდა და სიკვდილებით არ დამთავრდა, რასაც ასე ხსნის: ეს რომ არ ყოფილიყო, ქართულის ეს თვისება, იმ მძიმე და ტანჯულ ცხოვრებას, სადაც ისტორიულად გვინვედა არსებობა, ვერ გავუძლებდითო. ეს არის მოჩვენებითი მხიარულებით დაწერილი წიგნი და ამის ყველაზე კარგი დასტური სწორედ ეპილოგია, რომელიც მართლაც არაჩვეულებრივად მთავრდება, როცა გამოცანასავით მიმართავს მკითხველს, მე შენ მოგცემ ამ ფურცლებს, შენ გინდა დაიტოვე, გინდა მტკვარს დაუბრუნე ისევო.

რაც შეეხება იმას, რომ სისულელეა თუ არა დუელი, თუკი სიტყვაზე მენდობით, ძნელია რომელიმე გაიმეტო დუელისთვის, შვილი, ძმა მეუღლე, ალბათ ისევ მეუღლე უნდა გაიმეტოს ქართველმა ქალმა დუელისთვის... არ მგონია, რომ უბედურები ყოფილიყვნენ ის ქალები, რომლებსაც ქმრები დუელში დაეღუპნენ, არ ვიცი, ვერ გეტყვით, ღირდნენ თუ არა ის ქალები

სადღეულოდ, მაგრამ საქართველო მანამ იქნებოდა და იქნება საქართველო, ვიდრე ღირსების გულისთვის თავის განწირვას არ შეეშინდებით. „ქართული დუელიანაო“, ნიგნს ასე ჰქვია, ეს „ქართული“ ეპითეტი კი არ არის მხოლოდ, იმ განსხვავებულობისა და იმ სიღრმის, გამორჩეულობითაა აღბეჭდილი.

მგონია, რომ დღესაც არიან კაცები, რომლებიც იმას კი არ ამბობენ თავის დასამშვიდებლად: გინება კი არა, წერილი არ მიდის თავის მისამართზეო, არამედ შემართული არიან საკუთარი და ქვეყნის ღირსების დასაცავად. ვიცი, რომ ბევრმა კარგმა ბიჭმა თავიც წააგო ამის გამო, მაგრამ თუ მაინც რაღაცას უნდა შეეწიროს კაცი, ვისურვებდი, იმ „სისულელეს შეწირვოდა“, რასაც პირადი ღირსების — დედის, მეუღლის, დის ღირსების დაცვა ჰქვია, ვიდრე ასე წელი ვიცხოვრო, ყველაფერს ყური მოვუყრუო და კარგად ვიყო. მე ასეთი საქართველო მიყვარს, მე ასეთი ქართველი კაცი მიყვარს და მეგულება კიდევ ასეთი კაცები აქა-იქ. ასეთი კაცების სიჭარბე, ოღონდ უსისხლოდ დასრულებული დუელები ყოფილიყოს საქართველოში.

**ნიწო ვახანიას** ყურადღება იმაზე მიუქცევია, თუ რა მიზნით საქართველოში ღირსების შელახვად, თუ რის გამო ინვესტირებენ ქართველები შეურაცხმყოფელს დუელში:

— ნიწნში აღწერილი 25 შემთხვევიდან უმრავლესობა საზოგადოებრივ საქმეს — ქვეყნის, ერის დაცვას შეეხება და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში (დაახლოებით ხუთიოდე) მიზეზი ქალია...

მოსალოდნელია, რომ ავტორმა კიდევ შეავსოს თხრობა მაგალითებით (თუკი შემთხვევით გამოჩნა რამე, უთუოდ თვითონვე მოიძიებს და დაუმატებს), მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ შეიცვლება სულისკვეთება. დაიხატება ღირსების დასაცავად შემართული ქართველი, რომელიც თავგანწირვისთვის მზადყოფნით, შეუპოვრობით, სიმართლის დაცვის სურვილით მონინააღმდეგეს იარაღის გარეშე ახევიანებს უკან. დამნაშავე კი ბოდიშს იხდის და საქმე ორთაბრძოლამდე აღარ მიდის... ისე, ასეთი გამოცდილება სჯობსო, — გვარნმუნებს ავტორი და ჩვენც ვეთანხმებით.

**ლუკა დვალისვილი**მა მარჯვედ მიგნებული სათაური შეუქო ავტორს:

— ეპილოგზე რამდენიმეგზის გამახვილდა ყურადღება, მე სათაურიდან დავიწყებ, ეს არის უზუსტესად მიგნებული სათაური. როსტომ ჩხეიძისთვის ჩვეულია საოცარი ალღოიანობა. ეს თემა სრულიად მიფუჩჩეებული იყო, ნამცვრევების სახით თუ ბჭუტავდა, ასე თავმოყრილი და, მითუმეტეს, ასე ღრმად გააზრებული და ეროვნულ ხასიათთან დაკავშირებული აქამდე არ ყოფილა.

**როსტომ ჩხეიძის** აზრით, იმ თავისებურებით, რომელიც ქართულ დუელს ახასიათებს, შესაძლებელია ჩვენი ეროვნული ბუნების კვლევა და თუკი მოვისურვებთ უფრო ღრმად ჩავიხედოთ მის არსში, ეს ამბები ერთგვარ ძაფადაც იქცევიან ქართული ხასიათის სიღრმეში შესაღწევად:

— ამ ნიწნში ყველა ის დუელი შევიდა, რაც იმხანად ვიცოდი, ვამზადებ მეორე გამოცემასაც, რომელიც გაცილებით უფრო შევსებული იქნება. უკვე მოვუყარე თავი არაერთ ეპიზოდს. ძალიან საგულისხმო შემთხვევებია, ელგუჯა თავბერიძემ ამჯერადაც მიბიძგა ერთი დუელის კვალს გაეყოლოდი, რომელსაც საბოლოოდ იაკობ ბალახაშვილის ნიწნში მივაკვლიე, ახალგაზრდებმა არ იციან, რომ იგი იყო ცნობილი თაღლითი, ავანტიურისტი, პიროვნული ღირსებებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ რაც შეეხება მის გამოკვლევებს, საინტერესო ნაშრომებია და ეს სალონების ისტორიაც საგულისხმო ნიწნია, რომელიც თავის დროზე მქონდა დამუშავებული, მაგრამ ის ეპიზოდი, ის ცნობა აღარ მახსოვდა, ჩახებდე ხელახლა და ვიპოვნე პუშკინთან დაკავშირებული, ოღონდ საქართველოში მომხდარი ამბავი. ან კიდევ — ადრე არსებობდა თურმე სადღეულო იარაღები, და ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა



მსახიობი აბელ სოსელია კითხულობს ფრაგმენტს ნიწნიდან „ქართული დუელიანა“

სწორედ ეს სადღეულო იარაღები, თავის კაბინეტში, და ეს დოკუმენტურად დასტურდება.

ერთხელ ერთი რედაქტორი გულმოსული შეუყარდა ილიას. ილიამ გადმოიღო სადღეულო იარაღები და: აირჩიეო, — უთხრა. გაუსკდა იმას გული, არა, რა დუელი, აქეთ ვიყავი და შემოვიარეო, — მოიბოდიშა და წავიდა.

ილია იარაღს ატარებდა. ცნობილია, რომ როცა საკუთარი სახლის აივანზე გამოდიოდა საგურამოში, ყოველ წუთს ელოდა, რომ ესროდნენ და იარაღშემართული დადიოდა. როცა თავდასხმა მოხდა, ერთი გასროლა ხო აქედანაც იყო, დაცვამ ისროლა ილიასი და გავრცელდა ხმები, თითქოს ილიამ მოასწრო გასროლა, ყოველშემთხვევაში, ილიამ იცოდა იარაღის გამოყენება.

ამ ნიწნში სწირად ვახსენებ ელგუჯა თავბერიძეს და ისე მოხდება ალბათ, რომ მეორე გამოცემას სწორედ მას მიუძღვნენ. ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ ნიწნის შექმნაში. არაერთი ეპიზოდი მისი მონოდებულია და რომ მოიყარა თავი, ზოგი აღნიშნული მაქვს, რაც დოკუმენტურად აუცილებელი იყო და ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ახსენებ ადამიანს, რომ მან მოგანოდა ეს ცნობა. მიძღვნაში ამ ყველაფერს ვიტყვი.

არის ასეთი კაცი, მწერალი და მკვლევარი ნოშრევან არაბული, რომელიც დაინტერესდა კეჭნაობით მთაში, კეჭნაობაც ერთგვარად დუელს უკავშირდება, მისი ერთგვარი ნაირსახეობაა, მანამდე არსებობდა, დიდი ხნით ადრე დუელის შემოსვლამდე, მას ამ ნიწნმა უბიძგა, ამ მოვლენის საგანგებოდ შესწავლა. მთაში კეჭნაობის ამბავი ვიცით მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას რომანებიდან. სახელდახელოდ შეიძლება რამდენიმე კიდევ ფაქტი გაგვახსენდეს, მაგრამ რომ დაიწყებ ამ კუთხით შესწავლას, უეცრად ნახავ, რომ უამრავი მასალა აღმოჩნდება.

\*\*\*

რომის კათოლიკური ეკლესია თუ დუელის უპირობო აკრძალვას ითხოვდა, ქართული, მართლმადიდებლური ეკლესია მსგავს კურთხევას ველარ გაავრცელებდა, რადგანაც XIX საუკუნისთვის ჯერ კიდევ დასაბრუნებელი ჰქონდა ავტოკეფალია... მაგრამ მოხდა ისე, რომ საქართველოში ყველა შემონახულ დუელს სპექტაკლის სახე უფრო აქვს. ჩვენს სინამდვილეში დუელთა ისტორია სახალისო ამბებად ქცეულა და მსოფლიო სადღეულო ქრონიკებიდან ამოვარდნილა. დუელი არ აღმოჩნდა ქართულ ხასიათთან მისადაგებული. იქნებ მთის ტრადიციულ კეჭნაობათა კვლევამ სხვა სურათი გამოჰქვეთოს, მანამდე კი ქართული ხასიათის ორიგინალურობას კიდევ ერთი მონოგრაფია, როსტომ ჩხეიძის „ქართული დუელიანა“ დაადასტურებს.

დარინა ყურუა

# კოლიმა — ნარსული თუ დღევანდელია?!..

12 ივნისს, საგამოცდო ციებ-ცხელების პერიოდში ძნელად თუ წარმოვიდგენდი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზი სტუდენტებით რომ გაივსებოდა (რაც, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენაა ლიტერატურული საღამოების დროს), თუმცა ფაქტია, **ქალბატონი მარია მონოგრაფიული თხზულების „კოლიმგრაფის“ პრეზენტაცია-განხილვაზე დარბაზი სავსე იყო სტუდენტებით. ალბათ, სწორედ ამ ახალგაზრდულმა მუხტმა წარმართა საღამო ცოცხლად, მთელი გულისყურით რომ ისმინებოდა თითოეული გამომსვლელის სიტყვა და ყველამ კიდევ და კიდევ ახალი კუთხით რომ განიხილა მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსითა და მნიშვნელობით კიდევ ერთი დიდი წიგნი, რომელიც რუსული ლიტერატურის დღესაც ბევრისთვის უცნობ რჩეულ წარმომადგენელს — ვარლამ შალამოვს ეხება.**

საღამოს ბატონი როსტომ ჩხეიძე უძღვებოდა. უნივერსიტეტის დარბაზს ასევე სტუმრობდნენ იოსებ ჭუმბურიძე, ნინო ვახანია, თამარ ყალიჩავა, მასპინძლობით კი მასპინძლობდნენ ქუთაისელი მწერლები, ლექტორ-მასწავლებლები...

„კოლიმგრაფი“ — წიგნი, რომელიც საბჭოთა ისტორიის ყველაზე მტიკინეულ და შავბნელ დროს ეხება, განიხილავს და აანალიზებს საბჭოური საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებებს, ადგილს, სადაც ადამიანები (ალბათ, უფრო პატიმარი არსებანი შეიძლება ვუნდოთ მათ, რადგანაც იქ, კოლიმაზე, სიტყვა ადამიანი მნიშვნელობადაკარგული იყო და არასაჭიროც) სიკვდილის გზას აუტანელი ტანჯვით გადაიდნენ... ისევე მათიანი „ადამიანების“, „კაცების“ საშუალებით.

საბჭოური კოლიმის მართლად აღმწერლის ვარლამ შალამოვის მოთხრობების გააზრება-ანალიზია ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“. ქვესათაურიც ამაზე მიგვანიშნებს — „ფიქრები ვარლამ შალამოვზე“ და არამხოლოდ მწერლის, არამედ პირველ რიგში, როგორც მოაზროვნე ადამიანის, ქვეყნის გულშემატკივრისა და თვით პოლიტიკოსის თვალითაც აანალიზებს, როგორც კოლიმაგამოვლილი შალამოვის ცხოვრებას, ასევე იმდროინდელ ნყოფილებასა და ეპოქას.

კოლიმა — ყოფილი საბჭოთა კავშირის საკონცენტრაციო ბანაკების კონცენტრაცია, გრაფოს — აღწერა. — ასე განიმარტება წიგნის სათაური. ეს ელგუჯა თავბერიძის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმია თქვა **როსტომ ჩხეიძემ** და დასძინა:

„მწერლები ყოველთვის ზუსტად ვერ აფასებენ, რა დაუწერიან, რა გაუკეთებიათ, მკითხველი უფრო ღრმად იხედება ხოლმე და უკეთესადაც ერკვევა მწერლის შემოქმედებით შესაძლებლობებში. ვარლამ შალამოვსაც თავმდაბლობით მოსდიოდა, როცა ამბობდა, რომ ის არ იყო მწერალი, არც მემბრანა, არც ბელეტრისტი. პირიქით, იმას ამტკიცებდა, რომ ბელეტრისტიკის დრო დამთავრდა და საერთოდ აღარ დადგება, რომ ჩვენ ისლა დავგრჩენია, აღწეროთ, რაც ირგვლივ ხდება და პირდაპირ გადმოვიტანოთ ქალაქზე, რაშიც ვერ დავეთანხმებით. არც ბელეტრისტიკის დრო დასრულებულა და თვითონ ვარლამ შალამოვსაც შთამბეჭდავი, გულისშემძვრელი მატყანე შექმნა კოლიმაგამოვლილი კაცისა. იმ ტრაგიკული ჟამისა და ყოფისა, რომელიც გამოიხატა გადასახლებაში, საკონცენტრაციო ბანაკებში ყოფნით. ეს ყველაფერი თვით ვარლამ შალამოვის თავზე ხდებოდა, ამიტომაც ვუნდობთ მას კოლიმის მემბრანას.

შეიძლება ვილაცამ თქვას, რომ შალამოვს რუსებიც მიხედავენ და რა აუცილებელია ჩვენც დავინტერესდეთ და მონოგრაფიები ვწეროთ მასზეო...

ქართული გულაგანა, ჯერ კიდევ კონსტანტინე გამსახურდიანი და ლევან გოთუათი დაწყებული, ქართული ლიტერატურის ნაწილია, ჩვენი მატყანა. საკონცენტრაციო ბანაკზე წერისას მნიშვნელოვანია, რას ნამოწვევ, რა გარემოებას მიაქცევ ყურადღებას, აქცენტს რაზე გადაიტან. ის ტკივილები, რაც ამ წიგნშია გადმოცემული, უმეტესწილად ჩვენს ტკივილებს ეხმაურება, ჩვენს დღევანდელობას ეხება და ასევე ჩვენი მომავალიცაა. ეს არის კიდევ ერთი მოტივი იმისა, რომ ქართველ კაცსაც დაენერა ვარლამ შალამოვზე.

ელგუჯა თავბერიძემ წიგნზე მუშაობისას უამრავი საარქივო მასალა დაამუშავა ვარლამ შალამოვზე. ბევრი ისეთი ცნობაა ამ წიგნში მოყვანილი, რაც ადვილად ხელმისაწვდომი არაა. მთავარი ძარღვი კი მონოგრაფიისა ვარლამ შალამოვისა და ალექსანდრ სოლჟენიცინის დაპირისპირებაა. მოგეხსენებათ, სოლჟენიცინი აღიარებული მწერალია. ადამიანი, რომელმაც პირველმა აღწერა საკონცენტრაციო ბანაკის საშინელება და სისასტიკე. ვარლამ შალამოვი ის-ის იყო გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, რომ სოლჟენიცინმა მას თანამშრომლობა შესთავაზა, რაზეც შალამოვისგან უარი მიიღო. თითქოს პირიქით უნდა მომხდარიყო და შალამოვი აღტაცებული შეხვედროდა ამ შემოთავაზებას. მიზეზი სხვადასხვაა, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ რატომ თქვა შალამოვმა სოლჟენიცინის წინადადებაზე უარი, ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. ერთ-ერთი მოსაზრებით, შალამოვს არ მოსწონდა, „ივან დენისოვიჩის ერთი დღის“ ავტორი შელამაზებით რომ გადმოსცემდა საკონცენტრაციო ბანაკის ამბებს. მწერლობა წერილმანებისგან შედგება და სწორედ წერილმანების გადასხვაფერება აღიზიანებდა შალამოვს, თუნდაც ის, სოლჟენიცინი რომ წერს ერთგან, კატამ გაიარა ბანაკში. შალამოვს სასაცილოდ არა ყოფიდა ეს: იქ, სადაც ყველაფერს ჭამდნენ, სულიერს კი არა, მიცვალებულსაც არ ტოვებდნენ შეუჭმელს, კატა როგორ გაისეირნებდაო, უკვირდა...

არის კიდევ ერთი გარემოება, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის სოლჟენიცინისა და შალამოვის შეუთანხმებლობას. თავის დროზე, როცა ჯორჯ ორუელის წიგნზე უნდა გამოცემულიყო („ცხოველთა ფერმა“ და „1984“) ტომას ელიოტმა (მოდერნიზმის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, გამოჩენილი თეორეტიკოსი და პირველ ყოვლისა პოეტი, რომელმაც ბოლომდე გააშიშვლა თანამედროვე ტრაგედია, ეს ყველაფერი დააღაგა, დააწყო და არამართო თანამედროვე ყოფას, არამედ მთელ ისტორიას ლიტერატურისა ადგილი მიუჩინა) უარი თქვა ამ წიგნების გამოცემაზე, ისიც კი დაამატა, საერთოდ არ ღირს მათი გამოცემაო, რაც ყველას გაუკვირდა. მიუხედავად ამისა, ეს წიგნები გამოიცა და დიდი აღიარებაც პპოვა. ყველას ეგონა, რომ ტომას ელიოტმა ამ შემთხვევაში შეცდა. როცა მას ჰკითხეს, თუ რატომ არ მოსწონდა ეს წიგნები, იქ ხომ საბჭოთა ნყოფილება მკაცრად არის გაკრიტიკებული და სტალინიც მხილებულიო, ტომას ელიოტმა უპასუხა: მართალია, ამ წიგნებში სტალინი მხილებული და გაკრიტიკებულია, მაგრამ ეს არა სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, არამედ ტროცკის პოზიციიდანაა დანახული და სწორედ ეს არ მომწონს მათშიო. და აი, აქაც, შალამოვთანაც ზუსტად ამ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე. სოლჟენიცინის რომანებსა და მოთხრობებში სტალინი ხრუშჩოვის პოზიციიდანაა მხილებული და არა სამართლიანობის პოზიციიდან, რაც მიუღებელი იყო შალამოვისთვის. მისთვის მიუღებელია სტალინი, ხრუშჩოვი და საერთოდ ეს სისტემა, მიაჩნია, რომ აქ არ არსებობს უკეთესი და უარესი, ლიბერალური ან უფრო მკაცრი მმართველობა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თვითონ სისტემა, რეჟიმი არის დასაშობი და ამდენად სტალინთან ბრძოლა ხრუშჩოვის პოზიციიდან ისევე გაუმართლებელია, როგორც სტალინიზმის ქება.

როგორც თავში აღვნიშნე, შალამოვი თავს არ მიიჩნევდა კოლიმის მემბრანად. თითოეული ნატეხი, პატარა სურათი-

ბი, ნოველები, რომლითაც იკვრება მისი მონათხრობები, ქმნის დიდ ტკივილს, გვანახებს თუ სანამდე შეიძლება დაეცეს ადამიანი, უკიდურესობამდე აშიშვლებს იქაურ რეალობას.

ბატონი ელგუჯას დამსახურებაა, რომ შალამოვის ცხოვრებაზე ასეთი წიგნი დაიწერა. ამ წიგნში ბუნებრივი პორტრეტი იხატება, რაც ასე საგულისხმო და საინტერესოა მკითხველისათვის.

„კოლიმგრაფი“ ის წიგნია, რომელიც აუცილებლად უნდა ითარგმნოს და ელგუჯა თავბერიძე დასავლეთის მკითხველის წინაშე წარსდგეს, როგორც გამოკვეთილი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ადამიანი, რომლის მოსაზრებასაც ყური უნდა დაუგდოს ყველამ.“

როსტომ ჩხეიძის გამოსვლის შემდეგ იოსებ ჭუმბურიძემ დაიკავა მისი ადგილი, რომელმაც გამოსვლისას იხუმრა, აღმოსავლეთ საქართველოში როსტომ ჩხეიძე, ხოლო დასავლეთ საქართველოში ელგუჯა თავბერიძე თავკაცობენ მწერლობის სადავეებსო. ნებისმიერ ხუმრობას უდევს არსებითი სათავე და არც ესაა მოკლებული სიმართლეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც როსტომის, ასევე ელგუჯას სახელიც გაცდა თავიანთ „მიჩნეულ“ მხარეებს და უკვე ერთმანეთის ტერიტორიაზეც მყარად იკიდებენ ფეხს, რაზეც იმდღევანდელი შეხვედრა და მსმენელებით გადავსებული დარბაზი მოწმობდა.

**იოსებ ჭუმბურიძე:** „ერთმა პიროვნებამ დასვა ასეთი შეკითხვა, რატომ დაინტერესდა ელგუჯა თავბერიძე ვარლამ შალამოვის შემოქმედებით... გამაკვირვა საოცრად... ელგუჯა თავბერიძე არის ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და ისტორიკოსიც, ამდენად არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ დაინტერესდეს იმ პიროვნებით, რომელმაც ყველაზე პირუთვნელად, სამართლიანად, პატიოსნად ასახა საბჭოთა ისტორიის ჯოჯოხეთი, რასაც ჰქვია საკონცენტრაციო ბანაკი — კოლიმა — საბჭოთა ისტორიის ერთი ყველაზე რეალური კომპარი. როსტომ ჩხეიძემ ერთხელ აღნიშნა და მის ნათქვამს მოვიშველიებ „შალამოვმა თავისი ტრაგიკული თავგადასავალი და გამოცდილება დიდ ლიტერატურად აქცია.“

აღბათ, ვარლამ შალამოვი, საბჭოთა ისტორიის მართალი მწერალი, ვერც წარმოიდგენდა, რომ ყველაზე ზუსტ სახელს სწორედ აქ, ქუთაისში შეარქმევდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ კოლიმური მოთხრობებიდან გამოტანილია ყველაზე უფრო სულისშემძვრელი და მრავლისმთქმელი ეპიზოდები. ყველაზე დამზაფრელი ამ წიგნში შემდეგი ეპიზოდია: „1938 წელს დაპატიმრებული ადამიანი იტყოდა: არა გაქვთ უფლება... (მოქვეყნებ უფლება არა გაქვთ, ხალხს ყინვაში ტანზე გაახდევინოთ...)“ მაშინ ყველა ასე ამბობდა და ვინც ამბობდა, საიქიოს გაისტუმრეს. 1951 წელს დაჭერილი კატორღელი, როგორი ახალი დატუსაღებულიც უნდა ყოფილიყო, ამ სიტყვებს პირიდან აღარ ამოუშვებდა, რადგანაც 1937-დან თითხმეტმა წელმა განვლო და ამ ხნის მანძილზე მის თვალწინ ხდებოდა დაჭერები, რეპრესიები, უფრო მეტიც, უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ ადამიანები. ამიტომ ფრაზამ — არა გაქვთ უფლება — აზრი დაკარგა. — ეს არის ამ ჯოჯოხეთის ყველაზე საშინელი კვალი.

ბოლოთქმაში ავტორი კიდევ უფრო თავმდაბლურად აღნიშნავს, რომ „ვარლამ შალამოვის კოლიმური მოთხრობების სრულყოფილი ანალიზი სულაც არ გვიცდია. გვინდოდა, ფრაგმენტულად გვეჩვენებინა მათი სამყარო, სქემატურად გაგვეანალიზებინა მოთხრობათა მცირე ნაწილი მაინც.“ სინამდვილეში ეს არის არა უბრალო ფიქრი შალამოვზე, არამედ ანალიზი და კვლევა მის ცხოვრებაზე.

ყველა ადამიანი წიგნს ისე კითხულობს, როგორადაც შეუძლია ამის გაგება, ანუ რა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, წიგნსაც შესაბამისად შეიგნებს. აი, შალამოვის კითხვისას ძნელი კი არა, შეუძლებელია ადამიანს ის გამოცდილება ჰქონდეს, რაზედაც მწერალი ჰყვება. ერთი მხრივ კარგიცაა, საკუთარი გამოცდილებით რომ არ შეგვიძლია შევავსოთ მისი მოთხრობები, მაგრამ იმის გაგება, რომ შალამოვის მოთხრობები თავისუფლების ჰიმნია, როგორც ეს ქალბატონმა ნინო ვახანიამ აღნიშნა, გულიან მკითხველს არ გაუჭირდება.



ელგუჯა თავბერიძე და შალვა კირთაძე

**ნინო ვახანია:** „შალამოვის მოთხრობები თავისუფლების ჰიმნია, თავისუფლებაზე ოცნებაა, თავისუფლების იდეით სუნთქავს. ქართველ ლიტერატორებს არ გაგვიჭირდება ამის გაგება, რამეთუ მთელი ქართული ლიტერატურა სუნთქავს ამ იდეით. თავისუფლებაში გატარებული ერთი დღე რომ სჯობს მონობაში გატარებულ ცხოვრებას, ეს ქართველი მკითხველისათვის ცნობილია, მაგრამ რუსი მწერლის მონათხრობში კიდევ უფრო სხვა კუთხითაა თავისუფლება დანახული. აქ სულიერი და ფიზიკური თავისუფლება ერთმანეთს გადაეხა.

კოლიმური მოთხრობების მთავარ თემად შიმშილს ასახელებს ელგუჯა თავბერიძე. არც შიმშილის თემაა უცნობი ქართველი მკითხველისთვის ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებიდან. თუმცა აქ, შალამოვთან, შიმშილს უკიდურესი ფორმა აქვს — ადამიანი ადამიანს ჭამს. სხვაგვარად კოლიმიდან თავის დაღწევა შეუძლებელია...“

ყოველი მართალი წიგნი იმ ძალადობისთვის სახეში მიფურთხებაა, რომელიც ადამიანებს ასე ურცხვად აწამებთ. სწორედ ეს წიგნებია შალამოვის მოთხრობები და ელგუჯა თავბერიძის „კოლიმგრაფი“. სამწუხაროდ, დღესაც თანამედროვეა ეს პრობლემა. ეს წიგნი, აღბათ, გაფრთხილებაა, რომ მთელი ქვეყანა კოლიმად არ იქცეს.“

და ასე, უამრავი საინტერესო და გულში ჩამწვდომი ფაქტი აღნიშნა შალამოვის მოთხრობებისა და „კოლიმგრაფის“ ირგვლივ. თბილისელი სტუმრების გამოსვლა ქუთაისელმა მასპინძლებმა ჩაანაცვლეს. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, გია ხოფერია, ნესტან კუტივაძე, გიზო თავაძე, ლუკა დვალისიძე, ლია კუხიანიძე... გია ხოფერიასეული შეფასება შალამოვისა და „კოლიმგრაფის“ „ჩვენი მწერლობის“ 12 იხილა მკითხველმა, მიუხედავად ამისა, არც ახლა დაზარებია აზრის გამოთქმა: „აქ ითქვა „კოლიმას აღმწერიო“ სათაურთან დაკავშირებით. მე ასე ვიტყვოდი „კოლიმის გრაფი“, გრაფი აქ უფრო იმ გაგებით, ყველაზე უკეთ მცოდნე და ჩახედული კოლიმის ამბებში. შალამოვისთვის არავითარი დრო არ შეცვლილა. ის სულ ეჭვის თვალთშეუყრებდა საბჭოთა მენტალიტეტს „ხალხი ივივია და დროს რა მნიშვნელობა აქვსო“ — ამბობს ერთგან. შალამოვის ნაკითხვისთვის არ არის აუცილებელი კოლიმამოვლილი იყოს მკითხველი, ესეც ავტორის ოსტატობაა, იმდენად ახლოს ჩავახედებს იმ საშინელ სინამდვილეში, რეალურად დაგანახებს უნახავს და მხოლოდ გაგონილს.“ — აღნიშნა ბატონმა გიამ.

შალამოვის თავისუფალ სულსა და ადამიანობაზე ისაუბრეს სხვა გამომსვლელებმაც. ეს თემა, სამწუხაროდ, დღესაც რომ აქტუალური და ვალდებულიც ვართ არ დაგვაგინყდეს და აღ-

ვიდგინოთ ის სურათი, თუ რას ნიშნავს საკონცენტრაციო ბანაკი, რა ხდებოდა ახლო წარსულში, და ნუ გვეგონება, რომ გაგვიმართლა და ჩვენს ცხოვრებაში არ იქნება კოლიმიადა. არც ის დავინწყებთ, ბიოგრაფიულ რომანზე მუშაობა ბენვის ხიდზე გავლა რომაა მწერლისთვის და ელგუჯა თავბერიძემ ამ ყველაფერს ჩვეული სიღინჯით წარმატებით რომ გაართვა თავი.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი:** ის სამყარო, ის ცხოვრება, რომელიც შალამოვს აქვს აღწერილი და ელგუჯა თავბერიძემ ძალიან საინტერესო წიგნის იდეად გახადა, ფაქტობრივად ჩვენი ყოფის ნაწილიც გახდა.

**ნესტან კუტივაძე:** დღეს საჭირო და აუცილებელიცაა აღვიდგინოთ სურათი თუ რას ნიშნავს საკონცენტრაციო ბანაკი. ამის შესახებ რაც უნდა ვიცოდეთ, მას ლიტერატურა და ხელოვნება სხვა ემოციით ტვირთავს და ეს ემოცია კიდევ უფრო შთამბეჭდავია იმ თაობისათვის, რომელსაც სულ ჰგონია, რომ გაუმართლა და მის ცხოვრებაში არ იქნება კოლიმიადა, რაც წინა წლებში ხდებოდა. მინდა ერთ დეტალზე გავამახვილო ყურადღება: პატიმრები ერთმანეთთან იმაზე საუბრობენ, თუ რას გააკეთებენ, როცა კოლიმიადან გააღწევენ. ერთი ამბობს, რომ ცოლის გვერდით იქნება სულ და არ დატოვებს მარტო, მეორე ამბობს, რომ ორნაირ სუპს გააკეთებს და შეჭამს, ხოლო ერთი ამბობს, რომ შეაფურთხებს იმ ადამიანს, ვინც ეს ყველაფერი მოუწყობდა. აი, ეს იყო ტრაგიკული ეპოქისა, მიუხედავად ასეთი მძიმე ყოფისა ადამიანები მაინც ახერხებდნენ გადაერჩინათ მათი შეღავათი ღირსება. მართლაც, ელგუჯა თავბერიძე წერს, რომ ეს შურისგება იყო, მაგრამ ეს შურისგება მიმართული გახლდათ იმ შეღავათი ღირსების აღსადგენად.

**გიზო თავაძე:** კიტა ბუაჩიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ შალამოვი სოლჟენიცინზე უფრო დიდი მწერალია. დიმიტრი ლიხაჩოვს იშველიებდა და ამბობდა, მისთვის შალამოვი უფრო დიდია, ვიდრე სოლჟენიცინი. ელგუჯა თავბერიძეც, როცა ამ ორ მწერალს ადარებს ერთმანეთს, ბოლომდე შალამოვის მხარეზეა. სოლჟენიცინი უფრო ავტორიტეტია, ვიდრე მწერალი.

შალამოვი იქაც, კოლიმაშიც, თავისუფალი იყო და ეს მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ.

**ლუკა დვალისვილი:** ბენვის ხიდზე გავლაა მწერლის პორტრეტის დახატვა, მისი მხატვრული ნააზრევის რაღაც ყალიბში მოქცევა. ელგუჯა თავბერიძე იმდენად დახელოვებული მწერალია, რომ შთამბეჭდავ ნაზავს წარმოგიდგენს, სადაც მხატვრული პროზაცაა, პუბლიცისტიკაც და კრიტიკაც.

**ლია კუხიანიძე:** ჩვეული სიღინჯითა და სწორი შეფასებით საინტერესოდ ისაუბრა. მისთვის „კოლიმგრაფი“ წიგნი კი არა, ერთი გაბმული ტანჯვაა ადამიანისა, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ადამიანის ტკივილად არ დარჩენილა.

„შალამოვმა თავისი სიოცხლის უკანასკნელი პერიოდი თავშესაფარში გაატარა. ერთი მეგობარი იხსენებს: დაუძლურებულს თვალის ჩინიც დაჰკარგვია. მოკუნტული წვეს სველ ლეიბზე, თვალგახელილს სძინავს, ზენარიც კი აუღია და ბალიშის ქვეშ შეუნახავს იმის შიშით, ვინმემ არ წამართვასო, ყელზე პირსახოცი აქვს შემოხვეული და ოდნავ კანკალებს... ასეთ დღეში იმიტომაც, რომ ბოლო წლებში ლაგერში გატარებულმა დრომ გაიღვიძა მასში, თითქოს ისევ რეალობად იქცა. თან კმაყოფილია კიდევ, აქ კარგად მაქმევენო... მანამდე კი ლაგერში მყოფ შალამოვზე ექიმი ქალი შემდეგს ლაპარაკობს: შალამოვი ჩემთვის მამაკაცის იდეალი იყო, იმ ჯოჯოხეთში ეს იყო მამაკაცურად ძალიან მომხიბლავი, ლამაზი, მხარბეჭიანი და თუ რაიმე არის ჩემში ინტელექტუალური, მთლიანად მას ვუმადლი, თუმცა ჩემდა სამწუხაროდ მაშინ შალამოვი როგორც მწერალი არ შემიმჩნევიაო.“

შალამოვს ხშირად საყვედურობდნენ, საბჭოთა ხელისუფლებას რატომ არ აკრიტიკებო, ელგუჯა თავბერიძე კი წერს, რომ ყველაზე დიდი მხილება საბჭოთა ხელისუფლებისა არის სიმართლის წერა. მართლაც, ამაზე მეტად როგორ უნდა ემხილებინა შალამოვს მამინდელი ხელისუფლების დანაშაული?!

ელგუჯა თავბერიძის ამ წიგნში მისია ჭეშმარიტი მწერლისა ყველგან იგრძნობა. ჩამოფარებული კი არაა დიდი მწერლის აჩრდილს, პირიქით, ყველაფერს გვიჩვენებს ამ კაცის დიდი სულისგან გადმოღვრილს. რისთვის დაინერა ეს წიგნი? რა უნდა მისცეს ამ წიგნმა დღევანდელ ახალგაზრდებს? რატომ უნდა წავიკითხოთ ის? — ეს წიგნი არის იმაზე, თუ როგორ უნდა შეინარჩუნო ადამიანმა ადამიანის სახე, რომ ადამიანი თავისუფლების გარეშე ადამიანი ვერ იქნება; და იმაზე, რომ დღევანდელი თაობაც არ არის ის თაობა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია თქვას, სრულ თავისუფლებაში ვიმყოფებითო. ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი სულის თავისუფლებამდე.

შალამოვი მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობითა და სიმტკიცით ამბობს, მე სახელმწიფოს არავითარი ვალი არა მაქვს, მე როგორც მოქალაქემ ჩემი მოქალაქეობრივი ვალი განსაკუთრებით რთულ პირობებში მოვიხადე, მაგრამ არავინ ჩამიშვია, არავისთვის არაფერი მიპატიებია და არაფერი დამვიწყებია. მე ისე ვწერდი ბანაკზე, როგორც მეღვინე ზღვაზე, ეგზოტური კი ცაზე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რჩევა კაცისა, რომელიც ეუბნებოდა სხვა ადამიანს შეენარჩუნებინა ადამიანობა ყველგან და ყველანაირ პირობებში. ძალიან ადვილია დღეს ამ გრილ დარბაზში მოვისმინოთ ერთი ტანჯული ადამიანის თავგადასავალი, მაგრამ ძალიან ძნელია იქ, ლაგერში, შეინარჩუნო ადამიანობა. შალამოვი ამბობს, აქედან რომ გამოვალ, იმის ძალა მაინც შემრჩება, იმას შევადურთხო, ვინც ჩვენ ასეთ დღეში ჩაგვაგდო, ასეთი კაცები ამოძრავებენ დღეს სამყაროს, ასეთი კაცების არდავინებება გვჭირდება საკუთარი თავის გადასარჩენად.“

სალამო „კოლიმგრაფის“ ავტორის გამოსვლით დასრულდა. „კოლიმგრაფის“ განხილვისას მთავარი ამოსავალი წერტილი მაინც ვარლამ შალამოვისა და სოლჟენიცინის დაპირისპირების მიზეზის გარკვევა-გააზრება იყო, თითოეული გამომსვლელის მოსაზრება კი გასათვალისწინებელ-მისაღები.

**ელგუჯა თავბერიძე:** კოლიმა – ეს იყო ტოტალური კომპარი, იდეალურად მოფიქრებული სატანჯველი და ჯოჯოხეთი, რომელიც, არა მგონია, ანი ვინმემ გაიმეოროს. თუ ვინმე შეეცადა, შედეგი იგივე იქნება, როგორც ვარლამ შალამოვის კოლიმის აღწერას მოჰყვა.

შალამოვის მოთხრობებით 20 წლის წინ დავინტერესდი და მთელი ამ ხნის განმავლობაში უამრავი მასალა დამიგროვდა, რამაც გადაამწყვეტინა მასზე წიგნის დაწერა.

შალამოვი საერთოდ ძნელი სათარგმნია, იგი ხშირად სარგებლობს დამნაშავეთა სამყაროს ჟარგონით, მეტიც, ქურდული ტერმინებით. ამიტომ თარგმნა არც მიცდია, თუმცა მისი შემოქმედების ანალიზისთვის რამდენიმე ადგილის გადამოღება გახდა საჭირო, რათა უკეთ დამენახებინა მკითხველისთვის ის ამბები, რომლებიც დღესდღეობით არ არის თარგმნილი, არადა, აუცილებელია, რათა სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს შალამოვის შემოქმედებაზე. ამისთვის უნდა ვიცოდეთ „ნარკვევები დამნაშავეთა სამყაროზე“ და შევადაროთ სოლჟენიცინი და შალამოვი, თუ რამდენად მართლები არიან ისინი, როცა ამ საკითხს ეხებიან. სოლჟენიცინმა ბევრი ამბავი დამნაშავეთა სამყაროდან ძალიან ზედაპირულად გადმოსცა, შალამოვს კიდევ პირიქით, ღრმად და გამონვლილად აქვს აღწერილი. რითი იყო შალამოვის სოლჟენიცინზე უკეთესი? — სოლჟენიცინმა თქვა: „ქვაში დამპალი ხორცი იხარშებაო“, შალამოვმა კი მთლიანად ამოატრიალა ეს ქვაბი და მსოფლიოს დაანახა, როგორი იყო ის სტალინური რეჟიმი, რასაც კომუნისტები ქმნიდნენ მთელი თავისი არსებობის მანძილზე.“

დაბოლოს, საუბარი სტუდენტებით დავიწყე და ასევე დავასრულე. არც სტუმრების და არც მასპინძლების გამოსვლას უკვალოდ არ ჩაუვლია. სალამოს დასრულებისთანავე სტუდენტები უკვე „კოლიმგრაფს“ ეძებდნენ...

ეკა ბუჯიაშვილი

# კოჯორში ნაბრძოლი დროშა

ჯერ ამ პროკლამაციებს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემულ ბროშურებს, ეროვნული მთავრობის კონსტიტუციას, რამდენიმე ხელნაწერს და კიდევ იმდროინდელ გაზეთებს დაკეცავს, რაც შეიძლება მჭიდროდ, შემდეგ დროშასაც, კოჯორის ბრძოლაგამოვლილ შინდისფერ დროშას, მერე ამ ყველაფერს საგულდაგულოდ შეფუთავს, კარადაზე შემოღებულ თაბაშირის ქანდაკებას გადმოაბრუნებს, შეკვრას შიგნით ჩადებს, ჯოხით დაამაგრებს, თაბაშირითვე გამოუღესავს ძირს და ათწლეულობით დაგმანავს საიდუმლოს ყველასათვის, უახლოესი მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვისაც კი.

1922 წელი იდგა.

ცუდი დრო იყო და კიდევ უფრო ცუდი გამოსავლები ჰქონდა ქვეყანას, ამიტომ სჯობდა, მხოლოდ თვითონ სცოდნოდა ამის შესახებ, თუ საჭირო გახდებოდა, მხოლოდ თვითონ გაეძლო ჩეკას დაკითხვებისათვის და შიში არ ჰქონოდა, რომ ვინმე ნებით თუ უნებურად გასცემდა, არადა თაობებისთვის უნდოდა შეენახა ის, რაც ასე ეძვირფასებოდა, ასე სტიკოდა და თავისი დალიც დაეჩნია მისი სულისათვის.

მეტეხის ციხიდან ახალი გამოსული იყო ნოე ქებაძე და ჯერ კიდევ არ განუღებოდა შიში და ძრწოლა.

მისში დაეპატიმრებინათ და სექტემბერში გაეთავისუფლებინათ, თუმცა მოესწრო და გამოეცადა ჩეკას მარწუხები. არც მაშინ და არც მერე, ათწლეულების განმავლობაში, არავისთვის მოუყოლია, რა გამოეცლო იმ ხუთ თვეში.

არც ქანდაკებაში დამალული მასალების საიდუმლო გაუმხელია სიკვდილამდე.

ასე გამოივლის 30-იან წლებსაც, 37-ის რეპრესიებს, სამამულო ომს, სტალინის აღზევებისა და დიდი ბუღალის გარდაცვალების ორომტრიალსაც და მხოლოდ 1959-ში, ლოგინს მიჯაჭვული სიცოცხლის დღეებს რომ ითვლიდა, შეიღეს გაუმხელს: ამ ქანდაკებას გაუფრთხილდითო, კოჯორის ბრძოლაგამოვლილი დროშა დამალული და როცა დრო მოვა, გახსენითო.

როცა დრო მოვა...

ოღონდ ეს დრო კიდევ 40 წელი არ მოვიდოდა.

1989-ში, 26 მაისს გახსნიდნენ.

გახამებულიყო და გაცრეცილიყო დროშა.

გაყვითლებულიყო და დამდნარიყო ფურცლები, მათ შორის, კალკის ქალაქზე (სივარეტის კოლოფიდან რომ აცლიდნენ ხოლმე პატიმრები) ძალიან წვრილი ხელნაწერით ჩამოწერილი სია მეტეხის პოლიტპატიმრებისა.

— სიას არ ველოდითო, — ამბობს მისი შვილიშვილი **ნანა ქადაგიშვილი**, არც ამ გამოცემებსო, მხოლოდ დროშა გვეგულებოდა და ვიფიქრეთ, ამაზე კარგი დღე რომელია უნდა იყოს და 26 მაისს გახსენითო.

ეს დროშაც ვინმეს თუ ერუქებინა, თორემ თვითონ პაპა, როგორც ვიცით, კოჯორის ბრძოლაში არ მონაწილეობდა. საერთოდ, არაფერს ყვებოდა თავის წარსულზე, მე პაპა არ მახსოვს, დედას კი ამ თემაზე არასოდეს არაფერი დასცდენიაო.

სამაგიეროდ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მოძიებული ცნობები გვატყობინებენ:

„მოქ. ნოე ილიას ძე ქებაძე, დაბ. 1899 წ. სოფ. ენერში, რომელიც 1922 წ. 24 მაისს დაპატიმრებული იყო საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ, „კონტრრევოლუციური საქმიანო-



ნანა ქადაგიშვილი

ბის“ ბრალდებით, ხოლო შემდგომ საფილტრაციო კომისიის 1922 წ. 4 სექტემბრის დადგენილებით გათავისუფლდა, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წ. 25 მაისის დეკრეტის თანახმად რეაბილიტირებულია“.

თუ რა ჯოჯოხეთს გადაიდნენ ჩეკას სარდაფებში ის ადამიანები, რომლებიც გაბედავდნენ არსებული რეალობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, ამას ქანდაკებაში დამალული ერთ-ერთი გაზეთიდან — 1926 წლის დეკემბრის „დამოუკიდებელი საქართველოდან“ (პარიზი) ვიგებთ.

\*\*\*

„...მთელი კვირების განმავლობაში ამყოფებენ საიდუმლო ოთახებში, სადაც არ აძლევენ არც სასმელს და არც საჭმელს, ან ძალიან მოშივებულსა და მონყურებულს კაცს შეუგდებენ საგანგებოდ დამარილებულ საჭმელს, რომ კიდევ უფრო მოანყურონ, წყალს კი არ აძლევენ... ამწყვედევენ სხვადასხვა ბნელ შკაფებში, ბოჭკებში, ფეხსადაგილებში. იშვიათი არ არის შემთხვევა ტყვეების დასახიჩრებისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დასახვრეტათ არიან განწირულნი. დაკითხვები ხდება ღამით და მხოლოდ ღამით, როცა ტყვემ არ იცის, რისთვის მიჰყავენ — დასახვრეტათ თუ დასაკითხვათ, ორივე შემთხვევაში იმავე წესით მიჰყავთ საკნიდან. დახვრეტის სიმულაცია ხელების შეკვრით და ნამდვილათ მისჯილებთან ერთად წაყვანა ერთი ავტომობილით იქ, სადაც ხვრეტა ხდება, მისი დახვრეტაზე დასწრება და შემდეგ ნახევრათ გააჩეხებული ადამიანის უკან დაბრუნება. ეს პირველი პერიოდი თითქმის ყველასთვის თავდება ბნელ სარდაფებში დამწყვედვით. ეს ის სარდაფები არ გეგონოთ, რომელსაც ჩეკა საკნებს ეძახის, ამათ ქვემოთ მიწის ქვეშ კიდევ არის სარდაფები და აქ ვირთხებისა და საკუთარი განავლის ატმოსფეროში ტყვეს უხდება ჯდომა ულოგინოდ, ზოგჯერ შიშველ-ტიტველს, კვირაობით და ხშირად თვეობითაც... ამ ჯოჯოხეთის მოციქულები, ე.ი. ყველა ეს ჩეკას გამოძიებლები და სხვადასხვა აგენტები შესდგება ზნედაცემული ელემენტებისგან: კოკაინისტებისა, სადისტებისა და ეროტომანებისგან, ჰასაკით, ჩვეულებრივ, არა უმეტეს 25 წლისა.

ეს არის ჩეკას ჯოჯოხეთის პირველი ეტაპი — წინასწარი გამოძიების დროს. მთავარი კი მერე იწყება“...

აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ გაზეთ „ახალი საქართველოს“ დამფუძნებლის გრიგოლ ვეშაპელის გარდაცვალების ფაქტს — როგორ ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს ეს ადამიანი, ასევე შეიტყობთ კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობის შესახებაც.

იმდროინდელი საქართველოს თუ მსოფლიოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზის ფონზე ისიც შეგიძლიათ ამოიკითხოთ, რა შეფასებას აძლევენ და რა



ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეები (ყბაახვეული — უმანგი ჩხეიძე)

ბედს უწინასწარმეტყველებენ ახალშექმნილ იმპერიულ რეჟიმს მე-15 კონფერენციაზე:

— „ტან“-ის თანამშრომელმა როლენმა დასწერა, რომ რუსეთი უკვე შედის, სტალინის მეთაურობით, ტერმინდორის ხანაში. ამავე აზრს კიდევ უფრო გარკვევით ქადაგებს ყოველ კვირა დღეს ეპისკოპოზი ბერი ლონდონში:

სტალინი, ამბობს ის, რუსეთის გლენობის სულისკვეთების ნამდვილი გამომხატველია, ის არის „მუჟიკების დიქტატორი“ და, მაშასადამე, ქვეყნის მხსნელიც.

ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ამ ორ პატივცემულ პირს: სტალინსა და ბონაპარტეს შორის დიდი ზღვარია, მაგრამ ერთი მაინც მართალი არიან ისინი: რუსეთში ტრიალებს ტერმინდორის სული და მან ადრე თუ გვიან, უფრო ადრე, ვინემ გვიან, უნდა შეისხას ხორცი, რასაც რეჟიმის საყოველთაო ლიკვიდაცია მოჰყვება. მხოლოდ საეჭვოა, ეს მოახდინოს სტალინმა და მისმა ჯგუფმა, როგორც ვერ მოახდენდა, თავის თავათ ცხადია, ოპოზიციაც, რომლის თვალები წარსულისკენ იყო მიმართული და კიდევ ამიტომ დამარცხდა. უფრო მოსალოდნელია, ტერმინდორი ნალექს როგორც ერთს, ისე მეორეს, რადგან ორივე მათ ერთი თანდაყოლილი სენი სჭირთ: არა აქვთ წარმოდგენა სახელმწიფოს ნამდვილ მდგომარეობაზე, არც ადარდებთ ეს მათ, მზათ არიან ყველაფერი თავიანთ ქვენა გრძნობებს უმსხვერპლონ“.

ასეთ საინტერესო ცნობებთან ერთად გამოქვეყნებულია — შალვა ამირეჯიბის მოგონებაც ქაქუცა ჩოლოყაშვილზე:

1922 წლის სექტემბერში ქ. დუშეთთან შეტაკების შემდეგ ხევსურეთში, ცალკე ავადობისა და ცალკე ამბოხების ციებ-ციხელებში შეპყრობილ ქაქუცას ხევსური ქალი რომ გამოეცხადება და:

— რა დროს წოლაა, ვაჟაუ, ხევსურეთს მტერი მოადგაო, — შეაგულიანებს, გაამხნეებს და ბრძოლაშიც ჩაერთვება მამაკაცებთან ერთად.

ეს ის მზექალაა, რომელიც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანშიც — „შავი ჩოხა“ — შემოდის ღვთისმშობლის სახეთან გასიმბოლოებული და ასე შთამბეჭქდავ ქარგას ქმნის თხზულებისათვის. აქ კი...

შალვა ამირეჯიბი მოგვითხრობს ქაქუცას მოყოლილ ამბავს, ამბავს ქალისა, რომელმაც, ვინ იცის, თუ მთლად არ გადაწყვიტა, ბევრწლიად განსაზღვრა ერთი ბრძოლის ბედი.

მოგვიანებით კი, როცა უკან დახვევის დროს ხევსურები მთებში წავიდნენ, ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი აჯანყებულებს გაჰყვნენ, ცარიელ სოფელს რუსის სალდათები მოედ-

ნენ, ზარბაზანი დაუშინეს და შემდეგ ძარცვა დაიწყეს, ერთი სახლიდან ორი ტყვია გავარდნილა, ორი ჯარისკაცი რომ უმსხვერპლია. რუსებმა სროლითვე უპასუხეს და სახლში რომ შევიდნენ, მინაზე ახალგაზრდა ქალის უსულო გვამი ნახეს თურმე.

— როცა სოფელი ხალხისგან დაიცალა, ის მაინც თავის სახლში დარჩენილიყო და ფიცი დაედო, თავის კერაზე რუსი არ გაეტარებინა. მზექალამ სიტყვა შეასრულა — რუსები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მის სახლში. ტყვია სწორედ იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც ისეთი უმანკო მოურიდელობით დაჰქონდა ღია მკერდში, როგორც გამოეცხადა ქაქუცას.

პატრონცაში ისევ მხარზე ჰქონდა და თოფიც ხელში ჩარჩენოდა.

თავზედ უბელო ცხენი ედგა.

\*\*\*

ქუჩაში დიდხანს ნუ გაჩერდებით, სახიფათოაო, — სწერს თავის მომავალ მეუღლეს ციხიდან — ანა კაპანაძეს, რაღაცა ხნით ისიც რომ დაეკავებინათ სოციალ-დემოკრატთა თანამოზიარეობისათვის, თუმცა მალევე გაეთავისუფლებინათ სოფიკო ქურციკიძესთან ერთად, შემდგომ მეჯვარეც რომ გახდება მისი. სწერს იმასაც, რომ მათ საკანში ჩეკას საეჭვო ადამიანი შეუგზავნია, ე.წ. დამსმენი, რაც მაშინ ჩვეულებრივ პრაქტიკა გახლდათ, და რაკი მის მეგობარს ნესტორ იმნაიშვილს ეჭვი ეპარებოდა ახალგადამოყვანილი პატიმრის „პოლიტიკურ სინდისში“, ნოე ქებაძე იქიდან აფრთხილებს მომავალ მეუღლეს: თუ ვინმეს რამე კავშირი აქვს მასთან, გააფრთხილე, რომ ურთიერთობა განწყვიტონო.

— საერთოდაც, ძალიან ფრთხილად იყავით, ნურავის ნუ ენდობით, თქვენ არ იცით, რა ამბები ხდება. ყველას თვალს ადევნებენ. ჩეკაში არ ჩავარდეთ, თორემ მერე მშვიდობით თქვენი საქმე. ამით ყველაფერი გათავებულია. აღარ არის ამაზე საუბარი საჭირო. თვითონაც კარგად მიხვდები, რაც საჭიროა...

ჩემს მდგომარეობაზე რა უნდა მოგწერო. ხელის მონერა მე არ შემიძლია, თუ გინდა გადაამასახლონ. ეს ასეა...

რაც შეეხება წერილებში მოხსენებულ მეგობარს, ეს ის ნესტორ იმნაიშვილია, რომლის შესახებ ლევან გოთუაძე მოგვითხრობს თავის მოგონებებში — პატიმრობისა და გადასახლებაში მყოფი ქართველების ცხოვრების შესახებ — აი ასეთ სულისშემძვრელ ამბავს:

ახალგაზრდა ექიმი ოლია მესხი და ნესტორ იმნაიშვილი გადასახლებაში, შორეულ ციხეში შეუღლებულიყვნენ, იქ შეექმნათ ქართული ოჯახი.

ნესტორს იმ გადასახლებულთა ბედი გაეზიარებინა, ხელმეორედ რომ დააპატიმრეს და დახვრიტეს, ოლია კი ამ ხვედრს ფეხმძიმობის გამო გადაურჩა.

ციხეში დაიბადა თინიკო...

ყოველი ქართველი ვალდებულად მიიჩნევდა თავს, ალერსი და დახმარება არ მოეკლო პატარისათვის, უმამოდ რომ იზრდებოდა. ძალიან არ უნდოდათ ქართველებს, რომ თინიკოს ფეხი ციხეში მინაზე აედგა. სასწრაფოდ გამოაგზავნიდნენ მეგობრებს სამშობლოდან საქართველოს რუკა, ოთახში დააფინეს ხალიჩის მაგივრად და ბავშვს ამ რუკაზე ასწავლეს სიარული — სიმბოლურად, სამშობლოს მინაზე აადგმევინეს ფეხი.

თინიკოსთან კი შემდეგ ნოე ქებაძის ქალიშვილი ნათელაც — ცნობილი ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი მეგობრობდა, ოჯახებით ახლობლობდნენ და ეს ამბავიც გადმოცემით იცოდნენ.

— ერთხელ ჩემს შვილს სახელმძღვანელოები რომ ვუყიდე, ჩვეულებისამებრ, გადავხედე წიგნებს და ვახტანგ როდონაიას მე-9 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სა-

ხელმძღვანელოში ამ ამბავს წავაწყდი. ძალიან იმოქმედა. ცრემლებიც კი მომადგა, მიუხედავად იმისა, რომ მსმენოდა ამის შესახებ, უშუალოდ თინიკოსაც არაერთხელ უამბვნი... — ამბობს ქალბატონი ნანა.

მეგობრობა კი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. 1989-ში ამ ქანდაკების გახსნასაც დასწრებია და მეტეხის პატიმართა სია რომ უნახავს, მამის ხელნაწერი უცნია; დასარწმუნებლად, შინ წასულა, ნესტორისგან შემორჩენილი წერილებისთვის შეუდარებია და დაუდასტურებია:

— ნამდვილად მამას დანერვილიაო.  
ოჯახის მიერ შენახულ წერილებში კი ნახსენებია ანგია ბოჭორიშვილიც, ასევე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მერე პოლიტიკას საერთოდაც რომ გარიდებია — გერმანიაში წავიდა სასწავლებლად და უკან დაბრუნებული აკადემიკოსის რანგშიც გაიცნო საზოგადოებამ.

...ასეთი ადამიანებიც სჭირდებოდა იმ ავბედით რეჟიმს.

\*\*\*

პოლიტიკაში კი შემდეგ აღარც ნოე ქებაძე გარეულა.

იმ საშინელმა 30-იანმა წლებმაც და 37-ის რეპრესიებმაც გვერდი აუარეს. ვინ იცის, იქნებ იმიტომ, რომ პროფესიით გეოლოგს დიდი ღვაწლი დაედო თავისი საქმისთვისაც და ქვეყნისთვისაც — 1938 წელს ნორიოში აღმოეჩინა ნავთობი, 1939-ში კი — სამგორში.

თუმცა... ის წლები შიშინად გამოეგლო.

ან სხვანაირად როგორ იქნებოდა, ერთხელ დაპატიმრებულს ყოველ წუთს ელოდა საფრთხე, რომ მის კართანაც დაჩერდებოდა ხრჭილით მანქანა, მის კარზეც გაისმოდა ავბედითი კაკუნი, მის ოჯახსაც ელოდა წინ მესთატეხა... მითუმეტეს, რომ სახლში, რომელშიც ცხოვრობდა — სარაჯიშვილის, ყოფილი პაპანინის ქუჩაზე — ლამის ყველა მეზობელი დაუპატიმრებიათ, მათ შორის, გივი გაბლიანის დედაც, ვერა, ვისთანაც ერთი კედელი ჰყოფდათ.

ეს ის გივი გაბლიანია, მიუხედავად იმისა რომ სწავლობდა მედიცინას და მეორე მსოფლიო ომის დროს ვერმანის ქართულ ლეგიონში იბრძოდა, მერე გერმანიის ობერლეიტენანტის წოდებაც მიიღო და 1943 წელს ქართული ბატალიონის „ტამარა-II“-ის მეთაური გახლდათ.

წლების წინათ (1998-2000) ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წყალობით, „ლომისისა“ და ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა გივი გაბლიანის მემუარული წიგნი „ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)“, რომელიც თარგმნეს ლალი კერესელიძემ და ნინო ქაჯაიამ (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე).

სიცოცხლის ბოლო წლებში გივი გაბლიანი ნიუ ჯერსიში დასახლებულა, რანჩო შეუძენია — ის მთები და გარემო მშობლიურ სვანეთს თუ აგონებდა.

სამშობლოს მიწაზე ფეხი აღარასოდეს დაუდგამს.

— დედაჩემი ამ ოჯახსაც კარგად იცნობდა. გივისთან ერთად კი მთელი ბავშვობა გაეტარებინა და ძალიან უყვარდა. მოგვიანებით მისი ფოტოები ჩამოგვიტანა მხატვარ ეთერ ჭკადუას მამამ, რომელიც სტუმრად იყო შვილთან ამერიკაში. სურათზე არიან: ამბაკო ჭკადუა, გივი ზალდასტა-

ნიშვილი და გივი გაბლიანი — უკვე გატეხილი, უცხო ცისა და მზის ქვეშ დაბრუნებული...

ნოე ქებაძისა და მისი მეგობრების სურათები კი ოჯახურ ალბომშიც შემორჩენილა — ზოგი წარწერით, ზოგი უწარწეროდ. აგერ, „სოხუმი, 1926 წ. 17. VI. პარასკევი. დილის 9 საათი. ვრჩებით მე და ანიკო გულშენუხეული, ყველა მიემგზავრება — ვგზავნი უკანასკნელ „პარტიასაც“ და მერე სულ მარტო და მარტო. ვინ იქნება ჩვენი ბატონ-პატრონი — ალაჰმა უწყის“.

ან ეს: ნესტორ იმნაიშვილი და ნოე ქებაძე „მეტეხიდან გამოსვლის დღის მოსაგონრათ“.

კიდევ ქ. იოშკარ-ოლას კოლონიაში მყოფ ქართველ პოლიტპატიმართა ფოტო, 1929 წ. 2 დეკემბერი, რომელიც მეგობარმა, ვიტალი მიხეილიძემ უსახსოვრა.

ამ სურათზე კი, ანა კაპანაძე თავის ჯგუფულბთან ერთად რომ არის ქუთაისის გიმნაზიაში სწავლისას, შეიძლება ყბაყურიანი უშანგი ჩხეიძეც გეცნობ.

— გული მწყდება, დედას რომ არ ვკითხვ და ყველა ფოტოს არ მივანერე სახელი და გვარი. ამ ადამიანებს შორის ერთ-ერთზე, რომელიც სამწუხაროდ, აღარ მახსოვს (მგონი პარმენ მეგრელიშვილი იყო) დედამ ასეთი რამ მიაგებო: ჩეკას საპატიმროში ყოფნისას მისთვის სია რომ შეუტანიათ და ხელმოწერას აიძულებდნენ, გამომძიებლისთვის ხელი გაურტყამს, ფანჯარა გაულია და გადმოხტარა. ამ ადამიანებს, ფოტოებიდან რომ გვიყურებენ, ყველას თავისი ისტორია აქვს, ტრაგიზმით სავსე ბიოგრაფია, ბოლშევიკური რეჟიმისგან დაღდასმული, და თითოეულის ცხოვრება იმდროინდელ ეპოქას, ჩვენს წარსულს, ჩვენს უახლეს ისტორიას აირეკლავსო, — ამბობს ქალბატონი ნანა და ახლა თვითონ კეცავს ამ ფურცლებსაც, ამ გაცრეცილი შინდისფერი დროშის პირვანდელ ვერსიასაც, რომელზეც თეთრი ზოლი (ზეესკნელი) ზემოთაა, შავი (ქვეესკნელი) — ქვემოთ, მოგვიანებით კი შეიცვალა, რადგან ბრძოლაში გაშლილი რომ მოჰქონდათ, თეთრი ზოლი სივრცეში იკარგებოდა თურმე.



ნოე ქებაძე და ნესტორ იმნაიშვილი მეტეხიდან გამოსვლის დღეს

კეცავს ისეთივე რუდუნებით, როგორც ათეული წლების წინათ პაპა, ოლონდ ის — შიშა და ძრწოლას ატანილი, ეს კი რალაცნაირი სევდითა და სიამაყით სავსე, ცდილობს, იმავე ნაკეცებს დაამთხვიოს, 67-მა წელიწადმა რომ გამოკვეთა.

— თავის დროზე დიკო ნადირაშვილი დაგვეხმარა ამ ხელნაწერების გაშიფვრასა და გადიდებაში, მერე „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოსაც“ ვაჩვენეთ ეს მასალები. ერთხანს დედა ფიქრობდა, ზვიად გამსახურდიასთვის გადაეცა დროშა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა და მერე, ათასგვარი ქართველი რომ დატრიალდა ჩვენს თავს, უხაროდა, რომ ეს არ გააკეთა: ვინ უწყის, რა ბედი ეწეოდაო.

მახსოვს, წიგნი იწერებოდა საბჭოთა რეჟიმის პოლიტპატიმრებზე, მაშინ ვილაცები მოვიდნენ კიდევ ჩვენთან, დაინტერესდნენ ამ მასალებით, ყველაფერი გამოვუტანე, ვაჩვენე, გადაიღეს, მაგრამ... მამა იყო იმ დროს ძალიან ცუდად და თვალი ვეღარ მივადევნე, სად, როდის და რა დაიბეჭდა.

შემდეგ იმასაც ვფიქრობდით, მუზეუმისთვის გადაგვეცა, მაგრამ... წლები რომ გადის, თურმე კიდევ უფრო ძვირფასი ხდება ის ყველაფერი, რაც წარსულთან გაკავშირებს. წარსულთან, რომელიც თან გტკივა... თან გაკრთობს... და თან ასე გეამაყება.

# მარადიულის მსახური

(ესმა ონიანის სახელოვნებო კაბინეტის გახსნა)

31 იანვარს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში ესმა ონიანის გარდაცვალებიდან 15 წელი ამ პიროვნების სახელობის სამხატვრო ხელოვნების სტუდიის გახსნით აღინიშნა. ჩაფიქრებულია, რომ სტუდიამ ხელოვნათათვის ხელის შესაწყობად მასტერკლასებსა თუ ლექციებს უმასპინძლოს: „ადამიანებისთვის, ვინც მეტ-ნაკლებად არიან დაკავშირებულნი ამ უნივერსიტეტთან, არამარტო ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, შევექმნით სამხატვრო ხელოვნების სტუდია, რომელიც ბევრი ღონისძიებისა და გამოფენის მოთავე იქნება“, — აღნიშნა არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძე) და შეკრებილთ სტუდიაში შეუძღვა. ფაქიზად განყობილ სახელოსნოს საოცარ სიმყუდროვეს სძენდა იებითა და დაფნის ფოთლებით შემკული, კელაპტრით განათებული პოეტის პორტრეტი თუ საოჯახო ალბომიდან აღებული, გადიდებული ფოტო... ეტყობა, რომ მამა ადამს ესმა ონიანის ორიგინალური, თავის თანამედროვეთაგან გამორჩეული სახისმეტყველება, ძალიან კარგად აქვს გათავისებული.

შარშანდლიდან, ქართულმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ თამარ მეფის გარდაცვალების დღედ 31 იანვარი დაადგინა. აღმოჩნდა, რომ ესმა ონიანის ამქვეყნიდან გასვლის დღე თამარობას ემთხვევა, ამას გარდა, როცა ამ დღეს გეგმავდნენ, არც გახსენებიათ, რომ ეს თარიღი სწორედ თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში უნდა აღნიშნულიყო. ამაზე მოგვიანებით, თბილსა და მყუდრო აუდიტორიაში მოგვითხო მამა ადამმა, სადაც ესმას შესახებ საუბრის საშუალება ყველა მსურველს მიეცა. არქიმანდრიტის აზრით, ესმა ონიანი „მარადიულის მსახური“, მასზე „ბევრმა იცის, მაგრამ არც იმდენმა, „მოდური“ ან „პოპულარი“ რომ ეწოდოს. იგი დიდად არ დაგიდევს შენ რას იფიქრებ მის შემოქმედებაზე. შეულამაზებლად გადმოგცემს მის მიერ განცდილსა და ნაგრძობს. ეს ის შემოქმედია, რომელიც იმითაა ბედნიერი, რომ ქმნის და დაფასება მისთვის პირობითობაა, რომელიც სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას“.

სიტყვით გამოვიდნენ და ესმა ონიანის გამორჩეულ ნიჭზე, მისი ნააზრევის სიღრმესა და პროფესიონალიზმზე გაამახვილეს ყურადღება მხატვარმა გოგი წერეთელმა და ხელოვნებათმ-

ცოდნე გოგი ხომტარიამ. ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ სტუდენტებს ესმას არქივის თავმოყრა შესთავაზა და 2013 წელს მისი 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გადაცემის ჩანაწერი გადასცა. სამომავლოდ ჟურნალში „ანუელი“ დაბეჭდილ ალეკო ციბაძის მოგონებასაც დაჰპირდა და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ ყველა ჩანაწერი და საარქივო დოკუმენტი ამ უნივერსიტეტში, ესმას კაბინეტში დაიდებს ბინას. პოეტმა ნატა ვარადამ აღნიშნა, რომ მსგავსი კაბინეტის გახსნა ახალგაზრდა მწერალთა სურვილიც იყო. ამ დღეს მიღებული შთაბეჭდილებანი გაახშიანეს და ესმას შესახებ ისაუბრეს პოეტმა და მეცნიერმა ემზარ კვიციანიშვილმა, მუსიკათმცოდნე ნუგუშა კვერნაძემ, ალეკო ციბაძემ. საღამოზე მამა ადამმა ესმა ონიანისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა, ნატა ვარადამ კი შეკრებილთ ესმას რამდენიმე ორიგინალური თუ თარგმნილი ლექსი შესთავაზა.

ირინა ონიანმა, პოეტისა და მხატვრის დამ, მისივე სტუდენტის მონათხრობი გაიხსენა, რომელსაც ესმას პირველი ნივნი „ჩუმად დაჰქრიან ფრინველები“ შეუძენია და იმთავითვე შეჰყვარებია. ეს ის დრო იყო, როცა რედაქტორები, ლიტერატურათმცოდნენი, ხელოვნებათმცოდნენი არ ბეჭდავდნენ, არ აღიარებდნენ, არა სცნობდნენ ესმა ონიანის შემოქმედებას. ან უკვე არქიმანდრიტმა ადამმა, ამ მშვენიერი დღის გარდა, იმ მრავალწლიანი სიყვარულისათვისაც მიიღო მადლობა პოეტის დისაგან.

დასასრულ არქიმანდრიტმა ადამმა შეკრებილთ უნივერსიტეტის სამლოცველოში გადაწვლული სთხოვა, სადაც საგანგებოდ ღვთისმშობლის ხატი მოებრძანებინათ. საღამო ესმასა და მის მშობელთა სულის მოსახსენიებელი პანაშვილით დასრულდა. სიმბოლურია ისიც, რომ პანაშვიდი შინდისის წმინდა თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტრის დედაბინის საოცარი გალობის მადლით იყო გაჯერებული.

\*\*\*

ესმა ონიანის შემოქმედების შესწავლას ჩვენი მომავლისათვის საგულისხმო მნიშვნელობა აქვს. ამ სტუდიის გახსნის წყალობითაც, მომავალი თაობებისთვის წინ ახალი სივრცე იშლება, ახალი შესაძლებლობანი იკვეთება. ახალგახსნილ კაბინეტსა და მის მესვეურთ რაკი საპატიო მისია დაჰკისრებიათ, საქმესაც შესდგომიან. ამის თავდებად ჯერჯერობით ის რამდენიმე ნახატიც ვიკმაროთ, რომლებზეც სტუდიის მენეჯერმა, არსენ გომარელმა მიგვანიშნა: სტუდენტებს დრო არ დაუკარგავთ, უკვე დაუწყიათ მუშაობა და უდავოდ მრავალ საინტერესო ნამოწყებასა და პროექტსაც განახორციელებენ. სამხატვრო ხელოვნების სტუდიის შექმნის მიზანიც ხომ ახალგაზრდა შემოქმედთათვის სწორი ორიენტირისა თუ სულიერი საზრდოს მიცემაა.



გოგი ხომტარია, ირინე ონიანი, არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე), ნუგუშა მესხი, გოგი წერეთელი

# წყაროთა ხმები — უკომენტაროდ

(თავგადასავალი  
ზურაბ არაგვის ერისთავისა)

1620 წლის ახლო ხანები

**ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII საუკუნე):** მომკვდარ იყო ნუგზარ და დასჯდა ძე მისი ბაადურ ერისთავად. ამას არა მორჩილ ექმნა ძმა თვისი ზურაბ და წარვიდა ცოლით წინაშე შაჰ-აბასისა. მან კეთილად შეიწყნარა შუამდგომლობითა მოურავისათა, რამეთუ იყო აღზრდილი მოურავისა. შემდგომად მისცა ნიჭი შაჰ-აბასს და ერისთავობა და გამოუტევა ზურაბ და დაშთა ცოლი მუნ. მოსრულმან ზურაბ ძალითა ყენისათა და სვიმონის მწეობითა დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თვისი... დაუწყო კირთება მთიულ-მოხევეთა და დაიპყრა იგინი და განძლიერდა ფრიად.

**ხევსური მელექსე:** ხევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა, გაგინვრილდების კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა.

**ფშაველი მელექსე:** ზურაბმ აიფრო ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო, ბევრს ქალს გაუხსნა საკინძი, უკბინა ძუძუზე-დაო.

**გუდამაყრელი მელექსე:** ზურაბ შე ერისთავიშვილო, რა თავი გედიდებისო, გვიხოცავს აზნაურები, ყორნები ეზიდები-სო.

**ხევსური მელექსე:** როშკას ატირდეს ციხენი, ბლოს სახ-ლნი ქვითკირისანი. ზურაბ, ნუ დაგვლევ, ღვთის მადლსა, ნარჩომ ვართ შენის ხმლისანი!

**ფშაველი მელექსე:** ზურაბ, რა უყვენ ლაშქარი ნაკრეფნი შვიდის თვისანი! ჩაუშვენ მათურაშია, თვალნი გაგინყრეს ხთისანი, დაგხვდეს ფშაველიშვილები, არწივნი მალლის მთი-სანი, შამოგენივინეს მთაზედა, განითლებივინეს ქვიშანი!

**გუდამაყრელი მელექსე:** ხევსურებ ხინკლად ჩაყარა, ფშაველებ შაუნთა შეშადა, გაუტეხელი მოხევე გაიმეტ დასაჩე-ხადა.

**ხევსური მელექსე:** სევდამც გეცემის ზურაბო, დაგლევ-დამც სისხლის წყალია! შენ დაგვიხოცენ ღალატით ნარჩევ ხევსურთა ყმანია.

**ხევსური მთხრობელი:** ზურაბ ძალიან საშინელ ვაჟკაც ყოფილ, სრუ ერთიან შიშის ზარ სცემდ დიდ-პატარას, პირგა-მეხებულმ სადამ იცოდის შუღლობა; კა სახელოვან ვაჟებსაც ელდას ახვედრებდ. აგეთ წეს ყოფილ ხევსურეთ. რო ატირე-ბულ ბალღებს ველარ აყურებდიან, მაშინ თუ ზურაბის სახელ უხსენიან და მტირალ ბალღიც გაჩუმდის. დედამ თუ უთხრის მტირალ შვილს: „ხმა გახკმიტდ, თორო ზურაბ ბატონ აქავ მას-სულ ყოფილ, ე მანდ კართ უკენ ჰყუდავის, კვლად თუ ხმას გაიღებ, შამავას და შაგჭამსო“.

1625 წელი

**ვახუშტი ბატონიშვილი:** მოურავმან მოჰკლა შიკრიკი და მოვიდა ზურაბ ერისთავისათანა ფარულად, ეზრახა მონყვე-ტასა ყიზილბაშისასა და აუყრელობასა ქართლისასა. არამედ ზურაბ მიზეზ-ჰყო ცოლი, რომელი ჰყვა ისპაანს და მოურავს ძე პაატა, ხოლო მოურავმან აღუთქვა შერთვად ლელა ბატონიშვილისა, დისა ლუარსაბ მეფისა და მრავალითა ლიქნითა დაიყოლია და ზურაბ დასთმო ცოლი და მოურავმან შვილი. დასაკენეს ღალატი ყიზილბაშთა.

**ისქანდერ მუნში,** სპარსელი ისტორიკოსი (XVII საუკუნე): როდესაც ორგულმა ქართველმა მოურავმა ამ სახელმწიფოსგან პირი იბრუნა, ზემოხსენებული ზურაბიც უღირსად მოიქცა, მისი მოკავშირე რომ გახდა და სპასალარ ყარჩილა-ხანისა და შირვანის ბეგლარბეგის იუსუფ-ხანის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა.

**ბერი ეგნატაშვილი (XVIII საუკუნე):** მისცა ღმერთმან ძლე-ვა ქართველთადა გაემარჯვათ... მაშინ გამარჯვებულნი ქართველნი წარვიდენ ფეიქარ-ხანზედ, რომელი იჯდა კახეთს, ჰყვანდა ცოლად ბატონიშვილი ლელა. და უნდოდათ დასხმო-დენ თავსა ფეიქარ-ხანს და ის მოეკლათ, და ბატონიშვილი ლელა გამოერთმიათ და ზურაბ ერისთავისათვის მიეცათ. და რა წარვიდენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გაქცეული. გამოუდგენ და სდივეს ბარდამდი და ვერლარა მოენივენ.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს და დაიპყრა მან კახეთი და მოსცა ასული თვისი დარეჯან ზურაბ ერისთავსა სათნო-ჩენითა მოურავისათა.

**ბერი ეგნატაშვილი:** და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდენ, რამეთუ თვით ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწევდოდნენ და ყმურად მონებდენ მას... ესე ზურაბ ერისთავი გაეზარდა მოურავსა პატარა ყმანვილი და იყვნენ ერთმანეთისათვის დიდად ერთგულნი და უწყოდენ, უკეთუ ესენი ერთმანეთს გაეყრებოდენ, მაშინ წახდებოდა საქმე ამათი და ამისთვის მორჩილობდენ ერთმანეთსა.

**ფარსადან გორგიჯანიძე (XVIII საუკუნე):** ბატონმან თეიმურაზ თავისი ქალი დარეჯან ზურაბ ერისთავს მისცა, მაგრამ ხორეშან დედოფალს მიცემა არ უნდოდა, ამისთვის რომ თავის სამშობლოს ამოგდებას იმათგან იყო.

1626 წელი

**თეიმურაზ პირველი:** ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვაგდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთ?“

**ვახუშტი ბატონიშვილი:** ხოლო კახთა შთააგდეს შური ზურაბს და ძმასა მისსა გიორგის შორის: „რამეთუ გიდგების ღალატად ბრძოლასა ამას შინა, ვინადგან არს იგი სიძე ქაიხოსროსი და თვით ნებავს ერისთობა“. ირწმუნა ზურაბ, შეიპყრა გიორგი და აღმოხადნა თვალნი.

**ბერი ეგნატაშვილი:** ხოლო განდიდნა ზურაბ ერისთავი და არლარა უდებდა მოურავსა თავსა და სიძეცა იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთვინცა დიდობდა. იწყინა მოურავმან მისი თავსდაუდებლობა და ამანაც აღარ ახსენა. და ამაში შეექნათ შური დიდი და მტერობა. ზურაბ ბატონს თეიმურაზს მიუდგა, და მოურავი — ქაიხოსროს, გამგებელსა ქართლისასა... მაშინ ბატონი თეიმურაზ და ზურაბ ერისთავი ერთად იყვნენ დუშეთს, სახლსა ზურაბ ერისთავისასა და შემოიყარა მოურავმან ჯარი, მივიდა დუშეთს ბატონს თეიმურაზზედ.

**თეიმურაზ პირველი:** ზურაბ თქვა და ერთპირ კახთა: „ვიცით, ღმერთი გყავს მფარველად, ყმას პატრონზედ გაემარჯვოს, არ გვასმია ესე ძველად!“

**ფარსადან გორგიჯანიძე:** მოურავს ეთქვა: ომში ბატონს თეიმურაზს ვიახლებიო და იმის სიყმანვილესაო, ჩემს სიბერეცაც მასთან გამოვცდიო. მეფის თეიმურაზისათვის შემოეთვალა: ამ ფერს ცხენს შევჯდებიო, ამა და ამ ფერს კურტაკს ჩავიცვამო და ბატონმაც თავისი ნიშნები გვიბძანოსო. ბატონს მოახსენეს და ამანც შესთვალა და ისრეც შეიკაზმა და მოურავზე მიტევა აპირებდა. ეს ზურაბ ერისთავმან იწყინა და ასრე მოახსენა: ხემწიფე ხემწიფეს უნდა შეეზასო, არათუ თავის უმცროს ყმასაო. რომელიც გიბძანებიაო, მაგავე ნიშნებითაო ერთი საჰკადის ამხანავი კაცი შევჰკაზმოთო და შევზაბათო. ასევე ქნეს.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** შეიბნენ ბაზალეთს და არა დაშთა კაცი, რომელი არა დაიკოდა, თვით ბატონი თეიმურაზ, მო-

ურავი და ზურაბ. გარნა სძლეს მოურავსა და ივლტოდა სამ-  
ცხეს ქაიხოსროთით.

**ისქანდერ მუნში:** წყეულ მოურავს საქართველოში აღარ  
ედგომებოდა. ამიტომ მან ოსმალეთს მიაშურა... საქართვე-  
ლოში ძალაუფლების მფლობელი ზურაბი გახდა.

1630 წლის ბაზაფხული

**ვახუშტი ბატონიშვილი:** შთავარდა შური ბატონს თეიმურა-  
ზასა და ზურაბ ერისთავს შორის.

**ბართლომეო ფერო,** იტალიელი ისტორიკოსი (XVII საუ-  
კუნე): თეიმურაზ მეფეს უკვე ეთაკილებოდა, თავისი ქვეშევ-  
რდომი რომ ჰყავდა სიძედ და აღმაცერად დაუნყო ყურება  
ზურაბს, ბოლოს კი მისი მოშორებაც განიზრახა.

**თეიმურაზ პირველი:** რა წავლეთ ხანი, ზურაბთან და-  
მინყეს ჩხუბს ჩამოგდება, რად ვერ მოუხვდა, ეს მიკვირს,  
ცრუს კაცს თავისა აგდება? სიძე იყო და შვილად მჩნდა, მახ-  
სოვს ვაღისა დადება, ადრე ამყოლი სიტყვისა მე აღარ მეიმე-  
დება.

**ბერი ეგნატაშვილი:** ამა ჟამსა შინა უფრო განდიდნა ზუ-  
რაბ ერისთავი და არღარა დაუდვა ბატონს თეიმურაზს თავი  
და ამას შინა დაუნყო საქმობა სვიმონ მეფეს პატარასა. და  
იყო სვიმონ მეფე ციხესა შინა ტფილისისასა. და მისცა ზურაბ  
ერისთავმან საფიცარი დიდი და გამოიყვანა ციხიდან და მო-  
უდგა ზურაბ ერისთავი და გააბატონა და მოუყენა ქართლი.  
და წამოიყვანა ზემო ქართლს და მუნ იმყოფებოდა. მაშინ სვი-  
მონ მეფე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** გამოიყვანა ზურაბ სვიმონ მეფე  
ტფილისიდან და დაიპყრა სვიმონ სრულიად ქართლი... სვი-  
მონ მეფე უხმობდა ზურაბს მამასა.

**ბართლომეო ფერო:** ზურაბმა მოიხვეჭა ქართლის დი-  
დებულთა მხარდაჭერა და როდესაც თეიმურაზი კახეთში იმ-  
ყოფებოდა, ქართლის მეფედ გამოაცხადა სიმონ-ხანი. ეს ამ-  
ბავი რომ შეიტყო თეიმურაზმა, ბევრი დრო არ დაუკარგავს,  
მაშინვე ქართლისაკენ გაემურა, რათა ბოლო მოეღო არეუ-  
ლობისათვის. ქართლის დიდებულნი სიმონ-ხანს ემხრობოდ-  
ნენ და თეიმურაზი ისევ კახეთს გაბრუნდა ჯარის შესაკრე-  
ბად. მაგრამ უკვე გვიანი იყო, ზურაბ-ბეგის მეოხებით სიმონ-  
ხანს მტკიცედ ეჭირა სამეფო. თეიმურაზმა უომრად დაანება  
ქართლი მეტოქეს, გაეცალა და კახეთში დარჩენილს ჯავრი  
ლრლნიდა.

**თეიმურაზ პირველი:** გავეცალე, კახეთს ჩაველ, ის სვიმონ-  
ხანს მიუვიდა, ფიცითა და თავდებითა ქალაქს ციხით გამოვი-  
და, ნამოუძღვანა ზემო ქართლზე, თან მოჰყვა და წამოვიდა.

**ფარსადან გორგიჯანიძე:** ზურაბ ერისთავი მეფემ სვი-  
მონ შემოირიგა და მუხრანი მას მისცა... მამობა უბძანა და შე-  
მოიფიცა და ბატონმან თეიმურაზ უომრათ ქართლი დაანება  
და კახეთს ჩავიდა.

**ისქანდერ მუნში:** ზურაბი სვიმონ-ხანის რწმუნებული და  
მნიშვნელოვან საქმეთა მომწესრიგებელი გახდა. ღირსეული,  
კარგი სამსახურისა და კეთილგანწყობის გამომჟღავნებით  
მან რამდენიმე დღეში სიმონ-ხანის ნდობა მოიპოვა, რადგან  
სიმონ-ხანი ახალგაზრდობისა და გამოუცდლობის გამო  
პირფერობით მოტყუვდა.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** ზურაბს სწადოდა, რათა იყოს  
თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე  
იყვნენ მავედრენი მისნი.

**ბერი ეგნატაშვილი:** ესრეთ იყო წადილი ზურაბ ერისთავისა,  
რათამცა ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლებდეს და სვი-  
მონ მეფე ქართლსა ზედა. და თვითონ ორთავე ზედა კადრებდეს  
და ვერარას მოქმედებდენ თვინიერ მისსა... და უკეთუ რომელი-  
მე არა იყოს ნებისყოფელი მისდა, იგი მეორე მეტოქედ ეპყრას,  
და რომელიცა არს მორჩილ მისდა, იგიცა იყოს უფალ მისა. და

არს საქმე ესე წინააღმდეგომი ბრძანებისა ღმრთისა, ვითარცა  
იტყვის: „ვერ ხელ-ენიფების ორთა უფალთა მონებად“.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** ამისი მხილველი და უღონოქმნი-  
ლი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყენისა და უფადარიდამ  
მოსწერა ზურაბს: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სი-  
მონისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სვიმონისა“.

**ბართლომეო ფერო:** ზურაბ-ბეგს ესტუმრა ზებედე  
ეპისკოპოსი, რომელიც სამეგრელოდან იერუსალიმს მიემგ-  
ზავებოდა, და ასე მიმართა: „ზურაბ-ბეგ, კარგად განსაჯე,  
თუ რა ჩაიღინე და რასა სჩადიხარ! გამაცხადიანებულ მეფეს  
მიჰბაძვენ მისი ქვეშევრდომებიც და უღვთო რჯული მოედე-  
ბა მთელ ქართლს. დროზე გამოასწორე შეცდომა, თორემ სა-  
ცაა დაეშვება შენს თავზე ღვთის მახვილი და დაგსჯის!“ ზუ-  
რაბ-ბეგმა მოინანია თავისი დანაშაული და მეფედ თეიმურა-  
ზის აღდგენა გადაწყვიტა. მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორ-  
ციელდებოდა, თუკი ერთ ლალატს მეორეს არ დაუმატებდა.  
განიზრახა სიმონ-ხანის მოკვლა, რათა ერთი დანაშაული წაე-  
შალა მეორე დანაშაულით.

1630 წლის ზაფხული

**ფარსადან გორგიჯანიძე:** ბატონმან თეიმურაზ თავისგნივ  
გაკეთებული ერთი ჩერქეზი, სახელათ გიორგი, სიძე იყო ზუ-  
რაბ ერისთავისა და ის შეუყენეს ერისთავსა... ქალის მიცემას და  
თიანეთის სამამულეთ მიცემას დაჰპირდნენ მეფის სვიმონის  
მოკვლისათვის. ჰგმეს პატრონყმობა და შესცვალეს ღმერთს-  
ზედ ფიცი. დიდმან დომამ არაა და შეიცვალა ჭკუისაგან და  
ცხვილოსს ამილახორის მამულში თავისი მეგვიდრე ბატონი  
მეფე სვიმონ მინდობილი ზურაბ ერისთავმან მძინარე მოკლა.

**თეიმურაზ პირველი:** თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა  
სცნა, თავს მოსჭრიდა?

**როსტომ მეფე:** იმავე წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბა-  
ტონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და სიძე ერისთავი ზურაბ და  
მისივე ყმა ჩერქეზი გიორგი მოლაღატედ შეუყენა და მძინარე  
ბატონი სვიმონ დააკვლევინა. ქართლს გაბატონდა, სომხითი  
და საბარათიანო დაიჭირა. რა გაიგონა შაჰ-სეფი ყაენმა,  
მწვედ იწყინა, კახს ბატონს გაუწყრა.

**თეიმურაზ პირველი:** მამას უხმობდა სვიმონ-ხან და ფიცი  
არ იწამა რად? მოკლა მან ჩემად უგრძნობლად, მინა ძლივ  
მისცა სამარად.

**ისქანდერ მუნში:** ზურაბმა სიმონ-ხანს ცბიერებითა და  
მოტყუებით თავის ადგილსამყოფელში შესთავაზა წასვლა...  
უთხრა, მინდა ჩვენი წესისამებრ საჩუქარი მოგართვათო.  
რამდენიც არ დაუშალებს მას კეთილსამრევლებმა, რომ არ  
წასულეყო ზურაბთან, არ შეისმინა და მცირერიცხოვან მეო-  
მართთა თანხლებით მის სამფლობელოში გაემგზავრა. ზურაბ-  
მა კი უღალატა მას და თავის სახლში მონამებრივი სიკვდი-  
ლით მოკლა.

**ბართლომეო ფერო:** ზურაბმა თბილისში მყოფ სიმონს  
შეუთვალა, რომ აუცილებელი იყო მისი წამოსვლა ქართლში,  
რათა საკადრისად დაეჯილდოებინა ქართლის თავადები, რომ-  
ლებმაც მიატოვეს თეიმურაზი და სიმონს მიემხრნენ. ამით უფ-  
რო განმტკიცდებოდა მისი გავლენა საკუთარ სამეფოში. გარ-  
და ამისა, სიმონს უეჭველად უნდა დაესაჯა ისინი, ვინც ჯიუ-  
ტად უჭერდა მხარს თეიმურაზს, და მათი მამულები თავის ერ-  
თგულ მომხრეთათვის გაენაწილებინა. სიმონმა დატოვა თბი-  
ლისი უმცირესი ამაღის თანხლებით... სტუმრობის პირველსა-  
ვე ღამეს თავს დაესხნენ მძინარე სიმონს და მოკლეს.

**ვახუშტი ბატონიშვილი:** ან განიზრახა ბოროტი, მოვიდა  
ღამე ცხვილოსს მდგომის სვიმონ მეფისა თანა, შევიდა და  
მოკლა იგი... და წარუვლინა თავი თეიმურაზს.

**ბერი ეგნატაშვილი:** მაშინ იზრახა ზრახვა ბოროტი, წარსაწყ-  
მედელი თავისა თვისისა, შურითა ემბაკისათა, და აღდგა მკვლე-

ლად მეფისა სვიმონისა და მძინარე სარეცელსა ზედა ლალატად მოკლა იგი, წარკვეთა თავი და წარსცა ბატონს თეიმურაზს.

**ჯაკომო დი სტეფანო**, საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერი (XVII საუკუნე): აგვისტოს შუა რიცხვებში სიმონ-ხანი ჩავიდა სამილახოროში, რათა იქაური მამულები გაენაწილებინა თავისი მომხრეებისათვის. როდესაც დიდი ლხინის შემდეგ ეძინა თავის ამაღასთან ერთად, მას თავს დაესხა ზებედე ეპისკოპოსის მიერ შეგულიანებული ზურაბ-ბეგი, სამი აზნაურის თანხლებით, რომელთაგან ერთი იყო გიორგი ჩერქეზი, მოკვეთა თავი სიმონ-ხანს და ხელში მიაჩეჩა თავის სიძეს — გიორგი ჩერქეზს. და მაშინვე, შუაღამისას, მოკვეთილი თავი ძღვნად გაუგზავნა თეიმურაზ მეფეს და ითხოვა პატივბა ამბოხების გამო.

**თეიმურაზ პირველი:** თავი უფადარს მამნივა ყაენთან წასვლის მნდომელსა: „ვით გაგიშვებდი ხელითა, ვირ გხედავ სულთა-მდგომელსა, ყაენთან წასვლას ესე სჯობს, ქართლითან შემომწყრომელსა, ბოლო არ გაუთავდების ბატონის სისხლში მგდომელსა!“

**ბართლომეო ფერო:** ვერაგმა მოლაღატემ მოკლული მეფის თავი, შიკრიკის ხელით, გაუგზავნა თეიმურაზს და მოუწოდა, რომ ხელახლა დაუფლებოდა წართმეულ სამეფოს. როდესაც თეიმურაზმა დაინახა ასე მოულოდნელად მოძღვნილი თავი სიმონისა, სიბრალული აღუძრა ახალგაზრდა მეფის უღმობელმა მკვლელობამ და ასე დაიტირა თავისი მეტოქე: „საბრალო მეფევე, ცრემლი მახრჩობს და უდიდესი მწუხარება მიპყრობს, როდესაც ვფიქრობ შენს უბედურებაზე — ვინც გიყვარდა, იმან გილაღატა და აღარც ის მიაგება, რომ ქართლის მფლობელი ვხდები“.

**ფარსადან გორგიჯანიძე:** ზურაბ ერისთავი წავეკის მყოფს დედოფალს ჯაჰანბანუ ბეგუმს ყაენის ქალს თავს დაესხა, რაც ჰქონდა, გაცარცვა და დიდის ვაებითა და კივილით დიღვამამდი წაიყვანა. ბატონის თეიმურაზის კაცი მოუვიდა: ერანის ხემნიფის შვილისშვილი არისო, დედოფალს არა შესცოდოთ რამეო. ამაზედ დედოფალი გაცარცვილი თავისის მხლებლებით ქალაქში მიახსეს.

**ჯაკომო დი სტეფანო:** ზურაბ-ბეგი იმავე ღამით, როდესაც თავი მოკვეთა სიმონ-ხანს, ცხენს მოახტა და წავიდა ერთ სოფელში თბილისის მახლობლად, სადაც სააგარაკოდ იმყოფებოდა ცოლი სიმონ-ხანისა. შეიპყრო, წაართვა მთელი ქონება და თვალ-მარგალიტი, და გაისტუმრა თეიმურაზთან. ამ უკანასკნელმა დაქვრივებული ქალი, ამაღის თანხლებით, წარგზავნა შაჰთან და შეუთვალა: სიმონ-ხანის მკვლელობაში მე უბრალო ვარო.

**თეიმურაზ პირველი:** აღარ წაველ ყაენთანა, ისრევე ქართლსაც მოუბრუნდი, ან სრულ ერთპირ დავიჭირე სომხითიან, არ დაეჭმუნდი.

**ჯაკომო დი სტეფანო:** თეიმურაზს ეწვია ზებედე ეპისკოპოსი და ქვეშევრდომებთან დააზავა. ისინი ეახლნენ მეფეს დიდ ეკლესიაში, ფერხთ ემთხვივნენ და ხელახლა შეპყვიცეს ერთგულება... თეიმურაზს დაემორჩილა ორი დიდი პროვინცია — სომხითი და საბარათიანო, რომელიც ადრე ეკუთვნოდა სიმონ-ხანს. ამგვარად, თეიმურაზის სამფლობელო, ხმლის გაუშვივლებლად, ორჯერ გაიზარდა. იყო პატრონი კახეთისა, ქართლისა და სომხით-საბარათიანოსი.

1630 წლის შემოდგომა

**ფარსადან გორგიჯანიძე:** დედოფალი და ქართველნი და კახნი ზურაბ ერისთავისათვის ავნი იყვნენ და დედოფლის ნებართვით ზურაბ ერისთავის სიკვდილი გამოარჩივეს. ზურაბ ერისთავმან თავისი მემკვიდრე ბატონი მოკლაო, უსაცილოთ თქვენც მოგკლავსო და ქართლსა და კახეთს თვითან დაიჭერსო და რა ხოსროფაშა დაბრუნდებისო, მეფის სვიმონის ბიძა ყაენის ყულარაღასიანო და სისხლს არ შეგვარჩენსო. მაშ ასე სჯობსო, ზურაბ მოკვლათო და თავი ყაენს გაუგზავნოთო და მეფის სვიმონის სიკვდილი იმას დავაბრალოთო და ქართლის მეფის სისხლი და ერანის ხემნიფის რისხვა ამით ავიციდნოთო. დააჯერეს ბატონს თეიმურაზს.

**თეიმურაზ პირველი:** ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან, თვით დამიციდია აგრევე, ვითა მასმია სხვისაგან... ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გრდემლ ნაკრავისა, თვალსა აამღვრევე წმინდასა, ხედვიდეს ავს არ ავისა, თმათ აშლის, ხელფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლგანაკრავისა, შფოთს ააყოლებს ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა... რადგან ეს ვიცი, რად ავწყევ ენას ავისა მბობელსა, ლბილისა გამსალებელსა, ფოლადის დამადნობელსა, უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლიე საცნობელსა, ყელშიგან წამჭირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?

**ვახუშტი ბატონიშვილი:** არამედ მიერთ ბატონს თეიმურაზს აქვნდა შური ზურაბ ერისთავისა, ოდეს მოკლა სვიმონ და ვინათგან განდიდნა ცა ფრიად, ამისთვის უდგა ლალატად მარადის.

**თეიმურაზ პირველი:** რას მიშველა, ვინადაც დამერთს ვიაჯი მოტყეებას, მაგრამ ძნელად გაეძლებს ყმის პატრონზედ აზვავებას.

**ბერი ეგნატაშვილი:** და განიგულა სიკვდილი მისი, და არა რიდა სიყვარულსა სიძისასა და არც ქვრივობასა ასულისა თვისისა დარეჯანისსა... მაშინ მოუწოდა ბატონმან თეიმურაზ სარწმუნოთა მონათა თვისთა და განუცხადა საიდუმლო გულისა თვისისა, წარმომთქმელმან ესრეთ: „ვინათგან ესრეთ განდიდნა ერისთავი ზურაბ და არავისი ნებავე უფლება ქართლსა და კახეთსა ზედა და, რომელი უნებს, დააყენებს და, რომლისაცა არა უნებს, რომელსამე მკვლეელ ექმნების და რომელსამე განაძებს, და ან მნებავე სიკვდილი მისი და თქვენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე და, რომელსა მე ჟამსა გამცნო სიკვდილი მისი, თქვენ ნუ ურჩ მქმნებითო“.

**ხევსური მელექსე:** საფურცლით სიმამრ იბარებს: „მოდი, სიძეო, მნახეო“. ბიჯტეტენ წავიდა ზურაბი, ცუდი სიზმარი ვნახეო.

**დარეჯანი,** ასული თეიმურაზისა და ცოლი ზურაბისა: ვეუბენ, არ დამიჯერა, ქალმა ვაჭარბე ჭკვითაო, ის მითხრა, არ მილაღატებს, არ გაგაქვრივებს შეილსაო.

**ხევსური მოხრობელი:** ზურაბმ რო მეორეზედაც არ დაინდგნ ხევსურნი, ამის გამო მოხკლ სიმამრ თეიმურაზმ. ერთხანს რო დაუბარ სიმამრმ ზურაბს, არ წავიდა, არც მეორე დაბარებაზე, მესამედ რო დაუბარ, მაშინ კი წავიდ საფურცლეს.

**ჯაკომო დი სტეფანო:** თეიმურაზმა საფურცელში მიიწვია ზურაბ-ბეგი, ხელახლა წარმოქმნილი ეჭვისა თუ წარსული ამბოხების გამო დასასჯელად, ვითომდა მნიშვნელოვან საქმეებზე სათათბიროდ. ზურაბ-ბეგი დაუყოვნებლივ გაეშურა და როგორც კი შეაბიჯა დივანში, კარი მაშინვე მიუკეტეს და



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

იმ ბატონმა, რომელსაც თეიმურაზი ეძახის ყორჩიბაშს, მყისვე ხანჯალი ჩასცა ზურაბ-ბეგს და შესძახა: „ადრე სიცრუე იყო, თითქოსდა თეიმურაზს შენი მოკვლა ენადა, ახლა კი სიმართლე არისო“. ზურაბ-ბეგმა ხმაზე იტაცა ხელი, მაგრამ სახლთუხუცესმა მკლავში დაჭრა და ხმალი ხელდან გააგდებინა, მერე კი სუფრაჯიმ სასიკვდილო დარტყმა მიაცენა.

**ფარსადან გორგიჯანიძე:** საფურცლეს დაჰპატივებს და უღალატეს და სუფრაზე ერისთავი ზურაბ მოკლეს.

**ბერი ეგნატაშვილი:** ნარავლინა კაცი და უხმო ზურაბ ერისთავსა. და მოვიდა იგი, იშვებდენ და ლხინობდენ. და ვერა აგრძნა ერისთავმან. და დღესა ერთსა მსხდომარე იყვნენ მონანი მისნი, მაშინ წამ-უყვნა ბატონმან თეიმურაზ. ხოლო მათ აღიღეს მახვილები უგრძობელად ერისთავისა და ინახით მჯდომარესა უღალატეს და მოკლეს.

**ხევსური მელექსე:** საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო. გაუშალეს ხალიჩები, ზურაბ ზედ დაბძანდისაო. აუყვავებენ სუფრასა: „სიძე, შეიქე ხილსაო“. დაუდგმენ სურას ღვინიანს, დათაფლულსა და ტკბილსაო. ჯერ ხილი ჭამა ზურაბმა, მემრ პირი მიჰყო ლხინსაო. დაადგეს მოჩანგებები, დაადინებენ ძილსაო. მოუსხდეს მოღალატენი ახლოსა, ყურის პირსაო.

**თეიმურაზ პირველი:** გვერდს მიჯდა, ვბრძანე სიკვდილი, სისხლი მან ჩემს წინ გაუშო.

**ხევსური მელექსე:** ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: „დაჰკარით კახისი შვილსაო!“ ხანჯარი თუშთ მოურავმა — მარცხენა ძუძუს ძირსაო.

**ფშაველი მელექსე:** დედამც იმისი ცხონდება, ვინც ზურაბს დაჰკრა ხანჯარი!

**ხევსური მელექსე:** ზურაბმ ჭირთ გაცოფებულმა ხმალსა დაჰგლიჯნა ვადანი, „ვაი თქვენს ზურაბს, ფშაველებო! ძაფ დაუხვევავ მაგარი“.

**ნიკო ურბნელი (XIX საუკუნე):** რადგანაც ზურაბი მძლავრი ვაჟკაცი იყო, ღონიერი მკლავის პატრონი, ვერ ენდვნენ: ხმლის ვადა მაგარი ძაფით ქარქაშზედ მიუბეს, გაცოფებულმა ხელი არ ახლოს მახვილსა და არ დაგვხოცოსო; დაჭრილ ლომკაცს გამოვლივია, ხელი იკრა ხმალს, ვადა კიდევ დაჰგლიჯა, მაგრამ გვიანდა იყო.

**დედა ზურაბ ერისთავისა:** ვინ მოგკლა შვილო ზურაბო, ვინ შეგხსნა ხელნი გმირსაო? ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა, არაგვისაო? აღარვინ მეგულეობდა მამრევი ზურაბისაო.

**ხევსური მელექსე:** ელუმო თულუმშივილო, ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი! შენ მაჰკალ ერისთავის შვილი, ზურაბს შენ დაეც ხანჯარი.

**ბერი ეგნატაშვილი:** და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითაცა წარწყმდეს“.

**ბართოლომეო ფერო:** ასე დაიღუპა იგი, ვინც აუჯანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვთისმკრეხელი არ იყო სიცოცხლის ღირსი და თუმცა უფალი ზოგჯერ აგვიანებს სასჯელს, გაუქმება არა სჩვევია.

**ხევსური მელექსე:** გაგზავნეს ფშავ-ხევსურეთსა სამახარობლოდ ჩაფარი — ფშავ-ხევსურეთში ქალ-რძალმა ძილ დაიძინონ მაგარი. საფურცლეს მოკლეს ზურაბი, აღარ მოგივათ ლაშქარი.

**დედა ზურაბ ერისთავისა:** შენ გენაცვალოს დედაო, ზურაბ თავმეუდებარო, დაჭრილო და დაკუნწულო, ზედ წამალდაუდებარო, სიყმანვილით სიბერემდინ შენ დღეში დაუდეგარო.

**დაი ზურაბ ერისთავისა:** არვინ მეგონა მამრევი ჩემის ძმის ზურაბისაო. ზურაბ საფურცლეს მომიკლეს, წვერ დამირეკეს ხმლისაო... არ მეგონ, გვიღალატებდა, გააქვრივებდა შვილსაო.

**დარეჯანი:** არცვინ მეგონა მამრევი ჩემის ქმრის ზურაბისაო. ზურაბ ღალატით მომიკლეს, ვაჰმე უდროოდ ქვრივისაო.

**ფშაველი მელექსე:** ზურაბის ცოლი დედას სწყევს: „ჩემიმც დღე დაგადგებაო! ამ ჩემის ღალატისადა თეიმურაზ მოგიკვდებაო“.

**თეიმურაზ პირველი:** ვიდრე ცოცხალ ვარ, ვინანი, სამუდამოდ ცრემლი მდისა და... რად მოგჰკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე, ძმისა და, ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოდგმისადა?!

**ხევსური მელექსე:** მიგრი მოხვიეს ბატონსა, ზურაბის წამოსასხამი. შეარტყეს ჩოლოყაშვილსა ზურაბის ქამარ-ხანჯარი... ბარამს უბოძა ბატონმა ზურაბის ცხენი სალარი.

**ფარსადან გორგიჯანიძე:** „გვიჯობსო, რომე ზურაბ ერისთავის თავი ყაენს გაუგზავნოთ და თავი ვიმართლოთო. ამით ეგების ხემწიფე დაგვიტკბესო“. დაუჯერა ბატონმან თეიმურაზ და ზურაბის თავი ყაენს გაუგზავნეს და ასრე არზა მისწერეს: „ვითაც მეფე სვიმონ ნათესავი იყო ჩვენის და ხემწიფის ბრძანებით თავის სამკვიდროზედ ბატონობდა, ამ თავისმან ყმამა უღალატა და მოკლა და ჩვენს გვართ წესია, რომ ერთმანეთის სისხლს მოვიკითხავთო, ამისთვის მოვკალით და თავი ხემწიფის კარზედ გვიახლებითო“. ეს ყაენს იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მოსცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს.

**თეიმურაზ პირველი:** ღვთისა მეშინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა მყოფელსა, გული გამშაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახვრის მყოფელსა! სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნევ მე საყოფელსა? იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე სოფელსა!

**ისქანდერ მუნში:** თეიმურაზი, როგორც კი ერთგულების გამოჩენის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ზურაბის მოსაკლავად აჩქარდა და ორგულობის საზღაური მიაგო... მან თავისი ერთგულებისა და მორჩილების გამოხატა და შაჰს მოახსენა, რომ ზურაბ ქართველმა სიმონ-ხანს — ქართლის მეფეს უღალატა და მოკლა. შემდეგ თეიმურაზთან მივიდა, რათა იგი ქართლის მბრძანებლობით მოეხიბლა. რადგან თეიმურაზს ბევრჯერ სმენოდა მისი ღალატისა და ცუდი ზნის შესახებ, ამიტომ არ ენდო. შესაფერისი დრო შეარჩია მის მოსაკლავად, ხოლო ტახტის ზღურბლს სინამდვილე არასწორად მოახსენა; ვითომდა, რადგან ზურაბმა სახელმწიფოს უღალატა მისი მწყალობელის შვილის — სიმონ-ხანის მოკვლით, ამიტომ თქვენდამი კეთილგანწყობილების საფუძველზე მე იგი დავესაჯეო. მისმა უდიდებულესობამ ეს სიტყვა დაიჯერა და საქციელი მოუწონა. ამ სამსახურის სამაგიეროდ ქართლი, თბილისის ციხის გარდა, მის ვაჟს — გურგენ-მირზას უბოძა, რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა... ამ მაღალი დინასტიის კეთილგანწყობილებითა და მეფური წყალობით თეიმურაზის სამეფოს ბალ-მინდვრები გამშენიერდნენ და ქართველები სიმდიდრითა და ძლიერებით ბედნიერნი იყვნენ.

**ბართოლომეო ფერო:** საქართველოში მშვიდობა დამყარდა და თეიმურაზის პოლიტიკის წყალობით ქვეშევრდომნი მამად მიორჩევდნენ თავიანთ მეფეს.

**მოხვევ მელექსე:** ზურაბისთანა ბატონი ვინლა გამოვა ხმლიანი, ვანჯა-მირანა ამტკრივა, დღესაც კი სახელი არი. იმის ნანგრევი სოფლები ოხრათვე ყრია ტიალი.

**P.S.** დიდებული ქართველი მკვლევარი ზურაბ ავალიშვილი წერდა: „ყოველგვარი ცდა მეფეებისა — გაძლიერებულიყვნენ თავის სამშობლოში, აწყდებოდა გადაულახავ დაბრკოლებას დიდი ფეოდალების სახით, რომელთაც შორეულ ისპანზე ნომინალური დამოკიდებულება უფრო ეამებოდათ, ვიდრე უშუალო მორჩილება მეზობლადვე მყოფი მეფის წინაშე. და ეს ფეოდალები სრულიად არ არიან სამშობლოსა და სარწმუნოების მოღალატენი. პირიქით, არაერთხელ სწორედ მათ დაუცავთ რეალური და ქართველობა. მაგრამ შეგნებულად შეაქციონ ზურგი ინტრიგებს და ხელი შეუწყონ, ანდა წინააღმდეგობა მაინც არ გაუწიონ, მეფის ძალაუფლების განმტკიცებას — ამას ისინი ვერასოდეს შეეგუებან. მათი მოქმედების წესი თანამიმდევრულად გამომდინარეობდა ეპოქის საზოგადოებრივი წყობიდან“.

მასალა მოამზადა  
თამაზ ნატროშვილმა

გურამ ბათიაშვილი

# სახეები და სიტუაციები

თითქოს ბოლო საქართველო...

თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტმა ჟურნალ „თეატრის და ცხოვრების“ რედაქტორად თითქმის ერთხმად დამამტკიცა. ბატონი დოდო ალექსიძე შეფარულად, თემურ ჩხეიძე და ეთერ გუგუშვილი კი აშკარად დაუპირისპირდნენ პრეზიდენტის იმ ნევრს — ლენინურ-სტალინური შეფერილობის ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს, რომელიც არა მხოლოდ წინააღმდეგი იყო ჩემი რედაქტორობისა, იბრძოდა კიდევ თავისი პოზიციისათვის. არადა, იმ წლებში მის პოზიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას, აი, როგორ ხსნიდა: „გურამი კარგი დრამატურგია, ინტენსიურად მუშაობს, რედაქტორობა ხელს შეუშლის შემოქმედებით ცხოვრებაში“. სინამდვილეში კი მიზეზი სულ სხვა იყო და ჩემი შემოქმედება არაფრად ენალეგებოდა.

ჟურნალის რედაქტორად დანიშვნა, ცხადია, სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ერთი მხრივ დიდმა პასუხისმგებლობამ, მეორე მხრივ იმ ლენინურ-სტალინური შეფერილობის გავლენიანი თეატრალური მოღვაწის წინააღმდეგობამ არა მხოლოდ შემაფიქრებინა, გულახდილად ვიტყვი. დამაფრთხო კიდევ.

შეძლებს კი? „თეატრი და ცხოვრება“ დიდი ტრადიციების ჟურნალია, იოსებ იმედაშვილი ედგა სათავეში, ქართული მწერლობის, თეატრის კლასიკოსები იბეჭდებოდნენ მის ფურცლებზე. მე რა, როგორ უნდა გავაკეთო ისეთი რამ, ჟურნალმა რომ ღირსება შეინარჩუნოს.

თემურ ჩხეიძე და მე მსახიობის სახლიდან ერთად წამოვედით. ვზაში სწორედ ამ პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობდით. თემური ჩემს წუნუნს უხმოდ ისმენდა. კარგა ხნის მერე თქვა ფრაზა, რომელიც დღესაც ჩამესმის ყურში:

— აი, თუ შენ ჟურნალის ყოველ ნომერს ისე გააკეთებ, თითქოს ეს ბოლო ნომერია და მეტის გაკეთების საშუალება აღარ გექნება, მაშინ... — აქვე დავეძენ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქა იდგა — „პერესტროიკა“ იწყებოდა.

მკითხველს არაფრად აინტერესებს, თუ როგორ დავინიშნე და როგორ ვბრუნდებოდი შინ თემური და მე, მაგრამ თუ ამით არ დავინწყებდი, ვერც თემურის შემოქმედებითი ცხოვრების უმთავრეს, ძირითად პრინციპს გავაცნობდი მას, ეს პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ თავად თემურის პიროვნების, შემოქმედებითი მისწრაფებების გაგებისათვის. ეს ფრაზა გვიმხელს, თუ როგორი იყო თემურ ჩხეიძის დამოკიდებულება იმისადმი, რასაც იგი ქმნიდა — მე ჩამაგონებდა იმას, როგორც თავად ეკიდებოდა თავის პროფესიულ მოღვაწეობას — ყოველ სპექტაკლს დგამდა ისე, თითქოს, სპექტაკლის მეტად დადგმის საშუალება აღარ მიეცემოდა — სახელმწიფო, ხელისუფლება, კომპარტია ამ უფლებას ჩამოართმევდა. „ჩემო კალამო“, „გუშინდელი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ილია ვარ“. მე წარმატებული სპექტაკლები გავიხსენე, ისინი, რომელთაც მაყურებელი რეჟისორის მიერ ლიტერატურული მასალის გააზრებამ ააფორი-აქა, დააფიქრა სამშობლოს დღევანდელობაზე.

„ჩემო კალამოს“ გასინჯვა შუადღისას შედგა. სპექტაკლიდან გამოსული ლამის ყოველი მაყურებელი ისე იყო დამუხტული ეროვნული სულისკვეთებით, როგორც მარჯანიშვილის მიერ კიევიში განხორციელებული „ფუნტე ოვეხუნას“

დამსწრე ჯარისკაცები — ამათ სპექტაკლი ისე განაწყობდა, რომ ფარდის დახურვის შემდეგ პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ.

აქაც ასე იყო: იმდენად ძლიერი გახლდათ ილიას სიტყვის ძალა, თემურის მიერ ილიას ტექსტის გააზრება, მაყურებლისათვის მიწოდების ხერხები, მსახიობთა ოსტატობა, რომ ამ სპექტაკლიდან გამოსული ლამის ყოველი ქართველი ეკეთებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის იავარამქნელს.



ამიტომ დღეს ლიმილის-მომგვრელია ცისფერი ეკრანიდან ზოგიერთი პარტიის კარგად ნაპატიები ლიდერის საუბარი იმაზე, თუ როგორ დაიწყო ეროვნული მოძრაობა საქართველოში. ყველაფერს თავის თავზე ირგებენ, თავის მისიას უფრო წარმოაჩენენ, ვიდრე ისტორიულ სიმართლეს — ეროვნული სულისკვეთების გაღვივება სწორედ მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ და ქართულმა თეატრმა დაიწყო. დიდებულად განაგრძო მეოცე საუკუნის მწერლობამ და თეატრმა, განსაკუთრებით პოსტსტალინურ ეპოქაში. სავსებით სწორი გახლდათ გიგა ლორთქიფანიძე, როცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობასა და თეატრს დისიდენტურად მიიჩნევდა.

რასაკვირველია, პოზიციამოვლენებისადმი დამოკიდებულება ბევრ რამეს განსაზღვრავს, მაგრამ თემურს ამ პოზიციის გამოხატვის სცენური ფორმის მონახვის გამოც მიიჩნევენ დიდ რეჟისორად. ე.ი. რა და როგორ ისე გახლდათ ერთმანეთთან შერწყმული, სპექტაკლებს ისე დგამდა, რომ საეჭვო ხდებოდა, შემდეგი სპექტაკლის დადგმის საშუალება ექნებოდა თუ არა, მაგრამ ნიჭთან, შეუპოვრობასთან ერთად, ილბალიც ჰქონდა — არც სპექტაკლის დადგმის უფლება წაურთმევიათ და არც დაუსჯიათ.

და დღეს, 70 წლის თემურ ჩხეიძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევა დიდ ქართველ რეჟისორად. ამაში იმ სულისკვეთებამაც ითამაშა დიდი როლი, რაც მისი შემოქმედებითი მრწამსი გახლდათ და მე ჩამაგონებდა. ალბათ, სხვებსაც, რადგან იგი ამ მრწამსით ცხოვრობდა.

## სამართლიანობის აღდგენა

რა მიმზიდველი მონოდებაა! ადამიანთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ამათუიმ დროში, ამათუიმ ხელისუფლების, ადამიანთა ჯგუფის მიერ მისი ინტერესები შეილახა, ისე არ მოექცნენ, როგორც იმსახურებდა, რაღაც დააკლეს, წაართვეს კიდევ.

იძარცვებიან ადამიანები, იძარცვება სახელმწიფო. უფლებაშელახული, გულნატკენი ადამიანები ელოდებიან იმ დღეს, როცა დადგება ჟამი სამართლიანობის აღდგენისა, მოვა დრო და სამართალი პურს ჭამს, ეი ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

არაფერს ვიტყვი ბოლშევიკების მიერ „სამართლიანობის აღდგენის“ გზებსა და მეთოდებზე. როგორ გაუსწორდნენ მეფის დროინდელ სამხედრო ელიტას, ინტელიგენციას — ეს საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომ უფრო მშვიდ, უფრო მოთვინიერებულ ეპოქას გადავავლოთ თვალი.

ქართველმა ხალხმა ბოლშევიზმს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანგრევამდე — 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამოუტანა განაჩენი. გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ“, პარლამენტში, მაშინ უზენაესი საბჭო რომ ერქვა, კომპარტი-

\* თავები მეორე ნიგნიდან

ის ნევრებიც გავიდნენ, მაგრამ „მრგვალი მაგიდა“ მძლავრობდა, ცხადია, მთავრობაც მან შეადგინა.

და იწყება სამართლიანობის აღდგენა — კომპარტიის სიით პარლამენტში შესულ დეპუტატებს ისე გამოჰყრიან, როგორც ტრამვით უბღელეთოდ მგზავრობის მოსურნე ონავარ ბიჭუნებს. არადა, ეს კომპარტიული პარლამენტარებიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც „მრგვალი მაგიდას“ ნევრები. დარწმუნებული ვარ, თამაზ გამყრელიძეს, ელდარ შენგელიას, გოგი ქავთარაძეს, ვაჟა ლორთქიფანიძეს და მათ კოლეგებს საქართველოს დამოუკიდებლობა, წინსვლა „მრგვალი მაგიდას“ დეპუტატებზე ნაკლებ არ ენადათ. არ ვნერ, საქართველო უფრო მეტად უყვარდათ-მეთქი, საქართველოს ხვალისდელი გამარჯვება ელდარ შენგელიასაც ენადა და გურამ პეტრიაშვილსაც, ვაჟა ლორთქიფანიძესაც და აკაკი ასათიანსაც. რომელიმე ამათგანის მისწრაფებაში ეჭვის შეტანა დიდი ცოდვაა.

მაგრამ მაინც...

ქართული კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის დიდებულ მოღვაწეებს წითელი პროფესორები, კრიმინალური ინტელიგენცია, ერის ინტერესების მოღალატენი უწოდეს.

გადის დრო და ამხოზენ „მრგვალ მაგიდას“.

კვლავ იწყება სამართლიანობის აღდგენა: იდეებებიან არა მხოლოდ „მრგვალი მაგიდას“ ნევრი დეპუტატები, ყველა, ვისაც ე.წ. ზვიადისტი ერქვა. სისხლიც კი იღვრება, მოთქრიალებს.

ადამიანი უმეტესწილად ცდილობს დევნას, რეპრესიებს განერიდოს. ბევრი ქართველი უცხოეთს მიაშურებს — იქაურობას აფარებს თავს. ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტზე რამდენი გულდათუთებული ქართველი შემხვედრია „სამხედრო ხუნტას“, მოქალაქეთა კავშირს გამოვექცითო, რომ ამბობდნენ. ახლაც ყურში ჩამსმის ბარსელონაში პიკასოს სახლ-მუზეუმის ძებნისას შემთხვევითი შემხვედრილი ერთი ახალგაზრდა კაცის, გვარად ტყემელაშვილის, ხმა: დღეს კი ვდგავარ ფეხზე, მაგრამ მიუსაფარსა და მწყურვალს რამდენი ღამე გამითევია ქუჩაში. რატომ არ უნდა მქონდეს მე ჩემს სამშობლოში ცხოვრების უფლება — საქართველო მხოლოდ მოქალაქეთა კავშირისა ხომ არ არის!

იყო, კი იყო — კარგად მახსოვს, რა მიპასუხა ერთმა ახლობელმა მოქვეყნიერულმა დეპუტატმა კითხვაზე „საე რატომ იქცევით, ასე რატომ ექცევა თქვენი ხალხი ქვეყანაზე?“ „აბა, რა, ჩვენ გავიმარჯვეთ, ახლა ჩვენი დროა“

მათი დროც ამოიწურა, დამთავრდა — ამხოზენ ე.შევარდნაძის ხელისუფლებას.

და კვლავ იწყება სამართლიანობის აღდგენა. იდეებებიან შევარდნაძის ზეობისას დანინაშურებული ადამიანები. მის სააკაშვილის ზეობის წლებში ერთ-ერთი ბრალდება გახლდათ: „შევარდნაძის ეპოქის შოკია!“ „შევარდნაძის კადრია!“ „შევარდნაძის გადმონაშთია!“

რა ექნა ამ კაცს — პეტრეს თუ გიორგის, აბესალომსა თუ ვახტანგს — აშენებდა ქმნიდა, წერდა, ხატავდა ე.ი. შრომობდა და მისი შემოქმედებითი პოტენციის სრული გამოვლენა იმ წლებს დაემთხვა, როცა საქართველოს შევარდნაძე მეთაურობდა. ბუნებრივია, ხელისუფლებაც აფასებდა, ანგარიშს უწევდა. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ე. შევარდნაძის ეპოქაში წარმატებული, გამარჯვებამიღწეული ადამიანები სახელმწიფოს მეთაურმა ჩარეცხილებად გამოაცხადა. ამას აკეთებს არა რომელიმე იაფფასიანი ბულვარული გახეთის ჟურნალისტი, ან მყვირალა ფრაზების მოყვარული ავკია კრიტიკოსი, არამედ სახელმწიფოს მეთაური. ამით მან უნიტაზის ყელში მოაქცია ისინი, ვისაც იმ წლებში მოუწია შრომა, ქმნა-დობა, წარმატებასაც მიაღწია და ახლა სახელმწიფოს მეთაურმა ჩასარეცხად უნიტაზის ყელში გაჩხირა.

ერთობ მიკვირს, იმ წლებში როგორ დადიოდა ხალხი თეატრში — ტელევიზიით ისეთ მოულოდნელ დაპატიმრებებს გადმოსცემდნენ, თეატრში როგორ უნდა წასულიყვნენ.

სიცოცხლე ძვირფასია. ბუნებრივია, რომ გაურბის დევნას, რეპრესიებს და კვლავ გარბიან — უცხოეთს აფარებენ თავს.

გამოხდება ხანი და „ნაციონალური მოძრაობა“ მარცხდება. იმარჯვებს... ქართული ოცნება“.

და ისევ... კვლავ იმავე გზით მივდივართ, კვლავ იწყება სამართლიანობის აღდგენა.

ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ „ცნობადი სახეების“ ჯერი დგება, კეთროვანებით ერეკებიან საბჭოებიდან, კომიტეტებიდან: „გადით!“ „ნადით!“ „გაეთრიეთ!“ — რადიო-ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემები სასამართლო ქრონიკაა და სხვა არაფერი. აღარავინ ლაპარაკობს, ან სასხვათაშორისოდ თუ იტყვიან, რა აშენდა, რა დაითესა, რა შეიქმნა. დაკითხვები, სასამართლოს სხდომები, ბრალდებათა კორიანტელი.

რასაკვირველია, ბევრმა უგვანოდ დაგვამახსოვრა თავი, ბოროტ საქმეებსაც გამოჰყრეს ხელი, ქართველი კაცის ღირსება არაფრად ჩააგდეს, არიქა, ჩემი დროაო და ცა ქუდად არ მიაჩნდათ, დედამინა — ქალამნად, მაგრამ ამ „ნაციონალური მოძრაობაშიც“ ხომ იყვნენ, არიან ნიჭიერი ადამიანები, ჭეშმარიტი პროფესიონალები. ისიც ცოდვაა თქვა, რომ არაფერი შემატეს ქვეყანას. კი, მათ მსოფლმხედველობაზე ზეგავლენას ახდენდა ესათუის იდეოლოგია, მაგრამ ვერ ვიჯერებ, რომ მათაც ისევე არ უყვარდათ სამშობლო, როგორც მათ წინამორბედთ. ესენი ხომ ყველანი ამ „ბედკრული საქართველოს“ შვილები არიან — ზვიადისტებიც, შევარდნაძისტებიც, ბიძინისტებიც, კომპარტიის ნევრებიც და მიშისტებიც.

რა იქნება ხვალ?

ხომ არსებობს თუნდაც თეორიული შანსი, რომ ხვალ თუ არა ზეგ, თუ ზეგ არა, მას შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ მიექცეს ხელისუფლების სათავეში. და ისევ სამართლიანობის აღდგენა! კვლავ უცხოეთში თავშესაფრის ძებნა. რატომ ხდება ასე — რატომ არის, რომ ყოველი გამარჯვებული პარტია, ყოველი ხელისუფალი წინამორბედს დევნის? ეს ახალ ლიდერთა აჩემებაა და ამ გზით ძალაუფლების განმტკიცება, თუ ყველას ცოდვაში გვიდგას ფეხი, და მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, მომდევნო ხელისუფლება — კანონი — პასუხს მოგვთხოვს, მაინც ვაგრძელებთ ცოდვით ცხოვრებას.

კიდევ რამდენმა ადამიანმა უნდა დატოვოს სამშობლო, უცხოეთის ცის ქვეშ კიდევ რამდენმა ქართველმა უნდა ეძებოს ლუკმაპონი, რომ ისე ვიცხოვროთ, მომდევნო ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენა არ მოინდინოს და კვლავ სამშობლოდან გაქცევის გზებს არ ვეძებდეთ?

**რასპუტინმა 25 წელი იწინასწარმეტყველა**

რუსეთის იმპერიის ისტორიით თუნდაც ზედაპირულად დაინტერესებული ადამიანებისათვის ასეთისევე ცნობილია გრიგორი რასპუტინის პიროვნება. ტობოლსკის გუბერნიის სოფელ პოკროვსკაიდან წამოსულმა ამ „მუჟიკმა“ — ასე მაშინ ეძახდნენ, თორემ დღეს მისი ნიჭის პატრონს დიდ ნათელმზილველს დაარქმევდნენ — სამეფო კარზე უზარმაზარი ზეგავლენა მოიპოვა. ასეთ ზეგავლენას კი უბრალო „მუჟიკი“ ვერ მოიპოვებდა. შეუძლებელია უბრალო „მუჟიკი“ გამხდარიყო სამეფო აღზრდა-განათლებით აღჭურვილი ნიკოლოზ რომანოვის, მისი მეუღლის სულიერი მეუფე. ვფიქრობ, საბჭოთა იდეოლოგია რასპუტინზე მთავარს არ ამბობდა. არ წარმოაჩენდა იმ მიზეზს, რამატოვს რასპუტინის ამოდენა ზეგავლენის მოპოვება შეაძლებინა, და ერთ პრიმიტიულ, ლამის „ზოსიაკ“ კაცად წარმოგვიდგენდა. ამით იმპერატორის პიროვნების დაკნინებასაც ცდილობდა.

ნიკოლოზ მეორე, მისი მეუღლე — ალექსანდრა — რასპუტინის რჩევას არა მხოლოდ ყურად იღებდნენ, აუცილებლად მიიჩნევდნენ. რასპუტინი მხსნელად, მშველელად ეგულებოდათ. შველოდა კიდევ მეფისწულ ალექსის გაუნღებელი სისხლის დენა, რომელსაც ბავშვი სიკვდილის პირამდე მიჰყავდა, რასპუტინის მცენარეული წამლებით, შელოცვებით წყებოდა და ბავშვს სიცოცხლეს უნარჩუნებდა.

და აი, გრიგორი რასპუტინის პირადი მდივანი გამხდარა იუველიერი არონ სიმანოვიჩი, რასპუტინის მოკვლისა და რუსეთში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ეს არონ სიმანოვიჩი ევროპაში გაიქცა. იქ დაწერა მოგონებათა ნიგნი, რომელშიც ჩინებულად აღწერს იმპერატორის კარის ცხოვრებას. ვფიქრობ, ეს ცოტა ავანტიურისტი, მაგრამ ერთობ გონიერი კაცი, რომელიც თავისი როლის განდიდებასაც არ ერიდება, მეტწილად მეფის კარის ცხოვრების მართალ სურათებს გვიხატავს. არ დავმაღლა: მანამდე არ ვიცოდი — ამ ნიგნით აღმოვაჩინე, ქართველი თავადები თუ რაოდენ დაახლოებული ყოფილან სამეფო კართან, თავად ნიკოლოზ მეორესთან, როგორ ატარებდნენ დროს ერთად (ერთი ებიზოდის დაცვასთან ამ ურთიერთობის მასშტაბებს: დილის მსმურობისას ერთი ქართველი თავადი ნიკოლოზ მეორეს ეუბნება: გუშინწინ კაზინოში დიდძალი ფული წავაგე, მე ფული არა მაქვს და შენ გადამიხადე).

როგორც სიმანოვიჩის ჩანაწერებიდან ჩანს, ქართველი თავადები ნიკოლოზ მეორესთან ერთად ხშირად „გულნაობდნენ“. თავად სიმანოვიჩი გრიგორი რასპუტინს კნიაგინა ორბელიანის ოჯახში ვაცნობია. როგორც სიმანოვიჩი წერს, ქ-ნი ორბელიანი ადრე მეფის საყვარელი ყოფილა, ახლა კი ასაკოვანი და დამბლადაცემულიაო. დედოფალს მეფისა და ორბელიანის ადრინდელი ურთიერთობა სცოდნია, მაგრამ ქმრის ექსსაყვარელთან მაინც მეგობრობდა: როცა სასიეროდ მიდიოდა, თან გაიყოლებდა ხოლმეო.

ზემოსხენებული ორბელიანის გარდა, კიდევ ერთი ორბელიანი ტრიალებდა მეფის ახლომახლო, უჩა დადიანი — ნიეთელი ჯვრის ხელმძღვანელი, გელოვანი, ნიჟარაძე, მეფის კამერგერი — ნაკაშიძე, მეფის ფლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ერისთავი, მეფის ფავორიტი ალექსი ამილახვარი, — სიმანოვიჩის ჩანაწერების მიხედვით, ნიკოლოზ მეორის სამეგობრო წრეში ქართველები საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი. თუმცა სიმანოვიჩი ზოგიერთ ამათგანს კავკასიელს უწოდებს, ზოგიერთს კი — სომეხს, უმეტესობას კი ქართველ მეგობრებად მოიხსენიებს. საყურადღებოა, რომ არცერთ რუს მოღვაწეზე არ უწერია: ჩემი მეგობარიაო; აი, ქართველებს კი ხშირად მეგობრებად იხსენიებს.

ახლა ვნახოთ, როგორ ცხოვრობდა სამეფო კარი: დედა ხმას არ სცემდა შვილს — რუსეთის იმპერიის მბრძანებელს ნიკოლოზ მეორეს. მიიჩნევდა, რომ ტახტზე ის კი არა, გიორგი (რომელიც აბასთუმანში დაიღუპა) უნდა ყოფილიყო, ცოლ-ქმარს — ნიკოლოზსა და ალექსანდრას — შორის, მუდამ უთანხმოება იყო — თვეობით არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. სამი ქალიშვილი გაუწინდათ, ტახტის მემკვიდრე — ვაჟი კი არ ჩნდებოდა. სიმანოვიჩის მიერ სამეფო კარის ყოფის აღწერა გარწმუნებთ: რომანოვთა დინასტიის აღსასრული არც მარქსისტულ მოძღვრებას დაეწინააღმდეგებია, არც მუშათა მოძრაობას, როგორც ამას ვგასწავლიდნენ — კატასტროფაზე უცაში იყო გადაწყვეტილი. უზუნაეს-მა მიიჩნია, რომ რომანოვთა დინასტიამ თავისი თავი ამოწურა.

ამას თუნდაც ერთი ძნელად დასაჯერებელი ამბავიც ადასტურებს: მეფემ დროებით უარი თქვა მეუღლის მოვალეობაზე და დედოფალს-ცოლს უფლება მისცა, აერჩია მამაკაცი, რომლისგანაც შვილებოდა ვაჟი — ტახტის მემკვიდრე გაჩენილიყო. დედოფალმა ქვრივი, საამო შესახედაობის გენერალი ორლოვი აირჩიაო, გვაუწყებს სიმანოვიჩი სასახლის კულუარებში ვაგონილს. დედოფალი დაფეხმძიმდა, მშობიარობა რთული იყო, მეფეს მოახსენეს: ან დედა უნდა გადარჩეს, ან შვილი, რას გვიბრძანებთ, რომლის სიცოცხლე შევინარჩუნოთ? მეფემ დედოფალი განიწრა, მაგრამ ექიმებმა ორივეს გადარჩენა შეძლეს. დაიბადა ალექსეი — ტახტის მემკვიდრე. რთული მშობიარობის გამო სწული — ხშირი სისხლდენა სიკვდილს უქადადა. ტახტის მემკვიდრის გაჩენამ მეფის უახლოესი სანათესაო დაამწუხრა. პატარა ალექსეიზე თავდასხმაც კი მოანყეს. ეს დეტალი ერთ ფიქრს აღძრავს: გენერალ ორლოვისა და დედოფალ ალექსანდრას სექსუალური ურთიერთობა მეფის სანათესაოს შეთხზული ხომ არ გახლავთ —

საქმე წინ ნაიგდეს: თუ ნიკოლოზ მეორეს რამ მოუვიდოდა, ალექსეის გამეფებას წინ აღუდგებოდნენ, ეგ არა რომანოვი, ორლოვი არისო, თუმცა არის კიდევ ერთი გარემოება: მეფემ ორლოვი ევგიეტეში ელჩად დანიშნა. გამგზავრების წინა საღამოს ვახშმად მიიწვია, მეორე დღეს ორლოვი გარდაიცვალა. რუსეთის ელჩმა ევგიეტემდე ვერ ჩააღწია. რა ჩაიფიქრა იმპერატორმა — გავრცელებული ხმების გამო მოუსწრაფა სიცოცხლე ორლოვს თუ მართლა მისი „შვილის“ მამას მოულო ბოლო?

მართალია, სიმანოვიჩი უარყოფს, ასეთი რამ არ ყოფილაო, მაგრამ ასეთი ფაქტის მოხსენიებაც რაღაცას ნიშნავს: რასპუტინი დედოფალთანაც წებოდა და მეფის ქალიშვილებთანაცაო. ამ ფაქტზე ეს მოსაზრება ვერ გავრცელებდა, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგიის მესვეურთ მეფის ოჯახის ამოუღეტის ცოდვა ისე არ ასვენებდათ, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ რუსეთის მოსახლეობის თვალში სახელი გაეტეხათ მეფისა და მისი ოჯახისათვის. თუმცა მეფის სანათესაოში რომ სასიკეთო ქარი არ ქროდა, ამას ზემოთ მოხმობილი რამდენიმე ფაქტიც ადასტურებს.

კვლავ რასპუტინს მივუბრუნდეთ. ა. სიმანოვიჩი წერს: „(რასპუტინი) მთელი დღე კარგ გუნებაზე იყო, საღამოს დასაძინებლად დანვა. მეორე დღეს დამავალა, ჩემი საყვარელი ადვოკატი არონსონი მომიყვანეთ. ანდერძის დაწერა გადაენწყვიტა. ამ განზრახვამ გამაოცა, მაგრამ მისი თხოვნა შევასრულე. არონსონმა მთელი საღამო ჩვენთან გაატარა. რასპუტინმა აი, ეს გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა:

„ამ წერილს ვწერ და ვტოვებ პეტერბურგში. ვგრძნობ, რომ პირველ იანვრამდე ქვეყნიერებას გავეცლები. მინდა რუს ხალხს, მამას (იგულისხმება — მეფე გ.ბ.), რუსთა დედას (იგულისხმება — დედოფალი ალექსანდრა გ.ბ.) შვილებსა და რუსულ მიწას დავუბარო, თუ რა უნდა ილონონ:

თუ მე მომკლავენ დაქირავებული მკვლელები, რუსი გლეხები — ჩემი ძმები. შენ, რუსეთის მეფეს, არაფრისა გეძინოდეს, იყავ შენს ტახტზე, იმეფე, ნურც შენი შვილების დარდი გექნება, ისინი კიდევ ასეულობით წელი იქნებიან რუსეთის მმართველები. ხოლო თუ მე მომკლავენ ბოიარები და აზნაურები, თუ ისინი დაღვრიან ჩემს სისხლს და მათი ხელი ჩემს სისხლში იქნება გასვრილი, ოცდახუთი წელი ვერ ჩამოირეცხავენ ამ სისხლს. ძმა აღსდგება ძმის წინააღმდეგ, ერთმანეთის კვლა-ხოცვას მიჰყოფენ ხელს“.

რასპუტინმა ეს წერილი 1916 წლის გვიან შემოდგომაზე დაწერა. იგი დიდებულებმა („ბოიარებმა“, „აზნაურებმა“) რამდენიმე დღეში მოკლეს. ის, რაც რუსეთში, საბჭოთა კავშირში შემდგომი ოცდახუთი წლის განმავლობაში ხდებოდა, საყოველთაოდ ცნობილი. არა კლასთა ბრძოლის დაგვირგვინება, არამედ ღვთიური განაჩენი — ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთის ცოდვებისათვის თავსდატეხილი ზეციური სასჯელი გახლდათ.

საბჭოთა კავშირის სისხლიანი გზა რასპუტინს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ხელისგულზე ედო. ის, რაც 1941 წლის მერე მოხდა, უმეტესწილად, არა საბჭოთა სისტემის, ფაშისტების განსჯა-დასჯა იყო.

## კანის მოღვა

დღეს შემოქმედებით კავშირებს რამ აძაგებენ, ვგონებ, ერთი გარემოება რჩებათ მხედველობიდან: მთავარი ასოციაციები, გავრთიანებები, ტრესტები თუ კავშირები კი არ არის, მთავარია, თუ როგორია იმ ადამიანთა განათლება, კოლეგებთან ურთიერთობის კულტურა, ზნეობრიობა, რომლებიც ამ ასოციაციებში, კავშირებში არიან გაერთიანებულნი.

ვერაფრით ვირწმუნებ, რომ 1917 წელს დამოუკიდებლობის გზაზე შემდგომ საქართველოში ერის მომავალზე მოფიქრალ კ. გამსახურდიას, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, კ. მაყაშვილს, შ. დადიანს, გრ. რობაქიძეს, პ. ინგოროყვას, გ. ქიქოძეს, ლ. ქი-

აჩელს ენადათ რეპრესიებისაკენ მიმართული მანქანის — მწერალთა კავშირის შექმნა. ამ ნავსაყუდელში ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში თავს იყრიდნენ ქართველი ხალხის სულიერი რაობის გამომხატველი ღირსეული კაცები — ქართველთა ძვირფასი სული. მწერალთა ამ გაერთიანებაში მოდიოდნენ, მკვიდრდებოდნენ და ამათ შორის იყვნენ როგორც გონიერებით, სიღარბისლით, ცოდნით დაყურსულნი, სამშობლოს მოყვარულნი, ისე ნაკლებ მცოდნენი, სხვათა ძლევის, საკუთარი მეს პრიმატივით ალტკინებულნი, ამათ სხვა რაღა დარჩენოდათ: ცდილობდნენ არა შემოქმედებითად, ნაწარმოებებით, არამედ ხელისუფლების იდეოლოგიით ეჯობნათ მეგობრისათვის, კოლეგისათვის — დამტკიცებინათ თავიანთი უპირატესობა, ძალმოსილება. ოდითგან ხომ ასე ყოფილა — მწირი განათლების, შინაგანი კულტურისაგან დაცლილი ადამიანები სწორედ ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ საზოგადოებაზე ზეგავლენას. რევოლუციას, კლასთა ბრძოლას კი უმეტესწილად, ასეთი ფენა მოჰყვებოდა.

ამიტომ, ჩვენ უნდა ვსაუბრობდეთ არა შემოქმედებით გაერთიანებათა, იქნება ეს ასოციაციები თუ კავშირები, უვარგისობაზე, არამედ იმ ადამიანთა ზნეობრიობასა და შინაგან კულტურაზე, რომლებიც ამ ტაძარში მოკალათდნენ და მისი შექმნიდან სულ რაღაც 10-15 წელიწადში შემოქმედთა გაერთიანების წმინდათაწმინდა მიზანი ყამთა სიავისათვის დამახასიათებელი შურის, ადამიანთა დამორჩილების, კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში გაახვიეს — უამისოდ ხომ მათი არსებობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ ექცეოდა, უამისოდ ისინი არარანი იყვნენ.

პაოლო იაშვილიმა რომ სწორედ მწერალთა ტაძარში დაიხალა ტყვიამ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერალთა კავშირის ღირსებასა და ავტორიტეტს — პოეტს ენადა ამ საზარელი აქტისათვის მეტი რეზონანსი მიეცა. სიტუაციის ანალიზის საუკეთესო საშუალებას იძლევა ს.კლდიაშვილის მიერ აღწერილი თვითმკვლელობის საღამო: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტის თვითმკვლელობისთანავე პლუხანოვის პროსპექტზე — ფილარმონიაში გარბის — იქ ლ. ბერია კონცერტს ესწრება. თავმჯდომარე ცეკ-ას პირველ მდივანს მოახსენებს ასეთი ამბავი მოხდაო. ი. ნაცვლად იმისა, რომ განსვენებულის გაპატიონებაზე ეფიქრა, იმასთან გარბის, ვინც პაოლო იაშვილს ჩახმაზზე თითი გამოაკვრევინა. ეს ვიზიტი ხომ ფაქტობრივად დავალების მიღების სურვილს ნიშნავს: აი, ასეთი ამბავი მოხდა, როგორ მოვიქცეთ, როგორ დავასაფლაოთ — როგორც გამოჩენილი პოეტი, თუ არც არაფერი მომხდარა? ლ. ბერია ათგზის ჭკვიანი იყო: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე უმალ დაამშვიდა: მერე რა მოხდა, თავის მოკვლა ენადა და მოიკლაო. დირექტივა მიღებულია. მიცვალებულის ბედიც გასაგებია.

გალაკტიონი მწერალთა კავშირს კი არ ჰყავდა იგნორირებული, მწერალთა გაერთიანება კი არ სდევნიდა, ადამიანები — ის მწერლები, რომლებიც ცდილობდნენ სხვათა ნიჭის მიჩქმალვით, თავიანთი თავი, შემოქმედება წარმოეჩინათ.

სხვათა იავარქმნით, ჩანისხვით, შურის ზეობით განდიდებისაკენ სწრაფვა არ ახალია. სამწუხაროდ, იყო, არის და იქნება. განა ასეთი რამ გალაკტიონის შემდეგ აღარ არის? გალაკტიონები ჯერჯერობით არ შობილან, თორემ ჩანისხვის მეთოდები, გზები კვლავაც არსებობს. განა სხვათა ძლევის საკუთარი მეს წარმოჩენის ნადილით შეპყრობილი ადამიანები სხვათა როლის, ადგილის იავარქმნით დღეს არ ცდილობენ „ჩემი სჯობსო“ დამტკიცებას?

გახსოვთ, ალბათ, უზენაესი კაენს ეკითხება: სად არისო შენი ძმა — აბელი. ძმის მკვლეელი კი პასუხობს: მე რა ვიცი, განა დარაჯი ვარ ჩემი ძმისაო.

მას შემდეგ კაცობრიობას ბევრი რამ გარდახდა თავს. ბევრი რამ ისწავლა, ბევრ რამეს მიაღწია, მაგრამ კაენის სული მაინც მისი თანამდევია. თუმცა აქ საოხია ერთი დეტალი: დაბადება განაცალკევებს კაენსა და ადამის მოდგმას. „ადამმა შეიცნო ევა — თავისი ცოლი, დაორსულდა ევა და შვა კაენი და თქვა: კაცი შევი-

ძინე უფლისაგან“. ამას მოსდევს კაენისა და აბელის ურთიერთობის პასაჟები. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება საუბარი ადამის მოდგმაზე; ჩნდებიან ხანოხი და სხვა შვილები. ე.ი. უზენაესმა ჯერ გააჩინა ცოდვის სანყისი — თეზა და ანტითეზა, მერე ადამიანთა შვილები. ამით ის ხომ არ მიგვანიშნა, რომ მანვე განაცალკევა ცოდვა და კაცთა მოდგმა. კაენის სახით კაცთა მოდგმა გააფრთხილა: „თუ არ იქმ კეთილს, კართან დევს ცოდვა“.

დიახ, ცოდვა აგერ არის, ცხვირწინ. რას გვასწავლის ყველაფერი ეს? ცოდვა ცხვირწინაა, მაგრამ დროის იმ მონაკვეთში იმავე მწერალთა კავშირში რამდენი მწერალი იყო, უზნეობას გვერდი რომ აუარა. იცხოვრა პატრიოსანი კაცის ცხოვრებით. ესენი არა კაენის, კაცთა მოდგმის შვილები იყვნენ.

### ნაადრევი კოკორი ჭინკა

კამერული მუსიკის კონცერტი სადაცაა დაიწყება. დარბაზში ხალხი ირევა. ზოგი თავის ადგილს დაეძებს, ზოგი ნაცნობს ესალმება, ებასება. დარბაზში შემოდის რაბინი. ვიცნობ. ეს ახალგაზრდა კაცი საქართველოს მთავარი რაბინია — ისრაელში დაბადებული, გაზრდილი ქართველი ებრაელი, ახლა კი ჩვენთან მოვლინებული — საქართველოში ჩამოვიდა, რათა თავის მოძმეებს რელიგიურ მისწრაფებათა აღსრულებაში მიეშველოს.

დარბაზში შემოსულმა მთავარმა რაბინმა ვილაც დაინახა და გახარებული, ხელეგაშლილი მისკენ გაემართა. ესეც ვიცანი — საქართველოს საპატრიარქოდანაა. ტელეეკრანზე ხშირად მინახავს.

რაბინი და საპატრიარქოს წამომადგენელი ერთმანეთს ეხვევიან. მერე ბაასობენ. არ ვიცი, რაზე საუბრობს ორი რელიგიის წარმომადგენელი, მე შორს ვდგავარ. არ მესმის. ამ სურათის შემყურეს იმედი მეუფლება. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს — ნორმალურად.

ნორმალურად? აი, სულ რაღაც ოთხი დღის შემდეგ თბილისის ცენტრალურ მოედანზე საქართველოს პრეზიდენტი ხანუქის სანთელს რომ ანთებდა, რამდენიმე ადამიანმა — მათ შორის რელიგიური პირები, სამღვდელოების წარმომადგენლებიც იყვნენ — ერთი ხმაური ატეხა:

- ნუ ანთებ!
- ეს არაქრისტიანულია!
- რატომ აკეთებ ამას!

შეძახილები, ხმაური არ წყდება. მე კი ვდგავარ და ვფიქრობ: ესენი ხომ რელიგიური პირები — ქრისტიანები არიან, მათ ხომ კარგად უნდა იცოდნენ: ის, ვის მიმდევრებადაც თავს მიიჩნევენ და რომლის რწმენასაც მსახურებენ, მას შემდეგ, რაც 13 წელი შეუსრულდა, ისევე ანთებდა ხანუქის სანთელს, როგორც ახლა საქართველოს პრეზიდენტი ანთებს?

ებრაული ტრადიციის მიხედვით, 13 წლის ვაჟი ჯამაათის წევრად მიიჩნევა და ისიც სიცოცხლის ბოლო დღემდე მაკაბელთა გამარჯვების — დამპყრობლის განდევნის, მოძალადის დამარცხების, მრავალ მოძალადეზე მცირერიცხოვანი პატრიოტების გამარჯვების — სასწაულის განსაზღვრად ანთებდა სანთელს.

თუ მართლა მის რწმენას მისდევ, ეს როგორ არ უნდა იცოდეს! ეს ერთი, ახლა კი მეორე და ვგონებ, მთავარი: ებრაელობას რაში სჭირდება ხანუქის სანთლის ცენტრალურ მოედანზე ანთება? საუკუნეებია ქართველი ებრაელობა ამ სანთელს ბენით ქნესეთში (სახლი შეკრებისა, სინაგოგა), თავთავიანთ ოჯახებში ანთებს და აკურთხებს სასწაულს, მრავალრიცხოვან დამპყრობელზე რიცხვმცირე აჯანყებულთა გამარჯვებას. სად წერია, ვინ გვთხოვა, ხანუქის სანთელი თეთრი სახლის წინ, კრემლთან, თბილისში კი თავისუფლების მოედანზე აანთეთო?

დღევანდელი დემოკრატიზაციის აღმართზე შემდგარი ეპოქის თანამდევნი პროცესია: სახელმწიფოები, რომლებიც ელტივან დემოკრატიული ხელისუფლების სახელი დაიგდონ, ამ გზითაც ადასტურებენ თავთავიანთ დემოკრატიულობას, ტოლერანტობას — ყოველი კონფესიის მატარებელ ადამიანებს შეუძლიათ გამოხატონ თავთავიანთი სულისკვეთება. ასეა ნიუ-იორკში, მოსკოვში, ათენში, ლონდონსა თუ სოფიაში.

ასე მიიჩნის თბილისშიც. როგორც ჩანს, თბილისში ამ საზეიმო ღონისძიების ინიციატორებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი გარემოება: კი, საქართველო მიდის დემოკრატიზაციის გზით, მაგრამ ამ გზას ახლახან შევედექით, სრულყოფილ დემოკრატიამდე ჯერ კიდევ შორსაა, თუკი პარიზსა თუ ნიუ-იორკში, რომსა თუ ათენში, ცენტრალურ მოედანზე ხანუქის სანთლის ანთება ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ჩანს, თბილისს კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

ადრე იყო, იჩქარეს! ასე მგონია, ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა ისევე იჩქარეს, როგორც თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილმა. მათ პრესას, ტელევიზიას — პროპაგანდას უფრო დაუჯერეს, ვიდრე ყოფას.

დაივიწყეს, რომ ნაადრევად გამოსული კოკორი ჭკნება.

### პიროვნება

დედამინის მოსახლეობა მილიარდობით განიზომება — დაახლოებით ოთხი მილიარდით, ამბობენ, ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლებით, დასძენია. ეს ცოტა მეტი ასე 60-80 მილიონია, ცოტა ნაკლებიც — ამდენივე. ასე რომ, იბადებიან ადამიანები, ცხოვრების ჭაპანს ეზიდებიან, მრავლდებიან, სანაქებო ან საძრახის საქმეს აკეთებენ.

ბრუნავს წუთისოფელი.

ამ ოთხი მილიარდი ადამიანიდან რამდენია პიროვნება? დედამინის ამოდენა მოსახლეობა ხომ პრანა-პრუნა ადამიანების ამარა არ იქნება — ამათ შორის პიროვნებებიც არიან.

პიროვნება განსაკუთრებული მოვლენაა — ადამიანი, რომელსაც გააჩნია თავისი მონაწილეობა, ცხოვრობს ამ მონაწილეობით — ზნეობრივი, პირუთვნელი — სიმართლის დაურიდელად, მაგრამ გონივრულად მოქმედი, სინდისის წინაშე რომ არ შესცოდავს. ცხადია, ასეთი ბევრი არ იქნება.

ის საღამო იმით გახლდათ გამორჩეული, რომ ამ ჩვენს ჭრელა-ჭრულა ყოველდღიურობაში ადამიანთა საკრებულოს პიროვნება წარუდგა:

...ქართული თეატრის აღდგენის დღე — 14 იანვარი — ბათუმში აღინიშნებოდა. საღამო ჩინებულად ჩატარდა — იყო კარგი გამოსვლები, სცენები სპექტაკლებიდან, გულთბილი მისალმებები, ტრადიციისამებრ დიდი ბანკეტი სასტუმრო „ინტურისტში“ გაიმართა. ბათუმში ბევრი ჩინებული ნაგებობა აშენდა, მაშინ კი, გასული საუკუნის 90-იან წლებში, „ინტურისტის“ ბათუმის სავიზიტო ბარათი — ჩამოსულ საპატიო სტუმართა მოსასვენებელი და დროის სათრეველა ადგილი გახლდათ — მაღალი დონის სტუმართათვის სადღესასწაულო სუფრები „ინტურისტის“ რესტორანში იშლებოდა.

და აი, 1995 წლის 14 იანვარს „ინტურისტში“ ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად გამართული სუფრა.

ვერ ვიტყვი, რომ დარბაზში დიდი სადღესასწაულო განწყობა სუფევდა. ადამიანები — სტუმრებიცა და მასპინძლებიც — თავთავიანთ მოვალეობას უფრო ასრულებდნენ, ვიდრე ქეიფობდნენ. მასპინძელს ბათუმში წვეული ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა მიმართ ყურადღება უნდა გამოეჩინა, სტუმრებს კი მასპინძელთა ყურადღება დაეფასებინათ, თორემ არც არავის ექეიფებოდა — აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია კვლავ სახე-პირში გვცემდა — საქართველოს სხეული გახლიჩეს, რამდენი კერა ჩაინაცრა, რამდენმა ვაჟკაცმა — მომავალმა ექიმმა, პედაგოგმა, მსახიობმა, მეცნიერმა — დალია

სული. ასე რომ, დღესასწაული იყო, მაგრამ არც იყო. ადამიანები ცდილობდნენ მხნედ დაეჭირათ თავი. ზოგს გამოსდიოდა, ზოგს — არა. სავესებით გასაგებია იმათი განწყობა, ვინც მხნეობის შენარჩუნებას ესწრაფოდა: ქართული თეატრის დღე, მაინც ჩინებული დღესასწაულია. ქართულ მწერლობასთან ერთად, მის მხარდამხარ, სწორედ თეატრი ედგა ბალავრად ქართული სულიერების შენარჩუნება-გაძლიერებას. ეს პროცესი ისეთი მძიმე წნეხის ქვეშ მიმდინარეობდა, რომ არა ქართული მწერლობა, მის გვერდით ქართული თეატრის ბრძოლა, დღეს ქართული კულტურა, ალბათ, არ იქნებოდა ესოდენ ძალმოსილი. ამის მტკიცე რწმენა აძლევდათ ძალას იმ ადამიანებს, ვისაც, მიუხედავად შეჭირვებისა, მხნედ ეჭირა თავი.

სუფრას აჭარის ლიდერი — ბ-ნი ასლან აბაშიძე უძღვებოდა. დიდი ალტკინება არც მას ეტყობოდა. იმ კუთხეში, სადაც იგი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა, ქართული სიტყვიერების, დიდი სცენური ბიოგრაფიის არაერთი მოღვაწე ჩასულიყო და მას, როგორც თავკაცს, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა.

კოტე მახარაძემ, საყოველთაოდ მიღებულ წესს, თამაღის სადღერძელოს პურობის დასასრულს რომ სვამენ, გვერდის უქცია და ასლან აბაშიძის სადღერძელო წარმოსთქვა. ბ-ნი კოტე გზნებით ლაპარაკობდა. ჰქონდა კიდევ სალაპარაკო: ასლან აბაშიძე თეატრისადმი, საერთოდ, კულტურისადმი, დიდი ყურადღებით ხასიათდებოდა. აჭარაში მისი ზეობის წლებში გაიხსნა უნივერსიტეტი, აქ სათეატრო ხელოვნებას ასწავლიდნენ ქართული თეატრის გამოჩენილი ოსტატები, დრამატული თეატრი კი მოექცა ჩრდილში, მაგრამ გაიხსნა საოპერო თეატრი. საოპერო სპექტაკლების პრემიერებზე თბილისიდან უამრავი ადამიანი მიემგზავრებოდა ბათუმში. ასლან აბაშიძის კულტურისადმი კეთილგანწყობა ჩვენც ვინვინეთ — დრამატურგთა სემინარის მონაწილეებმა: როცა სემინარის ერთ-ერთი წევრი, თეატრმცოდნე ვაჟა ბრეგაძე ქობულეთში სემინარის მსვლელობისას მძიმედ დაავადდა, დიდი მზრუნველობა და ყურადღება გამოავლინა. ხელოვანი ცხოვრებისეული პრობლემების განწყვეტაში ეშველებოდა. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ ლაპარაკობდნენ, ქართული კულტურის ცენტრი ბათუმში ინაცვლებსო. თუმცა, ხელოვანთა დამოკიდებულება ამ პროცესისა, თუ პირადად ასლან აბაშიძისადმი ერთგვაროვანი არ იყო. ამას ის გარემოებაც ემატებოდა, რომ იმ წლებში ბათუმში თავს იყრიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამნაშავეებად შერაცხული ადამიანები. ის პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ადრე ზვიად გამსახურდიას გვერდით იდგნენ, ბათუმს აფარებდნენ თავს. ხალხი ამათ ზვიადისტებს ეძახდა. ამბობდნენ კიდევ, ასლან აბაშიძე „ზვიადისტებს“ მფარველობსო. ამიტომ 90-იანი წლების დამდეგის ბათუმში, მსგავსად 1918-19 წლების ოდესისა და კიევისა, მერე კი სტამბოლისა, ცენტრალური ხელისუფლების (იმ შემთხვევაში — ბოლშევიკთაგან) დევნილთა თავშესაფრად იქცა.

კოტე მახარაძეს ამ ბოლო გარემოებაზე, ცხადია ყურადღება არ გაუმახვილებია — ასლან აბაშიძე ადღერძელოდა, როგორც გონიერი, წინდახედული წინამძღოლი ამ კუთხისა. ხაზი გაუსვა მის საქველმოქმედო მოღვაწეობას, თეატრისადმი გამოჩენილ ყურადღებას და ა.შ.

სუფრა ჩვეულებისამებრ გაგრძელდა.

30-40 წუთის შემდეგ სუფრის იქეთა მხრიდან — გასასვლელისაკენ ჩოჩქოლი ატყდა. ვიღაც ყვიროდა, გურამ ფანჯიკიძის და ოთარ მელვინეთუხუცესის ხმა ვიცანი. გავიხედე, აღშფოთებას ვერ ფარავდნენ. უაღრესად ალგზნებულნი იყვნენ. ვერაფრით მივხვდით, თუ რამ აღაშფოთა ასე ეს ორი ღირსეული ადამიანი, სხვებიც, ისინი, ვინც იმ მხარეს ისხდნენ. მერე გაირკვა: თურმე დარბაზში შემოსულა „ზვიადისტი“ რეჟისორი, ლალი (ვარლამ) ნიკოლაძე. ლალი ნიკოლაძე ბევრი ჩვენგანის მეგობარი გახლდათ, ჩინებული ხელოვანი, ერთობ კონტაქტური ადამიანი (აქვე გაიამბობთ ერთ საღალბო ამბავს: ლალის ცოლების ხშირი ცვლა სჩვეოდა. ერთხელ გიგა ლორთქიფანიძის კაბინეტ-

ში მომხიბვლელ ქალთან ერთად შემოვიდა, ბ-ნ გიგას ქალი გა-  
 აცნო. „იცნობდეთ, ბატონო გიგა, ჩემი მეუღლეა“. „ახალი?“  
 იკითხა ბ-მა გიგამ „დიახ, ახალი“ უპასუხა ლალიმ. ბ-ნმა გიგამ  
 უცებ მიუგო: „ბიჭო, ხომ ხედავ, რა გლახა დროა (ჯერ კიდევ  
 საბჭოთა ხელისუფლება იყო), ეს ჩემს სახელზე გააფორმე, თო-  
 რემ „ობხეხეში“ დაგიძახებენ“. იგი ზვიად გამსახურდიას მომ-  
 ხრეთა შორის იყო. რატომ გახდა ასე აღმამფოთებელი ლალის  
 გამოჩენა კულტურის მოღვაწეთა შორის? როგორც იმავე ლა-  
 მეს ითქვა და შემდეგაც ამბობდნენ, ზვიად გამსახურდიას გა-  
 რემოცვაში სწორედ ლალი ნიკოლაძე ადგენდა კულტურის იმ  
 მოღვაწეთა სიას, რომელიც ხელისუფლებას უნდა დაეპატიმ-  
 რებინა და დაესაჯა, როგორც სამშობლოს მოღალატენიო. მე  
 ასეთი სია არ მინახავს, მაგრამ მისი არსებობის თაობაზე დაბე-  
 ჯითებით საუბრობდნენ. ზოგი ხელოვანი იმალებოდა კიდევც,  
 რათა ხელში არ ჩავარდნოდა სამართალდამცავ ორგანოებს.

ამ დარბაზში ბევრი იყო იმათგან, ვისი სახელი და გვარიც  
 ამ სიაში ყოფილა შეტანილი.

ასეთი დახვედრის გამო, ლალის დარბაზი უმალ დაუტოვე-  
 ბია. ბევრს არც დაუნახავს. არც მე მომიკრავს თვალი.

მაღე დარბაზი დამშვიდდა. სუფრა ურთიერთპატივისცე-  
 მისა და სიყვარულიანობით გაგრძელდა.

მაგრამ...

ადგილიდან ჭიქით ხელში წამოდგა და თამადისაკენ გაე-  
 მართა სოფიკო ჭიაურელი, ქალი, რომლის მეუღლემაც სულ  
 რალაც ერთი საათის წინათ ასერიგ შეამკო აჭარის ლიდერი.

მოდის სოფიკო — თავისუფალი ადამიანი, შვილი გამოჩე-  
 ნილ ხელოვანთა, დიდი ოჯახისა. მის ოჯახს, თავად მას, დიდი  
 წვლილი შეუტანია ქართულ კულტურაში.

ფეხზე წამოდგა თამადა — ასლან აბაშიძე, ამ კუთხის ლიდე-  
 რი, ასევე დიდებული ოჯახის შთამომავალი — მის წინაპრებს  
 დიდი წვლილი შეუტანიათ საქართველოს ისტორიაში. თავად  
 კი, როგორც ვითხარით, ამ კუთხის მბრძანებელია, აქ ყველაფე-  
 რი მის ნებას ემორჩილება, მაგრამ მაინც ფუნქციონერია. წარ-  
 მავალის სამსახურში დგას — დღეს შენ ხარ, ხვალ სხვა იქნება.  
 შემოქმედი კი... შემოქმედს ცალი ფეხი მარადისობაში უდგას.

ასე რომ... შემოქმედი და დიდი სახელმწიფო მოხელე. და  
 სოფიკო ამბობს:

— ჩვენ „სკამაროებს“, ბერიკებს გვეძახიან, ჩვენი ცხოვრე-  
 ბა თამაშია და ვთამაშობთ კიდევც, მაგრამ ვიცით, რა, სად, რო-  
 გორ ვითამაშობთ. ამის გამო არც სხვათა თამაში გამოგვეპარე-  
 ბა. თუ ახლახან აქ გათამაშებული სცენა, როცა ის ყმანელი  
 დარბაზში შემოვიდა, თქვენი დადგმულია, ეს ძალიან ცუდია, ეს  
 ცუდი თამაშია. ჩვენ ამგვარ ურთიერთობას არ ვღებულობთ.

სოფიკო ლაპარაკობდა მტკიცედ, ისე როგორც მას სჩვეოდა.

ლაპარაკობდა თავისუფალი ადამიანი — პიროვნება, რო-  
 მელიც არ ხურდავდება, არა მხოლოდ ცხოვრება იცის, თავი-  
 სი პრინციპები გააჩნია და მისთვის ბრძოლის ძალაც შესწევს.

მეორე თავისუფალი ადამიანი — ბატონი ასლანი? არა  
 ვგონებ, ეს მონოლოგი გულს ეფონებოდა, მაგრამ გონიერი  
 კაცია და უხმოდ მოუსმინა მსახიობს.

აი, კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ სოფიკო ჭიაურელი ყო-  
 ველთვის, ყოველ სიტუაციაში პიროვნებად რჩებოდა: ოთარ  
 მეღვინეთუხუცესს ერთობ რთულ პერიოდში — 90-იან წლებში  
 — მოუწია მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობა. საქარ-  
 თველოს ისტორიის ამ კომპარულზე ხანაში თეატრში დაინგარ რე-  
 ფორმა. რეფორმა კი არავის უყვარს, არავის უნდა, იმათ გარდა,  
 ვინც მომავალს ხედავს და ცვლილებას აუცილებლად მიიჩნევს.  
 რეფორმა ყველგან და ყოველთვის რთულია, თეატრში კი ასე-  
 ზის რთული — უნდა დაითხოვო ადამიანები, რომლებსთვისაც  
 თეატრი არა სამსახური, არამედ ოჯახი, ღირსება, საზოგადოე-  
 ბაში დამკვიდრების ასპარეზია. ისინი ამ ოჯახის ინტერესებით  
 არსებობდნენ. და ერთ მშვენიერ დღეს ოჯახიდან აძევებენ.

იშვიათია შემთხვევა, თეატრიდან გაძევებულ ადამიანს  
 სხვა სფეროში რაიმე ღირსეული შეექმნას.

რეფორმის წამოწყებამ თეატრში სიტუაცია დაძაბა. შეიქ-  
 მნა დაჯგუფებანი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსახიობე-  
 ბი. სოფიკო ჭიაურელი და თეატრის ხელმძღვანელი დაპირის-  
 პირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ.

ერთია დაპირისპირება ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები-  
 სა, და სულ სხვა იმათი, ვისაც ყოველდღე სხვადასხვა ადამიან-  
 ნის თამაში, ტყავში შეძრომა უნევს. ამ შემთხვევაში ნალდი თუ  
 გათამაშებული ვნებები ზოგჯერ ზღვარსაც კი გადადის. სოფი-  
 კო და ოთარი სხვადასხვაგვარად აფასებდნენ თეატრში შექმ-  
 ნილ სიტუაციას, ეს კი დაპირისპირების საფუძველი ხდებოდა.

და აი, თემურ ჩხეიძე დგამს ჟან ანუის „ანტიგონეს“. დიდე-  
 ბული სპექტაკლი გახლდათ. „ანტიგონე“ კიდევ ერთხელ  
 ადასტურებდა: დღევანდელი ქართული თეატრი ჩინებული  
 ტრადიციების გამგრძელებელია. აქ იღვწიან დიდი მსახიობე-  
 ბი და რეჟისორები. სპექტაკლის გვირგვინი ოთარ მეღვინე-  
 თუხუცესის კრეონი იყო.

და აი, ოთართან დაპირისპირებული სოფიკო პირველი  
 ლაპარაკობს, პირველი აუნყებს საქართველოს რომ ოთარ  
 მეღვინეთუხუცესმა შექმნა დიდებული სცენური სახე, იმასაც  
 დასძენს, რომ ოთარი დიდი მსახიობია.

არაფერს არ დაერიდა — არც ახლობელთა, არც თანამე-  
 რძოლთა განანწყინებას. ის თქვა, რაც ირწმუნა, იმიტომ, რომ  
 პიროვნება იყო.

**ოთარის ხითხითი, გურანდას კისკისი**

ეს უკვე წარსულია, რომელიც მარად დარჩება ჩვენთან,  
 მარჯანიშვილის თეატრის მაყურებელთა დარბაზში შესვლი-  
 სას, შეუძლებელია ის ხითხითი, ის კისკისი ყურში არ ჩამეხმას.

მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლის ცქერისას მეხსიე-  
 რებაში ცოცხლდება ასეთი სურათი: სპექტაკლის დაწყებამდე  
 ორი-სამი წუთით ადრე დარბაზში შემოდიან გურანდა გაბუნია  
 და ოთარ მეღვინეთუხუცესი. ყოველთვის გასასვლელი რიგის  
 მარჯვენა მხარეს სხდებოდნენ და მე, რომელ რიგშიც უნდა  
 ვმჯდარიყავი — მათ მეზობლად, წინ, თუ უკან — მუდამ ჩამეს-  
 მოდა გურანდას კისკისი და ოთარის თავშეკავებული ხითხითი.

ეს ორი მსახიობი დიდებული მაყურებელი იყო — ისეთი,  
 როგორც უნდა იყოს ყოველი ნიჭით სავსე ადამიანი. ამათზე  
 არა-რა ზეგავლენას არ ახდენდა ის, თუ როგორი ურთიერთო-  
 ბა ჰქონდათ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან, ან ამ სცე-  
 ნაში მონაწილე მსახიობებთან — იცნობდნენ თუ არა, უყვარ-  
 დათ, თუ დაპირისპირებულ მხარედ მიიჩნევდნენ, ისინი შესც-  
 ქეოდნენ სცენას, მთავარი იყო ის, თუ რა და როგორ ხდებო-  
 და სცენაზე და ამ დაგუფული, თავშეკავებული ხითხითით ან  
 კისკისით გამოხატავდნენ ნაღდ, უშუალო დამოკიდებულებას  
 იმის მიმართ, რაც სცენაზე ხდებოდა.

ამ დროს ოთარი არ იყო არც უაღრესად ნატიფი უჯუშ ემხა  
 და არც სახელმწიფოს პრობლემებს კარიატიდად შემდგარი  
 კრეონი, არც მრისხანე ოიდიპოსი და არც გარემომცველთაგან  
 მოტყუებული, მართალი ოტელო. ამ დროს იგი იყო ადამიანი,  
 რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს სცენასთან. არც  
 ემოციის დამუხრუჭებას ცდილობს და არც იმის დაფარვას, მა-  
 ვანმა მსახიობმა ეპიზოდი ჩინებულად რომ გაითამაშა.

ყოველთვის არ იყო ასე — ყოველთვის როდი ხითხითებდა  
 ოთარი, ყოველთვის როდი კისკისებდა გურანდა — კარგი  
 სცენები, კარგად შესრულებული როლები განა ყოველდღიუ-  
 რობა გახლავთ.

დღეს?

გულსაკლავ სურათს შევყურებ: დადუმებული, უხმაურო  
 გურანდა — თითქოს აბრიალებული კოცონი ჩააქრეს და ახლა  
 ატმის ხის ნახშირადქცეულ ტოტებს ვხედავ. ერთ დროს მშვე-  
 ნიერ, დღეს კი ქარისა თუ წვიმის, ხორბლის, დროჟამისაგან  
 პირველქმნილ სილამაზენართმეულ ფრესკას შევყურებ.

დადუმებული ფრესკა!  
 და თავს მახსენებს ათასგზის წაკითხული, ხალხში გაგონილი: ვაჟკაცს გლოვა უხდება. დააკვირდით და უთუოდ ამოიკითხავთ, როგორ ამშვენებს ოთარს გურანდას დღევანდელი იერსახე, ამიტომ როცა გურანდას ვხვდები, მნადია, მივუახლოვდე და ვუთხრა: „აფერუმ!“ აფერუმ!“  
 მე კი ყურში კვლავ ჩამესმის ნოდარ გურაბანიძის მიერ ოთარ მეღვინეთუხუცესის გასვენებისას ნათქვამი:  
 — ბელგრადში „ბიტეფის“ ფესტივალზე უამრავი სპექტაკლი ვნახეთ. ფესტივალის დამთავრების შემდეგ რამაზ ჩხიკვაძე მეუბნება: „აი, ვნახეთ ევროპელთა მიერ ნათამაშევი ტრაგედია. ფრანგები, ინგლისელები, ფინელები შესანიშნავი სპექტაკლებით გამოვიდნენ ფესტივალზე, მაგრამ ვერცერთი ქვეყნის სპექტაკლში ვერ ვიხილეთ ოთარ მეღვინეთუხუცესის ბადალი მსახიობი — მისი ნიჭის, ხმის სიძლიერის, გინდა, აღნაგობის მსახიობი. ამას ამბობდა ერთი ბრწყინვალე, დიდების ზენიტში მოქ-

ცეული მსახიობი — რამაზ ჩხიკვაძე, სხვა დიდებულ მსახიობზე — ოთარ მეღვინეთუხუცესზე.  
 ვაგლახ, რომ ყველაფერი ეს წარსულია და დღეს რამაზიც, გიგაც, ოთარიც დიდუბის პანთეონის ერთ კუთხეში მოქცეულან. დიდხანს, ძალიან დიდხანს დამაკლდება ჩვენი თეატრალური ცხოვრების ერთი, იქნებ მცირე, მაგრამ მაინც შემადგენელი ნაწილი — გურანდას კისკისი და ოთარის ხითხითი.  
**P.S.** ოთარი რომ გარდაიცვალა, გოგი ქავთარაძე ბევრს ფიქრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ოთარის დაკრძალვა. მეორე დღეს გაგვიმხილა.  
 ოთარი მარჯანიშვილის თეატრიდან გაასვენეს, მის ნეშტს დიდუბის პანთეონისკენ შავი ულაყი გაუძღვა — დათა თუთაშხიას ცხენი. ალვირი ოთარის როლის შემსრულებელ ჩოხოსან ყმანვილს ეჭირა ხელში.  
 ოთარს იმქვეყნიურ სამართალში სიმართლის მაძიებელი თუთაშხია მიუძღოდა.

## ცოტა რამ ფარული მაღლის შესახებ და კიდევ პირიმზესა და იაზე

გენომ გამომიქვეყნა პირველი ლექსი. არ მენახა. არ ვიცნობდი. არ მიმიტანია. საიდან? როგორ? არ ვიცი.  
 არის ისეთი ნიუანსობრივი სიტუაციები ჩვენს ცხოვრებაში, რაც ახსნასა და განმარტებას არ საჭიროებენ. ეს რაღაც უცნობი სიკეთის ნათესავია. კარგი ქენი, ქვას დადევნი, გაივლი და წინ დაგხვდება. წინ როგორ დაგხვდება, თუკი ის ადგილი გაიარე და უკან მოიტოვე. პარადოქსია თითქოს. მაგრამ არაა პარადოქსი. იმიტომ, რომ სწორედ ფარულად გაკეთებული სიკეთე არის ნამდვილი სიკეთე. უანგარო. დაუყვედრებელი. და კიდევ ეს მინდა აქ ვთქვა: გენომ გაზეთის ის ნომერი, სადაც მან ჩემი პირველი ლექსი გამოაქვეყნა, თვითონ კი არ გამომიგზავნა, არამედ გაზეთი გადმომცა უანრი ლოლაშვილმა. საიდან სადაო, წმინდაო საბაო. ესე იგი, გენომ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა, რამაც, კერძოდ, ჩემზე როგორ იმოქმედა, ეს რომ აღვწერო, კარგა მოზრდილი ნაწერი გამოვა.  
 მერე ის იყო, პოეტი გავიცანი. ვილაცამ გაგვაცნო ერთმანეთი. გენო ხშირად ჩამოდიოდა მშობლიურ ქალაქში და, ერთხელაც, სრულიად შემთხვევით, უკვე ერთმანეთს რომ ვიცნობდით, ზუგდიდში, დადიანის ბაღის კიდეზე შეხვდით ერთმანეთს. მოკლულზე გადავიდეთო, მითხრა და, შეეყუყუეთ ბაღის ხეივანს, ჭადრების ხეივანს...  
 რა წაკითხეო ამ ბოლო ხანებში, გენომ.  
 მოვითავეთ ქართული სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები, ცნობილი გვარ-სახელები.  
 ნიკოლაი რუბცოვის და გლებ გორბოვსკის ლექსები თუ გაქვსო წაკითხული, გენომ.  
 არა-მეთქი, მე.  
 არაჩვეულებრივი პოეტები არიანო, გენომ.  
 ხანმა გაიარა.  
 გენომ, შეიძლება ითქვას, იწინდანი რუსი პოეტების მომავალი. დღეს ორივე დიდად სახელმწიფოებრივ პოეტად ითვლება.  
 სიტყვამ მოიტანა და უნდა გკითხო (მეგრეღმა რომ თავი არ მოიწონოს, ხომ არ იქნება), შენ თუ გაგიმართლა იმ ახალბედა ავტორმა, პირველი ლექსი რომ გამოუქვეყნე, ჩემო გენო? მაგრამ, გენო ვიდრე დაფიქრდება და მე, ძირძველ სამურხაყანოელ კოლეგას, ოქტომბრი დაბადებულს, შერვაშიძის პრემიაზე წარმადგენს (ფიქრებში მაინც), მოვიდეთ პირველ სიტყვას:  
 ჩემი პირველი ხელდამსხმელი პოეტია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.  
 ლექსი. ლექსი. ლექსი.

შეიძლება ითქვას, რომ გენოს პოეზია არის პოეზია პოეზიისთვის, ანუ, ხელოვნება ხელოვნებისთვის. მეტწილად, უმეტესად, ეს მინდა ვთქვა, რადგან: ფაქტობრივად, ჩვენი თანამედროვე პოეზია უწინარესად და უმთავრესად, პატრიოტული პოეზიაა. მარტო პატრიოტიზმი პოეზიას სრულად ვერ მოიცავს, რაც შეიძლება ითქვას, ჩვენი ერის საყვარელ პოეტზეც, ლადო ასათიანზე, მის პოეზიაზე, და... ლადოს მიმდევართა თუ მიმბაძველთა სხვა და სხვა პოეტებზე. პატარა ერთ ვართ, მცირერიცხოვანი, მუდამ გაჭირვებული, მუდამ მტრიანი, რაც განაპირობებს ჩვენეულ მიმართებას პატრიოტულ პოეზიასთან. გენო კალანდიას კი ლორკასეული დუნდუ იზიდავს, და კიდევ, ჩემი გაგებით, უნამუნოს მიმართება პოეზიასთან. სხვათა შორის, გენოს მშვენიერმა ასულმა ლანა კალანდიამ გვითარგმნა არაერთი სახელოვანი ესპანელი პოეტი და პროზაიკოსი, რაც ხაზგასმით მიგვანიშნებს ჩვენებურ ანდაზაზე (დედა ნახე, მამა ნახე) და კიდევ ჩვენებურებისა და ბასკების მსგავსება-ნათესაობაზე.  
 გენო წერს სიყვარულზე, ლალატზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, დღეზე, ღამეზე, ეშმაკსა და ანგელოზზე, ვარდსა და ეკალზე, მხესა და მთვარეზე, ომსა და მშვიდობაზე, გლეხსა და თავადზე, ხესა და ქვაზე, ფრინველსა და ნადირზე, ქვენა სოფელსა და ზესთა-სოფელზე, ხორბლის მარცვალსა და ღობეზე შემოფრენილ მამალზე, ფერსა და სურნელზე, იასა და ულრან ტყეზე.  
 მაგონდება:  
 მეშვიდე თუ მერვე კლასის მონაფე ვიყავი, ქართულის მასწავლებელმა რომ თავი მომიჩეჩა და მკითხა, თუ იცი, ვაჟამ პირიმზეში რა იგულისხმაო, და იქვე მოაყოლა:  
 პირიმზე — საქართველოა.  
 უფსკრული — რუსეთი.  
 ვაჟას პირიმზე უშიშარია, ყელი მოღერებული აქვს.  
 დაახლოებით მსგავს გუნება-განწყობას გვიქმნის გენო კალანდიას საუცხოო ლექსი „ია“, ვისაც, და არა-რასაც, ასე მიმართავს პოეტი: რკინის გული გქონია, იავ, ამ ულრანში რომ ამოხვედიო.  
 ასე რომ, ვაჟას კვლობაზე რომ ვიაროთ, ძვირფასო მკითხველო, ია — პატარა საქართველოდ წარმოგვესახება, ულრანი კი იმად, რაც შენ ახლა გაიფიქრე და რისი მიხვედრის სიხარულიც არ ნაგართვა ამ მცირე ესის ადრესატმა, რაც ერთგვარად, მე იმ ჩემი პირველი ლექსის გამოქვეყნებით გამოწვეულ შთაბეჭდილებასთან მახსლოვებს.

დაიბადა თბილისში, 1990 წლის 14 ივნისს. დაამთავრა №77 საჯარო სკოლა, იმავდროულად — მუსიკალური სკოლის სრული კურსიც, საფორტეპიანო განხრით.

2013 წელს გახდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრი. ამჟამად იმყოფება ლიტვის ქალაქ რიეტავასში, ევროკავშირის მოხალისეობრივი პროგრამის მონაწილედ და მუშაობს ახალგაზრდულ ცენტრში. გაცაცებულია ნუმიზმატიკით, მხატვრული ლიტერატურით, პოეზიითა და მუსიკით. უყვარს ფოლკლორი, ჯაზი, როკი და კლასიკა.

სამშობლოდან შორს დროდადრო ინტერნეტისივრცეში აქვეყნებს თავის შთაბეჭდილებებს, რომლებიც უწინარესად სიღრმით, ფაქიზი განცდებითა და ემოციურობით იპყრობს ყურადღებას, იმ შეფასებებითა თუ გადაფასებებით, დროსა და სივრცეში რომ აგროვებს მშობლიურ გარემოს მონყვეტილი. ვინ იცის, იქნებ ოდესმე თვითონაც გამოჩნდეს დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე, მანამდე კი ამ მოკლედ, მაგრამ ტევად შთაბეჭდილებას გაგაცნობთ, თუნდაც იმის ნიმუშად, რომ ჩვენს ეპოქაში, ასე რომ გვაშინებს ღირებულებათა გადაფასებით, არაფერიც არ გაფერმკრთალებულა; რომ თაობაში, რომელსაც სწორედ ზედაპირულობას სწამებენ, აი, ასეთი სიღრმით, ფიქრითა და განსჯით გამორჩეული ახალგაზრდებიც არიან და, ბოლოსდაბოლოს, იმედად, რომ ესეც ჩვენი ხვალისდელი დღეა... დღე, რომლის გათენებისაც აღარ გეშინია.

## მარიამ სილაგაძე იმ მზიან კუნჭულს ჩავეჭიდები

ყოველთვის ვთვლიდი, რომ ჩემში „ბევრი გოგო“ სუნთქავდა... მუდმივი ომები საკუთარ „მეებთან“ და მათი სიკვდილები იყო ჩემი ყოფნა. ყველა „მეს“ თავისი წელიწადის დრო ჰქონდა, საკუთარი თვე, საკუთარი ფილმის თუ წიგნის გმირი ჰყავდა, საკუთარი კადრი და სიმღერა... მომღერალიც კი (აი, ახლა ველოდები ჩემი ირლანდიელი ბიჭის კონცერტს, რომელსაც ხუთი წელია ჩემად ვუსმენ, პირობა დავდე და არასოდეს დავაშორებ ინტერნეტსივრცეში).

ზამთრის ბოლო ღამეა, უკვე დიდი გოგო ვარ და ვხვდები, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ იყო გზა... გზა საკუთარ თავამდე, გააზრება იმისა, რომ ზოგჯერ, რაც უნდა ეცადო, გაზარულს ვერ გაამთვლებ; რომ ხანდახან გაქვს უფლება, მოიქცე არასწორად, გაბრაზდე, ძალიან გაბრაზდე... რომ უფლება გაქვს, დაუმეა შეცდომები; რომ ყველაფერს ვერ გააკონტროლებ; რომ შეიძლება გაიგო შენი ადამიანის სიკვდილი, მის სიცოცხლეშივე, და იყო უძლური; რომ ყველაფერს აქვს დასასრული; რომ ადამიანებს არ უნდა მიეჩვიო, არც ნივთებს... რომ ადამიანები ქრებიან, უჩინარდებიან ან იცვლიან ფერებს; რომ არაფერია სამიში თუ მისცემ უფლებას სხვას, მოგიაროს... დაგეხმაროს... აღიარო შენი შიშები და შეეცადო გადალახო... გადაიარო...

წელს ყველაზე ლამაზი და განსხვავებული ზამთარი ჰქონდა მარიამს, დათოვლილი, საშობაო საჩუქრებიანი, მონატრებული მეგობრების ჩახუტება და უამრავი ახალგაცნობილი ადამიანის სიტბო. ჯადოსნური იყო ეს ზამთარი. ლიტვის პატარა ქალაქში, ტყისა და ტბების გარემოცვაში, ზუსტად ისეთი ზამთარი მოვიდა, როგორსაც ველოდი... მიყვარს ზამთარი, ხომ არის ნათქვამი, ყველაზე მეტად იმ ადამიანს სჭირდება სიყვარული, ვინც გულცივიოა? გირჩნსაც სიყვარულმა დაუტკბო გული... ჰოდა, სულ მგონია, რომ ზამთარს სჭირდება სიყვარული. ზამთარი გვაძლევს ბუნხართან მობუზული მეგობრების გარემოს, სევდის გაზიარების საშუალებას ჭიქა ღვინოსთან ერთად და ბოლოსდაბოლოს ცხელ „ჩაის ლიმონიანს“. ასე რომ, გიყვარდეთ ზამთარი (!)

ექვსი თვე სრულდება, რაც სამშობლოდან შორს ვარ. კიდევ ამდენი დარჩა... არ მეშინია, ზამთრის მობუზული და მონატრებული დღეები გადავიტანე და ახლა, როცა გაზაფხული და ზაფხული მოდის, რა შემაშინებს. მალე გავა

დრო... სწორედ ეს თვისება აქვს დროს, რაც არ მიყვარს — ძალიან სწრაფად მიდის და თავს ისე გვაჩვენებს ხოლმე, თითქოს ბევრი ვარო... იჩქარეთ, იჩქარეთ, შეიგრძნოთ რაც შეიძლება მეტი, გააკეთოთ მეტი, გიყვარდეთ მეტი და მეტად... გამოსატყუო (რადგან თუ არ თქვი, შეიძლება ვერავინ გაიგოს, ვერავინ დაგინახოს). სიტყვას უზარმაზარი ძალა აქვს. გულზე „მოგიჭერს და ზევით აგწევს“ ანდა პირიქით...



საქციელით გამოხატვა კარგია, მაგრამ სიტყვას ნუ დავივინწყებთ. ასეთია ადამიანის ბუნება, ჩვენ გვჭირდება სიტყვები, ჩვენ ვეძებთ სიტყვებს, რომლებიც გადაგვარჩენს...

გაცვივდი, ზამთრის ბოლო დღეს ხომ უნდა მოსულიყო ეს სურდოც ჩემთან. თაფლიან და ლიმონიან ჩაის ვსვამ, სიგურ როსიც ჩართულია, დღეს ცა არ ჩანს, არც ვარსკვლავები. თუმცა გაზაფხული მოდის (კალენდრით), მაგრამ აქ ჯერ შორია ნამდვილ გაზაფხულამდე. ამბობენ, ჯერ კიდევ ველით, რომ ზამთარი მობრუნდებაო. მე კი ყოველ დღეს ვამონმებ ამინდის პროგნოზს და ეს +6 მამშვიდებს... გაყინული ბალტიის ზღვა რომ ვნახე, მზიანიც მინდა ვნახო, ქვიშაზე ვირბინო თოლიებთან ერთად და შორიდან ვუყურო მზის ჩასვლას. ზაფხულში სამსახურიც უფრო აქტიური და ხალისიანი იქნება, ბევრი გასვლითი ტურით ბუნებაში, ფესტივალებით და მზიანი დღეებით.

სამსახური... მოხალისეობა... როცა ეს პროექტი ავირჩიე, არც ვიცოდი, რა იყო ეს „youth worker“, აი მართლაც რომ ბედისწერაა... მხოლოდ ერთი პროექტი მქონდა არჩეული ასეთი, სადაც გავაგზავნი ჩემი მონაცემები და პირველი ესენი გამომეხმაურნენ. ჰოდა... „ავდექი და ნამოვედი“, საოცარია ბავშვებთან ურთიერთობა, თინეიჯერებთან... როგორი სიცოცხლით სავესებო არიან, სულ არ ანაღვლებთ, ვინ არის პრეზიდენტი და ვინ პრემიერ-მინისტრი. სიხარულის გამოხატვაც იციან... არის სხვაობა ქართველებთან შედარებით, თუმცა მაინც ერთნაირები არიან, მეოცნებეები... იმედიანები და „სუფთები“... ჩემი უფროსი ამბობს, რომ ნიჭი მაქვს და ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე კარგად გამომდის. რა ხერხს იყენებო, — მკითხა და ლიმილით ვუპასუხე: „მიყვარს და ვენდობი“. ჰო, ბევრჯერ კი მომხვდა და კიდევ მომხვდება მწარედ შემორტყმული სილა... მაგრამ „სხვანაირად არ ძალმიძს“. ყოველთვის იმ მზიან კუნჭულს ჩავეჭიდები და ნამოვწვე წინ, რომელიც ყველა ადამიანს აქვს! ჰო, მე მარიამი ვარ.

თავს მოუფრთხილდი(თ).

ათილა ილჰანი (15 ივნისი 1925-11 ოქტომბერი 2005) — თვალსაჩინო თურქი პოეტი, რომანისტი, ესეისტი, ჟურნალისტი და მიმომხილველი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თურქული ლიტერატურის განვითარებაში. ვიდრე პირველ რომანს გამოსცემდა, მანამდე ათი რომანი დაწერა. შეკითხვაზე, თუ რატომ არ გამოაქვეყნა ისინი, ერთ-ერთ ინტერვიუში ასე უპასუხა:

— მანამდე ბევრი რომანი დაწერე, მაგრამ არ გამოვაქვეყნე, რატომ? — მიზეზი ძალიან გონივრული მაქვს, რადგანაც ვიცი, რომ მწერლები პირველ ნაწარმოებებში თავიანთ თავზე ჰყვებიან, რაც რომანისტობა კი არა, უფრო დღიურების წერაა...

ათილა ილჰანს ჰქონდა შემოქმედების ორი პერიოდი — 1) მომზადებისა და ძიების; 2) სიმწიფის. სწორედ პირველ პერიოდს მიეკუთვნება მისი რომანი სახელწოდებით „ადამიანი ქუჩიდან“, სადაც თურქულ ლიტერატურაში პირველად იქნა გამოყენებული ასეთი მეთოდი, როდესაც ნაწარმოების ყოველ ახალ თავს სხვადასხვა პერსონაჟი ჰყვება. შემდგომ იგივე მეთოდი გამოიყენეს ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილმა ორმა რომანისტიმაც — ორჰან ფაშუქმა და ელიფ შაფაქმა. მეორე პერიოდის მნიშვნელოვანი რომანებია: „მგლების სუფრა“, „დანის წვერზე“, „აფთრის წილი“. გამოქვეყნებული აქვს 15 რომანი, ესეები, პოეტური კრებულები, წერილები... მისი სტენოგრაფიის მიხედვით გადაიღეს ექვსი სატელევიზიო კინოსერიალი. დამსახურებული აქვს ლიტერატურული ჯილდოები. ამჟამად თურქეთში ფუნქციონირებს „ათილა ილჰანის სახელობის კულტურის და ხელოვნების ფონდი“. თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ათილა ილჰანის პოეზიაც. გთავაზობთ მისი ორი ლექსის თარგმანს.



**ათილა ილჰანი**

**ვინც შევიყვარე, ყველაში შენ ხარ**

საოცარია, ვინც შევიყვარე, ყველაში შენ ხარ, მართლაც და, როგორ ცვლის მათ სიყვარული, ცისფერი თვალები ფოთოლივით მწვანე ხდება, შენს ხმაზე ლაპარაკობს — რა თქმა უნდა. თვალთა გამოხედვა ძლიერ საშიში აქვს შენს სიგარეტს შენსავით ეწევა, ვინც შევიყვარე, საოცარია ყველაში შენ ხარ, შენი დავიწყება მე არ შემიძლია... აღარც ტროფობა, აღარც ვნება — ყველაფერი მივატოვე, ქერათი დავიწყე და შევგვრემანით დავამთავრე. სახეს ვერ ვარჩევ, მუქად დაჩრდილულია ტუჩები სამართებელივით მჭრელი, წითელი აქვს, ერთს გადავეყარე, ხიფათიანს, როგორ დავშორდე? გიტარა გაჟღერდება და დროს გაარღვევს. ვინც შევიყვარე, საოცარია, ყველაში შენ ხარ. კარებები კი ჩარაზული გაქვს, მოსვლა ძნელია. შენ გგრძნობ ყველაში — ვინც შევიყვარე, სულყველას შენი სახელით ვეძახი, მათგან მოყოლილი წვიმის წვეთები ზურგს უკან ნებიერად ილიმებიან. გახსოვს? — შენგან მივიწყებული იმ მსურვალე ამბორით იკოცნებიან. ვინც შევიყვარე, ყველაში შენ ხარ, საოცარია! ფერია ხარ თუ ავსული, ვერ გამიგია.

**მე შენ გჭირდება**

მე შენ გჭირდება, შენ არც კი იცი, შენს სახელს ნუთითაც ვერ ვივინყებ, გაცობისგან თვალები გაგიფართოვდებოდა, მე შენ გჭირდება, შენ არც კი იცი, მე შენით ვთბები.

ხეები შემოდგომისთვის ემზადებიან, ეს ქალაქი ნუთუ ის ძველი ისტანბულია?! წყვდიადში ღრუბლები ნაფლეთებად იმლებიან, ქუჩის ლამპრები უეცრად ნათდებიან, ტროტუარზე წვიმის სურნელია. მე შენ გჭირდება, შენ ჩემთან არ ხარ.

სიყვარული ზოგჯერ დამამცირებლად საშიშია, სამართებლის პირზე დატყვევებული სიცოცხლე ადამიანს საღამო ხანს უდროოდ დაღლის, ზოგჯერ გატაცება ხელს მოუცარავს. ცხოვრებას რამდენჯერ დაიწყებს თავიდან. ვის კარსაც არ უნდა მიადგეს, ვერაგი სიმართოვე დაუგუგუნებს ზურგიდან.

Fatih-ზე<sup>1</sup> ობლად კენესის გრამაფონი გარდასული დროის ერთ ჯუმას უკრავს, შევჩერდე? ქუჩის კუთხიდან მოვუსმინო, ჯერ არნახული ცა მოგიძვანა? კვირები ხელებს შუა მეფშხენება რას მოვეჭიდო, რა გავაკეთო, რა ვქნა? მე შენ გჭირდება — შენ კი არ ხარ.

იქნებ ცისფერი ივნისით დაჭორფლილი ბავშვი ხარ, ოჰ! არავინ იცის, არავინ გიცნობს. თვალსაჩინო უჩინარდები, ან იქნებ Yeşilköy-ში,<sup>2</sup> თვითმფრინავში ჯდები, თავით ფეხამდე განუწულს გაჟრიალებს, იქნებ ვერ ხედავ, გაუბედავად ფორიაქობ, ცივ ქარს კი შენი თმები მიაქვს.

როცა კი ცხოვრებას ჩავუღრმავდები, მგლების სუფრაზე ცოტა ძნელია სირცხვილის გარეშე, ხელების გაუსვრელად, როდესაც ცხოვრებას ჩავუფიქრდები, ჩუ, ისევ შენი სახელით ვინყებ — ადიდდებიან კვლავ იდუმალი ნაკადულები. არა, სხვანაირად არ გამოვა. მე შენ გჭირდება, შენ კი არც იცი.

**თურქულიდან თარგმნა  
ლანა მანველა**



1-2. სტამბოლის ძველი უბნები

ივან ჰუდეცი — პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი. დაიბადა 10.7.1947 ნიტრაში, სლოვაკეთი. მიიღო სამედიცინო განათლება, მუშაობდა ექიმად. არის მოთხრობებისა და რომანების ავტორი. 1994 წლიდან იყო სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დეპუტატი; 1994-98 წლებში — სლოვაკეთის კულტურის მინისტრი.

ივან ჰუდეცი

# მემკვიდრეობით ბარემოებათა წყალობით

ამაოდ ოცნებობდა პაპაჩემი მწერალი გამხდარიყო. ადვოკატობას საცოდავი შემოსავალი მოჰქონდა და ამიტომ ახალგაზრდობაში, რომანის პერსონაჟთა ნაცვლად კლიენტებს დაეძებდა. მოწიფულობისას, როგორც თვითონ განმარტავდა, მემკვიდრეობით გარემოებათა წყალობით ჯიუტ კლიენტთა ურიცხვი ქონების მფლობელი გახდა, ხოლო როდესაც მანტია კარადამი შეჰკიდა და პენსიაზე გასასვლელად საჭირო საბუთები შეავსო, პირი მოკუმა და რეცენზიებზე ლიტერატურული კრიტიკის წერას შეუდგა. დაცინვით კრიტიკოსთა კრიტიკოსი შეარქვეს, ვინაიდან არაფრად აგდებდა ფუჭ ლიტერატურულ დავებს, რომელნიც ხშირად ღვარძლიან მწერალთა ყურადღების საგნად იქცევიან, და სულ მალე შიშის ზარს სცემდა ლიტერატურულ საზოგადოებას. განა იმის თქმა მინდა, თითქოს ამ მოღვაწეობით ბაბუა მდიდრდებოდა. სულაც არა, მაგრამ სიჯიუტე, რომლითაც მუშაობდა, განსაცვიფრებელი იყო.

დაქვრივებულ ბაბუს ორი შვილი ჰყავდა; მამაჩემი და ბიძაჩემი. ბიძა ბებოის სიკვდილის ორი თვის თავზე გარდაიცვალა ფილტვების ემბოლიით, რომელიც ბარძაყის მოტეხილობის გართულებას მოჰყვა. ბაბუა მუდმივად აჯდა უძრავ ქონებას. დუმდა და იმ რეცენზიებზე ფიქრობდა, რომლებიც საღამოობით და ღამღამობით მისი დაუნდობელი კრიტიკის საგნად უნდა ქცულიყო. ეს ენერგიასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, რადგანაც კარგად უნდა გასცნობოდა ნაწარმოებს, გამოერკვია, თუ რა ნაცნობობა მოეპოვებოდა მწერალს, რეცენზენტსა და რედაქტორს. გულდასმით უნდა გაერჩია რეცენზია. მერე მიუჯდებოდა საწერ მაგიდას და დაუნდობლად აკაკუნებდა კლავიატურაზე. მისი საბეჭდი მანქანის გუგუნის სახლის მახლობელ ლიანდაგებზე მოძრავი ნავთობის ლუკომოტივთა ხმაურიც კი ვერ ახმოებდა.

ვინც კი მისი სამუშაოს არსს ჩანვდებოდა, პაპას მოყვასად იქცეოდა. იგი მტრებს ყურადღებას არ აქცევდა, ზოგჯერ კი თავს აღანძვინებდა იმ მიზეზით, რომ ყველა ადამიანს თავისებური წარსული აქვს, რომელიც ღრღინის და მოსვენებას არ აძლევს. იგი ქედმაღლურად დასცინოდა სიძულვილის ასეთ გამოვლინებას. საცოდაობა ასეთი შურისძიება. როდესაც ასეთი ადამიანი გამოთვრება ან გამოფხიზლდება, თავის გასამართლებლად გრძელ წინადადებათა ჯღუკუნს მოჰყვება — რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ბუნებაც უწყობს ხელს, და პაპა სიცოცხლით იხრჩობოდა. მისი ეს ირონიული სიცილი ჩემთვის რომ ყოფილიყო განკუთვნილი, ალბათ შეწყინებოდა.

პაპა დედისერთა გახლდათ, ცოლის მხრიდან კი მხოლოდ ძალზე შორეული ნათესავები შემორჩენოდა და ამიტომ იძულებული იყო, თავის ოთხ შვილიშვილთან ევლო სტუმრად. ჩვენ, წვრილშვილის პატრონებს, გვეგონა, რომ მათ მოსანახულებლად მოდიოდა, მაგრამ ერთხელ თავისი შენიშვნით გაგვაკვირვა.

— ქონებას არ გავყოფ, ერთ-ერთ შვილიშვილს ერგება მთლიანად. ვინ იცის, რას უზამს, მაგრამ მაგას მე უკვე ვეღარ შევიტყობ.

არცერთი ჩვენგანი არ დარჩენილა გულგრილი ამ გამონათქვამის მიმართ, თუმცა კი თავი ასე მოგვექონდა.

ბევრს არ ეცოდინება, როგორ კეთდება სვირინგი. ერთხელ, სადილობისას (პაპა სადილად ყველაზე ხშირად ჩვენთან დადიოდა, რაც ჩემს მეუღლეს უკვე უხაროდა) პაპაჩემმა შორიდან დაიწყო სვირინგის ტექნოლოგიის აღწერა. ერთხელ თურმე თავის ყოფილ მსხვერპლს შეხვდა ლუდნანაში, რომელსაც ადრე სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ჯანმრთელობისთვის შეგნებული ზიანის მიყენებისთვის. დამეგობრდნენ და მსხვერპლმა დანვრილებით აღუწერა მოსვირინგების მეთოდი. ასანთზე ორი ქინძისთავი მაგრდება. გამოუცდელებმა თავდაპირველად კანზე უნდა დაიხატონ სასურველი სურათი. ეს კი ასე ხდება: ჯერ მელნის კალმით იხატება გამოსახულება, შემდეგ მას ოდნავ ალბობენ და კანზე ალბეჭდავენ. ქალაქის დალობის პროცესში საუკეთესო შედეგს იმ შემთხვევაში მივალწევთ, თუ ცოტა ხნით ქალაქს მდულარე წყლიანი ქვაბის ორთქლზე გავაჩერებთ. ამიტომაც ბევრს ამოსვირინგებული ასოები უკუღმა ალბეჭდება, მაგრამ ეს შეუმჩნეველია. მერე ქინძისთავებს კანში ასობენ, ჯანმრთელი ადამიანები ბევრ ქინძისთავებს უძლებენ. ასანთის კოლოფზე ან სარეცხის სარჭზე თექვსმეტი ქინძისთავი ეტევა — ამას კომპანიი ჰქვია.

პირველ აპრილს მთელი დღე წვიმდა. პაპაჩემს ინფარქტმა დაარტყა. კორონარულ განყოფილებაში დაანვინეს. საავადმყოფოდან შინ რომ დაბრუნდა, ინფარქტმა მეორედ დაარტყა და სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანის დროს გარდაიცვალა. ჩვენ, ოთხ შვილიშვილს უნდა გვეზრუნა მის დასაფლავებაზე. უფროს ძმასთან შევიკრიბეთ, ვინაიდან მას ვენახი ჰქონდა. მესამე ძმის ცოლმა — იოზეფკამ — კრემატორიუმის ამბავი მოაგვარა, კრემატორიუმის უფროსმა პატარა ძღვენის საფასურად შედარებით იაფად აქცია პაპა ფერფლად.

პაპამ გულდასმით დალუქული ანდერძი თავის კოლეგას ჩააბარა. იურისტმა თავისთან მიგვიხმო. ქართული კონიაკი მივართვით. ტყავის ღრმა სავარძელში ჩაგვსვა და შინაურული „სლივოვიცა“ ჩამოგვისხა. რამდენიმე აუცილებელი ფორაზის შემდეგ კეთილად მოიხსენია პაპა. ჩვენ ერთხმად ამოვიოხრეთ და იურისტმა კონვერტი გახსნა.

პაპა წარმოუდგენლად ასოკრიკიტა გახლდათ. უეჭველად რამდენიმე კონვერტის დაბეჭდვა მოუხდებოდა, ვიდრე სასურველ შედეგს მიაღწევდა. მოხუცმა იურისტმა სათანადო პატივისცემით გახსნა იგი.

პაპას ბეჭედი უხუცესობის სიმბოლოდ ითვლება. ამ ბეჭედს დასაღუქად იყენებდა, თუკი საერთოდ შეიძლებოდა ამ ბეჭედის რამეში გამოყენება, ვინაიდან ინიციალები გაჭირვებით იკითხებოდა, მაგრამ არც ამოკითხულები წარმოადგენ-




დნენ დიდ რამეს. როგორც თვითონ ამტკიცებდა, იგი ამ ბეჭედის მფლობელი მესამე თაობა იყო. ჩვენ კი ამის შესახებ ჩვენი აზრი გვექონდა — ან გააკეთებინა, ანდა რომელიმე კლიენტმა მიართვა. მისი აზრით, ეს ბეჭედი მას რაღაც განსაკუთრებულობას ანიჭებდა. მამაჩვენს მისი ტარება არ ელირსა, ვინაიდან პაპაზე ადრე გარდაიცვალა.

აი, კონვერტიც. მოხუცმა იურისტმა ბეჭედი ამოიღო და უფროს ძმას გადასცა, რომელსაც ბეჭედი ცხოვრებაში არ უტარებია. მის ცოლს ზედაც კი არ დაუხედავს, ისე ჩაუშვა საფულეში.

არ მოყვები ჩვენი, ოთხი შვილიშვილის მდგომარეობის აღწერას, რომელთაგან მხოლოდ ერთს უნდა რგებოდა მთელი ქონება. აღელვება მეც დამეუფლა.

პაპის ანდერძი ერთ წინადადებას შეიცავდა: „მემკვიდრის სახელი მარცხენა იდაყვის თავზე მაქვს ამოსვირინგებული“.

**სლოვაკურიდან თარგმნა  
აია ნაჭყავია**



მხატვარი ბადრი გაგნიძე

ალან მალეი

# ქალიან მოკლე მოთხრობები

## დიდი ხნის უთქმელი სიტყვები

სალამო იყო, საავადმყოფოს ერთ ცალკე ოთახში სინათლის ასანთებად გავსენი.

— არა. ჯერ არა. ვერ დაგელაპარაკები, ვიდრე შუქს არ ჩააქრობ.

მამაჩემს ცხვირსა და მკლავში მილაკები ჰქონდა გაჩხერილი. მკვდრის ფერი ედო და ხმაც სუსტი ამოსდიოდა. ვიგრძენი, რომ ეშინოდა. ახალგაზრდობაში მისი ყოველთვის მემშინოდა, ახლა კი მოხუცი იყო, ახლა მისი ჯერი გახლდათ.

— რაღაც მინდა გითხრა, — თქვა მან, — გახსოვს ის დრო, როდესაც ჯუდიმ გადმოგაგდო?

მასხოვდა კი არა, მეტიც. ცხენებთან ერთად ვიზრდებოდი. ზოგი ფერმაში გვყავდა, ზოგიც — საჯირითოდ. მამაჩემი უზარმაზარ, ნაცრისფერ სანადირო ცხენზე იჯდა. ათი წლის რომ გავხდი, უფრო პატარა მიყიდა დაბადების დღეზე — შავი, ავზინიანი ფაშატი, ჯუდი ერქვა. როდესაც საჯინობოში შევდიოდი, ყოველთვის ცდილობდა ჩემთვის ნიხლი ეკრა ან გვერდზე ეკბინა. ცუდი ზნისა იყო და ჯიუტი. პირველად, როდესაც მასზე შევჯექი, ვიგრძენი მისი ბრაზით სავსე ენერჯია. ჩემს ქვეშ ნამდვილად მშფოთვარე ვულკანი თახთახებდა.

დიახ, ცხენებთან ერთად გავიზარდე. მათ სუნს ისევ ვგრძნობ, როდესაც ფერმაზე ვფიქრობ, მაგრამ მათდამი შიში მთლიანად არასოდეს დამკარგვია. შემეძლო ცხენების გამოკვება, გასუფთავება, შეკაზმვა. მაგრამ, როცა შეჯდომის დრო დგებოდა, მუცელში შიშის ჟრუანტელი მივლიდა. ვგრძნობდი, რაღაცას მოიმოქმედებდნენ. ალბათ ისინიც გრძნობდნენ, რომ მათი მემშინოდა.

ისე მოხდა, რომ იმ კვირას მამაჩემს საპატიო სტუმარი ეწვია. როცა ყველაფერი დაათვალიერებინა, მერე ჯუდი შეკაზმეს.

— ჯო გაჩვენებთ, თუ როგორ დაჰყავს ცხენი, — ამყავდ უთხრა სტუმარს.

\* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა“ №6

ცხენზე შევჯექი, ვიგრძენი, რომ გული ამიჩქარდა და ხელები გამიოფლიანდა.

— გაატარე, მერე ჩორთზე გადაიყვანე, ოღონდ ალვირი მოჭიმე.

ვიგრძენი ფაშატის შეკავებული და მოძალბებული სიბრაზე. როცა მინდვრის ბოლოს ვუახლოვდებოდი, გვერდზე გადავუხვიეთ. მის ფერდებს ქუსლებით შევეხე. მოხდენილად წავიდა. როდესაც მინდვრის თავს მივალნიეთ, ცხენი ნავარდზე გადავიდა. ისევ ვეცადე ჩორთზე გადამეყვანა, მაგრამ ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. დავინახე, რომ დაბლა მინდორში მამაჩემი და მისი სტუმარი იდგნენ და თვალს მადევნებდნენ. როცა მათკენ შევატრიალე, ცხენი ჭენებაზე გადავიდა. კონტროლი დავკარგე. მარტო ის მოვახერხე, რომ ცხენს მაგრად ჩაეჭიდელოდი.

ცხენი ქვალორლიან გზაზე გადავიდა. მის ჩლიქებს ხმაშალალი თქარა-თქური გაჰქონდა. ფეხები უზანგიდან ამომივარდა და ვიგრძენი, როგორ ვცურდებოდი. ჯუდიმ აგურებში მომისროლა და გზა გააგრძელა. სტუმარი ჯუდის გაეკიდა.

ავდექი. იარები და დაუეჭილი ადგილები მქონდა, მაგრამ მოტეხილობას გადავურჩი. როცა მამაჩემამდე ბორძიკით მივალნიე, მან დაისისინა: „შე ბრეიყო! ყველა გავგასულელე! სახლში წაეთრიე!“

მამას დახედე. „დიახაც მახსოვს, მამიკო!“

იმ შეურაცხყოფას რა დამავინწყებდა.

— მთელი ეს წლები გონებიდან არ ამომვარდნია, — თქვა მან, — ყოველთვის ვნანობდი, რაც გითხარი, მაგრამ შენთვის არ გამიმხელია. ვწუხვარ, რომ სასტიკად გექცეოდი, ჯო. მე ისე...

პირველად და უკანასკნელად ვნახე, როგორ ტიროდა მამაჩემი. ხელი გავსენი და შევეხე.

## გაათავისუფლეთ თქვენი მაგიდა

სამის ნახევარი იყო. ფრენკ ჯესოპი ეს-ესაა ოფისში დაბრუნდა თურქ ბანკირებთან საუბრის შემდეგ. ძალიან ბევრი ჭამა და სვა, ვარდის ხისგან გაკეთებული მაგიდის უკან მდგომ ბოსის სკამში მოკალათდა და ქალაქლები ამოიღო. წინ საქმიანი შუადღე ელოდა. დიახაც, რომ წინ მეორე მძიმე დღე ელოდა. მაგრამ მას აქტიური ცხოვრება სიამოვნებდა, საქმიანი გარიგებანი, უცხოეთში მოგზაურობა, მუდმივი კონტაქტები.

კლიპკოსთან ერთად გატარებულ ცხოვრებაზე ფიქრობდა. ამ სამსახურში პირდაპირ სკოლიდან ჩაერთო, როგორც უკვე

მაჩიტაჰი და ფოთლაჰი

გამოცდილი. თანდათან წარმატებას მიაღწია. ახლა კი ორ-მოცდაათი წლის ასაკში ეროვნული წარმოების მენეჯერი გახდა. ბევრს მუშაობდა და იცოდა, რომ წარმატებას იმსახურებდა. დიდი სახელი ჰქონდა სარეიში. ქალიშვილები უნივერსიტეტში სწავლობდნენ. მართლაც, რომ... მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ ეს ამაღ ღირდა. არ ნანობდა.

მისი ფიქრები ტელეფონის ზარმა შეწყვიტა. მთავარი ბოსი იყო, სირილ ბენტვიჩი.

„ფრენკ? კონფიდენციალურ წერილს გიგ ზავნით. აუცილებლად მაცნობეთ, რომ მიიღეთ. როცა წაიკითხავთ, თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდებათ, დამირეკეთ...“

სირილი სიტყვებს არასოდეს ამბობდა ამოდ. ფრენკი დაინტერესდა, რა ეწერა წერილში. რატომ იყო ის ასეთი მნიშვნელოვანი?

ნახევარ საათში დოუნმა, მისმა მდივანმა, დიდი ყავისფერი კონვერტი შემოუტანა, რომელზეც კომპანიის სიმბოლო იყო გამოსახული. როდესაც წაიკითხა, სახე გაუფითრდა.

— როგორც იცით, ვატარებთ ჩვენი ოპერაციების მსოფლიო მასშტაბის რეორგანიზაციას. ჩვენი კონკურენტუნარიანობის განსამტკიცებლად გვჭირდება მნიშვნელოვანი რესტრუქტურისა და ოპერაციების შემცირება... თქვენი სახელი მათ შორისაა, ვისი თანამდებობაც შემცირებაში მოჰყვება. ჩვენ ვაფასებთ თქვენს ხანგრძლივ სამსახურს კომპანიაში. თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რაც შეიძლება ხანგრძლივად შევინარჩუნოთ... წერილს თან ახლავს პაკეტი, სადაც მითითებულია თქვენი გათავისუფლების დეტალები... ორ საათში უნდა გაათავისუფლოთ მაგიდა. თუ შეიძლება, გადაეცით მთელი დოკუმენტები, გასაღები და საკუთრება ჰემიმ მაკლელანდს, რომელიც შეგცვლით.

ფრენკი აღაშფოთა კომპანიის ამგვარმა მოპყრობამ და თავს იდანაშაულებდა, რომ ასეთი მოულოდნელი იყო მისი გათავისუფლება. რა უნდა ექნა ახლა? დიდი ფინანსური გაჭირვება ჰქონდა — ქალიშვილების საუნივერსიტეტო გადასახადები, სახლის სესხი... შუახნის ასაკში მისჯილი ჰქონდა უმუშევრობა. ვინ აიყვანდა სამუშაოდ მის ასაკში? მთელი ცხოვრება ერთბაშად დაეწვრა.

ჰემიმ მაკლელანდი თავის ოფისში შევიდა. ფრენკმა მაშინვე შეატყო, რომ ჰემიმმა უღალატა — სამუშაო მოჰპარა. ის-ის იყო, სკამიდან წამოდგომას აპირებდა, რომ ტელეფონმა დარეკა.

ტელეფონის ზარმა გააღვიძა. ახალი ჩათვლემილი გახლდათ — ალბათ ღვინომ იმოქმედა. ეს ყველაფერი ცუდი სიზმარი იყო: ჯერ კიდევ ოფისში იმყოფებოდა, არ შეემცირებინათ. ყურმილი აიღო.

ეს სირილ ბენტვიჩი იყო.

— ფრენკ, უნდა შეგატყობინოთ, რომ დიდ რეკონსტრუქციას ვაპირებთ. ზოგს წასვლა მოუწევს. რა თქმა უნდა, თქვენ არა. ეს აუცილებელია. მინდა დაგანინაუროთ და ევროპულ ოპერაციათა თავმჯდომარედ დაგინიშნოთ. რას იტყვით?

— შეიძლება ვიფიქრო და ხვალ დაგირეკოთ?

— მშვენიერია. მას, ხვალამდე.

იმ ღამეს ფრენკი ფიქრობდა მათ საცოდაობაზე, რომლებიც დაკარგავდნენ სამუშაოს. გაახსენდა სიზმარში განცდილი გრძნობები. მას სჭირდებოდა საკუთარი ცხოვრების შეცვლა. ნაკლებად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული უსულგულო კომპანიაზე.

მეორე დღეს მან სირილს დაურეკა:

— ვნუხვარ, სირილ, ვშიშობ, თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ. ფაქტობრივად, მინდა მოგელაპარაკოთ ნაადრევ გადადგომაზე. როდის შეიძლება მოვიდე და გინახულოთ?

— მის გრანტი გასწავლიდათ, არა? — მკითხა დედაჩემმა შენუხებული ხმით, — ნახე, ახლახან გარდაცვლილა.

დედამ ადგილობრივი გაზეთის ნეკროლოგზე მიმითითა. უცბად მოგონებები მომანვა.

სკოლის პირველ დღეს დედამ სათამაშო მოედანზე დამტოვა, იმ ბავშვებს შორის, რომლებიც ჩემზე უფროსები იყვნენ. სასტვენის ხმა გაისმა. ხმაური შეწყდა და ბავშვები მწკრივ-მწკრივად შევიდნენ სკოლის შენობაში. არ ვიცოდი, რომელ მწკრივს გავყოლოდი, ავდექი და ერთ ნაწილზე გავიხივებოდი. როდესაც საკლასო ოთახში შევედი, ყველამ შემომხედა. ერთმა კარგა მოსულმა დედობრივი შესახედაობის ქალბატონმა ხელი ჩამჭიდა და თქვა: „ეს შენი კლასი არ არის. მის გრანტის კლასში იქნები. წამოდი, შენსას გაჩვენებ“.

მის გრანტი მალალი, გამხდარი ქალი იყო, მუქი თვალებითა და მოყვითალო, არაჯანსაღი სახის ფერით. მას ისეთი მალალი, მკვეთრი, ცხვირისმიერი ხმა ჰქონდა, რაც უნდა ეთქვა, მუქარასავით გაისმოდა. მან მიმითითა ადგილზე ერთი ბიჭის გვერდით, რომელსაც სურდო ჰქონდა.

— ჯორჯთან დაჯექი. ის გეტყვის, რა უნდა გააკეთო. ბავშვებო, ეს ჯო გრინია. მიესალმეთ!

ძალიან მინდოდა მის გრანტისათვის მესიამოვნებინა, მაგრამ რატომღაც ყველაფერი უკუღმა გამომდიოდა. შემოდგომაზე მან ყავისფერ ფურცელზე ხე დახატა და კედელზე მიამაგრა.

— აი, ბავშვებო, ახლა შემოდგომაა. ფოთლები წითელ-ყვითელი და ყავისფერი ხდება. შემდეგ კი ხეებიდან ცვივა. აქ რამდენიმე ფერადი ქალაღია. მინდა, მათგან ლამაზი ფოთლები გამოჭრაო. შემდეგ ფოთლებს ხეებზე დავანებებთ და ლამაზს სურათს შევქმნით.

ფოთლები გამოვჭერით და სათითაოდ ხეზე მისანებებლად გავედით.

მე ყველაზე ბოლო ვიყავი. მის გრანტმა შემფოთებით შეპყვირა: — ვერ ხედავ, რომ თავდაყირა მიგინებებია, ჯო?

მაგრამ ფოთლები უკვე მაგრად იყო მიწებებული. მისი ხე გავაფუჭე.

შობამდე წვრილად დაჭრილი ფერადი ქალაღებისგან დეკორატიული ნივთები გავაკეთეთ. მთელ კლასში ყველაზე გრძელი ნივთი მე გავაკეთე. გავიფიქრე, რომ ახლა კი მის გრანტი ჩემით ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებოდა. მაგრამ ჩემს მერსს რომ მოუახლოვდა, მისი ხმა კივილში გადაიზარდა.

— ყველაფერი უკუღმა მიგინებებია, — აზლუქუნდა, — ვერ ხედავ, რომ ფერადი ნაწილი გარედან უნდა იყოს და არა შიგნიდან? როგორ უნდა დავინახოთ ლამაზი ფერები, თუ ისინი შიგნით იქნება? რა გიყო?

გაზაფხულზე ყვავილებზე გვიყვებოდა. ცხადი გახლდათ, ყვავილები ძალიან უყვარდა.

— აბა, რას აკეთებენ მინდვრის ყვავილები გაზაფხულზე? ავიღოთ იები, კიდევ რა? იცით, რომელია ჩემი საყვარელი ყვავილები? დიახ, მაჩიტები! მაგრამ ბუნებას პატივი უნდა ვცეთ. უამრავი ადამიანი წყვეტს მათ. ეს სიბოროტეა. ჩვენ ისინი მათთვის ბუნებრივ გარემოში უნდა დავტოვოთ.

ასე და ამგვარად, მის გრანტს მაჩიტები უყვარდა. აი, ყველაფერი ის, რაც კი მახსოვდა. შემდეგ კვირა დღეს ტყეში წავედი, უზარმაზარი თაიგული შევკარი და შემდეგ ორშაბათამდე წყლიან კასრში ჩავდე. კლასში სიამაყით აღსავსე შევედი. აი, ახლა კი ნასიამოვნები დარჩება, — გავიფიქრე.

— ჯო, — წამოიკვილა მან, — ხომ გითხარი, არასოდეს მოწყვიტო ყვავილები. ნუთუ არასოდეს მისმენ?

და ჩემი ლამაზი მაჩიტები სანაგვე კალათში მოისროლა.

მეორე დღეს სასაფლაოზე წავედი. მის საფლაოზე დამჭკნარი ყვავილების რამდენიმე კონა იდო. ჩემთვის გავიღიმე და მაჩიტების უზარმაზარი თაიგულით შევანაცვლე.

**დღე, როდესაც დრო გაჩერდა**

მშვენიერი დღე იდგა. ჟერარდმა შუადღე სოფლის თავზე ნაბლის ტყეში სეირნობაში გაატარა. სექტემბრის მზის შუქი მდნარი ოქროსავით ფოთლებში იღვრებოდა. მოსავლის სურნელი ჰაერში ტრიალებდა. მალე მისი მეზობლები ნაბლის კრეფას შეუდგებოდნენ. ამჟამად კი ყურძენს კრეფდნენ.

ექვსი საათი იყო, როდესაც მისთვის სასურველი ქვის კოტეჯის სიგრილეს დაუბრუნდა. დარაბები ფართოდ გამოალო, როგორც საღამომით სჩვეოდა და ფანჯრიდან ხეობას გახედა. ეს საღამოს ბგერები: თევზების რანკა-რუნკი და ქვემო-დან წამოსული ბავშვების ყრიაშული. მეზობლის საკვამური-დან კვამლის ბოლქვი ტრიალ-ტრიალით ამოდიოდა. ნამგალა ჩიტები ეკლესიის კოშკს დასტრიალებდნენ და მწერებს სანსლაფდნენ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო.

ჩვეულებისამებრ, თავისთვის ვახშამი მოიმზადა — სალათა მეზობლების ბაღში მონეული გემრიელი პომიდვრებით, შებოლილი ღორი და ახალი სოფლური პური. ერთი ჭიქა მშრალი თეთრი ღვინო აპერიტივით ჩამოსხა და ფანჯარასთან დაჯდა. ღამის დადგომამდე ჯადოსნური წუთებით ტკებოდა. ცა იხვის კვერცხივით მოცისფრო-მომწვანო იყო და საღამოს მზე ჯერ კიდევ ათბობდა ეკლესიის მონაცრისფრო-მოყავისფრო ქვებს. კაკაჩა ზანტად დასტრიალებდა ხეობას. სრულ კმაყოფილებას გრძნობდა.

ვიდრე დაჯდებოდა, დისკი — მოცარტის დიდებული კვინტეტი კლარნეტისათვის მაჟორში — ჩართო. თითქოს მასში ჩაიღვარა მუსიკის გრძნობიერი სილამაზე. გელური წითელი ღვინის ბოთლი გახსნა, რომელიც ღორს მოუხდებოდა, შემდეგ კი თხის ცხარე ყველს მიაყოლებდა. ნება-ნება შეექცეოდა და თან თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა. ყოველგვარი საქმიანობისა და კრიზის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს მარტო იყო, თუმცა სულიერ სიმარტოვეს არ გრძნობდა. ქალები გაახსენდა, რომლებსაც ადრე იცნობდა, ბავშვები, რომლებიც აღზარდა, მის მიერ დანერგული ნიგნები, გადატანილი ბრძოლები. მაგრამ იმავდროულად გრძნობდა საკვების სრულყოფილებას, ჰაერის ხავერდოვან სირბილეს შუქის ოქროსფრად კაშკაშს და მოლივლივე ჰანგების სილამაზეს. გრძნობდა, რომ მასში არა ერთი, არამედ მრავალი პიროვნება იყო. ამავდროულად, თითქოსდა საყოველთაო რეალობას ეხებოდა.

ღროის სათვალავი დაკარგა. ამას გაცილებით გვიან მიხვდა, როდესაც იგრძნო, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა. ასე ეგონა, საუკუნეების მანძილზე იჯდა და ვახშმობდა, დაღამებას კი პირი არ უჩანდა.

მუსიკა ისევ უკრავდა, ვანა აქამდე არ უნდა დასრულებულიყო? არც ღვინოს დაჰკლებოდა ბოთლში. ფანჯრისკენ ნავიდა. მზე ჯერ კიდევ ეკლესიის იმავე კუთხეს ანათებდა. ნამგალა ჩიტები კვლავ კოშკს დასტრიალებდნენ და კაკაჩაც მალლა, მოცისფრო-მომწვანო ცაზე ტრიალებდა. ხეობიდან შეღამების ხმები მოესმა. მის უკან, ოთახში, ღვთაებრივი მოცარტის ჰანგების ექო გაისმოდა. ყველაფერი ზუსტად ისევე იყო, როგორც მისი შინ დაბრუნებისას. ახლა რამდენი ხანი გავიდა? ერთი თუ ორი საათი?



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

მაგიდას მიუბრუნდა, რომ ჭამა გაეგრძელებინა. ღორი და სალათა ადრინდებულად გემრიელი იყო, წითელი გელური ღვინოც, მაგრამ საღამოს შუქს ღამე არ ეპარებოდა, არც მუსიკა თავდებოდა.

მიხვდა, ცოცხლებში აღარ ენერა. ის მიიცვალა სრულყოფილებისა და ბედნიერების წამს. ახლა ეს სრულყოფილი წამი არასოდეს დასრულდებოდა. მოცარტის მუსიკა უსასრულოდ უკრავდა. საკვები თევზზე რჩებოდა, თუმცა იგი ჭამას განაგრძობდა. ღვინის დონე ბოთლში არ იცვლებოდა, ის კი მშას განაგრძობდა. აღარაფერი შეიცვლებოდა. მიხვდა, რომ ჯოჯოხეთში იყო.

**მარად და მარად, აიმი!**

ერთ დილას ჩეიმმა ფოსტით პატარა ამანათი მიიღო. მისამართის ხელწერა თითქოსდა ნაცნობი ეჩვენა. ამანათი გახსნა და ორი საქორწინო ბეჭედი და ვერცხლის მედალიონი ნახა. მედალიონში თმის ორი კულულო ილო, სასიყვარულო კვანძით შეკრული და საქორწინო ცერემონიაზე გადაღებული ახალგაზრდა წყვილის ფოტო. ფოტო წლებს გაეყვითლებინა, მაგრამ სიყვარული კვლავ გამოსჭვიოდა ახალგაზრდა წყვილის თვალთაგან. თან წერილიც ახლდა. ჩეიმმა კონვერტი მოუთმენლად გახსნა. პირდაპირ ბლანკზე ეწერა — „ერეცის კანცერის კლინიკა“. ერთი ფურცელი არც კი ჰქონდა წაკითხული, რომ სახეზე ნაცრისფერი დაედო და ხელები აუკანკალდა.

„უძვირფასესო ჩეიმ, ასე რატომ უნდა მომხდარიყო ჩვენ დავიფიცეთ, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენი სიყვარული მარადიული იქნებოდა... ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ გადარჩებოდი. სულ რაღაც ერთი თვის წინათ დაგინახეთ შენ და შენი ცოლი „კრასკის ყავის სახლში“, ვეიზმანის ქუჩაზე. ახლა უკვე ძალიან გვიანია, მაგრამ ნეტავ სხვანაირად ყოფილიყო. ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ერთადერთი სიყვარული იყო და ეს შენ ხარ.“

ჩეიმი უძრავად იჯდა და ლოყებზე ცრემლები დაბალუპით სდიოდა. ის და ჰანა კრაკოვში დაქორწინდნენ, ნაცისტების მიერ პოლონეთის დაპყრობამდე. მათ იცოდნენ რა ბედი ელოდათ. ქორწინებიდან ერთი კვირის თავზე ისინი ძველ ებრაულ სასაფლაოზე წავიდნენ. ფიჭვის ხის ქვეშ საქორწინო ბეჭდები, ვერცხლის მედალიონი თავიანთი ფოტოებით და თმის კულულებიც ჩამარხეს. მარადი ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს. რაც უნდა მომხდარიყო, ერთმანეთის ერთგულნი დარჩებოდნენ. თუ რომელიმე გადარჩებოდა, ბეჭდებსა და მედალიონს ამოიღებდა. ერთი კვირის შემდეგ მათ თავი მოუყარეს და სამხედრო სატვირთო მანქანებით წაიყვანეს. მხეცურად განაცალკევეს ქალები და კაცები, ბავშვები და მოზოლები, საქონლის ვაგონებში შერეკეს და აუშვიცის გზას გაუყენეს.

ჩამოსვლისას ჩეიმმა დაინახა, როგორ გაათრიეს ჰანა გაზის კამერებისკენ. ვინც ამ გზას გაუყენეს, არავინ დაბრუნებულა, თვითონ კი ბენზე გადარჩა. არასოდეს არავისთვის უამბნია, რაც გადაიტანა. 1945 წელს ისრაელში წასვლა მოახერხა. ბულალტრად დაინყო მუშაობა და თელ-ავივის წყნარ

უბანში დასახლდა. ყოველ დღე ჰანაზე ფიქრობდა, ღამით შინ ლოცულობდა, შაბათობით კი სინაგოგაში.

ათი წელი ჰანას გლოვობდა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს, როგორც ხდება, ის ხომ კაცი იყო და არა წმინდანი. ესტერი გაიცნო. ერთ ოფისში მუშაობდნენ. მათი ქორწინება თანაგრძნობასა და ურთიერთგაგებას ემყარებოდა. ესტერი მართლაც კარგი ქალი იყო. მან ჩემი სასონარკვეთისგან იხსნა და სამი მშვენიერი შვილი აჩუქა, ახლა უკვე მოზრდილები იყვნენ.

ჩემი საგულდაგულოდ მუქ კოსტიუმში გამოენყო და ჰალსტუხი გაიკეთა. ტაქსი გააჩერა და მძღოლს „ერეცის კანცერის კლინიკის“ მისამართი უთხრა. უნდა მიეხსნო, ვინცერ ძალიან გვიანი არ იქნებოდა.

კლინიკა სკოპუსის მთის ძირას იყო. გადამხმარი ბორცვის ფერდობები, ზეთისხილის ხეებით დანიწკლული კლინიკის შენობას გადაჰყურებდნენ. ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი ჩემი მიძღვრის მაგიდას მიუახლოვდა. რეგისტრატორს ჰკითხა, შეეძლო თუ არა მისი ჰანა ჰიმელვეიტის ნახვა. რეგისტრატორმა ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. სახე მოელუშა, როდესაც ამბავი შეიტყო.

— ძალიან ვნუხვარ, სერ, — თქვა მან, — მაგრამ მის ჰიმელვეიტი ამ დილას გარდაიცვალა. თქვენ მისი ნათესავი ბრძანდებით?

**გამარჯობა, ბიჭუნო!**

მისტერ სემპსონის მიხედვით შეგეძლოთ საათის გასწორება. ყოველ საღამოს, დაბარებულივით, ხუთიდან ექვსამდე ჩვენს ჭიშკარს ჩაუვლიდა ხოლმე. ის სიტის ბანკში მუშაობდა. ყოველ დღე ზუსტად ხუთზე ბანკიდან გამოდიოდა, რომ მიესწრო ტრანსპორტისათვის, რომელიც ლივერპულის ქუჩიდან გადიოდა 5.10 წთ-ზე და შვიდის ნახევარზე ბაკლის სადგურში შედიოდა. შემდეგ კი შინ ფეხით ბრუნდებოდა.

მისტერ სემპსონი მომწონდა. როგორც კი დამინახავდა, მხიარულად, ხელის დაქნევით გამიღიმებდა და თან მესალმებოდა: „გამარჯობა, ბიჭუნო!“ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ომის პერიოდი იყო, ამიტომ ირგვლივ ბევრ მამაკაცს ვერ შეხვდებოდით. მისტერ სემპსონი სამხედრო სამსახურისათვის ერთობ მოხუცი გახლდათ. იმ დროისათვის ორმოცდაათისა იქნებოდა. ჯერ კიდევ მახსოვს მისი შავი კოსტიუმი წვრილი ღია ფერის ზოლებითა და ჰამბურგული ქუდით. ჩვენი ქუჩა გორაკზე ადიოდა და ის მხნე ნაბიჯებით აუყვებოდა ხოლმე, ბულდოგის ნინ გამოწეული ყბით, კბილებს შორის გამოჩნოილი ჩიბუხითა და ილღიაში ამოდებული გაზეთით.

მერე ისე მოხდა, რომ ჩვენს სახლთან დიდი ხნის განმავლობაში აღარ ჩაუვლია. დედას ვკითხე, რა მოხდა, ავად ხომ არ გახდა-მეთქი. უხერხულად შემომხედა და უკმეხად მითხრა: „ამდენ კითხვას ნუ მისვამ. ჯერ სულ ცოტა ხანია, რაც აღარ ჩანს. ესაა და ეს“.

აღარაფერი მიკითხავს, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, ნეტავ რა უნდა შემთხვეოდა მისტერ სემპსონს. დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირებია. მისი ჯენკინსი, ჩვენი კარის მეზობელი, საშინელი ჭორიკანა იყო და ფინჯან ჩაისთან ერთად ცუდი ამბების მოყოლა უყვარდა. ერთი კვირის შემდეგ ის და დედაჩემი სამზარეულოში ისხდნენ. საძინებელ ოთახში სათამაშოდ გამაგზავნეს, მაგრამ კარი შეღებულ დავტოვე და მათი ნალაპარაკების ნაწყვეტებს მოვკარი ყური. მისი ჯენკინსის ხმა ჩურჩულით ლაპარაკის დროსაც კი ხმამაღალი იყო:

— საშინო ასაკია, არა, ძვირფასო?... ვფიქრობ, მისთვის ბოლო შანსია, მერე კი გვიან იქნება... ამბობენ, ის მხოლოდ ოცდაერთი წლის არის... ბავშვი ჩაუგდია ხელში და ეგაა... მგონი მდივანად მუშაობს მის ოფისში... უნდა რცხვენოდეს...

სულაც არ არის გასაკვირი — ვინც კი ახალგაზრდა იყო, ომშია... ამბობენ, შოტლანდიაში ნაიყვანაო... მთელი თავისი დანაზოგი მას დაახარჯა... ბინძური ბერიკაცია, თუ მკითხავთ... ვნუხვარ, მაგრამ მგონი ეს პოლინია... რა თქმა უნდა, ეს დიდხანს არ გასტანს. როგორც ხდება ხოლმე, არა?..

ამის შემდეგ მალევე, დედამ ქლიავის ჯემი მომცა მისი სემპსონთან წასაღებად. ზამთარი იყო და როდესაც კარი გააღო, პარაფინის ღუმელის სუნი მეცა, დახშულ ჰაერსა და ამშორებულ ატმოსფეროში აღმოვჩნდი. მისი სემპსონის მემინოდა. ზორბა ქალი იყო, ნაცრისფერი კანით და ნიკაპზე ჯაგარივით ამოსული ჭაღარა ბუსუსებით. ყოველთვის უფრომ კაბებს ატარებდა და ზემოდან ბინძური, ტალახისფერი შალის ჯემპრი ჰქონდა ჩამოცმული. რაც ყველაზე უარესია, პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა!

— აი, აილე ძვირფასო, — გამყინავი ხმით მითხრა და სამპენიანი ხელში ჩამჩარა, — უცხად არ დახარჯო!

სახლისკენ მოვკურცხლე, სადაც მშობლიური კერის უსაფრთხოება მელოდა.

მალე მისი ჯენკინსთან სხვა საუბარს მოვკარი ყური: — რას გეუბნებოდი?... ფული რომ გამოელია, იმ კახამ მიატოვა... როგორც ჩანს, პოლინის მისწერა, მაპატიე და შენთან დამბრუნეო... ეშმაკმა დამლაზვროს, მე თუ ამას გავაკეთებდი...

ერთი თვის შემდეგ ბაღში ვიყავი და ვთამაშობდი, როდესაც მისტერ სემპსონმა ქუჩაში ჩაიარა. ამჯერად „გამარჯობა, ბიჭუნო!“ აღარ უთქვამს. დაღლილი მოდიოდა, მხრებში მოხრილი, თავჩაკიდული და თვალებით მინას ჩაშტერებოდა. განკეპილ ძალს მაგონებდა, სახლისკენ კუდამოძუებული რომ მისუნსულებს. ვფიქრობდი პარაფინის ღუმელზე, მყრალ სუნზე, იმ შმორზე, მას რომ ელოდა და გულში მისდამი სიბრაღული ვიგრძენი.

**ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარაშა**

პარასკევს, 4 აპრილს  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკის აუდიტორიაში  
მკვლევარი და მთარგმნელი

**მაია ცერცვაძე**  
ნაიკითხავს საჯარო ლექციას

**მე არ დამპარავს სამსოფლო —  
„ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის  
ეტიმოლოგიური მკვლევარი  
ლადო ბელიაშვილი**

ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილის უმცროს ძმას, საფრანგეთში ტრაგიკულად დაღუპულ ვლადიმერ (ლადო) ბელიაშვილს (1906-1961) ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება. იგი რუსთაველოლოგი და „ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, ხოლო 1956 წელს პარიზში გამოცემული მისი ნიგნი „**რუსთაველის და დანტეს იდუმალი (Les Secrets de Roustaveli et de Dante Alighieri)**“ — ქართული ემიგრაციისა და კულტურის ისტორიაში კუთვნილი ადგილის დამკვიდრების ღირსი.

საჯარო ლექცია თანმხლები ფოტოკოლაჟით ლადო ბელიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება.

დასაწყისი 18 საათზე

# ვერმახტის ქართველი გენერალი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

კონკურსი რომ გამოცხადებულიყო ქართველი კაცის ყველაზე საოცარ თავგადასავალზე XX საუკუნეში, პირველობის პალმას, ალბათ, ვერმახტის გენერალი შალვა მალლაკელიძე მოიხვეჭდა. ეს ის კაცი გახლავთ, ვინც პირადად იცნობდა ნაცისტური გერმანიის სისხლისმამულ ფიურერს — ადოლფ ჰიტლერს.

შალვა მალლაკელიძის მოგონებებში, 1975 წელს რომ ჩაინერა ვიქტორ რცხილაძემ და კიდევაც გამოსცა 1994 წელს, ვკითხულობთ ფიურერთან შეხვედრის მოკლე ანგარიშს:

„აი, აქ მომეცა შესაძლებლობა პირველად და უკანასკნელად პირდაპირ შეხვედროდი ჰიტლერს. ესე იგი ჩვენ სამი — შულენბურგი, კესტრინგი და მე გავემართეთ პრუსიაში, ჰიტლერის შტაბში. ნარვდექით ჰიტლერის წინაშე. მათთან ერთად მეც მივესალმე ჰიტლერს ხელის ზევით აწევით — „ჰაილ!“ უნდა მოგახსენოთ, რომ ჰიტლერს ჩვენთან ხატავენ და უჩვენებენ, როგორც შავთმიანსა და შავუღვაშას. არადა, ჰიტლერი აბსოლუტურად ქერა იყო, ქერა თმა ჰქონდა მარჯვნივ ჩამოშვებული; პატარა, გაკრეჭილი ქერა უღვაშები და თეთრი კაცი! დაბრძანდითო, გვითხრა. შულენბურგმა პორტფელიდან ჩვენი ფიცის ტექსტი ამოიღო. ყურადღებით წაიკითხა ჰიტლერმა. ლაპარაკში შულენბურგს „გრაფი“ მიმართავდა, მაგრამ რალაც ინდიფერენტულობა კი იგრძნობოდა მისგან. ალბათ ის ახსოვდა, რომ შულენბურგიც და კესტრინგიც რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყვნენ. ბოლოს ხელი მოაწერა ამ ფიცის ტექსტს — „რახან თქვენ თვლით ასე, მეც თანახმა ვარო!“

როგორც ირკვევა, ქართველ ლეგიონერთა ფიცის ტექსტი ერთობლივი ძალისხმევით შეუდგენიათ გრაფ შულენბურგს (ომის წინა წლებში — გერმანიის ელჩი მოსკოვში), გენერალ კესტრინგს (იმავე ხანებში — გერმანიის სამხედრო ატამე მოსკოვში) და გენერალ მალლაკელიძეს — კავკასიელ ლეგიონერთა „პატრონს“.

შალვა მალლაკელიძე გვარწმუნებს, რომ სომხები და აზერბაიჯანელები უშუალოდ ჰიტლერს აძლევდნენ ფიცს, ხოლო ქართველები ფიცს აძლევდნენ ოკუპანტებისგან „განთავისუფლებულ ქართულ მიწას“.

რაც შეეხება მთხრობელის შენიშვნას, შულენბურგიც და კესტრინგიც რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყვნენო, ეს უნდა აიხსნას არა მათი მშვიდობისმოყვარეობით, არამედ იმით, რომ ორივეს, მოსკოვში ხანგრძლივად ყოფნის წყალობით, ბერლინში მყოფებზე უკეთესად ჰქონდათ გაცნობიერებული საბჭოეთის სამხედრო და სამრეწველო პოტენციალი, აგრეთვე — ადგილობრივი მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთება.

ყველაზე შთამბეჭდავი კი ის არის, რომ ესოდენ პასუხსაგები შეხვედრისას ქართველ კაცს თავი მშვიდად, აუღელვებლად უჭირავს და მის ფიზიკურ მზერას არ გამოჰპარვია ის ფაქტი, რომ ფიურერი თურმე შავთმიანი და შავუღვაშა კი არ ყოფილა, როგორც ჩვენში ხატავდნენ, არამედ თმაც და უღვაშებიც ქერა ჰქონია, ვითარცა ჭეშმარიტ არიელს!

სხვას, უფრო სუსტი ნერვების პატრონს, ჰიტლერის დანახვაზე, ალბათ, თავზარი დაეცემოდა, ეს „ველური კავკასიელი“ კი, ვითომც არაფერიო, მთელი ევროპის დამპყრობელს ისე აკვირდება, თითქოს მის წინაშე ზოოპარკის გალიაში გამოიწყვდებული ქმნილება იყოს.

საერთოდ, შალვა მალლაკელიძე ბედს არაერთხელ გაუნებოვრებია უადრესად საინტერესო შეხვედრებით მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ პერსონებთან.

თქვენ წარმოიდგინეთ, ორჯერ ყოფილა აუდიენციაზე თვით რომის პაპთან და ისიც შეუტყვია, რომ მისი უწმინდესობა გატაცებით სწავლობდა ქართულს! უთქვამს კიდევ: „მე ქართული ვიცი!“

იმავე რომში მოუწია შეხვედრა და ფრიად საინტერესო საუბარი იტალიის მეფესთან. ესეც ერთ რამედ ღირს!

სხვა, არანაკლებ საყურადღებო ფიგურებთან შეხვედრებიც ამშვენებს შალვა მალლაკელიძის ბიოგრაფიას. მხოლოდ ჩამოთვლა

ვიკმაროთ მათი: გერინგი — ჰიტლერის მოადგილე და მემკვიდრე; კანარისი — ნაცისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვის შეფი; კერენსკი — რუსეთის დროებითი მთავრობის მეთაური (1917 წ.); აიუბ-ხანი — პაკისტანის პრეზიდენტი; ადენაუერი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერი (1949-1963).

შთამბეჭდავი სურათია, არა?

აი, ასეთი მრავალფეროვანი და ბოზოქარი ცხოვრება დაამთავრა იმით, რომ გამწესებულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ლიტფონდის იურისკონსულტად, თუმცა ავი ენები სისინებდნენ, იურისპრუდენციისა ბევრი არაფერი გავგებო და გადაკვრით აღნიშნავდნენ, რომ ვერმახტის ყოფილ გენერალს გავლენიანი მფარველები „რკინის ფარდის“ აქეთა მხარესაც ეგულვებოდა.

არაერთი საგულისხმო დაკვირვება (ჰიტლერის ქერთიანობისა არ იყოს) და მოსაზრება გვხვდება შალვა მალლაკელიძის მოგონებათა ფურცლებზე.

აი, მსჯელობს გასაბჭოებაზე არსებული დამოუკიდებელი საქართველოს ბედ-ილაზე და ასკვნის: „ხანდახან როდესაც ჩაუფიქრებდები, რანაირად შეიძლება დამოუკიდებლობა შეინარჩუნო ასეთ პირობებში, როდესაც ყველა ყაჩაღად იქცევა. უკეთესია ისე ვილაცა პატრონი ზევიდან გყავდეს, სხვა გზა არ არის“ (თითქოს ჩვენი დღევანდელი დასიზმრებია!).

კიდევ ერთი პარალელი: „სრულიად მოულოდნელად, თბილისში, ვინმე ევგენი დვალმა რაჭველებისგან, მეთონეები რომ იყვნენ, იმათგან, შეადგინა ჯგუფი და დააარსა შოთა რუსთაველის პარტია“.

მოდი და ნუ გაგეცინება... ამ დალოცვილ საქართველოში მართლაც არაფერია ჩვენი მხურვალე მზის ქვეშ ახალი.

1942 წლის 26 მაისს (sic!) პოლონეთში, ქალაქ ვესელის მიდამოებში, ვერმახტის ქართველ გენერალს ჩაუმკრივებია ქართული ლეგიონის ბატალიონები, აღუმართავს სამფეროვანი დროშა და ჩაუტარებია ფიურერთან შეთანხმებული ფიცის მიღების ცერემონია, რასაც ესწრებოდნენ ზემოსხენებულნი შულენბურგი და კესტრინგი.

შალვა მალლაკელიძე აღნიშნავს: „ამ ფიცის მიღების მერე მალლაკელიძის ხალხი, როზენბერგთან რომ არიან, სულ დაიბოლმენ ჩემზე“.

თურმე აბეზღებდნენ ალფრედ როზენბერგის უწყებაში (ალმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტრო): ეგ მალლაკელიძე საეჭვო კაცია, საბჭოებისა არისო. ხოლო აკაკი კვიციანიშვილი და გივი გაბლიანი აგიტაციას ეწეოდნენ ლეგიონერებში: არ ენდოთ მალლაკელიძეს, „ბერგმანი“ გადმოდიოთ (ბერგმანი გერმანულად ნიშნავს მთიელს. ასე ერქვა ჰიტლერელთა სამთო-სადაზვერვო ბატალიონს).

ესეც ჩვენი დაუფინყარი „უჩემოთ ვინ იმღერეთა?“!

შალვა მალლაკელიძე თავისი პრინციპების ერთგული ყოფილა. კავკასიაში ორმოცდაორის ცხელი ზაფხულის გახსენებისას გვაუწყებს: „ახლა მე წინააღმდეგი ვიყავი საქართველოში ყოველგვარი დესანტის გადასხმისა — რა ძალა გექონდა ჩვენ? რატომ უნდა დაღუპულიყვნენ ქართველები? ჯერ გერმანელებს უნდა აეღოთ საქართველო“.

ვერმახტის ქართველი გენერალი ჰიტლერელთა დუღუკზე როდი ცეკვავდა! თავის მამა-მარჩენალთ, მდაბიორად რომ ვთქვათ, კი არ უძვრებოდა... სადაც ჯერ არს. თვისსობათა სიცოცხლეს უფრთხილდებოდა (უსიამო პარალელები სეტყვასავით მოდის!).

სწორედ იმ 1942 წელს მდინარე ბაქსანთან 32 ქართველი ლეგიონერი გადასულა წითელი არმიის მხარეზე. შეთქმულების თავკაცი მურვანიძე გერმანელებს ხელთ ჩაუგდიათ და დაუხვერეთიათ. მეორე დღეს მალლაკელიძე დახვერეთის ადგილას მისულა და ყვავილები დაუწყვია საფლავზე. შტაბში გერმანელ ოფიცრებს უთქვამთ: „ზი ზინდ აინ რიტერ“ (ე.ი. რაინდი ხარო).

აგერ, იმასაც შეიტყობთ, რომ ტიტე ტაბიძისათვის ახალი, უფრო კეთილხმოვანი სახელი „ტიციანი“ შალვა მალაქელიძეს დაურქმევია!

ჩანანერში არ მოხვედრილა ერთი უნიკალური ცნობა, რომელსაც ვიტყვით რეალურად ნინათქაში იმონებებს: „გალაკტიონმა თვითმკვლელობამდე ორი კვირით ადრე შ. მალაქელიძეს მოუთხრო თავისი ტრადიციული სიყვარულის ბედზე და იმ სიმბოლოებზე, რაც მან გამოიჩინა დაბატონებული და გადასახლებული სატრფოს მიმართ. ეს ამბავი თურმე ძალზე სტანჯავდა გალაკტიონს — იმქვეყნად ამის გამო ალბათ ჯოჯოხეთში მოვხვდებო, უთქვამს მას“.

გაცვეთილი გამოთქმა, მაგრამ უკეთესი ჯერ არავის მოუგონია (დემოკრატიისა არ იყოს), შალვა მალაქელიძის მოგონებანი კი რომანივით იკითხება. ტაშა ვუკრავთ თუ ვგმობთ, სულერთია, გარკვეულ ინტერესსა და ბუნებრივ განცდილობებს ინვესტის მისი არაორდინარული ცხოვრების ეპიზოდები.

საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გამო თუნდაც გვეჩოთიერებოდეს ვერმასხტის გენერლის მოგონებათა გაცნობა, საკმარისია ერთ-ორ აბზაცს გადაავლოთ თვალი და, მერნმუნეთ, ველარ მოსწყდებით.

ემმაქმა დალახვროს, რეკლამის სუნი ხომ არ გეცათ, მკითხველს და გამკითხველს?

ეგებ ცოტადენი პილპილიც მოუხდეს გემრიელ კერძს?!

შალვა მალაქელიძემ თავის მოგონებებში ჯერ იყო და გრიგოლ ვეშაპელის მკვლელად, ავთანდილ მერაბაშვილის ნაცვლად, გამოაცხადა ილუშა მერაბიშვილი (მთავარ როლს რომ თამაშობდა კოტე მარჯანიშვილის ფილმში „კრახანა“), რომელსაც, იმავდროულად, საბჭოთა აგენტობა დასწამა, რადგანაც სან-ფრანცისკოში გასტროლებზე ჩასულ სუხიშვილის ანსამბლს საკუთარ რესტორანში ბანკეტი გაუმართაო (ლოგიკა არ მოგწონთ?).

მაგრამ ილუშა მერაბიშვილს და სუხიშვილებს ვინ ჩივის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის — ქაქუცა ჩოლოყაშვილის იმიჯს, თავისდაუნებურად, ერთგვარი ჩრდილი მიაცენა.

დავიმონმოთ ვრცელი ციტატა შალვა მალაქელიძის ნაამბობიდან:

„პარიზში როდესაც ჩასულა — დიდი ზემოთ შეხვედრიან, როგორც პარტიზანების ხელმძღვანელს. იყო ასეთი რესტორანი „კორნილოვი“... და მივიდა ქაქუცა ამ რესტორანში ჩოხაში და ხმლით, ხმა გავარდა, რომ ჩამოვიდა პარტიზანების მეთაური „კნიაზ ჩოლოკაევ“. ქაქუცას ახლავს შალვა ქარუმიძე, პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ავანტიურისტი იყო... შალვას ქალები და ქეიფი უყვარდა. ქაქუცასაც ხომ უყვარდა და უყვარდა. მივიდნენ რესტორან „კორნილოვი“, გაშალეს სუფრა. შეთვრა ქაქუცა. აქ არის კიაპი, კომუნისტური ფრაქციის დეპუტატი პარლამენტში, „ნაჩალნიკ პარიუსკოი პოლიციი“. აქ სადილობს... და ხედავს, რომ ქაქუცა ქეიფობს. ერთ საღამოს მიადგნენ ქაქუცას, მოგვხსენებთ, პოლიციელები სიცილიელები არიან ნაპოლეონის დროიდან მოყოლებული და მიადგნენ ქაქუცას სასტუმროში. ეს სიცილიელები ოხერი ხალხია და შეუმტვრიეს კარები. ქაქუცა არ დანებდა და ცემეს სასტიკად, იმიტომ რომ წინააღმდეგობა გაუწია. ისე ცემეს, რომ გაუფუჭეს ფილტვები, დააჭირეს, წაიყვანეს ციხეში. ექვსი თვე ამყოფეს ციხეში“.

როსტომ ჩხეიძე თავის დოკუმენტურ რომანში „შავი ჩოხა“, სადაც ასახულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა შალვა მალაქელიძის ზემოთ ინფორმაციას, მაგრამ ჩვეული კრიტიკული განსჯის უნარი ნუთითაც არ დაუკარგავს და ეჭვნარევი სიფრთხილით ეკიდება ვერმასხტის გენერლის, ერთი შეხედვით, ხელსაყრელ მონათხრობს.

მკვლევარის სიტყვით, საქართველოში ჯერაც ქაქუცას ხელახალი გამოჩენის იმედით სულდგმულობდნენ და პარიზშიც ისეთი ზემოთ ხედვობდნენ, როგორც ეროვნულ გმირს შეჰფერის, ამიტომაც საბჭოთა უშიშროების სამსახურს რალაც უნდა ელონა და იქ მინც მინვლდომოდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილიყო მისგან მოსალოდნელი მღელვარებანი, და მიწვდომია კიდევ, თუკი შალვა მალაქელიძე უსაფუძვლო ჭორებს

არ ეყრდნობა და მისი ნაამბობი მეტნაკლებად მიესადაგება სინამდვილეს.

როსტომ ჩხეიძეს თავშეკავებული დაეჭვების საფუძველს ის აძლევს, რომ ალექსანდრე სულხანიშვილი, ბიოგრაფი ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, ბუნდოვანი მინიშნებითაც კი არ ახსენებს ამგვარი ეპიზოდის არსებობას — არც პოლიციელთა ველურ შევარდნას ქაქუცას ოთახში, არც მის გალახვას და არც ექვსთვიან პატიმრობას, და ეს მაშინ, როდესაც მისი ბიოგრაფიის ქარგას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებაო.

შეინიშნება სხვა, არანაკლებ სერიოზული ხარვეზებიც.

უნინარეს ყოვლისა, თავად სიუჟეტი მონათხრობისა ერთობ ექსტრავაგანტურად გამოიყურება. ისეთ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში, როგორც გახლავთ საფრანგეთი, ფრიად დაუჯერებელია ადამიანის ამგვარი აბურჩად ავადება — ისე, არაფრის გულისათვის. მით უფრო, რომ პოლიციელთა თავდასხმის ობიექტი უპასპორტო და უპოვარი მანანწალა როდია, არამედ — თავადი და რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი. თვალში გვხვდება ფაქტობრივი შეცდომებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი (ან მისი ინფორმატორი) სათანადოდ ვერ ერკვევა იმ ვითარებაში, რასაც აღწერს.

აი, თუნდაც ეს ფრაზა: „კიაპი, კომუნისტური ფრაქციის დეპუტატი პარლამენტში, „ნაჩალნიკ პარიუსკოი პოლიციი“ — სრული გაუგებრობაა.

ჟან კიაპი საფლავში გადაბრუნდებოდა, ეს რომ გაეგო. შეიცხადებდა, კომუნისტად როგორ მომნათლესო?!

რუსი ემიგრანტი-ჟურნალისტი ლევ ლიუბიმოვი თავის მემუარებში გვაუწყებს, რომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ტარდის მთავარი თანაშემწე კომუნისმთან ბრძოლაში იყო გაქნილი და ყველაფერზე ნამსვლელი კიაპი — პრეფექტი პარიზის პოლიციისა (კაცმა რომ თქვას, ულიუბიმოვოდაც აბსოლუტურად გამოირიცხებოდა პარიზის პოლიციის პრეფექტის კომუნისტობა).

არანაკლებ გაუგებრობას წარმოადგენს პარიზელ პოლიციელთა „სიცილიელობა“. მაფიოზებად კი შეიძლება მოვლენოდნენ პარიზს სიცილიელები, მაგრამ პოლიციელებად?!

ცნობილი საბჭოთა მწერალი და ჟურნალისტი ილია ერენბურგი, რომელიც იმ წლებში ხანგრძლივად იმყოფებოდა საფრანგეთში, გადმოგვცემს, რომ პარიზის პოლიციის პრეფექტი, ყოვლისშემძლე კიაპი მფარველობდა ფაშისტურ ორგანიზაციებს, თავგამოდებით ეთაყვანებოდა მუსოლინის და ჰიტლერს; წარმოშობით კორსიკელი იყო და განდიდების მანიით დაავადებულ ტანმორჩილ კაცს ყველაზე სახელგანთქმული კორსიკელის დაფნევი ეზმანებოდა, ნაპოლეონობა ეწადაო.

ერენბურგი იმასაც აღნიშნავს, რომ პარიზელი პოლიციელები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ კორსიკელები (დიახ, კორსიკელები და არა — სიცილიელები), ერთგულობდნენ თავიანთ თვისტომს, ვისაც პარიზის პოლიციის პრეფექტის პოსტი ეჭირა 1927-1934 წლებში.

ეს უზუსტობანი, რასაკვირველია, ეჭვქვეშ აყენებს მთელი ეპიზოდის სიზუსტეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ შალვა მალაქელიძის მონათხრობი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

თუკი ეს მონაწილე, ქართველ ემიგრანტთა წრეებში გაფურჩქნილ უთანხმოებათა და დაპირისპირებათა ანარეკლი უნდა იყოს. ისევ და ისევ დაუწინაყარი მშობლიური ჰანგი: უჩემოთ ვინ იმღერეთა?

ისიც უნდა ითქვას, რომ შალვა მალაქელიძის მოგონებანი ჩანერილია 1975 წელს, როდესაც ყოფილი გენერალი ვერმასხტისა უკვე 81 წლისა ყოფილა და, ჩანს, თავადაც აცნობიერებდა იმ უნუგეშო ფაქტს, რომ, რუსთველისა არ იყოს, სიბერე სჭირდა, ჭირთა უფრო ძნელი სიბერე, და გამოიმცემელს თუ ნამკითხველს სთხოვდა: „შესაძლო მეხსიერების დალატის გამო, როგორც ხანდაზმულისა, მისი მონათხრობი შეადაროს ყველა არსებულ წყაროებთან“.

ასე რომ, ჭეშმარიტება — უპირველეს ყოვლისა! და მხოლოდ მერე — პოეზია...